კვირის პალიტრა

N4 (242) 27/I.-2/II.20

თემა — ისევ გავსუქდი!

გზავნილები — „ჩემი დაქალი და ჩემი ქმარი დავაქორწინე...“

1168
2005

თბილისური საუნების მაფია — ლუბა ელიავშვილის დეტექტივში

თაკო გაჩეჩილაძეს სევდიანი მოგონებები მოეძალა: „ისევ ერთად ვართ, ოღონდ — როგორც... მისი „მასალა“, ისე ალარ...“

ფსიქიკური გადარჩენის გამომწვევი წამლები ჩვენთანაც შემოდის

მიმგაძველობის ხელოვნება, „შუშის თეატრი“ ურეკში და გასლეჩილი თეატრალური საზოგადოება

ასე უყვართ საქართველოში

74 წლის შალვამ 76 წლის ელენე შეირთო

„თუ არ შეგვეძინა, ბავშვს ავიყვანთ...“

...ამოვიდა თებერვლის ნომერი!



!134!
გვერდი

...ეუნალი, ჰომეროს მნეხალს მაითხვეის
სითბოსა და სიყვარულს დაუბრუნებს

ქვირის პალიტრა
ვეა
№4 (242)
27 იანვარი – 2 თებერვალი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
თანამედროვე „მაია წყნეთელები“ ანუ ჯარში მხოლოდ ქალიშვილებია 3
ჭრელი მსოფლიო 4, 5, 6
სახელმწიფო
რამდენ რეგიონს შეიძლება გაუჩნდეს საქართველოს ფედერაციის სუბიექტის პრეტენზია? 4
ოფსაიტი
რატომ თვლის თავს აზიატად თედო პაატაშვილი? 7
ასპარეზი
მიმბაძველობის ხელოვნება, „შუშის თეატრი“ ურეკში და გახლეჩილი თეატრალური საგზაგადოება 10
ეკონომიკა
„ეკონომიკური შოკი“ – როგორ გადააქვს ქალაქს და რა ეშველება სოფელს?! 12
კრიმინალი
- მოძალადე მამები და ბებუები საკუთარი შვილებისა და შვილიშვილების გაუპატიურებისთვის გაასამართლეს 15
- ქმარმა ცოლს საყვარელი მოუკლა 17

ასე უყვართ საქართველოში
74 წლის შალვამ 76 წლის ელენე შეირთო 20
მამული
როგორ განათდა მუცო და... ქალი, რომელსაც ტელევიზორი არ უნახავს 22
ტესტი
ერთგული მკითხველი 24
გემოვნება
საოცნებო 9-ოთახიანი სახლი, რომელიც მთელ პლანეტას დაიტევს... 25
სახე
„სინანულს აზრი არ აქვს – ჩადენილიდან მაინც ვერაფერს შეცვლი“ 27
გზავნილები
„...ჩემი დაქალი და ჩემი ქმარი დავაქორწინე“ 29
ჯანმრთელობა
- ყველაზე სასარგებლო ხორცი თევზია 32
- სიახლენი ბავშვების შესახებ 33

ტაქარი
რა უნდა ვიცოდეთ წმინდანებთან დაკავშირებით 34
შემოქმედი
არშემდგარი კონტრაბასისტი, მექანიკოსების „ხულრუკი“ და ცოლისთვის მიძღვნილი „შუშანიკის წამება“ 35

ისევ გავსუქდი! ანუ როცა დიეტა ცხოვრების წესად იქცევა...

სიმსუქნესთან დაკავშირებული განგაში მსოფლიოში 1960 წელს იქნა აღნიშნული. მსუქანი ადამიანების რიცხვი ყოველწლიურად 10%-ით იზრდება. რა არის მიზეზი? რატომ გახდა სიმსუქნე საყოველთაო პრობლემა? გვესაუბრება კვების ექიმი...

46

თაკო გაჩეჩილაძეს სევდიანი მოგონებები მოეკალა

„მერე, თუ ვინმე ნამდვილად ღირსეული გამოჩნდება, გათხოვებაზეც ვიფიქრებ. იმდენი გამოცდილება კი მივიღე, რომ არჩევანში აღარ შევცდები – ამაში დარწმუნებული ვარ. თეთრ რაშზე ამხედრებული პრინცი რომ არ მოვა ჩემთან, ვიცი, მაგრამ...“

57

74 წლის შალვამ 76 წლის ელენე შეირთო



„ამბობენ, ასაკის მომატება, საშინელებააო. მე ასე არ ვფიქრობ. ასაკის მომატებასთან ერთად, სიცოცხლე კი არ მომაკლდა, არამედ მომემატა... მე და ელენეს გადაწყვეტილი გვაქვს – თუ, რა თქმა უნდა, ამას ღმერთიც ინებებს – ბავშვი გავაჩინოთ“.

20

სახლი, რომელიც მთელ პლანეტას დაიტევს...

მომხიბვლელი მსახიობი ეკა ანდრონიკაშვილი თავს გემოვნებიან ქალბატონად მიიჩნევს. უყვარს აღმოსავლური ნივთები, ლამაზად ჩაცმა და გემრიელი კერძების მომზადება. ოცნებობს საკუთარ სახლზე, რომელშიც 9 ოთახი იქნება...

25

შემოქმედი

არშემდგარი კონტრაბასისტი, მექისეების „ხუდრუკი“ და იძულებით მონადირე კომპოზიტორი 35

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 36

ფავორიტები

პოლ გასკოინი – ვარსკვლავი, რომელმაც ფეხბურთი ღაგვას სექტორად აქცია 39

ქართული დეტექტივი

ლუბა ელიავშვილი. ძვირფასი მკვლელი და ჩიპოლინო (გაგრძელება) 42

თემა

ისევ გავსუქდი! ანუ როცა დიეტა ცხოვრების წესად იქცევა... 46

ვარსკვლავი

ჰოლივუდის ახალი მარგალიტი სპილბერგის რისხვას უფრთხის 50

ბომონდი 51

ავტო 53

საფრთხე

„სამწუხაროდ, რეცეპტის ინსტიტუტი საქართველოში არასრულყოფილად მოქმედებს“ 54

სიახლე

თემურ რცხილაძე: „მალე ფიჭური ტელევიზია გვექნება“ ანუ პროგრამები „ინტერნეტ-გამოძახებით“ 56

შოუბიზნესი

თაკო გაჩეჩილაძეს სევდიანი მოგონებები მოეძალა 57

გარემო

ჩვენი საცხოვრებლის ინტერიერის გასალამაზებლად დრაცენა საუკეთესოა 59

ჰოროსკოპი

კვირის (31 იანვარი – 6 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი ქალებისათვის

როგორი თვითმეფასების უნარი გაქვთ? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„მალე ფიჭური ტელევიზია გვექნება“ ანუ პროგრამები „ინტერნეტ-გამოძახებით“

თემურ რცხილაძე: „ჩვენ გთავაზობთ ტელევიზიას, საკუთარი პროდუქციითა და სრულიად ახალი სახეებით. თუმცა, კარგ იდეებზე და შემოთავაზებულ მაღალი დონის სიუჟეტებზე უარს არ ვიტყვით... „ივერთ-მედიას“ სულ 36 არხი ექნება. ჩვენი არხი 37-ე იქნება“.

56

ჰოლივუდის ახალი მარგალიტი სპილბერგის რისხვას უფრთხის

„მსახიობობა ჩემთვის თავდაცვის საშუალება გახლდათ. ყოველთვის შემეძლო, მეთქვა: „სამაგიეროდ, ეს შემიძლია!“ – მაგრამ ახლა, როდესაც სკოლა დავამთავრე, უკან დასახევი გზა მოჭრილი მაქვს...“



50

როგორ განათდა მუცო და... ქალი, რომელსაც ტელევიზორი არ შენახავს

„ერთი ნათურა დავუმონტაჟეთ იმ ოთახში, სადაც ოჯახი მთელ დღეს ატარებს, მეორე – საკუჭნაოში ან საძინებელში, მესამე – ბოსელში. თავდაპირველად, ბოსელში არ უნდოდათ ნათურის დაყენება, – ძროხები დაფრთხებიანო...“

22

ძვირფასი მკვლელი და ჩიპოლინო

ლუბა ელიავშვილი

სტანდარტულ შეკითხვებს იგი სიამოვნებით პასუხობდა. საკუთარი კომკავშირული წარსული გამოტოვა და პირდაპირ ეროვნულ მოძრაობაში შეტანილ საკუთარ წვლილზე ალაპარაკდა.

– ამ ფოტოზე ვინ არის თქვენ გვერდით? ეს ბეჭედი თითქოს მეცნობა...

42

თანამედროვე „მაია წყნეთელები"

ანუ ჯარში მხოლოდ ქალიშვილებია

ვერ გეტყვით, ასეთი რა თაფლი სცხო ჩვენმა ხელისუფლებამ ჯარს, მაგრამ ფაქტია, რომ სულ რამდენიმე წლის წინ, ბიჭი მიუკაკუნებდა თუ არა 18 წელს, იწყებოდა საბუთებზე „ჩალიჩი", თითქოს ფეხი ან თვალი აკლდა, ცოტას „უბერავდა" კიდეც, ან საერთოდ — გოგო იყო და სახელი „მამუკა" შეცდომით ჩაუწერეს პასპორტში... ერთი ისეთი შემთხვევაც კი მახსოვს, მამამ რომ შვილი გადამალა, მისი გადიდებული სურათი გაკიდა აივანზე და სულ ცხარე ცრემლით ატირა კომისარიატიდან მისული „მსტოვრები"...

დღეს კი, სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებაზე არ დგას ისეთი რიგები, როგორიც ჯარში წასვლაზეა. სამხედრო ნაწილებსა და ყაზარმებში ხომ სრული „ანშლაგებია", ახლა სარეზერვო ბატალიონებს მიაწყდა ხალხი და მამაკაცებს ვინ დაეძებს, ქალებიც „თავქუდმანდილმოგლეჯილნი" გარბიან ჯარში.

ეს გვინდოდა კიდევ ჩვენ?! ჩვენს მამა-მარჩენალს ისედაც უყვარს გაუფრთხილებელი ვოიაჟები და აწი შენ მოაცილებ ოსიაურს?! ამას თავი დავანებოთ, ოჯახური დავები დაიწყო უკვე: ქმარი ცოლს ეხვეწება: — იმ თვეში შენ ხომ იყავი, ახლა მე წავალო... ცოლი კი იმიზეზებს: — ფეხმძიმედ ვარ და ურიგოდ მეკუთვნისო... ჩემს მეზობელს კი წუხელ, ასეთი წერილი დახვდა კარში გაკვეხებული:

„ძვირფასო, გასაღები ფეხსაწმენდი ტილოს ქვეშაა, ვახშამი — მაგიდაზე. ბავშვების მეცადინეობა არ დაგავიწყდეს. მე ჯარში ვარ და ცოტა შემაგვიანდება"...

მოკლედ, ასე თუ გაგრძელდა, ისე აირევა ქვეყანა, რომ იტყვიან, „ვისი ცოლი ვის ბატალიონშია, ვერ გაიგებ"!..

პრეცედენტს ბევრი დადებითი მხარეც აქვს: ქალები რომ გვეყოლება ჯარში, „ნატო" აქეთ შეგვეხვეწება — „მეც მიმიღეთ თქვენს ლაშქარში და ერთობლივი წვრთნები ჩავატაროთო"... ჩვენს სარეზერვო ბატალიონში ხომ დისციპლინამ პიკს „აარტყა" „ჯარისქალების" წყალობით: მამაკაცი რეზერვისტები, დღეში ოთხჯერ იპარსავენ წვერს და ცალ ხელში რომ ავტომატი უჭირავთ, მეორეს ცოცხს არ უშვებენ.

ამას გარდა, თუ ადრე ყველა ერიდებოდა სნაიპერობას, როგორც ურთულეს სამხედრო პროფესიას, დღეს ყველას სნაიპერობა უნდა: წამოიკიდებენ „ბინოკლიან" შაშხანებს და შორიდან უჭვრეტენ, რა ხდება ქალთა კარვებში...

მე მგონი, ამ წამოწყებაში მთავრობის ხელიც ურევია: ხომ ხედავთ, გარე ვაჭრობის აკრძალვის შემდეგ, აქციას აქციაზე მართავენ ქალები და ცეცხლმოდებული „პაკრიშკებით" კეტავენ ქუჩებს. ახლა ყველა ჯარში წავა, ხელფასიც ექნებათ, ისინიც მოისვენებენ და ჩვენც... ქალების ჯარი ხომ გაცილებით ეკონომიურიც იქნება: თუ ჯარისკაცს, პირველი-მეორე-მესამე უნდა მიართვა სადილზე, ქალები ყავაზე, ნამცხვარსა და სიგარეტზეც იოლად გადავლენ. მართალია, მაკიაჟისა და „ჩოლკა-პრიჩოსკების" გაკეთება კი ეკრძალებათ, მაგრამ არა უშავს: სულ არ იცოდა მაია წყნეთელმა, რა იყო „ტენი" და „რუმიანა", მაგრამ ნახევარი ოსმალეთი გაჟუჟა, საცოდავებმა აქამდე ვეღარ წამოიდგეს წელი...

მძიმე სამხედრო სამსახურმა გაცილებით მხიარული ელფერი შეიძინა, დამღლელი წვრთნების შემდეგ, გოგონები მამაკაცთა მუსიკალური გემოვნების გაზრდა-გათანამედროვებაზეც ზრუნავენ: თუ კაცების კარვიდან დოლ-გარმონი და „შენ დაუკარ" ისმის, გოგონები მამაკაცებს თანამედროვე ჰიტს — „მე შენი სიყვარული მამღერებს" უძღვნიან. ამას მალე მოჰყვება დაახლოება, დისკოთეკები, სიყვარული და თუ დღეს გვყავს, მამაკაცთა და ქალთა ბატალიონები, ლოგიკურად, წლის ბოლოს, ბავშვთა ბატალიონიც გვეყოლება და მთელი საქართველო ერთ დიდ სამხედრო დივიზიად იქცევა; ჩვენც ოჯახებით წავალთ ჯარში, გვექნება მისვლა-მოსვლა ბატალიონებში, ერთმანეთს ჯარისკაცებს მოვანათვლინებთ და თუ მტერი ისევ შეგვახსენებს თავს, „ქუდზე კაცი და ჩულქზე ქალი" გამოვალთ.

P.S. *რეზერვისტი მამაკაცი პაემანზე ხვდება რეზერვისტ ქალს:*

კაცი — ბევრი ქალი მინახავს, მაგრამ თქვენსავით არავინ მომწონებია; ალბათ იმიტომ, რომ არის თქვენში რაღაც „კალაშნიკოვური".

ქალი — მე კი, თქვენი „ბეტეერისეული" ხმა მხიბლავს.

კაცი — აი, ეს თქვენ, იარაღის საწმენდი ფრანგული ზეთია.

ქალი — ვგიჟდები ფრანგული ზეთის არომატზე. თანახმა ვარ, ცოლად გამოგყვეთ.

კაცი — ბავშვს რას დავარქმევთ?

ქალი — ლიმონკას...

პროვოკატორი

ირანში ქალთა საინფორმაციო სააგენტო IWNA ამუშავდა

ირანში ქალთა საინფორმაციო სააგენტო IWNA გაიხსნა. ახალი სააგენტოს ხელმძღვანელმა სადიკე კანადიმ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა: – „IWNA-ს ფირზე ისლამური რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების ქალთა პრობლემების შესახებ აქტუალური და მნიშვნელოვანი მასალები გამოქვეყნდება. ეს მასალები პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კულტურასა და სპორტში ქალის როლს შეეხება. სააგენტოს მიზანია, ირანისა და მთელი მსოფლიო საზოგადოების ყურადღება ქალთა უფლებების დაცვისაკენ მიაპყროს, მაგრამ IWNA ფემინისტური ორგანიზაცია არ არის“. სა-

აგენტოს გახსნის ცერემონიას კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობა და პარლამენტარები ესწრებოდნენ. ■

ექიმებმა ნაცოს დედის მუცელში ოპერაცია ჩაუტარეს

ავსტრალიაში გოგონა გაჩნდა, რომელსაც დაბადებამდე 3 თვით ადრე, ქირურგიული ოპერაცია დედის მუცელშივე ჩაუტარდა. მელბურნის Monash Medical Center-ს ექიმებმა ელა გრეის ტერნერს ორსულობის 27-ე კვირაზე ოპერაცია გაუკეთეს, რათა ტერფის შემდგომი ამპუტაცია აეცილებინათ თავიდან. დაავადების დიაგნოზი ქალაქ ლანცესტონის ექიმებმა დასვეს, სადაც გოგონას მშობლები ცხოვრობენ. მუცლადყოფნისას გოგონას ფეხის ტერფის გარშემო თავისებური ქსოვილური ბანდაჟი წარმოიქმნა. ავსტრალიაში

ჩვენი სახელმწიფოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემის — რეგიონალური კონფლიქტების დარეგულირების მისაღწევად, ხელისუფლებაც ცდილობს, სახელმწიფოში ავტონომიების სტატუსის განსაზღვრას და არასამთავრობო ორგანიზაციებიც. ხელისუფლება ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ოს თანამოქალაქეებს ფართო ავტონომიას სთავაზობს. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა — აფხაზეთსაც ანალოგიურ უფლებებს შესთავაზებენ თუ ამ შემთხვევაში, სხვა ტიპის ავტონომიასთან გვექნება საქმე? ამ კითხვაზე ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელთა ზოგადი პასუხი ასეთია: მხოლოდ საბჭოთა კავშირში არსებობდა ავტონომიებისადმი უნიფიცირებული მიდგომა, ხოლო ჩვენ დასავლეთში მიღებული სტანდარტებით ვხელმძღვანელობთო. იმას, თუ სახელდობრ რა იგულისხმება, მომავალი გვიჩვენებს. მანამდე კი, შეგვიძლია გავეცნოთ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ვარიანტის ძირითად დებულებებს, რომლებსაც კონცეფციის ერთ-ერთი ავტორი პაატა ზაქარეიშვილი წარმოგვიდგენს.

რამ აღაშფოთა მიხეილ სააკაშვილი

რამდენ რეგიონს შეიძლება გაუჩნდეს საქართველოს ფედერაციის სუბიექტის პრეტენზია?

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲔ

– ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ერთიანი პოლიტიკურად და სამართლებრივად შეუჯერებელი პოზიციის არქონის გამო, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში ძირითადი იმედები დღემდე, დამყარებულია გარეშე ძალებზე: გაეროზე, რუსეთზე, აშშ-ზე და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს ძალები უდიდეს გავლენას ახდენენ არსებულ ვითარებაზე, მაგრამ კონფლიქტის გადაწყვეტის გასაღები მაინც ქართული და აფხაზური მხარეების შეთანხმებაშია. ასეთი შეთანხმება კი ვერ შედგება მანამ, სანამ ცენტრალური ხელისუფლება არ ჩამოაყალიბებს, თუ რას სთავაზობს აფხაზეთის საზოგადოებას. კონფლიქტურ ზონაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, გავაანალიზეთ, თუ რა წინადადებზე წამოვიდოდნენ აფხაზები და რისი დათმობა შეეძლო ცენტრს. მე ვფიქრობ, ჩვენ მიერ შემუშავებული კონცეფცია კონფლიქტის ზონაში საქართველოს იურისდიქციის აღდგენის წინაპირობა იქნება.

— ბატონო პაატა, აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრისას, თქვენს დოკუმენტში საუბარია არა ცენტრისადმი ადმინისტრაციულად დაქვემდებარებულ ერთეულზე, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების ორად გაყოფაზე. ნიშნავს თუ არა ეს, სახელმწიფოში სახელმწიფოს შექმნას?

– ხელისუფლების გაყოფა, ფედერალური ურთიერთობების ძირითადი არსი გახლავთ, რაც ამ შემთხვევაში, იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედის სუვერენული სახელმწიფოებრივი ერთეული – აფხაზეთი, რომელიც უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებასთან ურთიერთობისას, თანასწორუფლებიან და დამოუკიდებელ პარტნიორად გვევლინება. მას ექნება სახელმწიფოს ხარისხი, კონსტიტუციის დამდგენი ძალაუფლება. მისი სახელმწიფო სტრუქტურები აირჩევა და დაკომპლექტდება აფხაზეთის მოსახლეობის მიერ. ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით, საინტერესოა უცხო სახ-

ელმწიფოთა გამოცდილება. მაგალითად, გერმანია ფედერაციული სახელმწიფოა, რომლის პოლიტიკურ სისტემას ჰქვია ფედერაცია — ანუ ეს გახლავთ ცენტრალური სახელმწიფო და მისი შემადგენელი წევრი-სახელმწიფოები — ლანდები (მიწები). ლანდებს სახელმწიფოს ხარისხი აქვთ, ფედერაციასთან ურთიერთობისას ისინი სრულიად დამოუკიდებლები არიან. მათ აქვთ არა ვინმესგან მინიჭებული, არამედ საკუთარი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი. იგივე შეიძლება ითქვას ავსტრიის რესპუბლიკაზე, რომლის კონსტიტუციის მიხედვით, ავსტრია არის 3 დამოუკიდებელი ლანდისაგან შემდგარი ფედერაციული სახელმწიფო. ცენტრალურ სახელმწიფოსა და ლანდებს შორის ურთიერთობა და მათი სტატუსი ზუსტად ისეთივეა, როგორიც გერმანიის პოლიტიკური სისტემის შემადგენელი სუბიექტებისა.

— მაგრამ არც ერთი სახელმწიფო, ავტონომიურ ერთეულს საკუთარი ჯარის ფორმირების უფლებას არ აძლევს.

— იმისათვის, რომ აფხაზები ჩვენს იურისდიქციაში შემოსვლაზე დათანხმდნენ, არ არის გამორიცხული, რომ ერთერთ მოთხოვნად, საკუთარი ჯარის შენარჩუნება წამოაყენონ. მათ შეიძლება ჰქონდეთ იმის შიში, რომ თბილისი მოატყუებს — განაიარაღებს და თავს დაესხმება. ამ ეჭვების გასაქარწყლებლად, უნდა დავუტოვოთ ჯარის ყოლის უფლება. მაქსიმუმ 10 წელიწადში, აფხაზები მიხვდებიან, რომ ჯარის შენახვა არ არის ადვილი — საამისოდ სოლიდური სახსრებია საჭირო, რაც ადგილობრივ ბიუჯეტს უმძიმეს ტვირთად დააწვება და ადგილობრივი ჯარიც ფუნქციონირებას შეწყვეტს.

— დღეს, სოციალური კრიზისის პირობებში, აფხაზები ახერხებენ ჯარის შენახვას; ცენტრისგან ეკონომიკური მხარდაჭერის შემთხვევაში, ამის შესაძლებლობა უფრო გაიზრდება. გარდა ამისა, არსებობს მეორე დაინტერესებული მხარე — რუსეთი, რომელიც ავტონომიურ წარმონაქმნს სამხედრო შეიარაღებით უზრუნველყოფას არასოდეს დააყვედრებს...

— თუ აფხაზეთში აღდგება საქართველოს იურისდიქცია, მივიღებთ ერთიან ფედერალურ სახელმწიფოს, რომელშიც რუსეთს იმპერიული ზრახვების განხორციელება გაუჭირდება. ვაჭრობის საგნად შეიძლება მოგვევლინოს ის, თუ ვინ უკეთეს პირობებს შესთავაზებს აფხაზებს: თუ რუსეთი აფინანსებს მათ ჯარს და თავადვე აკონტროლებს მის მოქმედებას, ამის საპასუხოდ, საქართველომ მისცეს საკუთარ სახელმწიფო ერთეულს მისი არმიის ფორმირებისთვის საჭირო სახსრები და კონტინგენტი — ასეთ შემთხვევაში, ამ ჯარის კონტროლის მექანიზმი ჩვენსავე ხელში დარჩება... აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს არ არის საუკუნეებზე გათვლილი პროექტი. ამ ეტაპზე მთავარია, აღმოიფხვრას კონფლიქტი და მართვადი გახდეს სიტუაცია.

— ახლა ეროვნულ ვალუტასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ: თუ არსებობს დასავლეთში იმის პრაქტიკა, რომ ფედერაციის სუბიექტს საკუთარი ფულადი ერთეული ჰქონდეს?

— ჩვენ ვგულისხმობთ იმას, რომ ფულის ემისია იქნება საერთო — ე.ი. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელდება. აფხაზეთშიც იგივე ლარი გავრცელდება, ოღონდ — კუპიურებზე შეიძლება გამოისახოს მათი გამოჩენილი ისტორიული მოღვაწეები, აფხაზეთის გერბი ან დროშა. ეს კუპიურებიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იქნება მიმოქცევაში და ისეთივე მსყიდველობითი უნარი ექნება, როგორიც საქართველოს ბანკის მიერ გამოშვებულ სხვა ბანკნოტებს. ასეთი პრაქტიკა არსებობს დიდ ბრიტანეთში: შოტლანდიაში განსხვავებული ფულის ნიშნები იბეჭდება, თუმცა ორივეს ერთი და იგივე მსყიდველობითი უნარი აქვს. ეს არსებითად, არაფერს ცვლის — უბრალოდ, სუვერენიტეტის სურვილის დაკმაყოფილების ერთგვარი ფორმაა.

— ...რასაც ვერ ვიტყვით მოქალაქეობის მინიჭების საკითხზე, რითიც აფხაზეთში უცხოტომელთა რაოდენობა გაიზრდება, რადგან თქვენი კონცეფციის თანახმად, აფხაზეთის მოქალაქეობის მინიჭების პრეროგატივა ადგილობრივ სტრუქტურებს ენიჭებათ.

— საუბარია ე.წ. ორჯერად მოქალაქეობაზე, რომლის შესაბამისად, აფხაზეთის მოქალაქე ავტომატურად არის საქართველოს მოქალაქეც, მაგრამ საქართველოს სხვა კუთხის მცხოვრები ავტომატურად არ ითვლება აფხაზეთის მოქალაქედ. ამით ჩვენ ვაძლევთ აფხაზებს იმის გარანტიას, რომ ისინი ქართველების შესაძლო ექსპანსიისაგან დაცულები იქნებიან. ბუნებრივია, ეს არ ეხება დევნილებს, ისინი უპირობოდ, უნდა დაუბრუნდნენ საკუთარ საცხოვრებელ ადგილებს. ყველა სხვა ადამიანისთვის, მათ შორის უცხოელებისთვის, აფხაზეთის მოქალაქეობის მინიჭება ადგილობრივი მმართველობის პრეროგატივა იქნება. თუმცა, არა მგონია, დღევანდელ



ამგვარი ოპერაცია უკვე ორჯერ ჩატარდა. 2005 წლის 2 იანვარს მშობლიური ქალაქის ცენტრალურ ჰოსპიტალში ჯანმრთელი ელა გერის ტერნერი დაიბადა.

■

უკრაინელ ფეოდორ ნესტერჩუკს 20 წლის მანძილზე არ დაუძინია

უკრაინის ქალაქ კამენ-კაშირსკის 63 წლის მკვიდრი, ფეოდორ ნესტერჩუკი 20 წელია, რაც ველარ იძინებს — იტყობინება უკრაინის ტელეარხი ICTV. მას არანაირი საძილე პრეპარატი არ შველის. ნესტერჩუკი ბედს შეეგუა: „რას იზამ, უნდა შეეგუო, სხვა გზა არ მაქვს," — ამბობს იგი.

კამენ-კაშირსკელი პენსიონერი დღისით სადაზღვევო სააგენტოში მუშაობს, ღამით კი კითხულობს. „ჯერ პერიოდულ პრესას ვეცნობი, შემდეგ მხატვრულ ლიტერატურას ვკითხულობ. როდესაც თვალები დამეღლება, ნათურას ვაქრობ და ვთვლემ, ვცდილობ, დავიძინო". 20 წლის მანძილზე ფეოდორმა საოჯახო ბიბლიოთეკა უკვე მრავალჯერ გადაიკითხა. ექიმები ნესტერჩუკის უძილობას გამონაკლის შემთხვევად მიიჩნევენ და მის მიერ გადატანილ დაავადებათა შედეგად თვლიან. „თუ ადამიანი თავს კომფორტულად გრძნობს, მაშინ ეს პათოლოგია არ არის", — განაცხადა ლუცკის „განდაცვის სამმართველოს უფროსმა ფეოდორ კოშელმა.

■

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲒᲖᲔᲛᲘ „ᲛᲝᲩᲕᲔᲜᲔᲛᲔᲛᲛᲐ“ ᲓᲐᲘᲞᲧᲠᲔᲡ

ავსტრიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, სასწრაფოდ წამოიწყოს კამპანია, რათა ავტომობილების მფლობელებს მანქანის ტარება და საგზაო მოძრაობის წესები უკეთ შეასწავლონ.

ეს ღონისძიება მას შემდეგ გახდა აუცილებელი, რაც სამწუხარო სტატისტიკა გამოქვეყნდა: ბოლო ერთი წლის განმავლობაში პოლიციამ ქვეყანაში 550 ავტომობილი დააკავა, რომლებიც მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობდნენ. ამგვარ ვი-მძღოლებს მეტსახელად „მძღოლი-მოჩვენება“ შეარქვეს და ახლა ტრასაზე „მოჩვენების“ გამოჩენისას ადგილობრივი რადიოსადგურები სხვა მძღოლებს აფრთხილებენ, სიჩქარე შეამცირონ და „მოჩვენებას“ მოერიდონ. „მოჩვენებების“ რეკორდი ქვეყნის მთავარმა A2-მა ტრასამ დაამყარა, რომელიც ავსტრიის სამხრეთ ნაწილს ჩრდილოეთთან აკავშირებს. ამ ტრასაზე ერთი წლის განმავლობაში, საპირისპირო მიმართულებით მიმავალი 153 ავტომანქანა დააკავეს. ამ

სახიფათო ტენდენციის შესაცვლელად, ავსტრიის ტრანსპორტის სამინისტრომ მძღოლების „საგანმანათლებლო“ კამპანია წამოიწყო. ■



პირობებში, აფხაზეთში ცხოვრების სურვილი ბევრს უცხოელმა გამოთქვას. დროთა განმავლობაში კი, ეს პროცესი დამატებითი მექანიზმებით დარეგულირდება.

— აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით, ლაპარაკია ბევრ სხვა ისეთ საკითხზეც, რომელიც ამ რეგიონს თითქმის დამოუკიდებელი სახელმწიფოს რანგს მიანიჭებს. მინიშნებები კეთდება აფხაზეთის თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოყოფის შესაძლებლობაზეც, რაც კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს. ამით კონფედერაციის მოდელს ხომ არ მივიღებთ?

— ის, რასაც დღეს კონფედერაციას უწოდებენ, ფედერალური მოწყობის ერთ-ერთი ფორმა გახლავთ. ჩვენ საქართველოს ხელისუფლებას ვთავაზობთ ტერიტორიული მოწყობის უნიკალურ ფორმას, რომელიც არაერთ ქვეყანაშია აპრობირებული. მე არ ვიცი, პრეზიდენტს რატომ გაუჩნდა აზრი, რომ კონფედერაციის მოდელს ვთავაზობთ... შეურაცხმყოფელი იყო იმის მოსმენაც, როცა სააკაშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები უთავმოყვარეო ადამიანებად მოგვიხსენია. როგორც ჩანს, მას საფუძვლიანად არ წაუკითხავს შემუშავებული პროექტი. ეს არის სწორედ ის კონცეფცია, რომელზეც აფხაზებს უარის თქმა ძალიან გაუჭირდებათ. თუ საქართველოს ხელისუფლება უარს აცხადებს ძალისმიერი მეთოდებით აფხაზეთში დაბრუნებაზე, მაშინ ფართო ავტონომიის სტატუსზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს. კონფლიქტის დარეგულირების სხვა მექანიზმი არ არსებობს.

— ამ დოკუმენტის მიღების შემთხვევაში, სავარაუდოა, გაიზარდოს იმის საფრთხე, რომ სხვა რეგიონებმაც მოინდომონ მსგავსი სტატუსის მიღება.

— თეორიულად ამის საფრთხე ნამდვილად არსებობს. მაგრამ ცხინვალის რეგიონში სრულიად განსხვავებული პოლიტიკური სიტუაციაა. იქ არსებობს ისეთი რესურსები, რომელიც უნდა გამოვიყენოთ და საჭირო არ იქნება, სამხრეთ ოსეთისთვის ისეთი განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება, რომელზეც აფხაზეთთან დაკავშირებით ვსაუბრობთ. რაც შეეხება საქართველოს სხვა რეგიონებს — ვთქვათ, სამცხე-ჯავახეთს, — სეპარატიზმის გარკვეული იმპულსი იქ ნამდვილად შეინიშნება, მაგრამ ხელისუფლება აღარ დაუშვებს შეცდომებს და საქართველოს არც ერთ კუთხეს ტანკებით აღარ მიადგება. რეგიონებთან მიმართებაში პრობლემების ეკონომიკური ბერკეტებით დარეგულირებაა შესაძლებელი და ნებისმიერი პრობლემა, ჩანასახშივე მოისპობა.

— ბატონო პაატა, ამ ეტაპზე, როცა ევროსაბჭომ გამოთქვა შენიშვნები აჭარის ავტონომიასთან დაკავშირებით, რამდენად მომგებიანი იყო სამხრეთ ოსეთის ფართო ავტონომიაზე საუბარი?

— როცა პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციური კანონი აჭარის სტატუსთან დაკავშირებით, მაშინ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის საქართველოს ფედერალური მოწყობის ნიმუშია. შესაძლოა, აჭარას არც სჭირდება ავტონომია, მაგრამ თუ მას ეს სტატუსი შევუნარჩუნეთ, ბუტაფორიული ხასიათის არ უნდა იყოს და არც სააკაშვილი უნდა აცხადებდეს, რომ ეს მოდელი ფედერალური მოწყობის ნიმუშია. რუსებიც, აფხაზებიც და ოსებიც ამ განცხადებას ყოველთვის თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენებენ. ■

ᲒᲘᲜᲓᲐᲗ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ? ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲗ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ „ᲒᲖᲐᲨᲘ“!

მეუღლესთან ბელა სალუქვაძესთან ერთად

რატომ თვლის თავს აზიარად თედო პაატაშვილი

თედო პაატაშვილისთვის მეხუთე მამლის წელი დაიწყო. დილაობით ადრე გაღვიძებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ეს ადამიანი ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი გახლდათ, რომელმაც ქართველი ერის გაღვიძება-გამოფხიზლებაშიც შეიტანა საკუთარი წვლილი. როგორც თვითონ ამბობს, პოლიტიკაში, უფრო სწორად — ეროვნულ მოძრაობაში „ვაშას“ ძახილით არ მოსულა: „დღესაც მეამაყება და ხელს მოვაწერ თითოეულ სიტყვას, რომელიც „მრგვალი მაგიდის“ წინასაარჩევნო პოლიტიკურ პროგრამაში ეწერა. ამ პროგრამის ერთ-ერთი ავტორი თავად გახლდით“.

ნანა ფიცხელაური

არცთუ ისე შორეულ წარსულში, ნახევრად ლეგალურ ორგანიზაციაში — „წმ. ილია მართლის საზოგადოებაში“ საქმიანობდა; მერე იყო „ქარტია“, რომლის წევრი ამჟამინდელი პრეზიდენტიც ყოფილა. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში, ხელისუფლების წევრადაც მოგვევლინა და ოპოზიციაშიც გადავიდა... ფიზიკოსი თედო პაატაშვილი, ამჟამად ბიზნესშია და პოლიტიკური მოვლენების გარედან დამკვირვებლის როლით კმაყოფილდება.

— ბატონო თედო, როგორ გავიგოთ თქვენი დღევანდელი პასიურობა?

— ამ ეტაპზე, ვერ ვხედავ აქტიურობის აუცილებლობას...

— ახალი, მამლის წელიწადი თქვენი წელია. ვარსკვლავები გვამცნობენ, რომ წელს თქვენ დროშებს ააფრიალებთ...

— ვნახოთ, ვნახოთ, დიდი იმედი მაქვს... ჰოროსკოპით მაინცდამაინც დაინტერესებული არ ვარ. ვიცი ის, რომ ტყუპისცალი ვარ, თან — „ტყუპი“.

— ვინც ეროვნული მოძრაობიდან მოდის, უმრავლესობა, პოლიტიკის მიღმა დარჩა, მათ შორის — თქვენც. რატომ? საკუთარი სათქმელი უკვე თქვით, თუ სათქმელი აღარაფერი გაქვთ?

— დღეს რომ ვპასიურობ, იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ და ზეგ არ გავაქტიურდები... მართალი გითხრათ, რაღაც უცნაური პოლიტიკა მოვიდა. სულ სხვა იყო ეროვნული მოძრაობა, სხვა იდეალებით... ამ ეტაპზე, აქტიურობის აუცილებლობას ვერ ვხედავ ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ხელისუფლება დღესაც უამრავ შეცდომას უშვებს, თუმცა, მომაკვდინებელს და გამოუსწორებელს ვერაფერს ვხედავ. მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ ფაქტობრივად, მესამე რევოლუციას მოვესწარით და მინდა, რაღაც პერიოდი, პროცესებს გარედან ვუყურო. ამჟამად საკუთარ თავზე ვმუშაობ, ბიზნესსაქმეებს ვაგვარებ. სამწუხაროდ, ეროვნული მოძრაობის პერიოდი აღარ არის, ახლა ყველაფერი ფულით იზომება.

— ამიტომაც გადაწყვიტეთ, რომ თქვენი ადგილი ახლა ბიზნესშია?

— ეს აუცილებლობიდან გამომდინარეობს. ჩემთვის სახალისო არც ბიზნესია და არც პოლიტიკა, მით უმეტეს — ქართული. სულიერ საზრდოს კაცი არც ბიზნესში უნდა ეძებდეს და არც პოლიტკაში, მე ასე მგონია... განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ. მეტრო „რუსთაველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სავაჭრო პავილიონის თანამფლობელი ვარ. გვინდა, მეტროს თავზე რუსთაველის სახელობის საპრეზენტაციო დარბაზი გავხსნათ. კონკურსი ჩატარდება და მალე იქ სბავშვო ცენტრს იხილავთ. მოგეხსენებათ, მეტროს უკან ტერიტორია ძალზე მოუვლელია. ცენტრის ექსტერიერსა თუ ინტერიერში მიხაი ზიჩის სურათების ფრაგმენტები იქნება გამოყენებული. ახალგაზრდამ ის მაინც წაიკითხოს და ძვალსა და რბილში გაუჯდეს — „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“, — ალბათ არ იქნება ურიგო... პოლიტიკა ისეთი რამაა, იქ ყველა პოულობს საკუთარ თავს... ამ საქმეში 1987 წლიდან ვარ. არ დაგიმალავთ, ოპოზიციიდან შემოთავაზება მქონდა, მაგრამ ამ ეტაპზე, მით უმეტეს, როცა მეოთხე რევოლუციას უახლოეს ხანში არ ველოდებით და არც არჩევნებია კარზე მომდგარი (არც იქნება სასურველი, ვადამდელი არჩევნები), ვფიქრობ, რომ აქტიურობას აზრი არა აქვს. 1-2 წელიწადში — ვნახოთ...

— ოპოზიციონერობას იმიტომაც ხომ არ მოერიდეთ, რომ ხელისუფლება თქვენი პერსონით და საქმიანობით ზედმეტად არ დაინტერესდეს?

— მე პოლიტიკით ფული არასოდეს მიკეთებია. სააკაშვილს 1992 წლიდან ვიცნობ, „ქარტიაში“ იყო. მიშა ის კაცი არ არის, კარიერის ან ფულის გულისთვის ქვეყანა გაყიდოს.

— ჩანს, ხელისუფლების მიმა-

გინდათ შედეგი? გააკეთეთ რეკლამა „გზაში“!

ელენე 8 წლისაა..., მთავარი პაატაშვილი — ანა კი 3-ის...

რთ ნეგატიურად განწყობილი არა ხართ...

— ვიცნობ ამ პიროვნებას, ამიტომაც ეს ბუნებრივია. ადამიანს მეტი გამაღიზიანებელი გჭირდება იმისათვის, რომ ოპოზიციურად განეწყო და მოქმედება დაიწყო. მართალი გითხრათ, წინა პარლამენტისაგან განსხვავებით, ახალმა ხიბლიც დაკარგა. მე თუ მკითხავთ, ქართული პარლამენტარიზმის დაკნინება ხელოვნურად მოხდა და ამაში მოსაწონს და სასიამოვნოს ვერაფერს ვხედავ. თანაც, კარიერისტული მომენტების გარეშე პოლიტიკა, როგორც წესი, არ კეთდება. თანამდებობები არც ადრე მხიბლავდა და მით უმეტეს, არც ახლა.

— მაგრამ თუ ვარსკვლავებს დავუჯერებთ, „მამალს“ პირველობა უყვარს, არის მკვეხარა და რასაც ფიქრობს, იმას ლაპარაკობს. თუ გეცნობათ ეს თვისებები და შემთხვევით, მათ ხომ არ შეუშლია ხელი თქვენთვის პოლიტიკურ კარიერაში?

— მკვეხარობის რა მოგახსენოთ... საერთოდ, უმჯობესია, კაცი იმას ლაპარაკობდეს, რასაც ფიქრობს. პირველობისაკენ სწრაფვა არასოდეს მქონია. თავის დროზე, შევარდნაძემაც შემომთავაზა თანამდებობა, მაგრამ უარი ვუთხარი. აქ უფრო სხვა მომენტი იყო, საქმის კეთება არ მეზარება, მაგრამ ეს ჩემთვის პრინციპულად მიუღებელი იყო. მით უმეტეს, როცა შევატყვე, რომ აფხაზეთის ომის შემდეგ, სხვა ორიენტაცია უნდა აგვერჩია: დამოუკიდებლობის აქტს მოვაწერეთ ხელი და თან, დსთ-შიც შევდიოდით... როცა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი, მაშინაც პრინციპების გამო გადავდექი. კარიერისტი რომ არა ვარ, ეს ჩემი ნაკლი უფროა, როგორც პოლიტიკოსის, ვიდრე პლუსი.

— რა მიგაჩნიათ თქვენს დამსახურებად და რამეს თუ ნანობთ?

— მეამაყება, რომ დამოუკიდებლობის აქტს მოვაწერე ხელი. მიმაჩნია, რომ ჩემი პოლიტიკური საქმიანობის ყველაზე სასიამოვნო პერიოდი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პერიოდია, თუნდაც „მრგვალი მაგიდის“ საარჩევნო პროგრამა ავიღოთ, რომელიც, სხვების გარდა, ჩემი დაწერილიც გახლავთ... იმაში, რომ საბჭოთა კავშირის დემონტაჟი ჩვენთვის მტკივნეულად მოხდა, ხელისუფლების შეცდომაც იყო. მთელი მსოფლიო, ამ ისტორიული პროცესის მაქსიმალურად უმტკივნეულოდ განვითარებას ცდილობდა. ძალზე აგრესიულად იქცეოდა მაშინდელი საბჭოთა ისტებლიშმენტი, ბუნკერში სესიები რომ იმართებოდა, ზვიად გამსახურდიასთან კამათი მომივიდა. ეს ის პერიოდია, როცა ბუშმა-მამამ ზვიადზე თქვა — დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო... ჩრჩნეთში მდგომარეობა ახალი გამწვავებული გახლდათ. ზვიადი ჩეჩნებს გულშემატკივრობდა. მე ვუთხარი — რუსეთს თავი დავანებოთ, მთელი მსოფლიო საბჭოთა კავშირის დემონტაჟზე მუშაობს და მის დაშლას არავინ გვაპატიებს, ჩვენ ჩვენი მკვდარი ვიტიროთ-მეთქი. სწორედ ამის გამო მიწოდა ზვიადმა „კრემლის აგენტი“. მერე იყო და, სამხრეთ ოსეთიც დავკარგეთ და აფხაზეთიც. ეს გარდაუვალი იყო: რუსეთი ათწლეულების მანძილზე, ავტონომიებში მახეებს გვიგებდა. მთავარი მაინც ის იყო, რომ რუსეთის დაშლით არავინ იყო დაინტერესებული... ჩემთვის საამაყოა ისიც, რომ ვიყავი მერაბ კოსტავას დამკრძალავი კომისიის წევრი... როცა პოლიტიკაში დიდი ხნის განმავლობაში ხარ, გამორიცხულია, შეცდომა არ დაუშვა. მე, ძირითადად, ოპოზიციაში გახლდით. შევარდნაძის დროსაც ოპოზიციონერის სტატუსი მქონდა. ამიტომაც ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებში ჩემს როლსა და დანაშაულს ვერ ვხედავ.

— ეი. ოპოზიციონერობა ბევრად იოლია...

— რა თქმა უნდა. სამწუხაროდ, შენს ნათქვამს არ ითვალისწინებენ. მაქვს ამოღებული სხდომების სტენოგრამები — არასოდეს მიპასიურია, ჩემს პოზიციას ყოველთვის ვაფიქსირებდი — დსთ-ში შესვლის საკითხით დაწყებული, ნულოვანი ვარიანტით დამთავრებული.

— არც ლუსტრაციის კანონის მოთხოვნა გაუთვალისწინებია პარლამენტს...

— პირველ პარლამენტშივე *(უზენაეს საბჭოში. — ავტ.)* მოვითხოვდი ლუსტრაციის კანონის მიღებას. საბედნიეროდ, არქივი არსებობს. მართალია, მერე ის რუსებმა სმოლენსკში გაიტანეს, მაგრამ დოკუმენტაცია აქაც დარჩა. სხვათა შორის, ზვიადის ოპოზიციაში უფრო ნაკლები იყო აგენტი და სუკთან შეკრული, ვიდრე მის გვერდით მყოფთაგან. ზვიადს ეს კაკო ასათიანისთვისაც უთქვამს. მან ყველაფერი იცოდა, მაგრამ ეგონა, სიტუაციის მართვას შეძლებდა... შემდგომი მოწვევის პარლამენტშიც ბევრჯერ დამიყენებია საკითხი ლუსტრაციის კანონის შესახებ. ბალტიის ქვეყნების მაგალითმა გვიჩვენა, რომ შესაძლებელია ამის უმტკივნეულოდ ჩატარება. ეს არ ნიშნავს აგენტთა სიის გამოქვეყნებას, მაგრამ დაუშვებელია მათი თანამდებობებზე დანიშვნა. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, არა მარტო რუსეთის, სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების თანამშრომლებმაც დაიწყეს ჩვენში აქტიური მუშაობა...

— ბატონო თედო, რას იტყვით კოკო გამსახურდიაზე? როგორც ვიცი, კარგად იცნობთ...

— ჩვენ ერთ უბანში ვიზრდებოდით, ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთს. კოკო უაღრესად დადებითი, საინტერესო და ნიჭერი კაცია. სამწუხაროდ, ბოლო დროს ურთიერთობა აღარ გვქონია. რაღაც გარკვეული წყენა ალბათ, მასაც აქვს ჩემ მიმართ... ბოლოს, ერთმანეთს 1991 წლის ბოლოს შევხვდით წყნეთში. ბევრი ვისაუბრეთ, ის ეროვნული იდეალების და ტრადიციების მატარებელი კაცია, მაგრამ რამდენად მოახერხებს იმას, რომ პოლიტიკურ ფიგურად იქცეს, ამას მომავალი გვიჩვენებს. ზვიადის შვილო-

ნინიკო 18 წლისაა. მსახიობობა უნდოდა და გადავაფიქრებინე... მგონი, ეს აზიატობით მომივიდა...

ბა იოლი არ არის. ზვიადი ქარიზმატული პიროვნება იყო, რასაც კოკოზე ვერ ვიტყვით. ხვალ და ზეგ რა იქნება, ღმერთმა იცის.

— მგონია, ობიექტური იქნებით დღევანდელ საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ, იქიდან გამომდინარე, რომ ექსხელისუფლებას არ წარმოადგენთ...



მან ყველაფერი იცოდა, მაგრამ ეგონა, სიტუაციის მართვას შეძლებდა...

— როგორც უკვე ვთქვი, ადრე თუ მარტო სუკის აგენტები მუშაობდნენ ჩვენში, ახლა სხვადასხვა ქვეყნის აგენტურა მოქმედებს. გაცილებით რთული პერიოდი დაგვიდგა. კავკასიის რეგიონით დიდი სახელმწიფოები არიან დაინტერესებული. შეიძლება ითქვას, პრაქტიკულად, მესამე მსოფლიო ომია დაწყებული. საქართველო ცივილიზაციათა საზღვარზე მდებარეობს. აქედან გამომდინარე, ჩვენდამი მეტი ინტერესია და გაცილებით მეტი თანხებიც იხარჯება ჩვენს შესასწავლად. არც იმას გამოვრიცხავ, ბევრს იმის შესაძლებლობაც და სურვილიც აქვს, მაქსიმალურად ჩაიგდოს ჩვენი, როგორც სახელმწიფო მართვის სადავეები. იმდენად, რამდენადაც უმნიშვნელოვანეს რეგიონში სტრატეგიული მდებარეობა გვაქვს...

— ახალი ხელისუფლება გვპირდება, რომ სამაჩაბლოს და აფხაზეთს ახლო მომავალში დავიბრუნებთ. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ეს პერსპექტივა?

— რას ვიზამთ, არ ვიცი, მაგრამ ის ვიცი, რომ კიდევ უფრო გართულდა ვითარება, კიდევ უფრო დავშორდით ამ ძირძველი ქართული ტერიტორიების დაბრუნების მომენტს. აგერ, უკვე 10 წელია, თაობები იზრდება საქართველოს გარეშე და იცით, რა აგიტაცია-პროპაგანდა მიდის?.. რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო დავშორდებით ერთმანეთს როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად... ერთადერთი, რასაც მივესალმები, ის არის, რომ აქტიურად ხორციელდება ჯარის მშენებლობა და დარწმუნებული ვარ, ძალისმიერი ფონის გარეშე, აფხაზეთში იურისდიქციის აღდგენა შეუძლებელია.

— დაბოლოს, თქვენი ოჯახის შესახებაც მოგვიყევით.

— ბაბუის მიერ აშენებულ ამ მოკრძალებულ ორსართულიან სახლში მე და ჩემი ტყუპისცალი ძმა ვცხოვრობთ ოჯახებით. ის მხატვარია, მინანქარში მუშაობს. მე მხატვრობასთან მწყრალად ვარ, ფიზიკა-მათემატიკა უფრო მიყვარდა. ერთ დროს, მოსწავლეებიც მყავდა ამ საგნებში. მყავს დედა, მეუღლე და 3 შვილი, სამივე — გოგონა. მეუღლე — ბელა სალუქვაძე საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს, პირველი მდივანია ევროპული ორგანიზაციების განყოფილებაში. ოღონდ, ეს ჩემი დამსახურება არ გეგონოთ... უფროსი გოგონა, ნინიკო 18 წლისაა და უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე სწავლობს. მსახიობობა უნდოდა, მაგრამ გადავაფიქრებინე, ვურჩიე — იქნებ, სხვა პროფესია სჯობდეს-მეთქი (სხვათა შორის, ვერც დიდ არტისტულ მონაცემებს ვატყობდი); მგონი, ეს აზიატობით მომივიდა... შუათანა, ელენე 8 წლისაა და მესამე კლასში სწავლობს. მთავარი პაატაშვილი — 3 წლის ანა რომ იტყვიან, ოჯახის ამკლებია... ბელამ ახლახან საგარეო საქმეთა სამინისტროში ატესტაცია გაიარა და 2 თვეა, რაც სამსახურში გავიდა (დეკრეტულ შვებულებაში გახლდათ). დედაჩემს იმდენი აღარ შეუძლია, სამაგიეროდ, სიდედრი მყავს, ენერგიული და ის გვეხმარება. მესამე შვილი, ბიჭი მინდოდა ყოფილიყო, არ გამოვიდა. ვფიქრობ, დრო კიდევ გვაქვს, მაგრამ ისევ გოგონები რომ მიჰყვნენ?.. ცოტა მეშინია...

— ჰოროსკოპს თუ დავუჯერებთ, აგრესიული, თან მეცნიერ უნდა იყოთ...

— ოცნება მართლაც, მიყვარს. რაღა დაგიმალოთ, გაგრაში დასვენებასა და ხეტიალზე ვოცნებობ. აგრესიული?.. ცხოვრება ისეთია, ხანდახან თავს ვერ იკავებ. პოლიტიკაში, პარლამენტში არაიმპულსურ ადამიანად მიცნობენ, მაგრამ ყველაფერზე ნერვები როდი მყოფნის. რაც მთავარია, ოჯახში მაქსიმალურად მიფრთხილდებიან. თანაც, გოგონები მყავს და იმდენად ვერ მაბრაზებენ, აგრესიის გამოვლენის საშუალებას არ მაძლევენ.

— „მამალი" ქალთა საზოგადოებას ხიბლავს; მათ შორის ის, რომ იტყვიან, ბრწყინავს, ნავარდობს და არშიყობს. ამ შემთხვევაში გამონაკლისს, ალბათ, არც თქვენ წარმოადგენთ.

— *(იცინის)* „დედალთა" საზოგადოებაში — კი. ისე, ამ თვალსაზრისით თავს დაჩაგრულად არ ვგრძნობ. მეც დიდ პატივს ვცემ მშვენიერ სქესს, მაგრამ რომ გითხრათ — არიქა, ქალებში საოცრად პოპულარული ვარ-მეთქი, — არ იქნება სიმართლე. ოჯახის კაცმა ქალებთან ურთიერთობისას ღრმად არ უნდა შეტოპოს, მეტი სერიოზულობა მართებს... ისე, მოდით, ჰოროსკოპს მთლად ნუ დავუჯერებთ. უბრალოდ, წავიკითხოთ და ვთქვათ — ამ ადამიანს ვიცნობო... ■

მიმბაძველობის ხელოვნება, „შუშის თეატრი“ ურეკში და გახლეჩილი თეატრალური საზოგადოება

ლიკა ქაჯაია

„ყველგან და ყველაფერში ძველი ახლით უნდა შეიცვალოს“ — ახალგაზრდები ყოველთვის ამას ქადაგებენ. მაგრამ როცა ისინი უკვე ძველ თაობად იქცევიან, ვერაფრით ხვდებიან, თუ რატომ არ მიჰყვებიან მათ კვალს ახალგაზრდები... სწორედ ამგვარი სიტუაციის მომსწრენი გავხდით რამდენიმე დღის წინ, როცა ახალგაზრდა რეჟისორებმა და მსახიობებმა, თეატრის მოღვაწეთა კავშირისგან დამოუკიდებლად, ქართული თეატრის გილდიის დაფუძნების შესახებ გამოაცხადეს. მას ცნობილი რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი უდგას სათავეში, რომელსაც გილდიის გეგმებზე სასაუბროდ შევხვდით.

— რეჟისურა ღვთიური პროფესიაა: ისევე, როგორც ღმერთმა შექმნა სამყარო და ამ სამყაროში თითქმის ყველაფერს ახალი სული შთაბერა; ასევე რეჟისორს ეძლევა უფლება, შექმნას სამყაროს მინიმოდელი. რა შეიძლება იყოს ამ პროფესიაზე უკეთესი?!.

— 14 იანვარს, ქართული თეატრის დღეს თვალსაჩინო გახდა, რომ თეატრალური საზოგადოება ორად გაიხლიჩა: ერთმა ნაწილმა ეს დღე ქალაქ ფოთში აღნიშნა, მეორემ კი — გორში. რამ გამოიწვია ეს ურთიერთდაპირისპირება?

— 14 იანვარს, თეატრალთა დიდი ნაწილი ქართული თეატრის დღის აღსანიშნავად გორში წავედით და დავარეგისტრირეთ, უფრო სწორად — დეკლარირება მოვახდინეთ ჩვენ მიერ შექმნილი ორგანიზაციისა, სახელწოდებით — „ქართული თეატრის გილდია“.

— რას წარმოადგენს ეს გილდია?

— ეს არ არის თეატრის მოღვაწეთა კავშირი №2, დუბლიკატი — ალტერნატიული ან ოპოზიციური. ეს გახლავთ სრულიად დამოუკიდებელი თეატრალური ორგანიზაცია, რომელსაც თავისი კონკრეტული მიზნები აქვს.

— კონკრეტულად რა მიზნებზეა საუბარი?

— ჯერჯერობით, დაგეგმილი გვაქვს 2 საკმაოდ მნიშვნელოვანი ფესტივალის ჩატარება. ერთი იქნება ყოველწლიური ფესტივალი „ოქროს აფიშა“ და მეორე — ურეკის თეატრალური ფესტივალი.

— რას ნიშნავს გილდიის ჩამოყალიბება? ხომ არ გამოდის, რომ თქვენ, თეატრის მოღვაწეებს აღარ გეხებათ თეატრის მოღვაწეთა კავშირის მიღწევები და ჩავარდნები?

— არა, ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ იმ საკითხებზე, რომლებიც აწუხებს ქართულ თეატრს, ხმას არ ამოვიღებთ და ვიტყვით, რომ ეს ჩვენი საქმე არ არის. პირიქით — ხმასაც ამოვიღებთ და ყველანაირად მხარშიც ამოვუდგებით თეატრის მოღვაწეთა კავშირს, თუ რა თქმა უნდა, თვითონ არ ჩაგვიდგნენ ოპოზიციაში მისი წარმომადგენლები. გარწმუნებთ, რომ მათთან „საჭიდაო“ არაფერი გვაქვს და გულწრფელად რომ ვთქვა, სულაც არ მხიბლავს თეატრის მოღვაწეთა კავშირის ოპოზიციონერობა.

— აცხადებთ, რომ არ უდგახართ მათ ოპოზიციაში, მაგრამ მაინც ჩამოაყალიბეთ დამოუკიდებელი ორგანიზაცია...

— ჩვენი ერთად ყოფნა არ შეიძლებოდა. აქ არის სრულიად განსხვავებული მენტალიტეტი, აბსოლუტურად შეუთავსებელი იქაურთან. არ შეიძლება, წყალი და ცეცხლი ერთად იყვნენ. იქ დარჩენილ ადამიანებს არ ესმით, რომ უკვე XXI საუკუნეა და არა XX-ის დასაწყისი. ჰგონიათ, რომ ისევ საბჭოთა კავშირია, რომ ყველაფერს სახელმწიფო უნდა აკეთებდეს...

— კონკრეტულად ვის გულისხმობთ?

— ვგულისხმობ უფროსი თაობის ყველა წარმომადგენელს. ალბათ, დიდხანს უნდა ვიფიქრო, რომ აღმოვაჩინო მათ შორის ადამიანი, რომელსაც ეს არ ეხება...

— ვინ უდგას სათავეში ქართული თეატრის გილდიას?

— ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯერჯერობით მე გახლავართ. გილდიის დამფუძნებლები წელიწადში ერთხელ შეკრიბებით და ვიმსჯელებთ იმაზე, თუ ვინ იქნება ხელმძღვანელი. ამ თანამდებობაში განსაკუთრებული არაფერია, გარწმუნებთ, რომ სკამის გამო ჩვენთან არ იქნება ომი, ბრძოლა. ჩვენ არ გვაქვს ქონება.

— თეატრის მოღვაწეთა კავშირს რა ქონება აქვს?

— მთელი კავშირი იმ სკამისთვის იბრძოდა, რომელიც შენობაში დგას. ამიტომაც იყო, რომ საქმეს ნაკლებ დროს უთმობდნენ. გილდიას არ აქვს ცალკე შენობა და აქ საბრძოლველიც არაფერია. ეს არის პროფესიონალური გილდია, რომელშიც გაერთიანებული არიან მხოლოდ რეჟისორები, მსახიობები და ის ხალხი, ვინც თეატრისათვის და თეატრში მუშაობს.

— გავიგე, ურეკში „შუშის თეატრის“ აშენებას აპირებთ, მართალია?

— პირველ რიგში, ურეკში მინდა ჩავატარო თეატრალური ფესტივალი და მაქვს იდეა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მდევნიდა და მდევნის — ეს არის „შუშის თეატრის“ შექმნის იდეა.

— თუ სწორად გავიგე, სპექტაკლის ნახვას ადამიანები ქუჩიდანაც შეძლებენ?

— მაყურებელი, რომელიც თეატრში ვერ შემოვიდა, გარედან ხედავს, თუ რა ხდება შიგნით, რა მოქმედება მიმდინარეობს სცენაზე, მაგრამ ვერ გაიგებს ხმას, ხმა ესმის იმას, ვისაც ბილეთი აქვს ნაყიდი... გარეთ მყოფი ადამიანებისთვის ეს გამაღიზიანებელი ფაქტორი იქნება და მათ ბილეთის ყიდვა მოუნდებათ. ამ იდეაში ჩადებულია ინტრიგა; ფაქტობრივად, ადამიანს ეუბნები — შემოდი, ნახე, როგორია აქაურობა შიგნიდან... მეორე მხრივ, ეს მსახიობებისთვისაც მნიშვნელოვანია: ისინი რაღაც ისეთ გარემოში ითამაშებენ, სადაც ვერსად დაიმალები, ყველა მხრიდან გიყურებენ...

— მაინცდამაინც ურეკში რატომ გადაწყვიტეთ ამ თეატრის აშენება?

— ურეკიდან 3 კილომეტრის მოშორებით სახლი მაქვს, ამიტომაც, ეგოისტურად შემტკივა გული ამ ადგილზე. იქაურობა ძალიან მიყვარს და მინდა, რომ ფეხზე დადგეს, უფრო ლამაზი გახდეს. ვერ შეეპირდებ-

ით, რომ „შუშის თეატრს“ წელს ავაშენებთ, მაგრამ იმ ადგილას, სადაც მის გაკეთებას ვაპირებ, გავმართავთ თეატრალურ ფესტივალს და ვითამაშებთ სპექტაკლებს მანამ, სანამ ჩემს იდეას არ განვახორციელებ.

— ეი. ფიქრობთ, რომ „შუშის თეატრი“ და სპექტაკლები ურეკის ფეხზე დაყენებას შეძლებს?

– რა თქმა უნდა. აქ ლაპარაკია აგვისტოზე – იმ პერიოდზე, როცა ურეკს 30000 ადამიანი მაინც სტუმრობს და მათმა უმრავლესობამ არ იცის, სად წავიდეს საღამოს, რადგან იქ 4-5 ბარის გარდა, არაფერია... გარწმუნებთ, რომ თუ ყველაფერი ისე ავწყვეთ, როგორც ჩაფიქრებული გვაქვს, ხალხი ქობულეთიდან, ბათუმიდან და ფოთიდანაც ჩავა ხოლმე.

— როგორც ვიცი, ადრე, თბილისში გეგმავდით „შუშის თეატრის“ აშენებას...

– თბილისში, ძალიან ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელიც თეატრის აშენებას დააფინანსებს, მით უმეტეს მაშინ, როცა ეს ძვირი ჯდება. ურეკში კი ამის შანსი არსებობს – იქ მოიძებნებიან ბიზნესმენები, რომლებიც ამით დაინტერესდებიან და დარწმუნებული ვარ, იდეის განხორციელებაში გურიის გუბერნატორიც დაგვეხმარება.

— ქართული თეატრის დღეს, გორში, რომელი სპექტაკლები წარმოადგინეთ?

– ჩვენ არც ერთი სპექტაკლი არ წარმოგვიდგენია. ვითამაშეთ გორის თეატრის „რევიზორი“ – ჩემი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესო ამ სპექტაკლებს შორის, რომლებიც 2004 წელს დაიდგა რეგიონულ ქართულ თეატრებში. ჩვენ უარი ვთქვით ძველ პრინციპზე, რომლის მიხედვითაც, თეატრის დღეს თამაშობენ ნაწყვეტებს სპექტაკლებიდან იმიტომ, რომ მიმაჩნია – ნაწყვეტების თამაში დილეტანტიზმია.

— ამ დღეს, არც პრემიებით დაჯილდოების ცერემონია ყოფილა?

– ჩვენ მხოლოდ 2 პრემია გავეცით. ერთ-ერთი მივანიჭეთ გორის თეატრს – იმის გამო, რომ 2004 წელს ამ თეატრში ძალზე მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობდა. იქ მივიდა რამაზ იოსელიანი, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ამ თეატრის ცხოვრება – შენობა გარემონტდა, დაიდგა 6 ახალი სპექტაკლი და, რაც მთავარია, თეატრში მივიდა მაყურებელი!.. მეორე პრემია მივანიჭეთ ადამიანს, რომელმაც ამ ყველაფერს ჩაუყარა საფუძველი – ეს გახლავთ შიდა ქართლის გუბერნატორი მიშა ქარელი. ვერავინ დამბრალებს იმას, რომ პოლიტიკოსებს რევერანსებს ვუკეთებ, მაგრამ არც იმის არ-დანახვა შეიძლება, რაც კაცს გაუკეთებია...

— თქვენ ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდით, რომ თქვენი, როგორც რეჟისორის გემოვნებაზე, დიდი გავლენა მოახდინა რობერტ სტურუამ, მაგრამ დღეს...

– რას გულისხმობთ?.. თუ ვიღაცის გავლენას არ განიცდი, ხელოვნად ვერ ჩამოყალიბდები. მიმბაძველობით ირჩევ პროფესიასაც. მაგრამ შემდგომ, დგება მომენტი, როცა უნდა იპოვო საკუთარი თავი, საკუთარი ხელწერა, რომლის გარეშეც, არშემდგარი ხელოვანი იქნები. მე განვიცდიდი რობერტ სტურუას როგორც შემოქმედებით, ასევე პიროვნულ გავლენას და ბედნიერი ვარ, რომ ამ ადამიანის გვერდით ვიმუშავე 13 წელიწადი. ვერ ვიტყვი, რომ მთელი ეს წლები მისი გავლენის ქვეშ ვიმყოფებოდი, მაგრამ პირველი 3-4 წელი ასე იყო. სტურუაც ასევე, მიხეილ თუმანიშვილის მოწაფე გახლდათ და მერე დაიწყო საკუთარი ხელწერის შექმნა. მეც ასევე ვიყავი. ეს აბსოლუტურად ნორმალური პროცესია და ჩემს სტუდენტებსაც იმავეს ვეუბნები (თუ ვხედავ, რომ რაღაცებში მაძავენ): დადგა დრო, როცა მიმბაძველობას უნდა შეეშვათ და საკუთარი თავი იპოვოთ-მეთქი. ■



გუტალაქსი - შვების მომტანი წვეთები...

ნატრიუმის პიკოსულფატი

ნაცნობი პრობლემა?

შეკრულობა - ეს არის ნაწლავების გაძნელებული დაცლა, რაც გამოვლინდება 2-3 დღის განმავლობაში დეფეკაციის არარსებობით.

რა შეიძლება იყოს შეკრულობის მიზეზი?

- ნაკლები ფიზიკური აქტივობა
- საჭმლის არარეგულარული მიღება
- საკვებ რაციონში მცენარეული ბოჭკოების მცირე შემცველობა
- სითხის არასაკმარისი რაოდენობით მიღება
- დეფეკაციის შეგნებული დათრგუნვა (შეკავება)
- ზოგიერთი მედიკამენტის გვერდითი მოქმედება
- ნერვული სისტემის დაზიანება
- ჰორმონული დარღვევები
- ორგანული დარღვევები (ანალური ნახეთქები და ნაწიბუროვანი შევიწროვებები)
- არაორგანული მიზეზები (ხანდაზმული ასაკი, დეჰიდრატაცია, დეპრესია, ორსულობა)

როგორ დავაღწიოთ თავი შეკრულობას?

ექიმების აზრით არსებობს შეკრულობის საწინააღმდეგო მკურნალობის რამოდენიმე მეთოდი. მაგალითად:

- მცენარეული ბოჭკოებით მდიდარი საკვები (ხილი, ბოსტნეული)
- საკმარისი რაოდენობით სითხის მიღება
- რეგულარული ფიზიკური ვარჯიში
- დეფეკაციის სურვილის დროული დაკმაყოფილება

ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდების უეფექტობის შემთხვევაში თქვენ დაგეხმარებათ

გუტალაქსი

საფაღარათო საშუალება, რომელიც თავისი ნაზი მოქმედებით ეფექტურად ხსნის შეკრულობის პრობლემას.

გუტალაქსი წარმოადგენს ექსპერიმენტულად და კლინიკურად ერთ-ერთ ყველაზე კარგად გამოკვლეულ საფაღარათო საშუალებას. დაახლოებით 85%-ში პრეპარატის პირველივე დანიშვნა საშუალებას იძლევა, რომ მიღწეულ იქნას თერაპიული ეფექტი. დოზის ინდივიდუალური შერჩევისას საფაღარათო მოქმედება მიიღწევა შემთხვევათა 98.8%-ში.

ჩვენება: შეკრულობის ყველა სახე, მათ შორის ბუასილისა და უკანა გასავლის ნახეთქების დროს მტკივნეული დეფეკაციის თავიდან ასაცილებლად. ინიშნება მოზრდილებსა და ბავშვებში 4 წლის ზემოთ. ბავშვებში პრეპარატი უნდა დაინიშნოს ექიმის მიერ.

გვერდითი მოვლენები: რეკომენდებული დოზის შემთხვევაში მინიმალურია.

უკუჩვენება: გუტალაქსი უკუნაჩვენებია მუცლის ღრუს ორგანოების მწვავე დაავადებების დროს, მათ შორის მწვავე აპენდიციტი და ნაწლავთა გაუვალობა.

ფეხმძიმობა: პრეპარატის მიღება შეიძლება ფეხმძიმობის დროს, თუმცა ორსულებში გუტალაქსი, ისევე როგორც ყველა სხვა მედიკამენტი, ინიშნება ექიმის კონსულტაციით. გუტალაქსი არ გადადის დედის რძეში.

გუტალაქსი - საფაღარათო საშუალება

- ეფექტური საფაღარათო მოქმედება
- ინდივიდუალური დოზის იოლი და ზუსტი შერჩევის შესაძლებლობა
- შეიძლება დაენიშნოს ბავშვებს, ფეხმძიმე ქალებს, დაუძლურებულ ავადმყოფებს
- გვერდითი მოვლენების არარსებობა
- არ იწვევს მიჩვევას.

მწარმოებელი - ბერინგერ ინგელჰაიმი, გერმანია

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 25 00 99 ან 96 72 27
მისამართი: „ავერსი-ფარმა“, დ. აღმაშენებლის გამზ. 148/2

პრეპარატის მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას

გზა კომუნიზმიდან კაპიტალიზმამდე საქართველოს მოსახლეობისთვის საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა. ქვეყანაში შრომის ბაზარი მოიშალა და ხალხი „მატერიალურ შოკში“ ჩააგდო. არსებული პირობებიდან გამომდინარე, ადამიანებმა ბევრ რამეზე თქვეს უარი და უკეთესი მომავლის იმედით, ცხოვრების ცუდ პირობებს შეეგუვნენ. ეკონომიკური კეთილდღეობის მოლოდინი უკვე 15 წელია, გრძელდება. როგორი გზა გამოიარა ამ ხნის განმავლობაში, ერთმა ე.წ. „საშუალო სტატისტიკურმა“ ქართულმა ოჯახმა?..

«ეკონომიკური შოკი» როგორ გადაიქცა ქალაქს და რა ეშველება სოფელს?

ემა ტუხიაშვილი

ელისო ჩაფიძე, *პედაგოგი:*

— ოთხსულიანი ოჯახი გვაქვს: მე, ჩემი მეუღლე და ორი ქალიშვილი. მართლაც, საშინელი წლები იყო... ჩემი მეუღლე პროფესიით ინჟინერია. ის უმუშევართა პირველსავე ნაკადში აღმოჩნდა. მე კი, ჩემი „მათხოვრული“ ხელფასით, რომელსაც თვეების განმავლობაში ვერც ვიღებდი, ოჯახის რჩენა არ შემეძლო. ხომ იცით, ქართველი მამაკაცი განსაკუთრებულად თავმოყვარეა, ამიტომ ჩემმა მეუღლემ ვერც ვაჭრობას მოჰკიდა ხელი და ვერც „შავი მუშის“ სტატუსი მოირგო. ჩემთვის კულმინაცია მაშინ დადგა, როდესაც სარდაფიდან ბებიის ნაქონი ნავთქურა ამოვიტანე და ბავშვებისთვის, არაფრისგან წვნიანის მომზადება ვცადე... ამის შემდეგ, ნელ-ნელა შეველიე ქორწილში მორთმეულ ოქროს ნივთებს და როდესაც ჯერი მზითვად გამოყოლილ ჭურჭელზე მიდგა, მივხვდი, რომ ჩემი მეუღლის სიამაყე და თავმოყვარეობა, უბრალოდ უადგილო იყო. სულ მალე, ერთ-ერთ ოჯახში შინამოსამსახურედ დავიწყე მუშაობა და ჩემი ჯამაგირით ოჯახის მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შევძელი. როდესაც ვამბობ — მინიმალურისმეთქი, — ვგულისხმობ, რომ ოჯახში შიმშილის პრობლემა გადავჭერი, თორემ, სამოსი ისევ ძველი გვეცვა და ექიმთანაც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მივდიოდით... რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიცვალა ამ 15 წლის განმავლობაში. ცოტა, მაგრამ მაინც გაჩნდა სამუშაო ადგილი. ჩემი მეუღლე ამჟამად, კერძო სამშენებლო კომპანიაში მუშაობს; მე მცირეწლოვან ბავშვს ვუვლი ერთ-ერთ ოჯახში და ჩვენი ყოველთვიური ბიუჯეტი საერთო ჯამში, 400 ლარს აჭარბებს. მართალია, ამ თანხით ძნელია შვილების ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მაგრამ ცხოვრებამ უკვე გვასწავლა ქამრის მჭიდროდ მოჭერა, ამიტომ ვცდილობთ, რომ კვების პრობლემის გარდა, სულიერი ღირებულებებისთვისაც გამოვიზოგოთ ფული...

სანდრო თვალჭრელიძე, *ეკონომიკის ექსპერტი:*

— „კუპონიზაციის“ პერიოდში საქართველოს მთელი მოსახლეობა გაღარიბდა, ის მხოლოდ ნატურალური მეურნეობით ირჩენდა თავს. მთლიანად შეიცვალა შრომის ბაზრის სტრუქტურა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ უფრო იოლად და სწრაფად გაართვა თავი ამ პრობლემას, ვიდრე სხვა ქვეყნებმა. მაგალითად, რუანდაში მთლიანი შიდაპროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით მეტი იყო, ვიდრე საქართველოში, მაგრამ 2 მილიონი ადამიანი შიმშილით დაიღუპა. როგორც უკვე გითხარით, საქართველო შიმშილს სოფელმა გადაარჩინა. მაგრამ ამასაც ჰქონდა თავისი ნეგატიური მხარე: ამ პროცესმა გამოიწვია ინტელექტუალური ფენის სრული გაღატაკება და საშუალო შემოსავლების მქონე ფენა არაკვალიფიციური მუშებით და ბაზრობის გამყიდველებით „დაკომპლექტდა“... ვფიქრობ, ჩვენი ხელისუფლება ამ პრობლემას ხედავს, ამიტომაც ცდილობს, რომ ე.წ. „თეთრსაყელოიანებს“ (ვგულისხმობ, როგორც სახელმწიფო მოხელეებს, ასევე პროფესორ-მასწავლებლებს) ეტაპობრივად გაუზარდოს ხელფასები. ჩემი გათვლებით, კიდევ 5 წელია საჭირო, რომ ჩვენში საზოგადოების ნორმალური სტრუქტურა ჩამოყალიბდეს.

— ალბათ გახსოვთ, ლობიოსთან დაკავშირებული ხუმრობა, რომელიც მთელი მოსახლეობის გადამრჩენად გამოაცხადეს...

— ნამდვილად ასეა: სოფლიდან ჩამოტანილმა ლობიომ, სიმინდმა და კარტოფილმა იხსნა ჩვენი ერი შიმშილისგან. გარდა ამისა, იმ დროს, ბევრი ადამიანი დაუბრუნდა სოფელს და მიწის ნაკვეთი აითვისა. დღეს საქართველოში მილიონ 200 ათასი ადამიანი შინამეურნეობით ირჩენს თავს. ბევრ თბილისელსაც აქვს პატარა ნაკვეთი, ერთი მტკაველი მიწა, რომელსაც ამუშავებს და მოსავალი მოჰყავს.

— ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ხალხი უკეთესი მომავლის იმედით იყო აღვსილი. თქვენი აზრით, რა შეიცვალა, მატერიალური კეთილდღეობის თვალსაზრისით?

— „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ხალხს კეთილდღეობის ამაღლების იმედი გაუჩნდა. მაგრამ ასეთი დამოკიდებულება, ორლესული ხმალივითაა: თუ სასიკეთოდ არაფერი შეიცვალა, ხალხი ისევ ქუჩაში გამოვა... ეკონომიკაში ერთი რამ ნამდვილად მოხდა: აღიკვეთა კონტრაბანდა, თანდათანობით ხდება ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორის შემცირება: ჩვენი ქვეყნის მთლიანი შიდაპროდუქტის 70%-ს ჩრდილოვანი ეკონომიკა შთანთქავდა, ახლა კი მისი წილი გაცილებით ნაკლებია. მაგრამ აღნიშნულთან ერთად, უნდა გააქტიურდეს ანტიმონოპოლიური სამსახური: იმპორტიორები ჩვეულ ზემოგებებს ვეღარ იღებენ და ხშირ შემთხვევაში, ხელოვნურად ზრდ-

ვიტაბოლი

სასიამოვნოს +
სასარგებლო!

ვიტაბოლი

ვიტამინი +
სალეჯი რეზინი !

აბა თუ გაიხსენებთ უკანასკნელად როდის შეგახსენეს თქვენმა შვილებმა მათთვის ვიტამინების მიცემის შესახებ ?!



ბავშვებს არასოდეს ახსენდებათ ვიტამინების მიღება, ხოლო მშობლისთვის საკმაოდ დამღლელია ამ პროცესის გაკონტროლება. ახლა კი არსებობს ახალი მულტივიტამინი, რომელსაც გარწმუნებთ თქვენი ბავშვები ძებნას დაუწყებენ.

ეს არის „ვიტაბოლი", ვიტამინებით სავსე სალეჯი რეზინი !!!

რა არის ვიტაბოლი ?

ვიტაბოლი ჩვეულებრივ გემრიელ სალეჯ რეზინს ჰგავს, მაგრამ ის გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ სალეჯი რეზინი! თითოეული გემრიელი ბურთულა შეიცავს 11 აუცილებელ დღიურ ვიტამინს. ღეჭავთ მხოლოდ ერთ ვიტაბოლს და 5-10 წუთში თქვენი ორგანიზმი ღებულობს ვიტამინების დღიურ ნორმას. ვიტაბოლს ჩვეულებრივი სალეჯი რეზინის ფუძე აქვს და იგი ასევე დიდ სიამოვნებას ანიჭებს ბავშვებს – ის იბერება არაჩვეულებრივად და წარმოდგენილია სხვადასხვა ხილის არომატებით.





ვიტაბოლი მხოლოდ ბავშვებისათვის როდია !

ბოლოდროინდელი გამოკვეყნებული კვლევების მიხედვით, ვიტამინების დღიური ნორმა 4 წელს ზემოთ ბავშვებისათვის და მოზრდილებისათვის ერთი და იგივეა.

მეტიც, თქვენც შეგიძლიათ ისიამოვნოთ გემრიელი ვიტაბოლებით და გაერთოთ ბუშტების ბერვით და პარალელურად მიიღოთ თქვენი ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ვიტამინების დღიური ნორმა.

ანუ ვიტაბოლი არის მულტივიტამინი, რომელმაც არ იცის ასაკი – იგი თანაბრად უყვართ როგორც ბავშვებს, ასევე მოზრდილებს და უფროსებსაც.



გელით ახალ მისამართზე:
დ. აღმაშენებლის 193 ☎ 356-456; 34-45-10
სამუშაო საათები: ყოველდღე, კვირის გარდა 10.00 – 18.00

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

R

იან ფასებს შემოტანილ პროდუქტებზე. სრულიად გაუმართლებელი იყო ნავთობპროდუქტებზე ფასების გაზრდა. თავიდან, ყველაფერი საერთაშორისო ბაზარს დააბრალეს, მაგრამ არც მას შემდეგ დაუწევიათ, რაც საერთაშორისო ბაზარზე საგრძნობლად დაეცა ნავთობის ფასი...

ით გვაქვს ათვისებული. ჩვენ ვართ ენერგორესურსებით ყველაზე მდიდარი ქვეყანა მსოფლიოში. პროფესიონალური მიდგომაა საჭირო ყოველივე ამის ასათვისებლად. სამწუხაროდ, ამ ხელისუფლებაში ამას ვერ ვხედავ. ბატონმა ზურაბ ჟვანიამ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ქვეყნის განვითარებისთვის

სრულიად გაუმართლებელი იყო ნავთობპროდუქტებზე ფასების გაზრდა. თავიდან, ყველაფერი საერთაშორისო ბაზარს დააბრალეს, მაგრამ...

— ხომ არ გეჩვენებათ, რომ თუნდაც, ჩრდილოვანი ეკონომიკის პირობებში, მოსახლეობისთვის ცხოვრება შედარებით იოლი იყო?.. საშუალო ფენისთვის ხელფასები არავის გაუზრდია, ფასები კი კატასტროფულად იზრდება...

— მაშინ ჩვენ მხოლოდ დღევანდელი დღით ვცხოვრობდით: მთავარი იყო, მაგიდაზე საჭმელი გვქონოდა და არავინ ფიქრობდა იმაზე, თუ რა გველოდა ხვალ. ასეთი მიდგომით ნორმალურ სახელმწიფოს ვერ ააშენებ. გეთანხმებით, რომ შარშანდელთან შედარებით ფასები 15-20%-ითაა გაზრდილი. ზუსტად ამდენითვეა გაზრდილი ადამიანთა საშუალო ხარჯები და შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე. მაგრამ საშუალო შემოსავლები მხოლოდ ხელფასით არ განისაზღვრება. უფრო მეტიც — ხელფასი საშუალოდ, 40%-ით ნაკლებია ჩვენს შემოსავლებზე. ამ შემთხვევაში, გამონაკლისს არ ვგულისხმობ. მოსახლეობის დიდი ნაწილის ძირითად შემოსავალს ფულადი გზავნილები წარმოადგენს: საქართველოდან მილიონზე მეტი ადამიანია გადახვეწილი. ისინი უცხოეთიდან არჩენენ თავიანთ ოჯახებს, ნათესავებს. ახლა შემოსავლის სხვა წყაროები ავიღოთ — მაგალითად, ბინის გაქირავებიდან მიღებული. ცოტა ხნის წინ, 15000 პოლიციელი დარჩა უმუშევარი, მათხოვრების რაოდენობა კი ქუჩაში არ გაზრდილა. ე.ი. ბევრ მათგანს საკუთარი ბიზნესი ჰქონდა... თუ გვსურს, რომ სახელმწიფო ასეთ პირობებში ნორმალურად განვითარდეს, მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებას. ღმერთმა გვიბოძა ქვეყანა არაჩვეულებრივი ბუნებრივი პირობებით, ადგილმდებარეობით. მაგრამ ღვთისგან ბოძებული ეს სიმდიდრე მხოლოდ 5%-

საჭიროა მთლიანი შიდაპროდუქტის 5-7%-იანი ზრდა — ეს მაშინ, როდესაც ქვეყანაში 5%-იანი ინფლაცია გვაქვს! უკაცრავად, მაგრამ ასეთი მიდგომით ფონს ვერ გავალთ. მთლიანი შიდაპროდუქტის 5%-იანი ზრდა ყოველწლიურად ამერიკაში ფიქსირდება, ჩვენთვის კი ეს საკმარისი არ არის. ჟვანიას თუ დავუჯერებთ, 15 წელიწადშიც კი ვერ მივაღწევთ ბალტიისპირეთის დონეს და 50 წელი მაინც დაგვჭირდება იმისათვის, რომ დავემსგავსოთ დღევანდელი დონის ჩეხეთს. საჭიროა, რომ უახლოეს წლებში, მშპ-ის 25%-იან ზრდას მივაღწიოთ; ამ შემთხვევაში, მოგვეცემა საშუალება, რომ 6 წელიწადში 5%-იან ზრდას დავჯერდეთ. ასეთი ტემპით, 10 წელიწადში, ევროპის ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანა გავხდებით.

— დღეს კი, საარსებო მინიმუმი 119,6 ლარით განისაზღვრება...

— რას იზამთ — ასეთია ობიექტური რეალობა. 120 ლარი მართლაც რომ საარსებო მინიმუმია. მართალია, ამ თანხის მქონე ადამიანი ყოველდღე კინოში ვერ ივლის, მაგრამ შიმშილი არ დაემუქრება...

ნოდარ კაპანაძე, *საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სოციალური სტატისტიკის სამმართველოს უფროსი:*

— სიღარიბის დონე ქალაქში ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს ეკონომიკური კრიზისის ყველაზე მწვავე პერიოდში — 1998-99 წლებში აღწევდა. ამის შემდეგ, სიღარიბის დონე ქალაქში შემცირდა და მთელი შემდგომი წლების მანძილზე, სტაბილურად, ერთსა და იმავე დონეზე დგას. აი, სოფლად კი, სიღარიბის დონე მკვეთრად გამოხატული ზრდის ტენდენციით ხასიათდება. სოფლად თვითდასაქმება სულ უფრო და უფრო არაეფექტური ხდება... საერთოდ, საგრძნობლად გაიზარდა საზოგადოების მოთხოვნები ცხოვრების პირობების მიმართ. მაგალითად, 1993 წელს, თუ პურს ურიგოდ შეიძენდი, ეს უკვე კარგი ცხოვრების მაჩვენებელი იყო. ახლა კი, ადამიანებს არასასურსათო მოთხოვნები გაუჩნდათ და ცხოვრების მაღალ სტანდარტებსაც ითხოვენ. მართალია, „ეკონომიკურ შოკზე" ქალაქის მოსახლეობა უფრო მტკივნეულად რეაგირებს, სამაგიეროდ, აქ უფრო მეტია ადამიანური კაპიტალის ინვესტირების საშუალება, ვიდრე სოფლად... მიგრაციის ვექტორი ერთმნიშვნელოვნად, სოფლიდან ქალაქისკენ არის მიმართული, თანაც — ძირითადად, დიდი ქალაქებისკენ. ქვეყნისთვის შესაძლოა, ძალიან დიდი საფრთხის მომტანი აღმოჩნდეს ეს ასიმეტრიული განვითარება. შეცდომაშია შესული ის, ვინც ფიქრობს, რომ საქართველო ჭავჭავაძის გამზირზე იწყება და სოლოლაკში მთავრდება. ამიტომ, როდესაც ჩვენი მოსახლეობის ზოგად მატერიალურ მდგომარეობაზე ვსაუბრობთ, იმ ადამიანთა მონაცემებიც უნდა გავითვალისწინოთ, ვინც მთაში, ტყესა და მიუვალ ადგილებში ცხოვრობს... ■

მოძალადე მამეგი და გაგუეგი საკუთარი შვილეგისა და შვილიშვილეგის გაუპატიურეგისთვის გაასამართლეს

სექსუალური ძალადობა ოჯახში — საუბედუროდ, ამ სახის დანაშაული ჩვენი ქვეყნის სასამართლო პრაქტიკისთვის უცხო არ გახლავთ. უფრო მეტიც, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, სისხლის სამართლის საქმეთა საარქივო ტომებში მსგავსი ფაქტი მრავლად მოიძებნება. ეს შემზარავი დანაშაული არც ამჟამად მიმდინარე სასამართლო პროცესებზე გვხვდება იშვიათად.

მსგავსი სექსუალური ურთიერთობებისგან მკვეთრადაა გამიჯნული ინცესტი — სქესობრივი კავშირი ოჯახის წევრებს ანუ სისხლით ნათესავებს შორის, რომელიც კანონმდებლობით, დასჯად ქმედებად არ ითვლება, რადგან ის ნებაყოფლობითია და ორივე მხარის თანხმობით ხდება ხოლმე. თუმცა, ასეთი ქმედება საზოგადოებაში, მის ჩამდენ პირთა მიმართ საშინელ აგრესიასა და ზიზღს იწვევს. ხოლო მაშინ, როცა სექსუალური კავშირი სისხლით ნათესავებს შორის, ძალადობის გზით ხორციელდება, ზემოთ აღნიშნულ ემოციებს საყოველთაო აღშფოთება და შურისძიების დაუოკებელი სურვილიც ერთვის თან. ხალხი ასეთი დამნაშავის უმკაცრესად დასჯას მოითხოვს. სასჯელის უმაღლესი ზომის შეფარდებისგან ასეთ შემთხვევებში, არც მოსამართლეები იკავებენ თავს, ზოგჯერ კი, დანაშაული იმდენად მძიმე და შემზარავია, რომ ამ მუხლით განსაზღვრული მაქსიმალური სასჯელი — 15 წლით (ამ დანაშაულისთვის მაქსიმალურ სასჯელად 14 წლამდე მოზარდის გაუპატიურებისთვის 20 წლით თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული) თავისუფლების აღკვეთა — მათაც ნაკლებად მკაცრად მიაჩნიათ. სწორედ ამ უკმარისობის გრძნობით იყენენ განმსჭვალულნი პროცესის მონაწილენი 2 სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმის განხილვისას. ორივე შემთხვევაში, განსასჯელი, ხანდაზმული მამაკაცი გახლდათ და ორივე საკუთარ ქალიშვილებსა და შვილიშვილებს მოევლინენ მოძალადეებად.

პირველი შემთხვევა, რომელიც იმერეთის რეგიონის ერთ-ერთ სოფელში 2000 წლის ზამთარში მოხდა და არა მარტო ოჯახის ახლობლები, არამედ სამართალდამცავებიც კი შეძრა, ზედიზედ სამმა სასამართლომ განიხილა. დამნაშავე — 60 წელს გადაცილებული ნოდარ უსუფაშვილი (აქაც და შემდგომშიც, ყველა გვარ-სახელი შეცვლილია) სამივე ინსტანციის მოსამართლეს იმას უმტკიცებდა, რომ უდანაშაულო იყო. თუმცა, დაზარალებულის ჩვენებები და გამოძიებით დადგენილი ფაქტები საწინააღმდეგოს მოწმობს და მის მიერ ჩადენილ ამაზრზენ დანაშაულზე მიუთითებს.

ოფიციალური ცნობებით, ნოდარ უსუფაშვილი წარსულში ნასამართლევი არ გახლდათ. მაგრამ ეს მხოლოდ იმის წყალობით ხდებოდა, რომ კანონდარღვევას ის საკუთარ ოჯახში სჩადიოდა — ძალადობის მსხვერპლად საკუთარი ქალიშვილი ჰყავდა ქცეული, თანაც — მკაცრად აფრთხილებდა შვილს, ეს ამბავი არავისთვის გაემხილა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოკლავდა...

საქმის მასალების მიხედვით, ნოდარ უსუფაშვილს საკუთარი ქალიშვილისთვის ჯერ კიდევ მაშინ დაუდგამს თვალი, როცა გოგონა 12 წლის იყო. ოჯახში ცოლქმარი და მათი ერთადერთი ქალიშვილი ცხოვრობდნენ. შვილს დაიმარტოხელებდა თუ არა, ნოდარი აიძულებდა, ტანსაცმელი გაეხადა, მის წინაშე შიშველი დამდგარიყო და მოფერების საშუალება მიეცა მისთვის. თავდაპირველად, მამის ამ მოთხოვნითა და საქციელით გაოგნებული გოგონა პროტესტს გამოხატავდა, წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა, მაგრამ მოძალადე მის დამორჩილებას ადვილად ახერხებდა. საქმის მასალებში აღნიშნულია, რომ ნოდარ უსუფაშვილმა ქალიშვილი შეაშინა — თუ ხმას ამოიღებ და ისე არ მოიქცევი, როგორც მე გეუბნები, შენცა და დედაშენსაც მოგკლავთო. ამას ისეთი ტონით ეუბნებოდა, რომ საცოდავ ბავშვს მუქარის რეალობაში ეჭვიც არ ეპარებოდა: *„თვალები უელავდა და სიბრაზისგან მთელი სხეული უცახცახებდა, როცა ამას ამბობდა. მაშინ დარწმუნებული ვიყავი, რომ ის ამ სიტყვებს მართლაც შეასრულებდა“*, — წერს ჩვენებაში დაზარალებული — ნატო უსუფაშვილი.

შეშინებული ბავშვი მამის მიერ ჩადენილ გარყვნილ ქმედებებს ვერავის უმხელდა. მოძალადეც სარგებლობდა შვილის დუმილით და მასთან სქესობრივ კავშირს ამყარებდა. ყოველივე ეს წლების მანძილზე გრძელდებოდა.

17 წლის ასაკში, ნატო გათხოვდა. გათხოვების შემდეგ, მაქსიმალურად არიდებდა მამასთან შეხვედრასა და ურთიერთობას თავს. ერთ დღესაც, ყველაფრის გამოაშკარავება გადაწყვიტა. იმ ნაბიჯის გადადგმა, რომელსაც წლების მანძილზე უფრთხოდა, საშინელმა სურათმა აიძულა, რომლის მომსწრეც შემთხვევით გახდა...

მშობლების ოჯახში თავის 4 წლის გოგონასთან — სალომესთან ერთად მისული ნატო რამდენიმე წუთით სახლიდან გავიდა და მეზობელთან საუბრისას შეყოვნდა გარეთ. ამ დროს, შინ არც დედამისი იყო და ბავშვი ბაბუასთან მარტო იმყოფებოდა. გამოძიების მასალების მიხედვით, შვილიშვილთან მარტო დარჩენილ უსუფაშვილს, მისთვის ჩვეული მანიაკური ჟინი მოეძალა და ოთახის კუთხეში მოთამაშე პატარა სალომეს მიუახლოვდა. ნატო ოთახში სწორედ იმ მომენტში შევიდა, როცა წელს ქვემოთ გაშიშვლებული, ატირებული ბავშვი, შარვალჩახდილ ბაბუას კალთაში ჰყავდა ჩასმული... თავზარდაცემული დედა შვილს მივარდა და მაშინვე გააშორა იქაურობას. სალომე ეზოში დატოვა, თავად კი, გაბრაზებული და გამწარებული, შინ შებრუნდა, რომ ბოლოს და ბოლოს, პასუხი მოეთხოვა მამისთვის. მაგრამ პანიკაში ჩავარდნილმა ქალმა ეს ვერ მოახერხა. გამხეცებული ნოდარ უსუფაშვილი ახლა შვილს მივარდა, ხელები გადაუგრიხა, საწოლამდე მიათრია და ძა-

ლის გამოყენებით, მასთან სექსობრივი კავშირი დაამყარა.

მეორე დილით, ნატო უსუფაშვილმა მამას პოლიციაში უჩივლა. *„მივხვდი, რომ მას თავს ვერასდროს დავაღწევდი. ან უნდა მომეკლა როგორმე და სატანჯველისთვის ბოლო ამ გზით მომღო, ან არა და, პოლიციისთვის მიმმართა. მის მოკვლას ვერ ვახერხებდი, ამის ძალა არ მქონდა. ამიტომაც, იძულებული გავხდი, მეჩივლა“*, — განცხადა პროცესზე დაზარალებულმა.

პოლიციაში შეტანილი განცხადების საფუძველზე, სამართალდამცავებმა ნოდარ უსუფაშვილი დააკავეს. სასამართლომ მას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ ცნო და ადვოკატიც დაიქირავა. ადვოკატმა თავისი კლიენტის დასაცავად, ასეთი არგუმენტიც მოიყვანა: დაზარალებულ ნატო უსუფაშვილს, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, სხეულზე ძალადობისთვის დამახასიათებელი რაიმე დაზიანება არ აღენიშნებაო. სასამართლომ ადვოკატის ეს არგუმენტი უსაფუძვლოდ მიიჩნია, რადგან მოსამართლეების განმარტებით, ის, რომ დაზარალებულს დაზიანებები არ აღმოაჩნდა, ნოდარ უსუფაშვილის უდანაშაულობას სულაც არ ნიშნავს.

ჩატარდა ბრალდებულის ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა. ექსპერტების თქმით, ნოდარ უსუფაშვილს რაიმე ფსიქიკური გადახრა არ აღენიშნებოდა. ყოველივე ამის საფუძველზე, სასამართლომ განსასჯელის ჩვენება — თითქოს ის უდანაშაულო იყო და შვილი ცილს სწამებდა, — არ გაიზიარა. განაჩენში აღნიშნულია, რომ განსასჯელმა ვერაფრით ახსნა, თუ რის გამო შეიძლებოდა, შვილს ასე გაეწირა და თავისი და ოჯახის რეპუტაციაც შეელახა. უსუფაშვილის ჩვენება ულოგიკოდ და არადამაჯერებლად მიიჩნიეს და ის დამნაშავედ ცნეს. მას ჩადენილი დანაშაულისთვის 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

რაც შეეხება მეორე პატიმარს — თბილისელ ავთანდილ ბაქრაძეს, პროკურატურამ მას უმწეო მდგომარეობაში მყოფი ქალიშვილის არაერთგზის გაუპატიურებასა და არასრულწლოვანთან გაუკუღმართებული სექსუალური კონტაქტის დამყარებაში დასდო ბრალი. ბაქრაძის ძალადობის მსხვერპლი, როგორც გაირკვა, მისი ქალიშვილი და არასრულწლოვანი შვილიშვილი გახდნენ.

საქმის მასალების მიხედვით, ყველაფერი 2000 წლის დეკემბრის ერთ საღამოს, დაახლოებით 6 საათზე დაიწყო. ავთანდილ ბაქრაძე ქალიშვილის — ლალი ბაქრაძის საძინებელ ოთახში შევიდა, საწოლზე მწოლიარე შვილს მოულოდნელად, შარვალჩახდილი წამოადგა თავზე, შემდეგ, თმაში ჩაავლო ხელი და მასთან სექსუალური კავშირის დამყარებას შეეცადა. ლალი ბაქრაძე, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, წინააღმდეგობას უწევდა გამხეცებულ მამას. ყვიროდა, მაგრამ ავთანდილ ბაქრაძე შვილს ყვირილის საშუალებასაც არ აძლევდა — პირზე ხელს აფარებდა. შემდეგ, გააფთრებულმა, ჟინის დაკმაყოფილება რომ გაეადვილებინა, ქალიშვილს მაგრად ჩაარტყა თავში მუშტი და ამგვარად, წინააღმდეგობის გაწევის უნარი სრულიად წაართვა. ისედაც ღონემიხდილმა ლალი ბაქრაძემ გონება დაკარგა. კაცმა ამით ისარგებლა, ტანსაცმელი გახადა და გონწასულ შვილთან სექსობრივი კავშირი დაამყარა. აქტის დასრულების შემდეგ გონს მოსულ შვილს დაემუქრა — არავის უთხრა მომხდარის შესახებ, თორემ, შვილს მოგიკლავო. ავთანდილ ბაქრაძე თავის არასრულწლოვან შვილიშვილს — ანას გულისხმობდა. ამ ფაქტიდან რამდენიმე თვის შემდეგ, მან გოგონა მართლაც, დაიმარტოხელა, მაგრამ არა შვილთან გამოთქმული მუქარის — მისი მოკვლის, არამედ შვილიშვილის გაუპატიურების მიზნით. იმ მომენტში, ავთანდილ ბაქრაძე ნასვამი გახლდათ.

„მომთხოვა, მისთვის ტანსაცმელი, ასევე ქვედა საცვალი გამეხადა, თან მეუბნებოდა, რომ ვუყვარდი და ჩემი მოფერება სურდა. ამის შემდეგ, ყვირილი დამიწყო, მოკვლით დამემუქრა და მიბრძანა, მასთან ლოგინზე ჩამოვმჯდარიყავი. მითხრა — შენც გაიხადე შარვალი და გვერდით მომიწექიო. მე ძალიან შემეშინდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ თუ არ დავემორჩილებოდი, სასტიკად მცემდა და მომკლავდა კიდეც. შარვლის გახდა დავიწყე, მაგრამ ამის სწრაფად გაკეთება ვერ შევძელი, რადგან შარვლის „ზმეიკა“ „კოლგოტკაში“ გამეჭედა“, — წერს ჩვენებაში დაზარალებული.

ლოგინში ჩაწოლა რომ დააყოვნა, ბაბუა უფრო გაღიზიანდა და კვლავ დაემუქრა შვილიშვილს. გოგონა იძულებული გახდა, მაკრატლით გაეჭრა შარვლის შესაკრავი და ამის შემდეგ, ლოგინში ჩასწოლოდა მოძალადე ბაბუას.

დაზარალებულის ჩვენებიდან:

„მომეხვია და სურვილი ისე დაიკმაყოფილა, რომ ჩემთან სექსობრივი კავშირი არ დაუმყარებია. ამის შემდეგ დაიძინა. როცა გაიღვიძა, მაიძულა, დასვრილი „კოლგოტკა“ გამერეცხა და წყალში ჩამალბობინა იგი... რამდენიმე დღის შემდეგ, როცა კვლავ მარტონი აღმოვჩნდით ბინაში, შემოვიდა ჩემს საძინებელში და იგივე გაიმეორა. გამუდმებით მემუქრებოდა და როცა საშუალება მიეცემოდა, სულ მაფრთხილებდა, არსად არაფერი მეთქვა ამ ურთიერთობის შესახებო... ერთხელ, შუადღისას, რომ არ ვემორჩილებოდი, ხელიც გამარტყა, მერე დანა აიღო და მოკვლის მუქარით მაიძულა, ლოგინში ჩავწოლოდი... როცა ყველაფერს მორჩა, ისევ მუქარით, დასვრილი ტანსაცმელი გამარეცხვინა... იმ პერიოდში საქმრო მყავდა, მალე მას ცოლადაც გავყევი. ერთ საღამოს მოხდა ისე, რომ საძინებელში მარტო დავრჩი. დაახლოებით 8 საათი იქნებოდა. მოულოდნელად, ოთახში ბაბუაჩემი შემოვიდა. თმაში ჩამავლო ხელი და თავისკენ მიმიზიდა. შემდეგ იატაკზე დამაგდო და ჩემს გაუპატიურებას შეეცადა. თან მეუბნებოდა — ახლა, როცა გათხოვდი, ხომ აღარ ხარ ქალწულიო!.. მთხოვდა, მასთან სექსობრივი კავშირი დამემყარებინა, უნდოდა, უსიტყვოდ, წინააღმდეგობის გარეშე დავნებებოდი. ვტიროდი და ვეხვეწებოდი, შეეწყვიტა ასეთი საქციელი, მაგრამ თავს არ მანებებდა...“

იმ საღამოს, ავთანდილ ბაქრაძემ ჩანაფიქრის განხორციელება ბოლომდე ვერ შეძლო, მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო — ოთახში მოულოდნელად, ანას დედა შემოვიდა. საშინელი სურათის დანახვისას, მან ყვირილი მორთო და მოუწოდა მამას, თავი დაენებებინა მისი შვილისთვის. ამ მომენტით ისარგებლა ანამ და ხელიდან დაუსხლტა ბაბუას. ეს უკანასკნელი გაქცეულ შვილიშვილს დაედევნა, სამზარეულოში დაეწია მას და ხელებითა და ფეხებით უმოწყალოდ ცემა დაუწყო. ავთანდილ ბაქრაძემ მასა და შვილიშვილს შორის ჩამდგარი თავისი ქალიშვილიც სცემა. დედა-შვილს მოკვლით ემუქრებოდა, თუკი გაბედავდნენ, მომხდარის შესახებ ანას ქმრისთვის რაიმის თქმას.

მიუხედავად მუქარისა, დედა-შვილმა გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ, ბოლო მოეღო ოჯახის წევრის ძალმომრეობისთვის და პოლიციას მიმართა.

დაკავებულმა ავთანდილ ბაქრაძემ დანაშაული უარყო. მისი თქმით, ქალიშვილმა და შვილიშვილმა ყველაფერი მოიგონეს, რათა ის თავიდან მოეშორებინათ. *„მიზეზი ის გახლავთ, რომ მე შვილიშვილისა და მისი ამყამინდელი ქმრის ქორწინების კატეგორიული წინააღმდეგ ვიყავი. არ მინდოდა, ცოლად მას გაჰყოლოდა და ყველანაირად ვცდილობდი, მათი კავშირისთვის ხელი შემეშალა“*, — აღნიშნა ავთანდილ ბაქრაძემ.

განსასჯელის ადვოკატმა ბაქრაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა მოითხოვა, იმ მოტივით, რომ არც ერთი ბრალდება მტკიცებულებებით გამყარებული არ გახლდათ. მაგრამ ეს პოზიცია არ გაიზიარა სასამართლომ, რომელმაც ბაქრაძე დამნაშავედ ცნო და სასჯელის ზომად მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, აქედან 5 წელი მსჯავრდებულმა საპყრობილეში უნდა მოიხადოს.

■

ვმარმა ცოლს საყვარელი მოუკლა

ნათლიამ და ნათლულმა სასტიკი დანაშაული ერთად ჩაიდინეს

თერჯოლის რაიონის მკვიდრი დავით მ. სულ ახალი გათავისუფლებული გახლდათ ციხიდან, როცა მორიგი დანაშაული – ამჯერად, ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, დამამძიმებელ გარემოებებში და ისევ გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. ამ დანაშაულისთვის, რომელიც მან თავის ახალგაზრდა ნათლულთან ერთად ჩაიდინა, გაცილებით მკაცრი სასჯელი ელოდა. როგორც გაირკვა, დავით მ-მ ციხეში ყოფნისას ცოლის ღალატის შესახებ შეიტყო და შეურაცხყოფილმა შურისძიება გადაწყვიტა.

პირველი ეჭვი დავით მ-ს ქსნის კოლონიაში ყოფნისას გასჩენია. ერთხელ, მას ციხეში მიაკითხა მეუღლემ, რომელიც ერთ-ერთ ფაბრიკაში მუშაობდა და გამოუტყდა, რომ ახალმა დირექტორმა მას საცხოვრებელი ბინა სრულიად უსასყიდლოდ მისცა. ქმარმა იფიქრა, რომ დირექტორი ასე უანგაროდ არ მოიქცეოდა და მასთან ცოლის ღალატზე იეჭვიანა. თუმცა, ცოლს არაფერი უთხრა. როცა ციხიდან გათავისუფლდა, ეჭვის გადამოწმება გადაწყვიტა. მეუღლეს ფარულად უკან დაჰყვებოდა, დარაჯობდა და ხედავდა, რომ ის მართლაც, ხშირად უჯდებოდა დირექტორს მანქანაში, და შემდეგ, გაურკვეველი მიმართულებით მიდიოდნენ. ქმარი დღითი დღე რწმუნდებოდა ცოლის ღალატში, ფიქრობდა, რომ აბუჩად იგდებდნენ, შეურაცხყოფდნენ მის მამაკაცურ თავმოყვარეობას და შურისძიების მოტივით, ორივეს მოკვლა განიზრახა. ამავე პერიოდში ცოლს დაშორდა და საცხოვრებლად ცალკე გადავიდა.

ეს სასტიკი განზრახვა მან თავის ნათლულს, ქსნის კოლონიის ყოფილ პატიმარს – სოსო დ-ს გაანდო და დახმარებაც სთხოვა. ნათლულმაც არ დააყოვნა და პირდაპირ სახლში მიუტანა მას ჩანთაში ჩაწყობილი, „კალაშნიკოვის“ სისტემის 7,62 მმ კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა – 58 ვაზნა და 2 მჭიდი. დავით მ-მ იარაღი საგულდაგულოდ შეინახა შინ და განზრახვის განსახორციელებლად ხელსაყრელ მომენტს დაელოდა.

ერთ საღამოს, როცა ჩათვალა, რომ ეს მომენტიც დადგა, იარაღი და ვაზნები, ასევე სანადირო თოფი, იმ საცხოვრებელ კორპუსთან მიიტანა, სადაც მისი ცოლი საყვარელს ხვდებოდა. თან ახლდა ნათლულიც. ისინი კორპუსის მახლობლად ჩასაფრდნენ. ამ დროს, დავით მ-მ ფანჯარაში შენიშნა, რომ ცოლის ბინაში მათი მცირეწლოვანი შვილი და მეზობელი ქალიც იმყოფებოდნენ. შვილი რომ დედის სიკვდილის მომსწრე არ გამხდარიყო, დავით მ-მ იმ ღამეს ხელი აიღო განზრახვაზე და მკვლელობა სხვა დროისთვის გადადო. მაგრამ რამდენიმე წუთში, მან ფაბრიკის ეზოსთან ცოლის საყვარლის ავტომანქანა შენიშნა. რადგან მისი მოკვლაც ჰქონდა გადაწყვეტილი, მომენტი ხელიდან აღარ გაუშვა. სწორედ იმ დროს, ფაბრიკის დირექტორი – გურამ ნ. ჭიშკრის გასაღებად გადავიდა მანქანიდან, მაგრამ ჭიშკრამდე არ მისულა, რატომღაც შებრუნდა და ისევ მანქანის საჭეს მიუჯდა. კარის მიხურვაც ვერ მოასწრო, რომ სროლის ხმა გაისმა. დავით მ-მ დაინახა თუ არა, რომ გურამ ნ. მანქანაში მარტო იჯდა, აღარ დააყოვნა და 15 მეტრის მანძილიდან მას სანადირო თოფიდან ესროლა. ტყვია გურამ ნ-ს თავის არეში მოხვდა. დაჭრილი, მანქანიდან ასფალტზე გადავარდა. დავით მ. მას მიუახლოვდა, დახედა დაჭრილს და რაკი დარწმუნდა, რომ იგი მალე მოკვდებოდა, მეორედ აღარ უსვრია. სამაგიეროდ, მეორე ტყვია მომაკვდავ გურამ ნ-ს მისმა ნათლულმა – სოსო დ-მ ესროლა. ამჯერად გურამ ნ. გულმკერდის არეში დაიჭრა და მაშინვე გარდაიცვალა.

სროლის ხმაზე ახლომახლო მცხოვრებნი ქუჩაში გამოცვივდნენ. დამნაშავეებმა კი, შემთხვევის ადგილიდან გაქცევა მოასწრეს. თავდაპირველად, საყანედ გამოყენებულ მიწის ნაკვეთებს აფარებდნენ თავს, მკვლელობიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ კი, ერთმანეთს დაშორდნენ. სოსო დ. თბილისში გაემგზავრა, დავით მ. კი რაიონიდან გასვლას ჯერჯერობით არ აპირებდა, რადგან ცოლის მოკვლის განზრახვა ჰქონდა სისრულეში მოსაყვანი.

გამოძიების მასალების თანახმად, შეიარაღებული დავით მ. ღამის საათებში მალულად მიდიოდა ცოლის საცხოვრებელ სახლთან და ხელსაყრელ მომენტს ელოდა, მაგრამ მეუღლეს ის ვერსად შეხვდა. რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, ის ქუთაისში გაემგზავრა, იქიდან კი – მარტვილის რაიონში, სადაც დააკავეს კიდეც.

დააპატიმრეს ასევე სოსო დ-ც. მან სამართალდამცავებს აღიარებითი ჩვენება მისცა. *„დავითი გამომიტყდა, რომ ცოლისა და მისი საყვარლის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი და ერთლულიანი სანადირო თოფი მაჩვენა. ამით ვაპირებ მათ მოკვლასო, – მითხრა. ამის შემდეგ, გურამ ნ-ს შევხვდი შემთხვევით. გავაფრთხილე – დავითის ცოლს თავი დაანებე, თორემ, უბედურება დატრიალდება, მოკვლას გიპირებს-მეთქი. ამის პასუხად, მან ჩხუბი დამიწყო, მაშინ გავბრაზდი და მეც დავემუქრე მოკვლით... როცა შეიარაღებულები ფაბრიკისკენ წავედით, დავითმა მითხრა – შენ გაჩერდი, მე გავუხვრეტ ტვინს, ჩემი ხელიდან არის მოსაკლავიო...“*, – აღნიშნავს წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში სოსო დ. მან ისიც აღნიშნა, რომ ფაბრიკის დირექტორს თავადაც ესროლა ერთი ტყვია. თუმცა, სასამართლოზე ჩვენება შეცვალა და აღნიშნა, რომ ტყვია შემთხვევით გაუვარდა, მკვლელობის განზრახვა კი არ ჰქონია.

ჩადენილ მკვლელობაში არც დავით მ-მ ცნო თავი დამნაშავედ. *„მე მისი მოკვლა არ მიფიქრია, მინდოდა, დამემახინჯებინა“*, – განმარტა განსასჯელმა.

სასამართლომ არც ერთი მათგანის ჩვენება არ გაიზიარა. ორივე განსასჯელი მკვლელობაში ცნო დამნაშავედ. დავით მ-ს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, 5 წლის საპყრობილეში, 15 წლის კი – მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

რაც შეხეება სოსო დ-ს – სასამართლომ მას სასჯელის ზომად 18 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

■

ვიტამინები

და მათი მნიშვნელობა ჯანმრთელობისთვის

ჯარამან ფალავა
მედიცინის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ვიტამინები ჯანმრთელობის უმთავრესი წინაპირობაა. საკვების ძირითადი კომპონენტები – ცილები, ცხიმები და ნახშირწყლები – ორგანიზმისთვის საშენი მასალაცაა და ენერგიის წყაროც, მაგრამ ეს ნივთიერებები საკმარისი არ გახლავთ; ორგანიზმმა უნდა მიიღოს ვიტამინებიც, რომლებიც არეგულირებს ყველა სასიცოცხლო პროცესს, მათ შორის იმუნოლოგიურ რეაქტიულობას (ორგანიზმის თავდაცვით უნარს), ზრდასა და განვითარებას, განაყოფიერების ფუნქციას და ა.შ.

ამჟამად სასიცოცხლო მნიშვნელობის 13 ვიტამინს გამოყოფენ. ამათგან ცხიმში ხსნადია A (რეტინოლი), D (კალციფეროლი), E (ტოკოფეროლი) და K (ფილოქინონები და მენაქინონები). წყალში ხსნადი გახლავთ B ჯგუფის ვიტამინები - B_1 (თიამინი), B_2 (რიბოფლავინი), B_3 ანუ PP (ნიაცინი, ნიკოტინის მჟავა, ნიკოტინამიდი), B_5 (პანთოტენის მჟავა), B_6 (პირიდოქსინი), B_{12} (ციანკობალამინი), B_C (ფოლიუმის მჟავა), H (ბიოთინი) და C (ასკორბინის მჟავა).

სხვადასხვა საკვები სხვადასხვა ვიტამინს შეიცავს. მაგალითად, ხილი და ბოსტნეული მდიდარია C, P ვიტამინებით, ფოლიუმმჟავათი და ბეტა-კაროტინით; B_1-ის, B_2-ის, B_6-ისა და B_{12}-ის მნიშვნელოვანი წყაროა ხორცი და ხორცის პროდუქტები; A და B_2 ვიტამინებისა – რძე და რძის ნაწარმი; მარცვლეული B_1, B_2, B_6, PP, E ვიტამინებითაა მდიდარი, E ვიტამინი ყველაზე მეტი მცენარეულ ცხიმებშია, ხოლო A და D ვიტამინები – ცხოველურში. K ვიტამინს წარმოქმნიან ორგანიზმისთვის საჭირო ბაქტერიები, რომლებიც მსხვილ ნაწლავში ბუდობენ. კანის ულტრაიისფერი სხივებით დასხივება ქოლესტერინის D ვიტამინად გარდაქმნას უწყობს ხელს.

ვიტამინების უკმარისობა ორგანიზმში მნიშვნელოვან დარღვევებს უდებს სათავეს: კანის ნაადრევ დაბერებას, გამელოტებას, ნაოჭების გაჩენას, შარდის ბუშტის ყელის მომჭერი კუნთის სისუსტეს, ერექციის შესუსტებას, დაჩქარებულ ეაკულაციას, სათესლეების მილაკების გადაგვარებას, სპერმატოგენეზისა და ოოგენეზის (ადამიანის სასქესო უჯრედების მომწიფების) დარღვევას, სპონტანურ აბორტებს, ზრდა-განვითარების შეფერხებას, ინფექციების მიმღებლობის ზრდას, რაქიტსა და ოსტეომალაციას – ძვლების დარბილებას, მეხსიერების დაქვეითებას, მომატებულ გაღიზიანებადობას, თავის ტკივილს, დეპრესიას, უძილობას, სწრაფ გონებრივ და ფიზიკურად დაქანცვას, საჭმლის მონელების პროცესის დარღვევას და მრავალ სხვას.

ვიტამინების დეფიციტის ანუ ჰიპოვიტამინოზის მთავარი მიზეზები გახლავთ: მათი არასაკმარისი მიღება კვების დროს; კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიები, რომლებსაც ვიტამინთა შეწოვის დარღვევა სდევს თან; ღვიძლის დაავადებები და ნივთიერებათა ცვლის დარღვევები, რაც ვიტამინთა აქტიური ფორმების წარმოქმნას აფერხებს; ეკოლოგიურად არახელსაყრელ გარემოში ცხოვრება; ვიტამინების ხარჯვის გაძლიერება.

პროდუქტის სახეობისა და ხარისხის მიხედვით საკვებში ვიტამინების შემცველობა არსებითად იცვლება. უარყოფით ეფექტს ახდენს კონსერვანტები. გასათვალისწინებელია მათი კულინარიული დამუშავების წესი, პროდუქტების ხანგრძლივი და არასწორი შენახვა, სეზონი – წელიწადის სხვადასხვა დროს ხილსა და ბოსტნეულში ვიტამინების შემცველობა სხვადასხვაგვარია.

თანამედროვე პირობებში ადამიანს ყოველდღიურად საშუალოდ 2500 კილოკალორიის შემცველი რაციონი სჭირდება, ე.ი. მის მიერ მიღებული საკვების ენერგეტიკული ღირებულება 2500 კილოკალორია უნდა იყოს. ამავე დროს, გაანგარიშებანი გვიჩვენებს, რომ ყველაზე ბალანსირებული და მრავალფეროვანი კვების დროსაც კი ვიტამინების დეფიციტი რაციონში დაახლოებით 20-30%-ს შეადგენს.

ცალკეული ვიტამინის განსაკუთრებული დეფიციტი სადღეისოდ შედარებით იშვიათია. ბევრად უფრო ხშირია რამდენიმე ვიტამინის ერთდროული უკმარისობა – პოლიჰიპოვიტამინოზი, რაც ამჟამად ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დაავადებად მიიჩნევა და, თავის მხრივ, სხვა დაავადებების რისკფაქტორს წარმოადგენს.

პოლიჰიპოვიტამინოზი თითქმის კანონზომიერად ემართებათ სწრაფი ზრდის პერიოდში მყოფ ბავშვებსა და მოზარდებს, ხანდაზმულებს, მათ, ვინც მძიმე ფიზიკურ ან ნერვულ-ფსიქიკურ დატვირთვასა და სტრესებს განიცდიან, ორსულებსა და მეძუძურ დედებს, საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების მქონეთ, განსაკუთრებით – მათ, ვისაც ღვიძლი აქვთ დაზიანებული, მწეველებსა და ალკოჰოლის ჭარბად მომხმარებლებს (ასეთ ხალხს დარღვეული აქვს ვიტამინების შეთვისების უნარი და ბალანსი), ინფექციური სნეულებით დაავადებულებს, ხოლო გამოჯანმრთელების პერიოდში – იმ ადამიანებს, რომლებიც არასრულფასოვნად იკვებებიან, მძიმე ეკოლოგიურ პირობებში ცხოვრობენ, აქვთ ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები ან შაქრიანი დიაბეტი.

ჰიპოვიტამინოზისა და ამ მდგომარეობით განპირობებული დარღვევების დასაძლევად ვიტამინოთერაპიას მიმართავენ. თუ ადამიანს ამა თუ იმ ვიტამინის განსაკუთრებული დეფიციტი აღენიშნება, საჭიროა შენაცვლებითი თერაპია – შესაბამისი სამკურნალო პრეპარატის მაღალი დოზით შედარებით ხანმოკლე გამოყენება, პოლიჰიპოვიტამინოზის – მრავალი ვიტამინის ერთდროული ნაკლებობის – დროს კი მიზანშეწონილია პოლივიტამინების გამოყენება, რომლებ-

შიც დოზა ფიზიოლოგიური (ნორმალური) მოთხოვნილების შესატყვისი უნდა იყოს.

ვიტამინების სისტემატური, ხანგრძლივი, სადღეღამისო დოზების გადაჭარბებული მიღება სახიფათოა: ისევე, როგორც სხვა პრეპარატების დოზის გადაჭარბებისას, შეიძლება განვითარდეს მოშხამვა და ორგანიზმისთვის საზიანო ცვლილებები. განსაკუთრებით საშიშია ცხიმში ხსნადი ვიტამინები – მათ ორგანიზმში დაგროვება და ხანგრძლივი მოქმედების ტოქსიკური ეფექტი ახასიათებთ. არც C ვიტამინის გადამეტებული გამოყენებაა სავსებით უსაფრთხო.

სათქმელია ისიც, რომ ვიტამინების დიდი დოზით, არარაციონალურად მიღებამ შეიძლება შეცვალოს ორგანიზმში მათი ბალანსი, გააძლიეროს სხვა ვიტამინთა გამოყოფა და ჰიპოვიტამინოზის (ვიტამინების ნაკლოვანების) პროვოცირება მოახდინოს.

ამრიგად, დოზის გადაჭარბება ორგანიზმისთვის უკმარისობაზე არანაკლებ სახიფათოა. ასეთ მდგომარეობას ჰიპერვიტამინოზს ვუწოდებთ. საბედნიეროდ, ის ბევრად უფრო იშვიათია, მხოლოდ არასწორად დანიშვნისა და მიღებისას აღინიშნება, მაგრამ ამ საშიშროების უგულებელყოფა მაინც არ შეიძლება.

თანამედროვე პოლივიტამინურ პრეპარატებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია **ალვიტილს**. მას საფრანგეთში აწარმოებენ. ვიტამინების შემცველობა ამ პრეპარატში სადღეღამისო ნორმებს შეესაბამება და ჰიპერვიტამინოზის განვითარების რისკი, პრაქტიკულად, არ არსებობს. **ალვიტილი** შეიცავს სასიცოცხლოდ აუცილებელ 12 ვიტამინს (K ვიტამინის დეფიციტი, პრაქტიკულად, არ გვხვდება, ვინაიდან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის არა მხოლოდ საკვების მეშვეობით მიეწოდება ორგანიზმს, არამედ ნაწლავებშიც წარმოიქმნება, ამიტომაც მისი საყოველთაო გამოყენება მიზანშეწონილი არ არის).

ალვიტილი გამოდის ორი მოხერხებული ფორმით – ტაბლეტებისა და სიროფის სახით, რაც თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალური დოზის შერჩევის საშუალებას იძლევა. ბავშვებს 2,5 წლიდან სიროფი ენიშნებათ, 6-დან – აბები. პრეპარატის მიღება ყველა ასაკის პაციენტს შეუძლია, ასე რომ, ჰიპოვიტამინოზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის ის ოჯახის ნებისმიერ წევრს გამოადგება.

ალვიტილის სიროფი ასხია სპეციალურ ჭურჭელში, რომელსაც უნიკალური თვისებები აქვს: იგი ხსნარში არსებულ ვიტამინებს ჰაერის (ჟანგბადის) და სინათლის ზემოქმედებისგან იცავს. საქმე ის გახლავთ, რომ ეს ფაქტორები ვიტამინების სწრაფ დაშლას განაპირობებს.

პრეპარატი არ შეიცავს მინერალებს, რაც ასევე ფრიად მნიშვნელოვანია, ვინაიდან გამორიცხავს ამ ნივთიერებათა შესაძლო მომშხამველი მოქმედების რისკს. ორგანიზმისთვის მინერალებიც საჭიროა, მაგრამ თუ ორგანიზმში მათი შემცველობა არ ვიცით, რაც ასევე მრავალ ფაქტორზე, პირველ რიგში კი ეკოლოგიურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული, მათი დამატებითი მიღება შეიძლება არცთუ უვნებელი აღმოჩნდეს.

კლინიკურმა დაკვირვებებმა აჩვენა **ალვიტილის** მაღალი ეფექტურობა ჰიპოვიტამინოზის მკურნალობისა და პროფილაქტიკის თვალსაზრისით, გამოვლინდა ვიტამინების შემცველობის სარწმუნო მომატება პაციენტთა სისხლის შრატში. გვერდით ეფექტებს, ალერგიული რეაქციების ჩათვლით, პრეპარატი, პრაქტიკულად, არ იწვევს. **ალვიტილის** სხვა ფარმაკოლოგიურ საშუალებებთან ერთად გამოყენებისას არ გამოვლენილა არასასურველი მოვლენები, რომელიც შეიძლებოდა გამოეწვია ვიტამინური კომპონენტების სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედებას.

ალვიტილი ეფექტიანი აღმოჩნდა მრავალი სპეციფიკური მდგომარეობის დროს: ყურადღების დეფიციტის სინდრომის შემთხვევაში (რაც ბავშვთა ასაკში საკმოდ ხშირია), ხშირი ავადობისას (განსაკუთრებით – ბავშვებში), ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევისას. ამას გარდა, ეფექტურია სპორტსმენებისთვის, რომელთაც ფორმის გაუმჯობესება და მაღალი შედეგების მიღწევა სურთ.

დასასრულ კი დავძენდით, რომ პოლივიტამინების მიღება მიზანშეწონილია სადღეისოდ ერთობ გავრცელებული პოლიჰიპოვიტამინოზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის, ასაკობრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ინტელექტუალური და ფიზიკური სტრესის გადალახვის, შრომის უნარის ამაღლების მიზნით, უამრავი დაავადების სრულყოფილი მკურნალობისა და სრული რეაბილიტაციისთვის, მავნე ჩვევების უარყოფითი ზემოქმედების ნაწილობრივი კომპენსაციისთვის. პროფილაქტიკის მიზნით პერიოდულად – წელიწადში ორჯერ-სამჯერ

მაინც – ინიშნება ამ პრეპარატების საშუალოდ ერთთვიანი კურსი.

პრეპარატი **ალვიტილი** თანამედროვე პოლივიტამინურ პრეპარატებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა.

R

„სიყვარული მარადიულია. ის არც ჭკნება და არც კვდება“ — ასეთია მოსაზრება, რომლითაც 74 წლის შალვა ცხადაძე ხელმძღვანელობს. მან რამდენიმე თვის წინ ცოლად შეირთო 76 წლის ელენე აფხაზავა. ბატონი შალვა ის კაცია, რომელიც ბევრ ჭაბუკსაც კი, სიცოცხლის ხალისსა და სიყვარულით ტკბობის ხელოვნებას ასწავლის. არადა, მის ცხოვრებას ბევრი სიმწარეც ახლდა თან. მაგრამ განსაცდელმა ვერაფერი დააკლო მის გულს, რომელიც კვლავ ახალგაზრდულად ძგერს...

74 წლის შალვამ 76 წლის ელენე შეირთო

„თუ არ შეგვეძინა, შავშვს ავიყვანთ“

ლიკა ქაჯაია

— გლეხის ოჯახში დავიბადე. მამაჩემს 3 ცოლი ჰყავდა. მესამე, დედაჩემი იყო. ისიც ალბათ, იმიტომ შეინარჩუნა ბოლომდე, რომ 5 შვილი შეეძინა. ჩემი 2 და და ერთი ძმა პატარაობისას — 5-დან 8 წლამდე ასაკში დაიღუპნენ. მშობლებს მხოლოდ მე და ჩემი ერთ-ერთი ძმა შემოვრჩით. რამდენიმე წლის წინ, ისიც გარდაიცვალა. ყველამ მიმატოვა, მხოლოდ მე დავრჩი ამ ცოდვილ მიწაზე. ვიცი, რომ ახალგაზრდა აღარ ვარ, მაგრამ სწორედ ახლა ამიხდა ოცნება და ის ქალი შევირთე, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში, ყველასაგან მალულად მიყვარდა.

— როგორც ვიცი, მამათქვენს არც თქვენ ჩამორჩით და ქალბატონი ელენე თქვენი მეოთხე ცოლია...

— მართალია, მაგრამ ჩემს ცოლებს შორის, ყველაზე მეტად ელენე მიყვარს. ალბათ, იმიტომ, რომ ის ჩემთვის მიუწვდომელი, შორეული ვარსკვლავი იყო.

— რატომ იყო ქალიდან მიუწვდომელი?

— მეორე ცოლის შერთვის შემდეგ, ელენე რამდენიმე წელიწადში გავიცანი. როცა მისი (ეი. მესამე ცოლის) შერთვა გადავწყვიტე, ის უკვე გათხოვილი იყო. ჰოდა, შური ვიძიე და მისი დაქალი მოვიყვანე ცოლად...

— საოცრად დავიბენი. მოდით, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ: ვინ იყო თქვენი პირველი ცოლი და სად გაიცანით ის?

— სკოლის დამთავრების შემდეგ ჯარში წამიყვანეს. რუსეთში ცხოვრებამ, იქაურმა ქალებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ლენინგრადელი გოგო, სახელად ლენა შევირთე ცოლად. მახსოვს, ჩემი მშობლები ამას საშინლად განიცდიდნენ. თანაც, საქართველოში ჩამოსვლაზე არც ვფიქრობდი. გოგო გაგვიჩნდა და დედაჩემის პატივსაცემად, ვერა დავარქვი. ჯარი რომ მოვარე, ლენას საქართველოში წამოსვლა შევთავაზე, მაგრამ არ გამოგყვებიო — მიპასუხა... ერთხელაც, დეპეშა მივიღე, რომლითაც მამაჩემის სიკვდილს მისამბიმრებდნენ. გადავწყვიტე, გასვენების დღეს მანც ჩამომეწია. ბევრი ვეხვეწე ლენას — წამოდი-მეთქი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მითხრა: თუ ახლა წახვალ, უკან აღარ დაბრუნდეო. საშინლად ვიჩხუბეთ. წამოვედი და უკან აღარც მიმიხედავს. თუმცა, სიმართლე გითხრათ, შვილი ძალიან მენატრება ხოლმე.

— რატომ აღარ წახვედით?

— არ ვიცი. აქ ჩამოსულს, უკან ვინღა გამიშვებდა?! დედამ თავი მოიმკვდარუნა. ალბათ, იმ დროს, არც მე მიმიწევდა დიდად გული ცოლ-შვილისკენ. თანაც, მამის გასვენების დღეს, მეზობლის გოგონა მომეწონა, რომელიც ჩემზე 10 წლით უმცროსი იყო და რომლის არსებობა არც კი ვიცოდი მანამდე. გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ცოლად მომეყვანა.

— მაშინ რამდენი წლის იყავით?

— 26 წლის გახლდით. არ ვიყავი ცუდი ყმაწვილი. გოგოები ქუჩაში თვალს არ მაშორებდნენ და მეც მეტი რა მინდოდა?! მხოლოდ ეკას გულის დაპყრობა ვერ მოვახერხე. ზედაც არ მიყურებდა, ყოველ შემთხვევაში — მე ასე მეჩვენებოდა. მისი ცოლად შერთვა ძვირი დამიჯდა... რადგან ახლოს არ მიკარებდა, მე კი, დღე და ღამე მასზე ვფიქრობდი, ძმაკაცებმა შემომთავაზეს — მოვიტაცოთო. გეგმა იმ საღამოსვე შევიმუშავეთ, რადგან მშვენივრად ვიცოდი, როდის, სად ან ვისთან მიდიოდა ხოლმე. მართალია, მისი მოტაცება მეორე დღესვე ვერ მოვახერხეთ, მაგრამ მანც ჩემი გახდა. მანქანაში ჩავაგდეთ თუ არა, საშინელი წივილ-კივილი ატეხა. კივილზე სახლიდან მისი ძმა გამოვარდა და გაქანებულ მანქანას გამოეკიდა. თქვენ წარმოიდგინეთ — კინაღამ დაგვეწია!..

— თქვენ თქვით, რომ მისი ცოლად შერთვა ძვირად დაგიჯდათ. რა იგულისხმეთ?

— ეკა ნათესავებთან, ქუთაისში წავიყვანე. გაიშალა პურმარილი — აქაოდა, შალვამ ქართველი ქალი შეირთო ცოლადო! — და გაჩაღდა ქეიფი. ეკა შიშით მეკვროდა და სახლში წაყვანას მთხოვდა... 2 დღის შემდეგ, მის მშობლებს ჩვენი ადგილსამყოფელი შევატყობინეთ. გაცოფებულები მოვარდნენ — გოგო დაგვიბრუნეო! — მაგრამ სადღა წავიდოდა — საქმე დამთავრებული იყო... ამის გაგონებამ მისი ძმა ისე გააცოფა, რომ ცემა დამიწყო. ძლივს გამოჰგლეჯეს ხელიდან ჩემი თავი. ისე მირტყა, 2 კვირა ძვლებში მამტვრევდა.

— ამის შემდეგ, როგორი ურთიერთობა გქონდათ სიძე-ცოლისძმას?

— სხვათა შორის, მცემა თუ არა, სუფრას მიუჯდა და ჭიქაც ასწია — სიძეპატარძალს გაუმარჯოსო! მივხვდი, რომ ამ კაცთან საერთო ენას ვერ გამოვნახავდი და მთელი ცხოვრება თავს ვარიდებდი. ეკა, 28 წლის ასაკში, კიბოსგან გარდაიცვალა. მისგან შვილი არ დამრჩენია. მეგონა, ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ დრო მართლაც ყველაფრის მკურნალი ყოფილა...

— თქვენ თქვით — ელენე ჯერ კიდევ იმ დროს გავიცანი, როცა მეორე ცოლი მყავდაო?..

— დიახ. მე და ეკა დასასვენებლად კურორტ ლებარდეში წავედით. სწორედ იქ

კეთილი ადამიანების დახმარებით ბატონი შალვას სურათების მოპოვება მანც შეეძელითო

გავიცანი ქერათმიანი ელენე. ის ქალღმერთივით იდგა სხვა გოგონებს შორის. ამან თავბრუ დამასხვა. აღმოჩნდა, რომ იმ სახლში ვიქირავეთ ბინა, სადაც ეს გოგონა ცხოვრობდა. ერთმანეთი გავიცანით. ქალებმა საერთო ენა მალე გამონახეს. რამდენიმე დღეში კი, უკვე ერთად ვსეირნობდით, ვერთობოდით. ამ დროს, ჩემი ცოლი უკვე დაავადებული იყო და ელენეც თანაგვიგრძნობდა. ქერათმიანი ქალღმერთის ყურებაში დრო უცებ გადიოდა. მისი ახლოს ყოფნა მახარებდა და სიმართლე გითხრათ, ასეთმა გრძნობამ პირველად შემიპყრო. მივხვდი, რომ ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება — შეყვარება და არა გატაცება. ჩემი ცოლი ამას ვერც კი ამჩნევდა. ვხვდებოდი, ელენეც დაინტერესდა ჩემით. როცა ეკა დასაწოლად წავიდოდა, მე და ელენე ერთად ვრჩებოდით. მს შეყვარებული არ ჰყავდა და ისეთ ადამიანზე ოცნე-

ბობდა, როგორიც მე ვიყავი *(იცინის)*... ელენე, ლებარდედან ჩვენზე ადრე წამოვიდა. წამოსვლის წინ, თბილისის მისამართები გავცვალეთ და ქალაქში ჩამოსულები, ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით. ბოლო წელს, როცა ეკა ძალიან ცუდად იყო, ელენესთვის ნამდვილად აღარ მეცალა. ცოლი სამკურნალოდ რუსეთში წავიყვანე. თუმცა, არაფერმა უშველა და დავქვრივდი...

ქ-ნი ელენე:

— მართალია, ლებარდეში ერთმანეთს ძალიან დავუახლოვდით, მაგრამ შალვა ისე ჰყვება, თითქოს მეც ისე ვუყურებდი, როგორც მამაკაცს. მე ის მეგობრად მიმაჩნდა და მასთან საუბარი სიამოვნებას მანიჭებდა. შეხედეთ ერთი, თურმე რას ფიქრობდა ჩემზე!.. რომ მყვარებოდა, სხვაზე არ გავთხოვდებოდი.

ბ-ნი შალვა:

— რაღას დამელოდებოდი?!. მე თითქოს დავიკარგე შენი ცხოვრებიდან. აღარ გეკონტაქტებოდი. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ამ დროს ეკა კვდებოდა.

ქ-ნი ელენე:

— რა სისულელეა! მე ვიცოდი, სადაც იყავით და ეკას სიცოცხლისათვის ვლოცულობდი... სწორედ, ამ დროს გამომიჩნდა საქმრო და მეც გავყევი ცოლად. შენზე არც კი ვფიქრობდი. მაგრამ აღარ შემეშვი — ქვრივმა ჩემს სახლში დაიწყე სიარული...

ბ-ნი შალვა:

— ეს სიმართლეა. ელენეს სახლში მისულს, გამომიცხადეს — გათხოვდაო და მისამართიც მომცეს. იმ დღესვე მივედი მათთან. მართალია, ახალი ცოლ-ქმარი დავლოცე, მაგრამ გული ბოღმით ამევსო. მთელი სამყარო შემძულდა, რადგან ელენე მომტაცეს. საყვარელი ქალღმერთი ჩემს დამშვიდებას ცდილობდა, მეუბნებოდა, რომ ცხოვრება წინა გვაქვს და ყველაფერი კარგად იქნებაო... ვუსმენდი, ვხვდებოდი, რომ ჩემ მიმართ გულგრილი არ იყო და მისთვის სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტე.

— სამაგიერო როგორ უნდა გადაგეხადათ?

— ჯერ არ ვიცოდი, რა უნდა მექნა, მაგრამ ვფიქრობდი, რომ გზას დრო მაპოვნინებდა და მართალიც აღმოჩნდი. ჩემი დაქვრივებიდან 2 წლის შემდეგ, ელენეს შვილი შეეძინა. მისალოცად მისულს, სტუმრები დამხვდნენ. იქ იყო ელენეს მეგობარიც — ნინა. საოცრად მომხიბვლელი, წყნარი, სანდომიანი ქალი. გადაწყვიტე, ცოლად შემერთო — ასე 2 ჩიტს დავიჭერდი: გვერდით მეყოლებოდა ისეთი ადამიანი, რომელიც სიამოვნებას მომანიჭებდა და მეორე — ამით ელენეს გავაღიზიანებდი... ნინას გულის მოგება საოცრად ძნელი აღმოჩნდა, მაგრამ 5-6 წლის მეგობრობის შემდეგ, მაინც გამომყვა ცოლად.

— ქალბატონო ელენე, ეს ამბავი რომ შეიტყვეთ, გული არ დაგწყდათ?

— გული რატომ დამწყდებოდა?.. მათ

...ნინა უკვე შინაბერად ითვლებოდა — 40 წლის იყო

ამბავს მეც ვუწყობდი ხელს... ნინას მშობლებმა რომ გაიგეს, შალვას 2 ცოლი ჰყავდა გამოცვლილიო, კინაღამ გაგიჟდნენ. მათ შეხვედრებს ხელს უშლიდნენ. მე კი, ამ უმადურს, ხელს ვუწყობდი!..

ბ-ნი შალვა:

— არ ვარ უმადური. შენი მადლიერი რომ ვიყავი, იმიტომაც მოგიყვანე ცოლად. თანაც, ნინა უკვე შინაბერად ითვლებოდა — 40 წლის იყო და ამიტომაც მომათხოვეს.

— თქვენ რამდენი წლის იყავით ამ დროს?

— 41-42 წლის, ზუსტად არ მახსოვს.

— როგორ წარიმართა თქვენი და ნინას ცხოვრება?

— 18 წელი სიამტკბილობაში გავატარეთ. ის ყველანაირად მიგებდა. არაჩვეულებრივი ქალი იყო. ნინაც კიბოს მსხვერპლი გახდა...

— ამ ხნის განმავლობაში, თქვენ და ქალბატონ ელენეს როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— ერთმანეთის ოჯახებს ხშირად ვსტუმრობდით. მეუღლეებისგან ფარულად, სიყვარულიც გვწვავდა... ნინას სიკვდილის შემდეგ, ელენესაც უბედურება შეემთხვა — ქმარ-შვილი ავტოკატასტროფაში დაეღუპა და სრულიად მარტო დარჩა. სახლში ჩაიკეტა. ველარ ვნახულობდი. სულ მის ქუჩაზე მიმოვდიოდი — იქნებ, როგორმე მაინც შევეჭეხო-მეთქი, — ვფიქრობდი.

— რატომ? შინ მისვლას გიკრძალავდათ?

— არა, მაგრამ თვითონ ვერიდებოდი, თავს უხერხულად ვგრძნობდი. მხოლოდ ტელეფონით ვესაუბრებოდით ხოლმე ერთმანეთს.

— მაგრამ ბოლოს, მაინც თქვენ გაიტანეთ. ეს როგორღა მოხდა?

— მხოლოდ 2 წლის წინ გავუბედე თქმა — ცოლად გამომყევი-მეთქი. კინაღამ გაგიჟდა. ამხელა კაცი როგორ გამოჩერჩეტდიო?! — მითხრა, მაგრამ მივხვდი, რომ ესამოვნა... ამ 2 წლის განმავლობაში, ყოველდღე ვურეკავდი და ჩემთან გადმოსვლას ვთხოვდი.

ქ-ნი ელენე:

— თავიდან რომ მითხრა, ვიფიქრე, გაგიჟდა-მეთქი. რას იტყოდნენ ნათესავები, ხალხი?.. რამ გამოაშტერა ეს საცოდავებიო?!.

ეკა ნათესავებთან, ქუთაისში წავიყვანე...

— მაგრამ ხომ მაინც გაჰყევით!

— ამის მიზეზი ის იყო, რომ ხანში შესული ქალის მოვლა არავის უნდა. ბოლოს გადავწყვიტე — ძველი სიყვარულის პატივსაცემად გავყვები, ერთმანეთს მოვუვლით და დავეხმარებით-მეთქი. სხვათა შორის, ცოლობა რომ მთხოვა, იმ დღეს ლექსიც მომიძღვნა. შალვა, წაუკითხე გოგონას ლექსი.

ბ-ნი შალვა:

— მთელი ცხოვრება მიყვარდი,
მთელი ცხოვრება გელი,
სიყმაწვილეს რომ გადაველ,
მერე გაგითბე ხელი.
მიყვარხარ, ჩემო ელენე,
და არ გაგიშვებ არსად,
ჩემ გვერდით მინდა, გიხილო,
უბერებელო ქალავ!

მაგრამ, როცა გამომყვა, მერე ლექსიც მივუძღვენი. თუ გინდათ, იმსაც წაგიკითხავთ.

— რა თქმა უნდა. გისმენთ.

— ნატვრა ამიხდა, ასრულდა,
ის, რაც მეწადა გულით,
50 წელს ველოდი
ამ დღის დადგომას, ცრემლით.
ღამეებს ველარ ვიტანდი,
შენ ვერ გხედავდი რადგან;
ახლა კი, ღამე სამოთხედ
გადამიქციე, ქალავ.

— თქვენ რომ გისმენთ, მგონია, რომ სიყვარული მართლაც, მარადიულია...

— მარადიულიც და უჭკნობიც!.. ამბობენ, ასაკის მომატება, საშინელებაა. მე ასე არ ვფიქრობ. ასაკის მომატებასთან ერთად, სიცოცხლე კი არ მომაკლდა, არამედ მომემატა... მე და ელენეს გადაწყვეტილი გვაქვს — თუ, რა თქმა უნდა, ამას ღმერთიც ინებებს — ბავშვი გავაჩინოთ. მე მხოლოდ ერთი ქალიშვილი მყავს, რომელიც წლების განმავლობაში არ მინახავს; მენატრება, თუმცა ვიცი, რომ ის მამად ვერ აღმიქვამს. არც ელენეს ჰყავს შვილი. თუ არ შეგვეძინა, მაშინ აუცილებლად ავიყვანთ ბავშვს და ის იქნება ჩვენი სიყვარულის ნაყოფი...

P.S. ბატონმა შალვამ და ქალბატონმა ელენემ სურათის გადაღებაზე უარი განაცხადეს — არასწორად გაგვიგებენო. თუმცა კეთილი ადამიანების დახმარებით ბატონი შალვას, ნინას და ეკას ახალგაზრდობის დროინდელი სურათების მოპოვება მაინც შევძელით. ■

როგორ განათდა მუცო და...

ქალი, რომელსაც ტელევიზორი არ უნახავს

როდესაც სახლებში მშვიდად ვსხედვართ და უეცრად გამორთული ელექტროენერგიის გამო „ლოცვა-კურთხევას“ ვუგზავნით მავანთ და მავანთ, წარმოდგენაც არ გვაქვს იმის შესახებ, რომ საქართველოში დღესაც არსებობს ისეთი სოფლები, სადაც დენი არასოდეს ყოფილა და „ილიჩის ნათურა“ იქაურებისთვის მხოლოდ მიუწვდომელ ფუფუნებად ქცეულა. აქედან გამომდინარე, იმავე სოფლებში ცხოვრობს ხალხი, რომელთაც ტელევიზორის შესახებ მხოლოდ ის იციან, რომ არსებობს ქვეყნად ასეთი ჯადოსნური ყუთი, რომელიც საინტერესო ამბებს აჩვენებს...

მარი ჯაფარიძე

*შარშან ზაფხულში, ერთ-ერთი ასეთი სოფელი – მუცო განათდა. როგორი რეაქცია ჰქონდათ იქაურ მცხოვრებთ, რა საშუალებით მოხერხდა ამის მიღწევა და რატომ არ იხდიან ისინი ელექტროენერგიის საფასურს – ყოველივე ამის შესახებ ამ მადლიანი საქმის წამომწყებსა და სულისჩამდგმელს, ბატონ **კოტე კოგანიძეს** ვესაუბრეთ. ბატონი კოტე კავშირის – „მზე და დედამიწა“ – ხელმძღვანელი გახლავთ, წლების განმავლობაში სოხუმში, საიდუმლო დაწესებულებაში მუშაობდა და მუცოსა და შატილთან ახალგაზრდული მოგონებებიც აკავშირებს.*

– „მზე და დედამიწა“ გახლავთ არასამთავრობო, არაკომერციული, გარემოს დაცვის ორგანიზაცია. მისი მიზანია, ენერგიის ალტერნატიული წყაროების პოპულარიზაცია და დანერგვა. მე პროფესიით ფიზიკოსი ვარ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გამანაწილეს სოხუმში, ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში. 6 თვის განმავლობაში სწავლობდნენ ჩემი და ჩემი წინაპრების ბიოგრაფიას და მხოლოდ ამის შემდეგ მომცეს უფლება, დამეწყო მუშაობა, რადგან ეს ორგანიზაცია ძალზე გასაიდუმლოებული გახლდათ. ინსტიტუტი კოსმოსის შესწავლისა და სახელმწიფოს თავდაცვის საქმეს ემსახურებოდა. 1946 წელს, სტალინმა გერმანიიდან ჩამოატანინა მთელი კვლევითი ცენტრი, თავისი ლაბორატორიით, დანადგარებით, მაგიდებითა და ყველა საჭირო ინვენტარით – მთელი დაწესებულება გერმანიიდან „აიღო“ და სოხუმში „გადმოდგა“!.. თავდაპირველად, იქ მუშაობდნენ ტყვე გერმანელები, რომლებიც სამშობლოშიც ამ ორგანიზაციაში იყვნენ დასაქმებულნი. ლაბორანტებიდან დაწყებული, მეცნიერებით დამთავრებული, ყველანი გერმანელები გახლდნენ. მათ შორის, ცნობილი მეცნიერებიც იყვნენ, ერთ-ერთი კი – ნობელის პრემიის ლაურეატი. მათთან ერთად მუშაობდნენ ქართველი და რუსი მეცნიერებიც. საბჭოთა კავშირში პირველად, ამ ინსტიტუტში მოხდა ურანის გაყოფა. ამის შემდგომ დაიწყო ინტენსიური მუშაობა ატომური ბომბის შექმნაზე. ჩვენთან ხდებოდა ბომბის შესაქმნელად საჭირო ნივთიერებათა წარმოება, შემდეგ სხვაგან მიჰქონდათ. გერმანელი ტყვეები 50-იანი წლების ბოლოს, სამშობლოში დააბრუნეს.

— მაშინდელ ხელისუფლებას იმის შიში არ ჰქონდა, რომ ეს გერმანელები სახელმწიფო საიდუმლოს გათქვამდნენ?

– ყველანაირი საიდუმლო ინფორმაცია 5 წელიწადში ძველდება და მისი გამჟღავნება არანაირ საშიშროებას აღარ წარმოადგენს. ამ ინსტიტუტში 1977 წლიდან ვმუშაობდი. ეს გახლდათ ნამდვილი ზონა, სამმაგი დაცვით: შენობა გარშემორტყმული იყო მავთულხლართების სამი რიგით, რომელშიც დენის მაღალი ძაბვა გადიოდა. ცხადია, იარაღიანი ჯარისკაცებიც საგულდაგულოდ იცავდნენ ტერიტორიას. ამისთვის სპეციალურად არჩევდნენ შუაზიელ ბიჭებს, რომლებმაც რუსული არ იცოდნენ, რომ თანამშრომლებთან კონტაქტში არ შესულიყვნენ.

— ალბათ თქვენც გამუდმებით კონტროლისა და მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდით, ხომ?

– რა თქმა უნდა. ერთი წუთითაც ვერ დაგვიანებდი სამსახურში. დილით ჩამოვლიდა სპეციალური ავტობუსი, რომელსაც თანამშრომლები სამსახურამდე მიჰყავდა. საღამოს, ასევე დაგვარიგებდნენ შინ, თუ საღამოს ქალაქში გაისეირნებდი და საეჭვო რეპუტაციის ადამიანს ან უცხოელ ტურისტს დაელაპარაკებოდი, მეორე დღეს სასტიკად გაფრთხილებდნენ, რომ ეს აღარ გამეორებულიყო. ქუჩაშიც კი მუდმივად გვითვალთვალებდნენ.

— ვინმეს რომ ეკითხა — სად მუშაობო? — უნდა გეპასუხათ?

– იმას ხომ არ ვეტყოდი, ბომბს ვაკეთებ-მეთქი!.. სასტიკად გვქონდა აკრძალული, გვეთქვა, სად ვმუშაობდით. უნდა მოგვეტყუებინა ცნობისმოყვარე მოსაუბრე, თანაც, იცით, როგორ? პასუხი დაახლოებით ასე ჟღერდა – ვმუშაობ №1 ობიექტზე და კარტოფილს ვთლი.

— საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების უფლება თუ გქონდათ?

– დიახ, გარდა იმისა, რომ ხშირად

ვთქვი — 20 წლის წინ, ამ სახლში ვიქეიფე-მეთქი. ქალბატონი გამომელაპარაკა და მითხრა — ეს ჩემი ქორწილი იყოო!..

გვიწევდა მივლინებაში წასვლა, შეგვეძლო, დასასვენებლად ან პირადი საქმის გამო, ნებისმიერ ქალაქში გამგზავრება, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, იქაც გვითვალთვალებდნენ. საზღვარგარეთ წასვლის უფლება არ გვქონდა.

— გარდა ბომბის მასალისა, კიდევ რას აკეთებდით?

— ატომი რომ „მოათვინიერეს“ და მისი მართვა შეძლეს, ამის შემდგომ დაიწყო მუშაობა ენერგიის ავტომატური წყაროს შექმნაზე. რადიაციული ენერგია უწყვეტი სითბოს წყარო გახლავთ. გემახსოვრებათ, სამეგრელოში მომხდარი ფაქტი, როდესაც მონადირეები ტყეში წააწყდნენ ტყვიის კონტეინერს. შენიშნეს, რომ მის გარშემო თოვლი დამდნარი იყო. ახლოს რომ მივიდნენ, ნახეს, რომ კონტეინერი სითბოს გამოსცემდა. მონადირეები გათბნენ ამ კონტეინერთან, რამდენიმე ხნის შემდეგ კი, ძლიერი დამწვრობის ნიშნები გამოაჩნდათ. ყველა მათგანი ავად არის. იმ წუთში ვერ გრძნობ, რომ დამწვრობას იღებ. ეს რამდენიმე დღის შემდეგ ვლინდება. მათ მიიღეს ძლიერი რადიაციული დასხივება, რომელიც ორგანიზმისთვის მომაკვდინებელია. ჩვენს ინსტიტუტში ხდებოდა ამ სითბოს გარდაქმნა ელექტროენერგიად. მაგალითად, „პარტიზანსკი კატიოლს“ ვამზადებდით. ეს გახლავთ ჩვეულებრივი საველე ქვაბი, რომელსაც პარტიზანები და ჯარისკაცები იყენებენ. ამ ქვაბის ძირზე მოთავსებულია სპეციალური თერმოგენერატორი. ქვაბში ჩაასხამთ წყალს, შემოდგამთ ცეცხლზე და შეგიძლიათ, სპეციალური სადენის მეშვეობით, გაანათოთ ნათურა ან რაიმე ხელსაწყო — ე.ი. ჩვეულებრივ დენს იღებთ. ასევე არსებობს სპეციალური მოწყობილობა, რომელსაც ჩამოაცვამთ ანთებული, ჩვეულებრივი ლამპის შუშაზე. ეს მოწყობილობა გამოყოფილ სითბოს გარდაქმნის ელექტროენერგიად, რომელსაც შეუძლია გაანათოს ნათურა. ეს მეთოდი ასევე გამოიყენება საზღვაო ნავიგაციის სფეროში. შუქურა, რომელიც ნაპირიდან საკმაოდ მოშორებითაა, სწორედ ასეთი დენის წყაროთი მოქმედებს. ერთხელ დამუხტავთ და 20 წელი, შეუფერხებლად მუშაობს.

— საუბრის დასაწყისში მითხარით, რომ პირქითა ხევსურეთის სოფელი მუცო გაგინათებიათ. იქაც ეს ტექნოლოგია ხომ არ გამოგიყენებიათ?

— არა. მუცოს მცხოვრებთათვის ელექტროენერგიის მიცემა, მზის ენერგიის გამოყენებით მოვახერხეთ. მუცოში სულ 9 კომლი ცხოვრობს. მათ დენი არასოდეს ჰქონიათ, ტელევიზორზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენ გავაკეთეთ პროექტი, აღვწერეთ მათი პრობლემები და ნიდერლანდების საელჩოში შევიტანეთ. ამ ქვეყნის მთავრობამ მიიჩნია, რომ

მუცოში ასეთი სადგური მხოლოდ ერთ ადგილზე დავამონტაჟეთ.

ჩვენი პროექტის დაფინანსება აუცილებელი იყო და საჭირო თანხა გამოყვეს. პროექტი უნდა განხორციელებულიყო 4 თვეში, მაგრამ ჩვენ 2 თვეში მოვახერხეთ სამუშაოს დამთავრება: თანხა ოქტომბრის დასაწყისში გამოიყო. რომ დაგვეგვიანებინა, თოვლის გამო ხევსურეთში გამოზამთრება მოგვიწევდა. თითოეულ ოჯახს დავუმონტაჟეთ ინდივიდუალური, 40-ვატიანი მიკროსადგური, რომელიც 3 ნათურას თავისუფლად ჰყოფნის. ერთი ნათურა დავუმონტაჟეთ იმ ოთახში, სადაც ოჯახი მთელ დღეს ატარებს, მეორე — საკუჭნაოში ან საძინებელში, მესამე — ბოსელში. თავდაპირველად, ბოსელში არ უნდოდათ ნათურის დაყენება, — ძროხები დაფრთხებიანო, — გვეუბნებოდნენ, მაგრამ მერე კმაყოფილნიც დარჩნენ, რომ ჭრაქის შუქზე აღარ უხდებათ ძროხის მოწველა.

— მიკროსადგურის საშუალებით ელექტროხელსაწყოების ჩართვაც შესაძლებელია?

— ინდივიდუალურ სადგურზე შეიძლება ამუშაო: მიქსერი, პირის საპარსი, რადიომიმღები, მაგრამ იმისათვის, რომ უთო და ტელევიზორი ჩართო, უფრო მძლავრი — 320-ვატიანი სადგურია საჭირო. მუცოში ასეთი სადგური მხოლოდ ერთ ადგილზე დავამონტაჟეთ. რაც შეეხება ტელევიზორს — იქაურებს შევთავაზეთ, მოეთათბირათ და გადაეწყვიტათ, რომელ ოჯახში მოიყრიდნენ ხოლმე თავს ტელევიზორის საყურებლად. მათი გადაწყვეტილების მიხედვით, ერთ ოჯახში გავაკეთეთ ტელეცენტრი. საღამოობით მთელი სოფელი იქ იკრიბება და ტელევიზორს უყურებს. სოფელში ცხოვრობს 90 წლის ქალბატონი, რომელსაც ტელევიზორი თვალითაც არ ჰქონდა ნანახი. უნდა გენახათ, როგორი ინტერესით მისჩერებოდა ეკრანს. რამდენიმე დღის წინ, ამ ქალბატონის შვილმა დამირეკა და მთხოვა, დედამისს დავუმონტაჟოთ დიდი სიმძლავრის ელექტროსადგური, რომ ტელევიზორს შინ უყუროს. შესრულებული სამუშაოს საფასური თვითონ უნდა გადაიხადოს. სხვათა შორის, იქ საკმაოდ შეძლებული ოჯახები ცხოვრობენ. ფული არ აქვთ, მაგრამ აქვთ დიდი რაოდენობით თაფლი, მატყლი, ყველი...

— მიკროსადგურის მიერ გამომუშავებული ენერგიის რაოდენობა ამინდზე ხომ არ არის დამოკიდებული?

— რა თქმა უნდა, არის. თუ მზიანი ამინდია, მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, ღრუბლიან ამინდში — ნაკლებს, მაგრამ თუ ცუდი ამინდი 5 დღეს გასტანს, დენი მაინც იქნება. შესაძლებელია, გამომუშავებული ენერგია სრულად არ დაიხარჯოს და მოხდეს მისი დაგროვება და შენახვა. არც დენის გადასახადს გადაიხდიან და არც არავინ გამოურთავს სინათლეს. ეს მართლაც კარგი საქმეა, რადგან სოფელი 6-7 თვის განმავლობაში მოწყვეტილია გარემოს.

— მოსახლეობა როგორ ხვდებოდა თქვენს გამოჩენას სოფელში?

— მოსახლეობას რომ ავუხსენით, რის გაკეთებას ვაპირებდით, თავიდან გაოგნებულები გვიყურებდნენ, ალბათ გიჟები ვეგ-

ტესტი

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. ვის ეკუთვნის სიტყვები: „კატორღა ის ადგილია, სადაც შრომა ვერ აერთიანებს ადამიანებს“?

ა) ვლადიმირ ლენინს;
ბ) ანტუან ეგზიუპერის;
გ) ფრიდრიხ ენგელსს.

2. წალკაში ადგილობრივმა გერძნეგმა სტალინის ძეგლი აიღეს და მის ადგილას დადგეს:

ა) არისტოტელეს ძეგლი;
ბ) კარტოფილის ძეგლი;
გ) ედუარ შევარდნაძის ძეგლი.

3. რას ეძახიან ფრინველის ან ძვეწარმავლის ახალგამოჩეკილ მართვეს, წიწილას თუ ბარტყს?

ა) სინსილას;
ბ) ბახალას;
გ) ჩოკინას.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

უნდა გენახათ, როგორი ინტერესით მისჩერებოდა ეკრანს. რამდენიმე დღის წინ, ამ ქალბატონის შვილმა დამირეკა...

ონეთ... მერე გვიყვებოდნენ, რომ ჰგონებიათ – ვიღაც ხმების მაძიებელი დეპუტატია ჩასული და ზღაპრულ დაპირებებს იძლევაო, – მაგრამ შედეგი რომ ნახეს, ძალზე გაიხარეს. უკვე გითხარით, რომ აფხაზეთში ვცხოვრობდი. ჩემი მეუღლეც სოხუმელი გახლავთ. 1981 წელს, როდესაც შევუღლდით, გადავწყვიტეთ, საქორწინო მოგზაურობა შატილში მოგვეწყო. თან გვახლდნენ მეჯვარები და რამდენიმე მეგობარი. შატილში გადავიხადეთ 7-კაციანი ქორწილი. გზად დაგვემგზავრა ახალგაზრდა გოგო, რომელიც მუცოში მიდიოდა. რომ გაიგო, ახალდაქორწინებულები ვიყავით, გვითხრა – შაბათს ჩემი ქორწილია, აუცილებლად მეწვიეთო, – თან აგვიხსნა, მუცოში როგორ უნდა ჩავსულიყავით. მართლაც, მთელი დღე ვიარეთ ფეხით, ვიდრე ქორწილში მოვხვდებოდით. კარგი დრო გავატარეთ. მას შემდეგ, 20 წელზე მეტია გასული. შარშან, მუცოში რომ ჩავედით, ის სახლი ვიცანი, სადაც ქორწილში ვიყავით მიწვეული და ვთქვი – 20 წლის წინ, ამ სახლში ვიქეიფე-მეთქი. ქალბატონი გამომელაპარაკა და მითხრა – ეს ჩემი ქორწილი იყო!.. მას მეუღლე 5 წლის წინ დაღუპვია, ამ ზამთარს კი, ჯვრის უღელტეხილზე ფეხით გადმოსვლისას, მისი ვაჟი ქარბუქმა გაგუდა, გაიყინა და დაიღუპა... წლების წინ ხომ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ამ ოჯახის ამბავს ასე დაწვრილებით გავიგებდი, მუცოში მოვხვდებოდი და თანაც, ასეთი საქმის გამო...

— თქვენს წამოწყებას ქართველი მეცენატები ხომ არ გამოხმაურებიან?

– ჩვენი საქმიანობის შესახებ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს შეუტყვია. საპატრიარქომ მოგვმართა თხოვნით, რომ მზის ელექტროსადგურები დაგვემონტაჟებინა 10 მონასტერში, რომლებიც ძალზე მიუდგომელ ადგილებში მდებარეობს და ელექტროხაზების გაყვანა შეუძლებელია. დავბეჭდეთ ფურცელზე ინფორმაცია ჩვენ შესახებ, დავურთეთ პატრიარქის წერილი, „მივაწებეთ“ ჩვენი თხოვნა, შევარჩიეთ საქართველოში 10 უმდიდრესი პიროვნება – დაწყებული ასლან აბაშიძით, დამთავრებული გოგი თოფაძით – და დავუგზავნეთ, მაგრამ არც ერთისგან პასუხი არ მიგვიღია. ერთ მონასტერში ჩვენი ხარჯებით დავამონტაჟეთ ელექტროსადგური. შემდეგ, სრულიად შემთხვევით გავიცანით უცხოელი ქალბატონი – ჩვენი ნაცნობის ნაცნობი და ვუამბეთ ჩვენი საქმიანობის შესახებ. ამ ქალბატონმა საკუთარ თავზე აიღო 4 მონასტრისთვის საჭირო ხარჯების გაწევა და შეასრულა კიდეც პირობა. შემდეგ გამოჩნდა ახალგაზრდა ქართველი კაცი, რომელსაც არცთუ ისე დიდი ბიზნესი აქვს და დანარჩენი 5 მონასტრისთვის მან გაიღო თანხა. მან ვინაობის გამხელაც კი არ ისურვა, ისე გააკეთა კეთილი საქმე...

— ახლა რას საქმიანობთ?

– ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის გაყვანის პროექტში ჩაწერილია მუხლი, რომლის თანახმადაც, მილსადენის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის სოციალური დონე უნდა ამაღლდეს. ამის გამო, რამდენიმე სოფლის სკოლაში კომპიუტერული კლასები უნდა გაიხსნას, მაგრამ იქ არ არის დენი. დაგვევალა, დავუმონტაჟოთ სამი სოფლის სკოლას მზის ელექტროსადგური. ახლა ვაკეთებთ წალკაში. ბაკურიანში კი 30 დეკემბერს დავამთავრეთ სამუშაოები. ამ პროექტის განხორციელებისთვის გარკვეულ ანაზღაურებას გვაძლევენ, მაგრამ ზოგიერთ პროექტში კონკრეტულადაა მითითებული, რომ არც ერთი თეთრი არ უნდა იქნას გამოყენებული სახელფასო ფონდისთვის...

■

საოცნებო 9-ოთახიანი სახლი, რომელიც მთელ ჭლიანეკას ლაიტკვს...

მომხიბვლელი მსახიობი ეკა ანდრონიკაშვილი თავს გემოვნებიან ქალბატონად მიიჩნევს. უყვარს აღმოსავლური ნივთები, ლამაზად ჩაცმა და გემრიელი კერძების მომზადება. ოცნებობს საკუთარ სახლზე, რომელშიც 9 ოთახი იქნება...

ეკა მინდაძე

— ეკა, შენი აზრით, ოჯახდენს გავლენას გემოვნების ჩამოყალიბებაზე?

— პირველ რიგში, ალბათ გენეტიკა, ხოლო შემდეგ — ოჯახი და გარემო, სადაც ადამიანი იზრდება და ყალიბდება. შეიძლება, გემოვნებიანი დაიბადო, მაგრამ მერე, რადიკალურად შეგეცვალოს გემოვნება რაღაცის ან ვიღაცის გამო. ზუსტად ასეთები არიან ჰიპები: ისინი საკმაოდ შეძლებული ოჯახებიდან არიან, მაგრამ შემდეგ მოხეტიალე ცხოვრებას ირჩევენ...

— ამბობენ, გემოვნებაზე არ დაობენო...

— მგონი, ყველაზე მეტს გემოვნებაზე დაობენ. ამის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია.

— პირადად შენს გემოვნებიან ადამიანად ჩამოყალიბებაში რა იყო გადამწყვეტი?

— პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ოჯახი.

— რა ასაკიდან დაიწყე დამოუკიდებლად ჩაცმა?

— მე-7 კლასიდან უკვე საკუთარი აზრი მქონდა ჩაცმულობაზე. აქედან გამომდინარე, მე და დედას ჩაცმის სტილზე არაერთხელ მოგვსვლია კამათი. მინდა გითხრა, რომ დღემდე გრძელდება იმის მცდელობა, ჩემს ჩაცმულობაში რაღაც შესწორება შეიტანოს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, მას აღარ ვუჯერებ. თუმცა, ყოფილა შემთხვევა, რომ მისი აზრიც გამითვალისწინებია.

— შენ თუ ერევი შვილის ჩაცმულობაში?

— რა თქმა უნდა. მაგრამ უკვე ისიც ერევა ხოლმე ჩემს ჩაცმულობაში და, სხვათა შორის, კომპეტენტურადაც. მინდა აღვნიშნო, რომ უმეტეს შემთხვევაში, ჩემი შეძენილი ესა თუ ის სამოსი, მას არ მოსწონს. ასევე ვარ მეც: ზოგჯერ არც მე მომწონს მისი შერჩეული სტილი. ამჟამად მას და მის მეგობრებს ჩემთვის მიუღებელი სტილი აქვთ. ისინი ყველანი დადიან გრძელი თმით. მე ეს არ მომწონს.

— შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია გემოვნების ჩამოსაყალიბებლად ლიტერატურის კითხვა?

— რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. პირადად მე, ძალიან დიდი ბიძგი მომცა ლიტერატურამ გემოვნების ჩამოყალიბებასა და სტილის მიგნებაში.

— ბავშვობაში რომელმა ლიტერატურულმა ნაწარმოებმა მოახდინა შენზე განსაკუთრებული გავლენა?

— იმ ზღაპრების მერე, რომლებსაც დედა მიკითხავდა, მახსოვს, პირველად მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“ წავიკითხე. მან ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. გემოვნების ჩამოყალიბებაშ,ი რა თქმა უნდა, დიდი როლი ითამაშა იმ საქმემ, რომელსაც ვემსახურები. მაგრამ გარდა თეატრისა და კინოსი, ამას ცხადია, მუსიკამ და მხატვრობამაც შეუწყო ხელი.

— რა სტილის მუსიკას გამოარჩევდი?

— მე ყველანაირი მუსიკის მოსმენა მსიამოვნებს, რეპი იქნება ეს, ჯაზი, ელექტრონული მუსიკა თუ კლასიკური.

— ქართველი მუსიკოსებიდან რომელია შენთვის საინტერესო?

— დღევანდელ ქართულ ესტრადაში ზოგიერთი ჩემთვის ნაკლებად საინტერესოა. ნიჭიერება ყოველთვის მხიბლავს. მიყვარს და მომწონს ნიაზ დიასამიძის სტილი. მომწონს აგრეთვე: აჩიკო გულედანი, ნინო ქათამაძე, ირაკლი ჩარკვიანი და კაბუ.

— ვინაიდან ხატვა ძალიან გიყვარს, ალბათ, საყვარელი მხატვარიც გეყოლება...

— ძალიან მიყვარს ლეონარდო და ვინჩი და სალვადორ დალი.

— ეკა, რატომ აირჩიე მსახიობობა?

— ალბათ იმიტომ, რომ მსახიობის პროფესია ყველაფერს ერთად მოიცავს: ის მხატვარიც არის, მუსიკოსიც და მოცეკვავეც. მსახიობი პლასტილინივი-

მადლობა ღმერთს, რომ ისეთი როლებ-ის თამაშმა მომიწია, რომლებიც პრინციპ-ში, ესთეტიკაზე არის აგებული.

თაა, რომელიც შეიძლება, იქით ან აქეთ „მოხარო". აქედან გამომდინარე, გარდა იმისა, რომ სცენაზე დგომა და თამაში მიყვარს, ეს არის ყველაფრის მომცველი ხელოვნებაც.

— შენი როლებიდან რომელი ემთხვევა შენს გემოვნებას?

— მადლობა ღმერთს, რომ ისეთი როლების თამაშმა მომიწია, რომლებიც პრინციპში, ესთეტიკაზე არის აგებული. ამრიგად, თითქმის ყველა როლი არა მარტო ფსიქოლოგიურად, არამედ გემოვნებითაც ძალიან მიმზიდველია ჩემთვის.

— რამდენად მომთხოვნი ხარ?

— ძალიან მომთხოვნი ვარ მეგობრობასა და სიყვარულშიც. ალბათ ამიტომაც, ჩემი ოჯახი დაიშალა და ერთად აღარ ვართ, მიუხედავად იმისა, რომ მე და გიორგი ერთ სფეროში ვმუშაობდით.

— ამჟამად ვისთან ერთად ცხოვრობ?

— ჩემი პირადი ოჯახი ამჟამად, ჩემი ვაჟის — 11 წლის ლევან (ლუკა) ნაკაშიძის, დედაჩემისა და ჩემი ძმისგან შედგება.

— ოჯახის დანგრევამ და დედამამის გაყრამ როგორ იმოქმედა შენს შვილზე?

— ამ მხრივ, არანაირი პრობლემა არ ჰქონია ჩემს შვილს. მშობლების სიყვარული ადრეც არ აკლდა და არც ახლა აკლია. სხვათა შორის, ერთმანეთშიც მშვენიერი ურთიერთობა გვაქვს მე და გიორგის.

— როგორი უნდა იყოს მამაკაცი, შენი ყურადღება რომ მიიპყროს?

— მამაკაცი უნდა იყოს მაღალი, გამხდარი, ღია ფერის თვალებით, ინტელექტუალური, საქმიანი, არისტოკრატი და უნდა ჰქონდეს უდიდესი იუმორის გრძნობა. მამაკაცი არ უნდა იყოს მძიმე, მოკინკლავე და მოჩხუბარი — ამ თვისებებს კაცში საერთოდ არ ვაფასებ. თუ ყველა სიტყვაზე კამათი გიწევს, ასეთ ადამიანთან რა ურთიერთობა უნდა დაამყარო?..

— მიგაჩნია თუ არა თავი მოდურ ადამიანად?

— რა თქმა უნდა, ხანდახან მოდას ვუსწრებ კიდეც *(იცინის)*: რატომღაც, ფერი, რომელსაც ამოვიჩემებ, ცოტა ხანში აქტუალური ხდება ხოლმე. ზოგჯერ მოდაში ისეთი რამ არის, რაც მე მიუღებლად მიმაჩნია. მაგალითად, არასოდეს მომწონდა გამაშები და არც ჩამიცვამს, იმიტომ, რომ ვფიქრობ, ის ფეხს აფუჭებს.

— რა არის მთავარი იმისთვის, რომ ქალი ფორმაში იყოს?

— თავდაპირველად მთავარია, მან თავისი სტილი იპოვოს. უნდა ეცადოს, რომ ყოველთვის ქალური იყოს. მან ის უნდა ჩაიცვას, რაც უხდება და არა ის, რაც მოდაშია. შეიძლება რაღაც მოდაში იყოს, მაგრამ სულაც არ მოუხდეს.

— მაინც რა სტილის სამოსს ანიჭებ უპირატესობას?

— უპირატესობას კლასიკურ სტილს ვანიჭებ. ძალიან მიყვარს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, მოკლე ქვედაბოლო და წელში გამოყვანილი პიჯაკი. ყოველდღიურად კი მიყვარს, როცა ჯინსი და ველვეტის ქურთუკი მაცვია.

— შენს ჩაცმულობაში უმეტესად რა ფერი ჭარბობს?

— ძალიან მიყვარს მწვანე და მისი გრადაციები — მდოგვისფერი, ყავისფერი; ასევე შავი, თეთრი და წითელი. ახლა, როცა თმა ღიად შევიღებე, ზოგი ფერი არ მიხდება. მაგალითად, ვარდისფერი მიუღებელი გახდა ჩემთვის, არადა, ძალიან მიყვარს.

— აქსესუარებიდან ყველაზე მეტად რა გიყვარს?

— არ მიყვარს ძვირფასი სამკაულები, ბრილიანტებიც არ მიზიდავს. ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. მაგალითად, ოპერაში თუ მიდიხარ, გარდა იმისა, რომ სათანადოდ უნდა შეიმოსო, სამკაულიც ძვირფასი უნდა გაიკეთო. ყოველდღიურად მიყვარს ტყავი, მეტალი და კარგი ბიჟუტერია, აქსესუარებიდან — ქუდები, ამიტომაც ბევრი ქუდი მაქვს. გარდა ამისა, მიყვარს ჩანთის და სათვალის ხმარებაც.

— დაასახელე ნივთი, რომელსაც ყოველდღე ატარებ.

— ჩანთაში უამრავი პატარა ნივთი მიდევს, რომლებსაც არასდროს ვიყენებ, მაგრამ ყოველთვის თან მაქვს, თილისმასავით. ისე, ყოველდღიურად ვატარებ ჯვარს და მობილურ ტელეფონს.

— სარკის წინ ბევრ დროს ატარებ?

— რა თქმა უნდა. სახლშიც ვდგავარ სარკის წინ და საგრიმიოროშიც. ჯერ, სპექტაკლის დაწყებამდე, სარკის წინ მაკიაჟს ვიკეთებ, ხოლო სპექტაკლის დამთავრებისთანავე, ისევ მაკიაჟს ვიშორებ. ასე რომ, დღეში რამდენჯერმე მიწევს სარკის წინ ტრიალი და საკუთარი თავის ყურება.

— როცა რაიმეს იძენ, ფასს ანიჭებ მეტ მნიშვნელობას თუ ხარისხს?

— ფასი გემოვნების ეკვივალენტური არ არის. ზუსტად ამ სიტყვებს ვამბობ ჩემს ერთ-ერთ სპექტაკლში — Et Cettera... ფასს ყველაზე ნაკლებად ვანიჭებ მნიშვნელობას. თუ ნივთი მომეწონება, მის ღირებულებას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს და თუ იაფია, ნამდვილად არ ვითაკილებ მის შეძენას.

— ბინა, სადაც ცხოვრობ, შენი გემოვნებითაა მოწყობილი?

— რა თქმა უნდა, მის მოწყობაში მცირედი წვლილი მეც მიმიძღვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს გემოვნებას აკმაყოფილებს ბინის დიზაინი და ნივთები, მე ჩემს საკუთარ სახლს ალბათ, ცოტა სხვანაირად მოვაწყობდი — თუ ოდესმე პირადად მეღირება ჩემი ბინა, რომელიც ჯერ არასოდეს მქონია.

— მაინც როგორ მოაწყობდი?

— მე რომ მქონდეს დიდი სახლი, იდეალურ ვარიანტში, ოცნებად მაქვს 9 ოთახი. თითო ოთახს სხვადასხვა სტილში მოვაწყობდი: ერთი ოთახი იქნებოდა აზია, მეორე — ჩინეთი, მესამე — საფრანგეთი, მეოთხე — ინგლისი... ერთი ოთახი იქნებოდა ძალიან „მოდერნი", მეორე — ანტიკვარული და ასე შემდეგ. გარდა ამისა, ერთ ოთახს აუცილებლად თეატრალურ სტუდიად მოვაწყობდი. ხომ მშვენიერი სახლი მექნებოდა?! თავს როგორ და რა ხასიათზეც ვიგრძნობდი,

კულულებიანი გოგონა, რომელსაც მსახური წყალს უსხამს, ჩემს თავს მაგონებს...

სინანულს აზრი არ აქვს – ჩაღენილიდან მაინც ვეძაფეს უმცირესი

პროფესიით მხატვარ და მსახიობ ნანიკო ხაზარაძეს თავისი სპეციალობით დიდხანს არ უმუშავია. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ერთი როლი შეასრულა „თეატრალური სარდაფის“ სცენაზე და სამუშაოდ ტელევიზიაში წავიდა. „მაესტროსა“ და „რუსთავი 2“-ზე მუშაობის შემდეგ, ცოტა ხანი ეკრანზე წამყვანის ამპლუაში აღარ გამოჩენილა. როგორც თვითონ ამბობს, სამსახურების ხშირი ცვლა იმით არის გამოწვეული, რომ სულ ახლის ძიებაშია. ახლა ნანიკო რადიო „უცნობის“ წამყვანია, შაბათ-კვირის გარდა, ყოველდღე, 4 საათის მანძილზე პირდაპირ ეთერში ეკონტაქტება მსმენელებს და ამბობს, რომ ძალიან მოსწონს ეს საქმე.

ნათია თენიეშვილი

— რადიო, ახალი იყო ჩემთვის. მაინტერესებდა ეს სფერო და ის, თუ როგორ შევძლებდი რადიოში მუშაობას. მას შემდეგ, რაც მუშაობა დავიწყე, მივხვდი, რომ თურმე, ეს მინდოდა მთელი ცხოვრება. რადიო და ტელევიზია ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულია. თითქოს ორივეგან ერთსა და იმავე საქმეს აკეთებ, მაგრამ განსხვავება ძალიან დიდია. რადიომ ძალზე შემცვალა და ბევრი რამ მასწავლა. ამის შემდეგ, ტელევიზიაში უკვე სხვანაირი მივალ. არ ვიცი, რას გავაკეთებ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ისევ ისეთი ვერ ვიქნები, როგორიც ვიყავი.

— რადიოში თუ დაგეხმარა ის, რომ ტელევიზიაში ხარ ნამუშევარი?

— არაფერი საერთო არა აქვს რადიოს და ტელევიზიას. აქ თვითონ ვწყვეტ ყველაფერს, პულტთანაც მე ვზივარ, ყველაფერს მე ვაკეთებ, ჩემი თავის პატრონი ვარ თავიდან ბოლომდე. ტელევიზიაში ერთ გადაცემაზე უამრავი ადამიანი მუშაობს. თავისუფლება იქაც მქონდა და აქაც მაქვს, მაგრამ რადიოს აქვს რაღაც, რაც არა აქვს ტელევიზიას, კონკრეტულად რა — არ ვიცი. ამას შეიძლება, გარკვეული დროის შემდეგ მივხვდე.

— ტელევიზიიდან რატომ წამოხვედი?

— დავისვენე ცოტა ხანი ტელევიზიისგან და რადიოში ვცადე ჩემი შესაძლებლობები. მერე რა იქნება, ამას დრო გვიჩვენებს. წინასწარ არასდროს ვგეგმავ რამეს.

— რადიოს მსმენელი თუ იყავი, სანამ აქ დაიწყებდი მუშაობას?

— არასდროს დამირეკავს არც რადიოში და არც ტელევიზიაში. რადიოს ძირითადად, მანქანაში ვუსმენდი, სახლში არასდროს ჩამირთავს. ახლა ვუსმენ. რადიო „უცნობის“ რეკლამა არსად გაკეთებულა, უბრალოდ, ხმები ამ რადიოს გახსნის შესახებ ხალხში გავრცელდა — გაიგე, რა მოხდა?!. რადიო „უცნობი“ გაიხსნაო! — და ასე შემდეგ. სახალისო რეკლამა ალბათ ყველაზე კარგი რეკლამაა. უკვე ძალიან ბევრი მსმენელი გვყავს და ძალიან ბევრი გვირეკავს. ყოველდღე რაღაც თემა გვაქვს შერჩეული ან თავისუფალ თემას ვთავაზობთ მსმენელს და ისინი ამ თემასთან დაკავშირებით გვირეკავენ — ზოგს პრობლემა აქვს, ზოგი საკუთარ აზრს გვიზიარებს.

— ამბობ, რომ სულ ახლის ძიებაში ხარ. ეს მხოლოდ საქმიანობას ეხება თუ პირად ცხოვრებაშიც ასეა?

— უკმაყოფილების გამო არასდროს წამოვსულვარ სამსახურიდან. უბრალოდ, ერთ ადგილას ვერ ვისვენებ, სულ რაღაც ახლის ძიებაში ვარ და ამიტომ ვიცვლი

იმის მიხედვით ავირჩევდი ოთახს და იქ დავლევდი ყავას ან ჩაის.

— დაასახელე ქვეყანა, სადაც დიდი სიამოვნებით იცხოვრებდი?

— მე თბილისის გარდა, ვერსად ვერ ვიცხოვრებდი. მინდა გამოვტყდე, რომ მთელი ცხოვრება სურვილი მქონდა, საზღვარგარეთ ხანგრძლივი მოგზაურობის, მაგრამ ეს ჯერ ვერ მოვახერხე. მთელ მსოფლიოს მოვივლიდი, წავიდოდი სამოგზაუროდ მხოლოდ 2 წლით — მეტი ხნით ალბათ ვერც გავძლებ სხვაგან.

— ოჯახში თუ გაქვს რაიმე ნივთი, რომელიც ძალიან გიყვარს და უფრთხილდები?

— გამომდინარე იქიდან, რომ ჩემი ბებია და ბაბუა ჩინეთში მუშაობდნენ და ცხოვრობდნენ რამდენიმე წელი (ბაბუამ იქ ხიდი და პირველი ელექტროსადგური ააშენა), სახლში უამრავი ჩინური ნივთი მაქვს. ალბათ ამანაც გამოიწვია ჩემი გემოვნების ჩამოყალიბება — მე ხომ აღმოსავლური ნივთები ძალიან მიზიდავს. საკმაოდ ორიგინალური ჩინური ჭაღი მაქვს. ძალიან მომწონს სურათი, რომელიც ჩემი ოთახის კედელზე კიდია — რადგანაც იქ დახატული, კულულებიანი გოგონა, რომელსაც მსახური წყალს უსხამს, ჩემს თავს მაგონებს...

— რაიმე კოლექციაც ხომ არ გაქვს?

— კი. ყოველთვის ვაგროვებდი ხელსახოცებს, საპნებს და სანთებლებს. ბოლო დროს, დანების შეგროვებას მივყავი ხელი და სხვათა შორის, საკმაოდ კარგი კოლექციაც მქონდა, მაგრამ ზაფხულში სულ მომპარეს.

— თავისუფალ დროს სად და როგორ ატარებ?

— თავისუფალ დროს ხშირად დავდივარ მეგობრებთან ერთად კინოში ან კაფეში.

— ეკა, როგორი კულინარი ხარ? თუ გეხერხება კერძების მომზადება.

— სხვათა შორის, კარგი. რასაც ვამზადებ, ყველაფერი გემრიელი გამომდის. ოჯახში საჭმელს ადრე ბებია აკეთებდა, ხოლო რაც ის აღარ არის, ეს საქმე მე დამეკისრა, ვინაიდან დედას არ ეხერხება კერძების მომზადება. ვაკეთებ ყველანაირ კერძს. გემრიელი გამომდის სალათებიც, ბორშჩიც, ჩახოხბილიც და სოუსიც. არასოდეს გავაკეთებ ამა თუ იმ კერძს იმ შემთხვევაში, თუ რაიმე კომპონენტი მაკლია, რადგანაც ისეთი არ გამომივა, როგორიც სრული რეცეპტით დამზადებული. ამრიგად, ვცდილობ, კერძს არაფერი დავაკლო, რომ გემრიელი იყოს.

— დაბოლოს: მეოცნებე ხარ?

— გამოუსწორებელი!..

— მაინც რაზე ოცნებობ?

— ფრენაზე *(იცინის)*... ■

გასული წელი ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

სამსახურს ხშირად. ცხოვრებაში კი, სტაბილური ადამიანი ვარ.

— რადიო „უცნობში“ რამდენ ხანს გაჩერდები?

— ვნახოთ, წინასწარ არასდროს ვიცი — სად, რამდენ ხანს გავჩერდები. უბრალოდ, ყველაფერს თავისი ბოლო აქვს — ისევე, როგორც დასაწყისი.

— რადიოში სამუშაოს ტექნიკური მხარე პულტზე მუშაობა და ა.შ. იოლად აითვისე?

— უცებ ავითვისე, იმიტომ, რომ ძნელი არ არის. ზუსტად რომ მიხვდები, რა რისთვის არის, მერე იოლია. თავიდან რომ შევხედე, მეგონა, რომ ამას ვერასდროს ვისწავლიდი. მერე ამიხსნეს და ახლა თავისუფლად ვფლობ ყველაფერს.

— წინასაახალწლოდ, ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე გავიდა გადაცემა, სადაც სხვა ცნობილ ადამიანებთან ერთად, შენც პატრულად მოგვევლინე. შემდეგ ამ საქმიანობამ ხომ არ გაგიტაცა?

— არა, არასდროს არ ვიმუშავებდი პატრულად. უბრალოდ, გავერთე. ვიცოდი, რომ ეს დროებითი იყო და რამდენიმე საათი ვიქნებოდი იქ. ჯერ ერთი, ელემენტარულად იმ რეჟიმს ვერ გავუძლებდი და თან, არასდროს მომსვლია აზრად, პატრულში მუშაობა.

გადაღებების დროს, ვაწამე და ვატყუე ხალხი. ყველას, ვისაც ვაჩერებდი, არანაირი დარღვევა არ ჰქონდა... ძალიან სახალისო იყო.

— „ბოიარდის ციხესიმაგრეში“ ინსტრუქტორისა და გულშემატკივრის როლში იყავი. არ გინდოდა, თავადაც მიგელო მონაწილეობა, როგორც მოთამაშეს?

— არა, ძალიან მაკმაყოფილებდა ჩემი როლი.

— როცა გადაცემას უყურებ, აშკარად ჩანს, რომ კარგად იცი, თუ რა ხდება თითოეულ ოთახში...

— მე თვითონ ყველაფერი ვიცი. მე და დუტამ წინასწარ შემოვიარეთ ყველა ოთახი. სანამ ჩვენ თვითონ არ შევისწავლეთ კარგად, სად, რა და როგორ უნდა გაკეთდეს, მანამ თამაში არ დაწყებულა. ძალიან პატარა და „რთული“ ოთახებია. ვიღაც სჭირდება მოთამაშეს, რომ დააკვალიანოს, თუ რა უნდა გააკეთოს — ისე გამორიცხულია, ყველაფერს გაართვას თავი: რომ შეხვალ, იბნევი და არ იცი, რა უნდა გააკეთო.

— ეი. შენ ყველგან, მათ შორის, გველებით და მწერებით სავსე ოთახებშიც ნამყოფი ხარ?

— გველები და მწერები ზუსტად იმ დროს შეჰყავთ ოთახში, როცა მოთამაშე თამაშს იწყებს. ჩვენ ცარიელ ოთახში ვიყავით, მაგრამ ტექნიკურად ყველაფერი გავიარეთ. მოვინახულეთ ის ოთახიც, სადაც ობობები, ხოჭოები, გველები, ვირთხები, თაგვები ბინადრობენ. თუ ვინ, რომელ ოთახში უნდა შეუშვან, ამას ფრანგები წყვეტდნენ.

— ყველაზე მეტად ვის გაუჭირდა თამაში და ვის შეეშინდა?

— ყველას ყველაფრის შეეშინდა. ვერ ვიტყოდი, ოთახებში დიდი ენთუზიაზმით შედიოდნენ-მეთქი. ყველაზე კარგად ითამაშა „კავკაზუს ტრეველმა“, იმიტომ, რომ ისინი საერთოდ, ამ საქმიანობით არიან დაკავებულები — დახოხავენ, დაცოცავენ, ეს მათი პროფესიაა... ქალებით ვარ აღფრთოვანებული, ყველა ქალმა თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოამჟღავნა.

— პროფესიით მსახიობი ხარ. თავის დროზე რატომ წამოხვედი თეატრიდან და თუ ფიქრობ სცენაზე დაბრუნებას?

— „სარდაფში“, სპექტაკლ „კაზანოვაში“ ვითამაშე ერთი როლი. მერე ტელევიზიაში შემომთავაზეს სამსახური, ამან ძალიან გამიტაცა და თეატრიდან წამოვედი. ამ ბოლო დროს, ბევრი მეკითხება — თეატრში არ ბრუნდებიო? ეტყობა, უნდა დავბრუნდე. იმის მერე, იყო რაღაც შემოთავაზება, დავიწყეთ კიდეც რეპეტიციები, მაგრამ ბოლომდე ვერ მივიდა ეს საქმე... არ ვიცი, ხვალ რას ვიზამ. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი.

— 2005 წლისგან რას ელი?

— ალბათ, ისევე, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი, მეც ველი სასიკეთო ცვლილებებს.

— გასული წელი როგორი იყო შენთვის?

— გასული წელი ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ბევრი რადიკალური ცვლილება მოხდა, რაც სხვა წლებში ერთად არ მომხდარა. ძალიან ბევრი რამ მოხდა...

— რას გულისხმობ, არ შეგიძლია გვითხრა?

— არა, ეს ჩემია, პირადული...

— მაშინ ის მაინც თქვი, კარგი იყო ის, რაც მოხდა თუ ცუდი?..

— კარგიც და ცუდიც. სტრესი — სტრესია, გინდ, კარგი იყოს, გინდ — ცუდი. მთელი ორგანიზმი სტრესში გაქვს...

— ხომ არაფერს ნანობ, შარშან გადადგმული ნაბიჯებიდან?

— არა. რა აზრი აქვს სინანულს?! დროს ვერ დააბრუნებ და ვერაფერს შეცვლი. ამიტომ, არაფერს ვნანობ...

■

მეუღლესთან, ლევან ნუცუბიძესთან ერთად

სამაგიერო გადავუხადე

„...ჩემი დაქალი და ჩემი ქმარი დავაქორწინე“

უჩვეულო ცხოვრებისეული თავგადასავლებით იშვიათად თუ გამაკვირვებთ, მით უმეტეს — უთვალავი მესიჯის მიმღებს. მაგრამ სამაგიეროს გადახდის თემაზე მოსულმა ზოგიერთმა გზავნილმა, გამოგიტყდებით, ჩემზეც საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. ვფიქრობ, მკითხველიც გაიზიარებს ჩემს ემოციას...

მარი ჯაფარიძე

„გახურებული სექსის „მოწმე“ გავხდი...“

„უკვე 5 წელია, მე და ნიკას ერთმანეთი გვიყვარს. მე ის ზაფხულში, ზღვაზე გავიცანი. ურეკში ვისვენებდი. პლაჟზე ყოველთვის ერთი და იგივე ადგილი მქონდა ამოჩემებული. ისიც ყოველთვის იქ მოდიოდა. მე დედასთან და ძმისშვილებთან ერთად ვიყავი, ის — ორ მეგობართან ერთად. ვინაიდან ოჯახთან ერთად ვიყავი, თურმე ვერ ბედავდა მოახლოებას და გამოლაპარაკებას. ერთ დღეს, მეგობარმა გოგონებმა მომაკითხეს, რომლებიც ბათუმში ისვენებდნენ და ჩემს მოსანახულებლად ჩამოვიდნენ. საღამოს გასართობად წავედით, მოგვიანებით კი ბარში შევედით. სწორედ იქ დაგვხვდნენ ნიკა და მისი მეგობრები და ჩვენი გაცნობაც შედგა. ჩვენს მაგიდასთან მოვიდა, თვალი თვალში გამიყარა და მითხრა — ჩაცმული დიდი არაფერი ხარ, მაგრამ გახდილი რომ გნახე, ჭკუა გადამეკეტაო. გავიცინეთ. მერე გვიანობამდე ვიცეკვეთ და დავიშალეთ. შემდეგ უკვე თბილისში გავაგრძელეთ ჩვენი ურთიერთობა. ნიკა პოლიციელი აღმოჩნდა. სულ მალე, უზომოდ შეგვიყვარდა ერთმანეთი. ერთმანეთთან ოჯახში სტუმრადაც მივდიოდით და ყველა ელოდა, როდის გადავწყვეტდით ოჯახის შექმნას. ნიკა თვალისჩინივით მიფრთხილდებოდა, მარტო არსად მიშვებდა, ძალზე ყურადღებიანი იყო, მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა — ძალზე ეჭვიანი იყო. ამის გამო ხშირად ვჩხუბობდით. თუმცა, თვითონ, ქალებში სიარულს არ იკლებდა. გარეგნობითაც კარგი ტიპი იყო და ქალები თვითონ არ აძლევდნენ მოსვენებას. მის მობილურზე გამუდმებით, სასიყვარულო მესიჯები მოდიოდა და ხან რომელი გოგო ურეკავდა, ხან — რომელი. მეც ძალზე ვეჭვიანობდი, მაგრამ ამის გამო სკანდალს არასოდეს ვაწყობდი. თუმცა ერთხელ, წარმოუდგენელი ამბავი მოხდა: ნიკას შევუთანხმდი, რომ მეგობრის დაბადების დღეზე წამომყვებოდა, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრა, მეგობრის სახლამდე მიმაცილა, რაღაც საქმე მოიმიზეზა, დამტოვა და წავიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, ჩემს მობილურზე ზარი გაისმა. ნიკას ნომერი დაფიქსირდა. ცალკე ოთახში გავედი და ისე ვუპასუხე, რომ სიწყნარეში მესაუბრა მასთან. ტყუილად ჩავყვიროდი ტელეფონს — „ალო, გისმენ, ალო!..“ იქიდან ჯერ სიჩუმე ისმოდა, შემდეგ სიტყვებიც გავარჩიე, ნიკა ვიღაცას ელაპარაკებოდა: მერე კენესისა და გახურებული სექსის „მოწმეც“ გავხდი. სისხლი თავში ამივარდა. ლამის გავგიჟდი. ვერ გავარკვიე, შემთხვევით დაირეკა ჩემთან თუ სპეციალურად მომასმენინა ეს ყველაფერი. ტელეფონი გავთიშე და ნიკასთან გადავრეკე. კარგა ხანს არ პასუხობდა ზარს. შემდეგ ძალზე მშვიდი ხმით მიპასუხა — გისმენ, წამოსვლას ხომ არ აპირებ? ხომ არ მოგაკითხოო? — კი-მეთქი, — ვუპასუხე და ტირილი ამივარდა. 5 წუთში მოვიდა. რომ დავინახე, უარესად ავბღავლდი. რა თქმა უნდა, მაგრად ვიჩხუბეთ. — რა გინდა? ქალებში აღარ გავიარო? ცოლად რომ მოგიყვან, მერე სულ შენი ერთგული ვიქნებიო. — როდის, როდის დავქორწინდებით-მეთქი? — გაისად, გაზაფხულზეო. მთელი წლით გადასწია ქორწილი. ამან ჭკუიდან გადამიყვანა, მანქანიდან გადმოვედი და კარი მივუჯახუნე. გადავწყვიტე, შური მეძია და სასწრაფოდ გავთხოვილიყავი, მაგრამ ვისზე? ყველა თაყვანისმცემელი ნიკამ ჩამომაცილა. ყველამ იცოდა, რომ საქმრო მყავდა და ვინღა დაიწყებდა ჩემს „შებმას“? რა უნდა მექნა? ავდექი და სასწრაფოდ „გავაშანშალე“ განცხადება „სიტყვა და საქმეში“: „32 წლის, პატიოსანი...“ და ა.შ. განცხადებას ასე ვამთავრებდი: „სასწრაფოდ გავთხოვდები ნებისმერ კეთილსინდისიერ მამაკაცზე, გარდა პოლიციელისა“. უამრავი წერილი მივიღე და დავიწყე კანდიდატის შერჩევა. ერთიორს შევხვდი კიდეც. ჩემი მეგობარი გოგონა ყველაფრის საქმის კურსში იყო. თავიდან ეგონა, ვხუმრობდი. როცა მიხვდა, ძალზე სერიოზულად ვეძებდი საქმროს, შეშფოთდა და ნიკას დაწვრილებით ჩაუკაკლა ყველაფერი. ისიც კი უთხრა, უახლოესი პაემანი როდის და სად მქონდა დათქმული. ჰოდა, ადგილზე მისულს, ნიკა დამხვდა. მითხრა — მანქანაში ჩაჯექი, ვილაპარაკოთო. რამდენიმე საათის შემდეგ კი, უკვე გურიაში, მის ბებიასთან ამოვყავით თავი. იმ დღიდან, ცოლ-ქმარი ვართ. აი, ასე მიშველა სამაგიეროს გადახდის სურვილმა“.

კახელი ეუბნება სვანს: — ადრე ჩვენზე იგონებდნენ ანეკდოტებს, ახლა თქვენზე იგონებენ, ხომ არ იცი, რატომ დაგვივიწყეს კახელებიო? — ეგ თქვენზე იგონებდნენ, თორემ, ჩვენზე რასაც ამბობენ, ყველაფერი მართალიაო, — მიუგო სვანმა.

ეს ანეკდოტი შემდეგი რესპონდენტის მესიჯმა გამახსენა. ის თავისი ამბის მოყოლას ასე იწყებს:

„საქორწინო მოგზაურობაში წავიდა მარტო!..“

„ხომ გაგიგონიათ ანეკდოტი სვანზე, საქორწინო მოგზაურობაში მარტო რომ წავიდა? სწორედ ასე დამემართა. მოყოლას დავიწყებ იქიდან, როგორ გავიცანი გულბათი. ყოველ დილით სავარჯიშოდ დავდიოდი იპოდრომზე. ცოტა მოშორებით ვცხოვრობდი და სპორტულ ტანისამოსში გამოწყობილი, სირბილით მივდიოდი ხოლმე იქამდე. ერთ დილას, იპოდრომისკენ მიმავალს, ერთი კაცი მანქანით ამეკიდა. მე ნელა მივრბოდი, ის კი მანქან-

ით მომყვებოდა.... ვივარჯიშე. უკან, სახლამდე ისევ მანქანით გამომყვა ვიღაც. ასე გაგრძელდა რამდენიმე დღის განმავლობაში. მერე გამომელაპარაკა – მაგრად დარბიხარ, მიყვარს სპორტსმენი ხალხიო. პაემანიც დამინიშნა. მივედი. ძალზე მოვიხიბლე მისი პიროვნებით. სვანი აღმოჩნდა. ამის შემდეგ ხან გამოჩნდებოდა, ხან – თვეობით იკარგებოდა. ერთხელ, 2-3 თვის დაკარგვის შემდეგ, შინ დამირეკა და მთხოვა, რამდენიმე წუთით ქვევით ჩავსულიყავი. ეზოს შემოსასვლელ თაღში მელოდა. უკვე საკმაოდ გვიანი იყო და ბნელოდა. ძლივს გავარჩიე მისი სილუეტი. კედელთან დამაყენა და მკითხა – ცოლად გამომყვებიო? ეს ძალზე მოულოდნელი იყო ჩემთვის – არა-მეთქი, – გავუქნიე თავი. კიდევ გამიმეორა – გეუბნები, ცოლად გამომყევი, თორემ ინანებო. ისევ უარი ვუთხარი. იარაღი ამოიღო და საფეთქელზე მომადო – გამომყვები თუ არაო?! ხმა ვეღარ ამოვიღე, ყბა ამიკანკალდა და ამოვიკნავლე – არა-მეთქი. იარაღის ლულა ფეხებისკენ მომიშვირა და 4-5 ტყვია ზედიზედ ისროლა. ერთი ტყვია მომხვდა და დავიჭერი. ხელი მტაცა, მანქანაში ჩამსვა და საავადმყოფოში გამაქანა. ბუნებრივია, არ გავთქვი, ვინ დამჭრა. თვითონ აღარ გამოჩენილა, თუმცა ყველა ხარჯს იხდიდა და ვგრძნობდი, ექიმები როგორი მოწიწებით ახსენებდნენ მის სახელს. ჭრილობა მალევე შემიხორცდა. საავადმყოფოდან გამოწერის წინაღამეს, გულბათი ჩემს სანახავად მოვიდა. დიდი, ფუმფულა სათამაშო ძაღლი მომიტანა და ათასი სახალისო ამბავი მომიყვა. ბოლოს დამემშვიდობა და პალატიდან გავიდა. უცებ, ისევ შემოყო თავი და მკითხა – ისე, ცოლად არც ახლა გამომყვებიო? – კი-მეთქი, – სასწრაფოდ დავთანხმდი. შემობრუნდა, ხელში ამიყვანა, მე-6 სართულიდან სულ სირბილ-სირბილით ჩამიყვანა, მანქანის უკანა სავარძელზე დამსვა და სვანეთში ამომაყოფინა თავი. გამთენიისას ჩავაღწიეთ მისი მშობლების სახლამდე. ეს ჩემი ცოლია, ჩემს ოთახში დააძინეთ, მოუარეთ, შაბათს ქორწილი გვაქვს, მოემზადეთო, – დაიბარა და მაშინვე უკან გაბრუნდა. უამრავი სტუმარი დაპატიჟეს, დიდი სამზადისი დაიწყეს... პარასკევს საღამოს, გულბათი და ჩემი ნათესავებიც ჩამოვიდნენ. ქორწილმა მშვიდ ვითარებაში და ძალზე კარგად ჩაიარა. ძალზე ვღელავდი. როდესაც მექორწილენი დაიშალნენ და საძინებლისკენ გავემართე, ლამის მუხლები მომეკვეთა ნერვიულობისგან. გულბათი სადღაც დაიკარგა. საწოლზე ჩამომჯდარი ველოდი, მაგრამ ამაოდ. დილით ოთახიდან გამოვედი და დედამთილი ღიმილით შემხვდა. გულბათი მოვიკითხე. როგორ, წუხელ შენთან არ ეძინაო? – გაოცდა. აქეთ ვეცით, იქით ვეცით, მაგრამ ჩემი ქმარი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერ გავიგეთ. მერე ისიც აღმოაჩინეს, რომ ფული, რომელიც ქორწილში საჩუქრად მოგვიტანეს, სადღაც გამქრალიყო. სულ ხმამაღლა ვტიროდი. 2 დღის შემდეგ, გულბათმა დამირეკა და მითხრა – რუსეთში ვარ და ერთ თვეში ჩამოვალო. ამაზე უკეთესი ანეკდოტი მოგისმენიათ?.. საქორწინო მოგზაურობაში წავიდა მარტო!.. ეს ამბავი გასულ შემოდგომაზე მოხდა. თითქმის ყოველ მეორე-მესამე დღეს გვეხმიანება გულბათი და გვამშვიდებს, მალე ჩამოვალო. მე მეუბნება – არსად წასვლა არ გაბედო, ხომ იცი, ცოლ-ქმარი ვართ და არ გაპატიებ, რომ მიმატოვოო. ერთხელ მისი ძმა გაეხუმრა – კაცო, ეს გოგო ასე რომ დატოვე, ერთი ღამით მაინც დაწოლილიყავი მასთანო. იცით, რა უპასუხა? – მე მაგას სამაგიერო გადავუხადე, ერთხელ უარი რომ მითხრა ცოლობაზე; ასე უფრო დაზღვეული ვარ, იქნებ სამაგიეროს გადახდა მაგანაც მოინდომოს და ღალატი გადაწყვიტოს, ახლა ვერ მოახერხებს, რადგან მივხვდებიო... აი, ასე გადამიხადა სამაგიერო სვანმა ქმარმა...“

არც ისე იოლი ყოფილა სვანი კაცის ცოლობა, მაგრამ თურმე გურული ქმრებიც არ არიან „ლაითები“. გურულებს სპავშვო ძაღაზიის ვიტრინაზე ასეთი წარწერა აქვთ – „ყოლისფერი ბაღნების გულობიზა“. მერწმუნეთ, ჩემი თვალით მაქვს ნანახი ჩოხატაურში. შემდეგი რესპონდენტი გურული გახლავთ, რომელმაც სწორედ „ბაღნების გულობიზა“ გადაწყვიტა, შური ეძია...

„იმან მესამე შვილი გამიჩინა...“

„პირველად ცოლი 17 წლის ასაკში მოვიყვანე. გურული კაცი ვარ და გურიაში გავიზარდე. თბილისში ჩამოვედი თუ არა, ერთი გოგო მომეწონა, ხელი ვტაცე და... მის ოჯახში ზედსიძედ მივედი. ერთი შვილი მალევე შეგვეძინა (ძალზე მოვიწადინეთ). მეორე – 7 წლის შემდეგ. მაგრამ ამ დროს, ჩვენ შორის ძალზე დაძაბული სიტუაცია იყო და ვფიქრობდი, რომ დღე-დღეზე ოჯახიდან გავიქცეოდი. რომ დაორსულდა, რაღას ვიზამდი? ისევ მოვიბრუნე ოჯახზე გული, მაგრამ პატარა, 3 თვის იყო, როცა გაგიჟებულმა კარი გამოვიჯახუნე და წამოვედი. ცალკე გადავედი საცხოვრებლად, მაგრამ ბავშვების გარეშე ვერ ვძლებდი და ხშირად ვნახულობდი. ერთ მშვენიერ დღეს, მეუღლემ გამომიცხადა – საბერძნეთში მივდივარ, ბავშვები შენ უნდა გაზარდოო. – როგორ? რანაირად? ვმუშაობ! – ერთი წლის ბავშვს როგორ მოვუარო-მეთქი?! – სხვა გამოსავალი არ გაქვსო, – მიპასუხა. მართლაც,– დამიყარა ბავშვები და გაშპა საზღვარგარეთ. ავიყვანე ძიძა. უფროსი ბიჭი უკვე 8 წლის იყო და იოლი მოსავლელი გახლდათ, მაგრამ პატარა ძალზე მტირალა იყო და ხშირად ავადმყოფობდა. ერთხელ ღამით, ბავშვის ოთახში შევიხედე და მივხვდი, რომ უფროსს არ ეძინა. საბანი რომ გადავწიე, დავინახე, ტიროდა. დედა მენატრებაო, – მითხრა. მაშინ გადავწყვიტე, რომ ცოლზე შური მეძია. შესაძლოა, ძალზე სასტიკი საქციელი იყო, მაგრამ სანდრიკოს (უფროს ბიჭს) ვუთხარი – დედაშენმა დამირეკა და მითხრა, რომ აღარ უყვარხართ და აქ არასოდეს დაბრუნდება-მეთქი. მშვენიერი ახალგაზრდა ქალი მოვძებნე და ცოლად მოვიყვანე. მან მესამე შვილიც გამიჩინა და სამივე ბავშვს ერთნაირი სითბოთი და სიყვარულით ექცევა... ახლა სანდრო უკვე 12 წლისაა, მომდევნო, ნინიკო – 5-ის, სულ პატარა კი – 2 წლის. უფროსები დედას აღარც კი ახსენებენ. სანდრო ბებიასაც (ჩემს ყოფილ სიდედრს) არ ხვდება, გაურბის და მასთან კონტაქტის სურვილიც არ აქვს. აი, ასე გადავუხადე სამაგიერო ყოფილ ცოლს შვილების მიტოვებისთვის“.

ჩემი შემდეგი რესპონდენტი ამერიკიდან დამიკავშირდა და მკითხა – „გზავნილების“ შემდეგი თემა რა არისო? როდესაც ვუპასუხე, სიხარულით აღნიშნა – სწორედ ისეთი თემაა, ჩემს ცხოვრებას რომ მიესადაგებაო, – და საკმაოდ საინტერესო ამბავი მომიყვა, რომელმაც „კონკიას“ ზღაპარი გამახსენა.

სიყვარულით მოჯადოებული „კონკია“

„რაიონში ვცხოვრობდი. მშობლები ამერიკაში წავიდნენ სამუშაოდ. მე ბიძასთან დამტოვეს. გარეგნობით კარგი გოგო ვარ. მე-11 კლასის ბოლო გამოსაშვებ გამოცდაზე, ერთი ბიჭი მოტაცებას მიპირებდა. სკოლაში არ მივედი და გადავრჩი. შემდეგ ის გამოცდა „ჩავაწყვეთ“ და ატესტატიც ავიღე. დედამ ფული გამოგზავნა და თბილისში ბინა მიყიდა. სტუდენტიც გავხდი და ჩემს ბინაში მეგობარ გოგონასთან ერთად ვცხოვრობდი. გავიცანი მეზობელი ბიჭი. ერთმანეთი შეგვიყვარდა და რადგან ძალზე სერიოზულად გვქონდა ოჯახის შექმნა გადაწყვეტილი, ამის შესახებ დედასაც შევატყობინე. ჩემი დაბადების დღისთვის დედა ჩამოვიდა. დაბადების დღე გადამიხადა. უამრავი მეგობარი დავპატიჟე. რა თქმა უნდა, ჩემი შეყვარებულიც იყო მოსული. ჩემმა მეგობარმა ბიჭებმა ძალზე თბილად მადღეგრძელეს. დათოს ეს არ მოეწონა, იეჭვიანა, გარეთ გაიყვანა ისინი და თავის მეგობრებთან ერთად ერთი კარგად მიეჟეჟა. დედამ ეს რომ გაიგო, თავში წაიშინა ხელი. ამ ბიჭს ჩემს შვილს ვერ გავატანო, – თქვა. სასწრაფოდ შეაგროვა ჩემი საბუთები და ამერიკაში წამიყვანა. დავიწყე მუშაობა მოხუცის მომვლელად. ჩუმად

მოვაგროვე ფული და ერთ წელიწადში, დათო ჩამოვიყვანე ამერიკაში. ისე შეგუღლდით, რომ ჩემმა მშობლებმა არაფერი იცოდნენ და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ გაიგეს. რაღას იზამდნენ? შემირიგდნენ. ამასობაში ის ბებო, ვისაც მე ვუვლიდი, მოკვდა. იძულებული გავხდი, ჭურჭლის მრეცხავად დამეწყო მუშაობა. დათო არ მუშაობდა. გაიცნო იქაური ქართველები და მთელ დღეს სმასა და გართობაში ატარებდა. ძალზე ეჭვიანი იყო: არ მაცმევდა შორტს, მხოლოდ გრძელი კაბა და გულდახურული სამოსი უნდა მცმოდა, არ მაძლევდა თმის შეღებვის უფლებას, არ მაკეთებინებდა მაკიაჟს. ხშირად ვჩხუბობდით, მერე, ჩემს ცემაზეც გადავიდა. უმოწყალოდ მირტყამდა მუშტებს, მაგრამ ისე ვიყავი მისი სიყვარულით მოჯადოებული, რომ წყენა მაშინვე გამივლიდა ხოლმე, როგორც კი ჩალურჯებული თვალი და დალილავებული სხეული მომირჩებოდა. შემდეგ, ისევ ვიშოვე სამსახური ოჯახში, ისევ მოხუც ქალს ვუვლიდი. მე და დათო იქვე ვცხოვრობდით და სიტუაციაც შედარებით გამოსწორდა. მაგრამ მერე, დათომ ლოთობა დაიწყო. ისევ ძველებურად მცემდა, ნამუშევარ ფულს მცინცლავდა, გართობისთვის ხარჯავდა, ნაწილს კი, თბილისში თავის ოჯახს უგზავნიდა. ერთხელ, სწორედ წინა დღის ნაჩხუბარი ვიყავით და თვალიც ახალი ჩალურჯებული მქონდა, როცა დედა გვეწვია სტუმრად. ასეთ მდგომარეობაში რომ მნახა, გაგიჟდა და იმ დღესვე, თავისთან წამიყვანა. ძალზე ძნელად გადავიტანე დათოსთან განშორება. მერე ჩემს ქმარს, მშობლებისგან მალულად ვხვდებოდი ხოლმე. დედამ რომ შეიტყო, შინიდან გამომაგდო. ისევ ვიქირავეთ ბინა მე და დათომ. მუშაობა ერთ-ერთ სასტუმროში დავიწყე. ახალი წლის ღამეს, სასტიკად მცემა და ქუჩაში გამომაგდო. დედასთან დავბრუნდი და პირობა მივეცი, რომ დათოს აღარ შევურიგდებოდი. თუმცა, რამდენიმე ხნის შემდეგ, უკვე ძალზე მენატრებოდა და მისი ნახვა უზომოდ მინდოდა, მაგრამ თვითონ აღარ მკითხულობდა. სასტუმროში დამლაგებლად ვმუშაობდი და მთელ ჯავრს ცოცხსა და ტილოზე ვიყრიდი ხოლმე. სასტუმროს მფლობელმა რამდენჯერმე თავის კაბინეტში დამიბარა და ჩემი ოჯახური ამბები გამომკითხა. შემდეგ ყავაზე დამპატიჟა, მაგრამ ყოველთვის უარს ვეუბნებოდი. შემდეგ გავიგე, რომ დათოს თავისზე გაცილებით უფროსი საყვარელი ჰყოლია. ძალზე განვიცადე. ჩემმა მეგობრებმაც შემაგულიანეს, მეც სამაგიეროს გადახდის სურვილმა მძლია და სასტუმროს მეპატრონეს პაემანზე დავთანხმდი... ახლა მისი ცოლი ვარ და თავს ძალზე კარგად ვგრძნობ. 19 წლის ვიყავი, როდესაც პირველად გავთხოვდი. ახლა 23 წლის ვარ და უკვე მეორე ქმარი მყავს. მგონი, უკანასკნელიც. ამ ზაფხულს თბილისში ჩამოსვლას ვაპირებ და აუცილებლად გესტუმრებით რედაქციაში. პატივისცემით, ნინო".

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„სამაგიერო იმით გადავუხადე, რომ თავი მოვიწამლე..."

„ჩემმა ყოფილმა შეყვარებულმა თავის ძმაკაცს მისცა ჩემი ტელეფონის ნომერი და იმანაც დაიწყო ჩემთან რეკვა. მე კი, სამაგიერო გადავუხადე – ჩემს დაქალს მივეცი შეყვარებულის ნომერი, რომ გამომეცადა. ის მახეში გაება და... ერთმანეთს დავშორდით".

„ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ დაქალს შეყვარებული წავართვი. მაგრამ გეფიცებით, ჩემსა და იმ ბიჭს შორის არაფერია – უბრალოდ, მან კაფეში დამპატიჟა და მეც წავედი; არ მეგონა, თუ სიყვარულს ამიხსნიდა... ჩემმა დაქალმა იფიქრა, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა. იქნებ, გამოაქვეყნოთ და ნათიამ წაიკითხოს. მე ზურა არასოდეს მყვარებია."

„შური ვიძიე მეზობელ გოგონაზე, რომელსაც ჩემი ქმარი შეუყვარდა. მაგრამ ქმარმა არ მაპატია და მიმატოვა... თეონა".

„გია ძ-ძე, იცოდე, სამაგიეროს ვერასოდეს გადაგიხდი. ძალიან მიყვარხარ, გოჭუნა! შენი პატარა და ცუგრია გოგო".

„საუკეთესო დაქალს დავშორდი. ანი ჩემზე გაბრაზდა და გადაწყვიტა, ის ბიჭი „დაეთრია", რომელიც მე მიყვარდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ჩემზე უაზრო ჭორებს ავრცელებდა. მერე მეც გავმწარდი და გადავწყვიტე, ანისთვის თავისი შეყვარებული – ლევანი „ამეხია" და ამით სამაგიერო გადამეხადა. ყველაფერი მართლაც, კარგად გამომივიდა. ლევანს სიგიჟემდე შეეყვარდი, მაგრამ მე, რა თქმა უნდა, არ მიყვარდა. გავიდა სულ ცოტა ხანი და მეც ვიგრძენი, რომ უზომოდ მიყვარდა. მეგონა, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი, მაგრამ ლევანმა გაიგო, რომ ანის გასამწარებლად დავუახლოვდი და აღარ მიჯერებს, რომ მიყვარს. შურისძიება კი ტკბილი იყო, მაგრამ ორივე ბიჭი დავკარგე. ასე რომ, შურისძიება ყოველთვის კარგად არ მთავრდება. ლევან, გთხოვ, თუ ამ მესიჯს წაიკითხავ, მაპატიე. სიგიჟემდე მიყვარხარ. კ.მ."

„შეყვარებული წამეჩხუბა. სამაგიერო დათრობითა და ქალებში წასვლით გადავუხადე. ის მეორე დღესვე იმ პირობით შემირიგდა, თუ ამას აღარასოდეს ჩავიდენ".

„16 წლის ვარ და უკვე ორმა ბიჭმა მატკინა გული. ახლა კი მთელ მამაკაცთა სქესს იცით, როგორ გადავუხდი სამაგიეროს? ჩემს მესამე სიყვარულს ერთ მშვენიერ დღეს გამოვუცხადებ, რომ არ მიყვარს და არც არასდროს მყვარებია. ამით მიხვდება, რომ ქალებს გული არ უნდა ატკინოს. ეს ძალზე საშიშია. კაცებზე შურისმაძიებელი, პატარა, მაგრამ საშიში გოგო".

„ეჰ, მარი, მარი... სამაგიეროს გადახდა არ მიყვარს, მაგრამ სულ მეშინია, სამაგიერო მე არ გადამიხადონ. საქმე ის არის, რომ ძალზე მიყვარს ტელეფონით ადამიანების გაცნობა და საუბარი. ცუდს რას ვაკეთებ? – არაფერს. ახლა ერთი ტიპი მირეკავს და მეშინია, სამაგიეროს ხომ არ მიხდის? თუ ასეა, ინანებს".

„იცით, დედამ ძალზე მატკინა გული და სამაგიერო იმით გადავუხადე, რომ თავი მოვიწამლე. სიკვდილი მინდოდა, მაგრამ გადამარჩინეს. ახლა ტოქსიკურ რეანიმაციაში ვწევარ და აღარ ვიცი, როგორ დავაღწიო აქაურობას თავი. კუსო".

„სამაგიეროს ვერ გადაგიხდი, ბოროტებისთვის არა მცალია, ოჰ, როგორ ძლიერ შეგიძულებდი, რომ არ მიყვარდე ასე ძალიან. ბადრის თამუნასაგან. უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია. გთხოვ, დამიბრუნდი".

„ჩემს დარდს, ცრემლიან თვალებს, სევდიან ღიმილს უშენობა ჰქვია. გთხოვ, მაპატიე და სამაგიერო არ გადამიხადო. დამირეკე: 899.48.99... შოთი".

„ვაკოს ერთი სიტყვის გამო, სამაგიერო გადავუხადე და ცოლად სხვას გავყევი. ის საერთოდ წავიდა საქართველოდან. მე კი ვაკო ისევ მიყვარს. სამაგიეროს გადახდამ მე დამაზარალა".

„სამაგიერო გადავუხადე ჩემს დაქალს. მან ძალით გამაყოლა ჩემს ქმარს – მოტყუებით ჩამსვა მანქანაში. წლების შემდეგ ის მოვახერხე, რომ ეს დაქალი და ჩემი ქმარი დავაქორწინე. ნატო, ახლა ნახე, როგორია ჯუბას ცოლობა. გკოცნით ორივეს. ელა".

„სამაგიერო ჩემს მასწავლებელს გადავუხადე იმისათვის, რომ ორიანი დამიწერა. მისი მანქანის ოთხივე საბურავი ლურსმნით დავჩხვლიტე. 2 დღე იწვალა, ვულკანიზაცია რომ გაეკეთებინა. მე კი კარგად ვიხალისე".

„ნინო, ღირსი ხარ, რომ სამაგიერო გადაგიხადო, ქმრის წართმევისთვის, მაგრამ ღმერთმა შეგარგოს ეგ გაუმაძღარი ღორი! ტკბილად შეაბერდით ერთმანეთს".

„დიტოს სიამოვნებით გადავუხდი იმის სამაგიეროს, რომ მომატყუა. აკი, ცოლი არ მყავსო? აკი, ძალიან მიყვარხარო? აკი, ბედნიერი წყვილი ვიქნებითო? წადი, შენი!.."

დღეს „გზავნილებს" ამით ვამთავრებთ. შემდეგი ნომრის თემად გთავაზობთ – ჩემი საინტერესო თავგადასავალი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გვიამბეთ, რა გადაგხდათ თავს. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ■

ყველაზე სასარგებლო ხორცი თევზია

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

იაპონელი ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ, 84-85 წელია. თანაც, ჭარბი წონა მათ ძალზე იშვიათად აწუხებს. დიეტოლოგები ამ ფენომენს მარტივად ხსნიან: იაპონური სამზარეულო მსოფლიოში ყველაზე უცხიმოა.

ამომავალი მზის ქვეყნის მცხოვრები ყოველდღიურად მხოლოდ 58 გ ცხიმს მოიხმარს. აქ ყველა ერთგულია პრინციპისა — თევზი, ხორცის ნაცვლად. ყველაზე ცხიმიანი თევზიც კი, უფრო ნაკლებცხიმიანია, ვიდრე ხბოს ხორცი, ხოლო ჯანმრთელობისათვის სარგებელი მისგან გაცილებით მეტია.

თევზი ადამიანისთვის პროტეინების (ცილების) შესანიშნავ წყაროს და A, D, E, B12 და B6 ვიტამინების ნამდვილ საბადოს წარმოადგენს. იგი შეიცავს დიდი რაოდენობით ცხიმოვან მჟავას, რომელიც გვიცავს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისაგან, ამაგრებს ნერვულ ქსოვილებს, თვალის ბადურას. ეს მჟავები, დიეტოლოგთა რეკომენდაციების მიხედვით, აუცილებლად უნდა შედიოდეს ორსულთა და ჩვილ ბავშვთა საკვებში.

მეცნიერთა ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ცხიმოვანი მჟავები შეუცვლელია ქრონიკული ანთებითი დაავადებების, აგრეთვე — შაქრიანი დიაბეტისა და სიმსივნის ზოგიერთი ფორმის დროს.

ზღვის პროდუქტები მინერალების კარგად დაბალანსებული წყაროა. ნატრიუმის დაბალი შემცველობა და, ამასთან ერთად, კალიუმის საკმაო რაოდენობა თევზში, განაპირობებს ამ პროდუქტის კეთილისმყოფელ გავლენას ადამიანის ორგანიზმზე მაღალი წნევის დროს. ზღვის პროდუქტებთან ერთად ჩვენს ორგანიზმში აღწევს სელენი, იოდი და ფტორი, თანაც — ბუნებრივი სახით და ოპტიმალური რაოდენობით.

შევადაროთ თევზი სხვა პროდუქტებს:

● უცხიმო თევზის 100 გ შეიცავს 2 გ-ზე ნაკლებ ცხიმს, ძეხვში კი იგი 10 გ-ზე მეტია.



● თევზის შემადგენლობაში შემავალი ცხიმოვანი მჟავები, რომლებიც ასე სასარგებლოა ჩვენთვის, იშვიათად გვხვდება სხვა პროდუქტებში. ყველაზე დიდი რაოდენობით ცხიმოვან მჟავებს შეიცავს ორაგული და სკუმბრია.

● თევზის ქონის გახსენებამაც კი შეიძლება დაგიკარგოთ მადა, მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი მისი, მიქსტურასავით კოვზით მიღება. თევზის ქონი შეუმჩნევლად, საკმაო რაოდენობით აღწევს ორგანიზმში მოხარშული ან შემწვარი თევზის მირთმევისას და ჯანმრთელობისთვის სარგებლობის მოტანა შეუძლია. როგორც ავსტრალიელ მეცნიერთა გამოკვლევებმა გვიჩვენა, თევზის ქონი სტატინების ჯგუფის პრეპარატებთან ერთად მიღებისას, კარგად აწესრიგებს სისხლის ლიპიდურ შემადგენლობას იმ ადამიანებში, რომელთაც სხეულის ჭარბი წონა ან შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკი აქვთ.

● თევზი ადვილად აითვისება — 100 გ პროდუქტი უზრუნველყოფს ორგანიზმს ცილის დღიური დოზის ნახევრით. მაგრამ იმისათვის, რომ ცილები არ გაუხეშდეს და არ დაკარგოს სასარგებლო თვისებები, მოხარშვისას დაჭრილი თევზის ნაჭრები უნდა ჩაუშვათ მდუღარე წყალში და შემდეგ, მაშინვე დაბალ ცეცხლზე დატოვოთ. არ უნდა ხარშოთ 5 წთ-ზე მეტხანს. შეწვისას კი, აუცილებლად ამოავლეთ ფქვილში ან ორცხობილაში, რომ წვენი არ გამოუვიდეს.

● ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა პროფილაქტიკისათვის, ჩვენს ორგანიზმს ყოველდღიურად 150-200 მკგ იოდი ესაჭიროება. თუ ყოველდღიურად რაციონში 100 გ თევზს შეიტანთ, ასეთი ულუფა თქვენს ორგანიზმს იოდის საჭირო, დღიური დოზით უზრუნველყოფს. ეს მიკროელემენტი ყველაზე დიდი რაოდენობითაა ორაგულსა და ჭიჭყინაში, მდინარის თევზებში კი შედარებით ნაკლებია.

● მაგნიუმის ნაკლებობისას, რასაც ხშირად აქვს ადგილი სტრესის დროს, ჩვენ ანტიდეპრესანტებს მივმართავთ ხოლმე, მაშინ, როცა თევზს მთლიანად შეუძლია „დამამშვიდებელი“ ელემენტის კომპენსირება და განწყობის გაუმჯობესება. ინგლისელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ცხიმოვანი მჟავებით მდიდარი პროდუქტები ეფექტურია დეპრესიის დროს. სტუდენტებსა და სკოლის მოსწავლეებს კი რეცეპტივით უნდა გამოვუწეროთ თევზის მენიუ — სწავლის პროცესი მნიშვნელოვნად იოლდება მაგნიუმის დახმარებით. ■

ამერიკელმა ონკოლოგმა პაციენტები გაყინა

მიჩიგანის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შეიმუშავეს მკერდის კიბოს მკურნალობის ახალი მეთოდი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სპეციალური პროცედურის მეშვეობით ყინავენ პატარა და საშუალო ზომის სიმსივნეს. ექიმ მერილინ რაუბიდოკსის თქმით, ამ 30-წუთიანი, უმტკივნეულო ოპერაციის ჩატარება შეიძლება ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში ადგილობრივი ნარკოზით. წვრილი ზონდი შეჰყავთ სიმსივნის ცენტრში და ყინავენ, შემდეგ მინიატურული ჭრილობას გადაახვევენ. პირველმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მსგავსი მკურნალობა გართულებების გარეშე მიმდინარეობს, თუმცა, მისი გამოყენება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა სიმსივნის ზომა დიდი არ არის.

ტეხასელი მეცნიერები კი სხვა მეთოდზე მუშაობენ — ისინი სიმსივნეს აშორებენ ელექტროდების მეშვეობით. ამ პროცედურის დროს ნემსი შეჰყავთ ავთვისებიანი მასის ცენტრში და მასში დენს აატარებენ. თუმცა ეს მეთოდი ჯერ მხოლოდ ექსპერიმენტული კვლევის ეტაპზეა და შემდგომში მას დახვეწა და შემოწმება სჭირდება. ■

| სახელმწიფო ევროპაში | პირის ნაცვალსახელი | მაღალმთიანი კურორტი გურიაში | | |

რა უნდა ვიცოდეთ წმინდანებთან დაკავშირებით

წმინდანებად იწოდებიან ის ადამიანები, რომლებიც ეკლესიამ ღვთაებრივი ძალის მქონეებად აღიარა და რომელთა სახელებიც სამარადჟამოდ უკვდავყო ღმერთმა, მათ მიერ გაწეული ღვაწლისთვის. წმინდანები სასუფეველში ღვთის სიახლოვეს ნეტარებენ. მათ ჩვენთვის ადამიანებისთვის უფლის წინაშე შუამდგომლობა შეუძლიათ. წმინდანებში იგულისხმებიან: „ძველი აღთქმის“ მამები; წინასწარმეტყველნი; მოციქულები; მოციქულთასწორები და განმანათლებელნი; მოწამენი; მღვდელმთავრები; ღირსნი მამანი და დედანი; მართალნი; უვერცხლონი ანუ უსასყიდლონი; ნეტარნი და სალოსნი.

მორენა მერკვილაძე

„ძველი აღთქმის“ მამებად იწოდებიან ერისმთავარნი, რომლებიც ცხოვრობდნენ სინას მთაზე, მოსეს მიერ კანონის – ანუ სჯულის მიღებამდე. ეს ადამიანები, თავიანთი კეთილმორწმუნე ცხოვრებითა და მტკიცე რწმენით, ჭეშმარტად ადასტურებდნენ მაცხოვრის (მხსნელის) ხორციელად მოვლინების გარდაუვალობას.

წინასწარმეტყველებად იწოდებიან „ძველი აღთქმის“ დიდმორწმუნე და ბრძენი მამები. ისინი განსაკუთრებული მომავლის წინასწარ ჭვრეტის ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი ღვთისგან და განსაკუთრებული სიწმინდითა და ღვთისმოსაობით გამოირჩეოდნენ. ამ უდიდესი სიწმინდისა და ღვთისმოსაობის გამო, მათზე დავანებული იყო სულიწმიდა და სულიწმიდის კარნახით წინასწარმეტყველებდნენ. ყოველი წინასწარმეტყველი, ღვთის ბრძანებით, ვალდებული იყო, დაერიგებინა ხალხი და დაემწყსო ის ჭეშმარიტი სჯულით და მოძღვრებით, ემხილებინა ადამიანთა სჯულის საწინააღმდეგო საქციელი და უმთავრესად, ეწინასწარმეტყველა მომავალი – მაცხოვრის შობა, მიწიერი ცხოვრება (სასწაულები), ჯვარცმა და ბრწყინვალე აღდგომა.

„ძველი აღთქმის“ დროს არსებობდა 4 დიდი და 12 მცირე წინასწარმეტყველი. დიდი წინასწარმეტყველები არიან: ესაია, იერემია, იეზეკილი და დანიელი. მცირე წინასწარმეტყველნი: ოსია, იოილი, ამოსი, ავდია, იონა, მიქეა, ნაუმი, ამბაკუმი, სოფონი, ავგია, ზაქარია და მალაქია.

მოციქულები – მოციქულებად იწოდებიან მაცხოვართან ყველაზე ახლოს მყოფი ადამიანები, მისივე არჩეულნი და მოწაფედ წოდებულნი, რომლებიც თვით უფალმა იესო ქრისტემ დამოძღვრა და განსწავლა. მანვე გაგზავნა ქრისტიანული სჯულის საქადაგებლად, ზეცად ამაღლების შემდეგ. წმინდა მოციქულებმა პირველებმა შეიცნეს თავიანთ მოძღვარში – იესო ქრისტეში – მხსნელი, მესია, ხოლო შემდეგ, თვით განხორციელებული ღმერთი. ეს რწმენა მოციქულთა სახელით აღიარა წმინდა მოციქულმა პეტრემ. ამის შესახებ საუბარია მათეს „სახარებაში“: როდესაც მაცხოვარი თავის მოწაფეებს ეკითხება: „თქვენ კი რას იტყვით: ვინ ვარ მე?“ – ამის პასუხად სიმონ-პეტრე პასუხობს: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმერთისა ცოცხლისა“ (მათე 16, 16). წმინდა მოციქულთაგან ცნობილია ქრისტეს 12 უახლოესი მოციქული და კიდევ 70 მოციქული. 12 მოციქულის სახელებია: პეტრე, ანდრია პირველწოდებული, იაკობ ზებედეს ძე, იოანე, ფილიპე, ბართლომე, თომა, მათე მებაჟე, იაკობ ალფეს ძე, თადეოზი, სიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი, რომელმაც გასცა მაცხოვარი და შემდეგ თავი ჩამოიხრჩო; დანარჩენმა თერთმეტმა მოციქულმა, მის ნაცვლად აირჩია მატათა – ერთ-ერთი, ქრისტეს 70 მოწაფეთაგან.

მოციქულთასწორნი და **განმანათლებელნი** არიან ის პიროვნებები, რომლებიც მოციქულთა მსგავსად, უშუალოდ არ დასწრებიან მაცხოვრის ქადაგებას და ქრისტეს არ წარუგზავნია ქრისტიანული სჯულის საქადაგებლად, მაგრამ მოციქულთა მსგავსად ავრცელებდნენ ქრისტიანობას – მაგალითად, მოციქულთასწორი ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო.

მღვდელმთავრებად იწოდებიან ეპისკოპოსები და მთავარეპისკოპოსები, რომლებიც სათნო ეყვნენ უფალს – ე.ი. თავიანთი ცხოვრება უფალს მიუძღვნეს, მთელი ცხოვრება იღვწოდნენ ღმერთის სადიდებლად – მაგალითად, მღვდელმთავარი წმინდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედი, მღვდელმთავარი ბასილი დიდი და სხვები. ის მღვდელმთავრები, რომლებიც მოწამებრივად აღესრულნენ, **მღვდელმოწამეებად** იწოდებიან.

მოწამეებად იწოდებიან ის კეთილმორწმუნე ქრისტიანები, რომლებმაც სისხლი დაღვარეს ქრისტიანული სჯულისთვის. ისინი თავიანთი რწმენის გამო უდრტვინველად ითმენდნენ წარმართთაგან მიყენებულ ყველანაირ ტანჯვა-წამებას, მაგრამ ბოლომდე უერთგულეს ჭეშმარიტ სჯულს. მოწამეთა შორის ის მოწამეები, რომლებიც განსაკუთრებული ტანჯვით აღესრულნენ, იწოდებიან დიდმოწამეებად – მაგალითად, წმინდა დიდმოწამე ქეთევანი, წმინდა დიდმოწამე გიორგი.

ღირსნი მამანი და **დედანი**. ღირსებად იწოდებიან მხოლოდ ბერმონაზვნები ანუ ის ადამიანები, რომლებიც ერში ცხოვრებას განერიდნენ და ქალწულებრივი (უქორწინებელი) ცხოვრებით სათნო ეყვნენ უფალს. ის ბერმონაზვნები კი, რომლებიც ქრისტიანული სჯულისთვის მოწამებრივად აღესრულნენ, იწოდებიან **ღირსმოწამეებად**.

უვერცხლოთა სახელით ცნობილნი არიან ის ჭეშმარიტი ქრისტიანები, რომლებიც ქრისტეს სახელით კურნავდნენ ადამიანებს, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე. ამიტომაც ეწოდათ მათ უვერცხლონი ანუ უსასყიდლონი. ისინი, უფლის შეწევნით, საოცარ კურნებებს აღასრულებდნენ: აღადგენდნენ დავრდომილთ, ბრმებს თვალებს უხელდნენ და სხვა. უვერცხლონი არიან წმინდა პანტელეიმონი, კოზმა და დამიანე და სხვები.

მართლებად იწოდებიან ის ქრისტიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ ერში, ოჯახური ცხოვრების სიმძიმე იტვირთეს და ბოლომდე დაითმინეს საზოგადო ცხოვრების სიძნელეები, რადგან მათთვის ოჯახი ღვთის განდიდების საშუალება იყო – ე.ი. მართლები, მიუხედავად ერში ცხოვრებისა, ცხოვრობდნენ ქრისტეს სჯულის ღრმა რწმენით და მის ყოველ მცნებას ასრულებდნენ.

ნეტარებად აღიარებდნენ ჭეშმარიტ ქრისტიანებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული თავმდაბლობით და ყოველივე ამქვეყნიური სიკეთისა და ფუფუნების მკაცრი უარყოფით.

სალოსებად – ანუ ქრისტესთვის სულელებად – იწოდებიან ის ქრისტიანები, რომლებიც ხალხის წინაშე განგებ ისულელებდნენ თავს, რითიც საშუალება ეძლეოდათ, უფლის სიმართლე ეთქვათ მაღალი წრის წარმომადგენელთათვის, ემხილებინათ საზოგადოების მანკიერებები. ■

აბანოთუბანში, ულამაზეს ადგილას, სადაც შემოქმედი ადამიანისთვის არაჩვეულებრივი ატმოსფერია, ცხოვრობს ქართული მუსიკის მეტრი ბიძინა კვერნაძე. ფილმი — „მზე შემოდგომისა“ ახლა რომ გადაეღოთ, იფიქრებდი, პროტოტიპად კვერნაძეების ოჯახი აიღესო... ბატონმა ბიძინამ მისთვის დამახასიათებელი, გამორჩეული იუმორით გაიხსენა მეგობრებთან ურთიერთობა, პირად საკითხებზე საუბრისას კი საკმაოდ სიტყვაძუნწი აღმოჩნდა, ამიტომ, მისი პორტრეტის შესავსებად შემოქმედის მეუღლეს, ქალბატონ ნესტან (ნუგეშა) მესხს ვთხოვეთ დახმარება.

არშემდგარი კონცერტიორი, მექისეების „ხულრუკი“ და ცოლისთვის მიძღვნილი „მუმანიკის ნამეგობარ“

ნუცა თოფჩიშვილი

— ბატონო ბიძინა, პირველ რიგში თქვენს ფესვებზე მინდა გკითხოთ. როგორც ვიცი, ბავშვობა სიღნაღში გაატარეთ. იმერული გვარის კაცი, ქიზიყში როგორ მოხვდით?

— თავისებური, ძალიან რთული ბიოგრაფია მაქვს. მართალია, სიღნაღში დავიბადე, მაგრამ მამაჩემი გაქანებული იმერელი, წარმოშობით ქუთაისელი იყო. დედა, ნინა ნადირაშვილი, პიანისტი გახლდათ. ახალგაზრდა, 36 წლის ასაკში ტიფის ეპიდემიას ემსხვერპლა. სიღნაღში კი შემთხვევით მოვხვდით. მამა ხარკოვში სწავლობდა ფარმაცევტულ ფაკულტეტზე და დამთავრების შემდეგ, პრაქტიკაზე კახეთში გაგზავნეს. ასე შევრჩით სიღნაღში, სადაც ლამაზი და კარგი ხალხი ცხოვრობს. სკოლაში იქ ვსწავლობდი. იშვიათი პედაგოგები გვყავდა. ასეთი ხალხი თბილისის ნებისმიერ სკოლას და საზოგადოებას დაამშვენებდა. მათი დიდად მადლიერი ვარ... დედის მხრიდან მდიდარი ნათესავები მყავდა. განათლებული, განსწავლული ხალხი იყო, მეცენატები. მათ სახლში ხშირად სტუმრობდნენ: სანდრო ახმეტელი, ვაჟა-ფშაველა და იმ დროის გამოჩენილი პიროვნებები და საზოგადო მოღვაწეები. 1924 წელს, ბაბუაჩემი არაფრის გულისთვის დახვრიტეს და ყველაფერი წაართვეს.

ქალბატონი ნუგეშა:

— ბიძინას ბაბუა თბილისის ცენტრში რამდენიმე კვარტალის მფლობელი იყო. კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს ჰპატრონობდა და თეატრსაც უწევდა მეცენატობას. შვილებს განათლება უცხოეთში მიაღებინა. ბიძინას დედაც გერმანიაში სწავლობდა, თბილისში კი, ზაქარია ფალიაშვილთან კერძო გაკვეთილებს იღებდა. შემდეგ კომუნისტებმა მამა და ორი ძმა დაუხვრიტეს. მენშევიკები იყვნენ, გვარი იდევნებოდა და ბიძინას დედის ძმამ გოგიმ გვარი — ნადირაშვილი — ნადირაძედ გადაიკეთა. ბიძინას მამა უპატიოსნესი ადამიანი, აფთიაქის გამგე გახლდათ. მისი აფთიაქი წლების მანძილზე, საქართველოში პირველ ადგილზე იდგა თავისი სანიმუშო წესრიგით. წამალი რომ დასჭირდებოდა, საკუთარ აფთიაქში ფულს იხდიდა და ისე მიჰქონდა. სიღნაღში ძალზე მომცრო ბინა ჰქონდათ. ბიძინას მამის გარდაცვალების შემდეგ, ის ბინა მთავრობას ჩავაბარეთ, თავისი ავეჯიანად. ვისაც ეს ბინა მისცეს, 2 წლის შემდეგ გვირეკავს და ბიძინას ეუბნება: ბატონო ბიძინა, მე ამ ბინას ვყიდი და იქნებ, თქვენ იყიდოთო?..

— რეპრესირებული ნათესავების პატრონს რთული ცხოვრება გექნებოდათ და მუსიკალური განათლების მიღება რამ გაფიქრებინათ?

ბატონი ბიძინა:

— მუსიკის არაფერი გამეგებოდა. დედა რომ გარდაიცვალა, ჩემი ცხოვრება აირია. თბილისში, მუსიკალურ ათწლედთან „ხანდაზმული“ ბავშვებისთვის ინტერნატი იხსნებოდა. ჯარში რომ არ წავეყვანეთ, ამ ინტერნატში მოვხვდი. მე და ჩემმა მეგობარმა, გენერალმა ოთარ ხატიაშვილმა ერთად გავიარეთ კომისია და მიგვიღეს. რამდენად გასაოცარიც არ უნდა იყოს, ჩემთან ერთად პიკო ნიჟარაძეც სწავლობდა. ერთი წელი აბლაბუდაში გახვეულივით ვიყავი. ყველამ პატარ-პატარა ინსტრუმენტი აირჩია, მე კედელზე აყუდებული კონტრაბასი ავიღე. მუსიკას ვერაფერი გავუგე და თავის დანებებას ვაპირებდი. სავალდებულო საგანს — ფორტეპიანოს ტერეზა არონიშიძე გვასწავლიდა. არ ვიცი, ამ ქალბატონმა ჩემში რა დიანახა, მაგრამ კატეგორიულად მომთხოვა სწავლის გაგრძელება. მან ისეთი გავლენა მოახდინა ჩემზე, რომ სწავლაში დღესა და ღამეს ვასწორებდი. ასეთი შრომისგან ხელი დამიავადდა — გამიშეშდა, ატროფია დამემართა. პარალელურად მუსიკალურ ათწლედში თეორიულ განყოფილებაზე შალვა ასლანიშვილთან ვსწავლობდი. 3 წელიწადში დავამთავრე. ასე რომ, საფუძვლიანი თეორიული განათლება მივიღე. კონსერვატორიის გვერდით ფლიგელი იყო, სადაც კონტრაბასის შემსწავლელი კლასი იყო და კონტრაბასები ინახებოდა. შევდიოდით იქ და ვუკრავდით, უფრო სწორად — ვაბრახუნებდით. ბახის დაკვრა გვინდოდა. კონტრაბასი რა ტონალობაზეც იყო აწყობილი, ჩვენ იმაზე ნახევარი ტონით მაღლა ვაწყობდით, რომ არ „გაგვებახებინა“ მუსიკა. მთელი მთაწმინდის კრაზანები მოფრინავდნენ ჩვენს დასაკბენად — რას უკრავთ, თქვე ვირიშვილებო?!. მერე და მერე, გამოვიქეცი. ასე ვისწავლე მუსიკა. თუმცა, მუსიკას ახლაც ვსწავლობ: მუსიკა ისეთი ამოუწურავი სამყაროა, რომ მთელ მსოფლიოში დაწერილი გენიალური ნაწარმოებების მოსასმენად 6 ცხოვრებაც არ გეყოფა... შემდეგ კონსერვატორიაში საკომპოზიციოზე ჩავაბარე.

— თქვენს შემოქმედებაზე რომელმა კომპოზიტორმა მოახდინა ყველაზე დიდი გავლენა?

— ანდრია ბალანჩივაძემ. დიდი კო-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. პოლარული დათვი ცაციაა.
2. ბულბული 25 გრამამდე იწონის.
3. „ზეკარი“ და „უღელტეხილი“ სინონიმებია.
4. ბუჭყინტა სოფელია თიანეთის რაიონში.
5. ჟორჟ სანდი, ლისტის, დემიუზეს და შოპენის მუზა იყო.
6. გველის ან ფრინველის ფეხის გაანძრობ კანს ჭარი ჰქვია.

7. „მან ქალებს ლაპარაკი ასწავლა“, – ამბობენ ანა ახმატოვას შესახებ.
8. აღჯანაბადი, გარგარის ჯიშია. მისი ნაყოფისაგან უმთავრესად, ჩირს ამზადებენ.
9. 1919-დან 1927 წლამდე თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადს პოლტორაცკი ერქვა.
10. მაქსიმ გორკი მამის დაღუპვისა და დედის გათხოვების შემდეგ, მარტოდმარტო დარჩა.
11. მეცნიერების დარგს, რომელიც სმენის დაქვეითებას შეისწავლის, აუდიოლოგია ეწოდება.
12. იოზეფ გებელსის მამა გაზის ფარნების მწარმოებელი ქარხნის წვრილი მოსამსახურე იყო.
13. ფორდევინდი, ბაქშტაგი, ჰალფინდი და ბეიდევინდი იალქნიანი გემის სვლის კურსთა ჩამონათვალია.
14. შერლოკ ჰოლმსი ლიტერატურის ბაიბურში არ იყო. მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ ვინ იყო გრაფი მონტე-კრისტო.
15. უკრაინაში, მეშახტეთა დაღუპვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. სტატისტიკის მიხედვით, ამ ქვეყანაში ყოველდღე, ერთი მეშახტე იღუპება.
16. ვლადიმირ მაიაკოვსკი მუშებში რევოლუციური პროპაგანდისათვის, ბუტირკის საპყრობილეში იხდიდა სასჯელს.
17. „მნე ესტონცი ჟალავალის: პრიეზჟაიუტ რუსკიე ნა ხუტორ ოტდიხატ ლეტომ, ა ოსენიუ დაჟე საბაკი პო რუსსკი ლაიუტ“, – ჰყვებოდა მიხაილ ზადორნოვი.
18. ნადირთა და ფრინველთა გამგებელ ღვთაებას სვანურ მითოლოგიაში აფსათი ჰქვია. დალისგან განსხვავებით, იგი მამრობითი სქესისაა. P.S. აფსათი ოსურ მითოლოგიაშიც გვხვდება.
19. ჰესიოდეს თანახმად, სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე

რამდენიმე წლის წინ, ჩვენი შვილები ჩაგვაცივდნენ, განსაკუთრებით კი, რძალი – ჯვარი დაიწერეთო (ქალბატონი ნუგეშა მეუღლესთან ერთად)

მპოზიტორი იყო. ღრმად განსწავლული და განათლებული, იშვიათი აღზრდის და კულტურის. მისი სკოლა დღემდე არსებობს. ჩემს ჩამოყალიბებაში ბატონმა შურა შავერზაშვილმაც დიდი როლი ითამაშა. ასე არ არის საქმე – დაიბადე ნიჭიერი და ყველაფერი აწყობილია. თუ ერთი ყურით მეორეს არ მოუსმინე და არ დაიხვეწე, არაფერი გამოგივა.

— თქვენს მშობლებთან თუ დაგრჩათ პასუხგაუცემელი კითხვები ან ახლა რომ ცოცხლები იყვნენ, რას ეტყოდით?

– სულმნათ დედაჩემს ძალიან უნდოდა, რომ კომპოზიტორი ვყოფილიყავი. გუმანით რაღაცას ხვდებოდა, რაღაც კოდი იყო ჩადებული და ალბათ ამიტომ ოცნებობდა ჩემს კომპოზიტორობაზე. მგონი, სურვილი შევუსრულე და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ. მამაჩემი ძალიან კარგი კაცი იყო. ჩემს მუსიკალურ განათლებაზე არ ფიქრობდა, უნდოდა, სამხედრო კარიერა გამეკეთებინა. კიდევ კარგი, ჩემთვის სხვა გზა გამოჩნდა, თორემ, ჩემი „არაჩვეულებრივი“ დისციპლინით და „მხედრული ნიჭიერებით“ საქართველოს სამხედრო ძალები ვერაფერს მოიგებდნენ. რას ვეტყოდი მამაჩემს?.. მამამ მითხრა – ბიჭო, რა დაწერე ამისთანა?.. დავიძინე – უკრავდნენ, გავიღვიძე – ისევ უკრავდნენო!.. ცოცხალი რომ იყოს, მადლობას ვეტყოდი. ჩემს წარმატებას მოესწრო და გახარებული იყო... შემლებულ ოჯახებს თავ-თავიანთი ავეჯიანად აპატიმრებდნენ. მოსაშვილზე პატარა ბინაში ჯერ კიდევ მარტო რომ ვცხოვრობდი, სტუმრად ჩვენი ნათესავი, სანდრო ახმეტელის ძმისშვილი მეწვია. ჩემს ავეჯს თვალი რომ შეავლო, მითხრა: ბიჭო, ისევ იმ „მებელში“ წევხარო? არადა, ის საწოლი ვენიდან იყო ჩამოტანილი და 9 ციხე „მოიარა“... მამაჩემი სულ მეუბნებოდა, – არ გადააგდო, „ვენსკიაო“. მე ვეუბნებოდი, – ჭიები ღამით იწყებენ საწოლის „ხრამუნს“ და ისეთ ამბავში არიან, დილით კართან მიჩოჩებული მხვდება, სანამ კარს გასაღებს არ მოარგებენ და ქუჩაში არ გამიყვანენ, არ გადავაგდო-მეთქი?..

— თქვენი პირველი ნაწარმოები გაიხსენეთ და ისიც გვითხარით — განსაკუთრებით სიამოვნებას თქვენი რომელიმე მელოდია განჭებთ?

– პირველი სიმღერა, „შავთვალა ხუჭუჭთმიანი“ გახლდათ. ოთარ ინასარიძემ ჩამიწერა, რადგან მე ჯერ კიდევ არ ვიცოდი სანოტო სისტემა. მთელი საქართველო მღეროდა, ისეთი პოპულარული იყო და მაშინ არც იცოდნენ, რომ მე დავწერე. არ მივეკუთვნები ადამიანთა იმ კატეგორიას, რომელსაც 60 წლის წინ დაწერილი სიმღერა ანიჭებს სიამოვნებას ან თავისი მუსიკით კმაყოფილია. ამით ტკბობა ბუნებაში არ მიზის. საერთოდ, კარგი მუსიკა ძალიან ცოტაა, უმეტესობა ცუდი ან საშუალოა.

— მოსაშვილის ქუჩაზე ერთ სახლში ცხოვრობდით კომპოზიტორები და გარდა მეზობლური ურთიერთობისა, არაჩვეულებრივი მეგობრობაც გაკავშირებდათ...

– მართლაც, იშვიათი ხალხი ცხოვრობდა იმ სახლში. გარდა იმისა, რომ დიდი შემოქმედები იყვნენ, დიდი ადამიანები და განსაწავლული ხალხი გახლდათ. არ ამომდიან თავიდან, ყოველ წუთს მათზე ვფიქრობ. საოცარი ნიჭის პატრონები იყვნენ: შოთა მილორავა, კოკა გუდიაშვილი, ცაგარეიშვილი, შავერზაშვილი... მუსიკის უდიდესი მეცნიერები – ლადო დონაძე, შალვა ასლანიშვილი, პავლე ხუჭუა. მათ შექმნეს ქართული კულტურის ბაზა, თეორიული განათლება შემოიტანეს. ეს იყო სახლი, რომელშიც ყველა ერთი აზრით ვსულდგმულობდით, ერთად ვისვენებდით და ხშირად გვეკითხებოდნენ – არ მოგბეზრდათ ერთმანეთი, ზაფხულშიც ერთად რომ დადიხართ დასასვენებლადო?!. რაც მთავარია, ამ სახლში ცხოვრობდა რეზო ლაღიძე. აბა, მასთან ერთად რომელ მობეზრებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი?! სიცოცხლით და მოულოდნელობებით სავსე პიროვნება გახლდათ. მთელ სახლს ნათესაობაზე უფრო ძლიერად გვაკავშირებდა. რეზო მოვლენა იყო მუსიკაში. მისნაირი ნიჭიერი ადამიანი არ

შემხვედრია. მუსიკის წერისას, სრულიად გარდაიქმნებოდა. ეს ფუმფულა, თითქოს არასაფორტეპიანო თითები ისე მაგრად დარბოდა კლავიატურაზე და ისეთ საოცარ ტექნიკას „აფრქვევდა“!.. ბევრი რამ ვისწავლე მისგან – ადამიანობა, კაცობა... სათევზაოდ დავყვებოდი ხშირად. რეზო სასწაულებრივ შლიდა ბადეს. მაშავერაზე წავედით სათევზაოდ – გუგული თორაძე, პეტრე გრუზინსკი, სულხან ნასიძე, ტუხა კერესელიძე. პატარა მდინარეა, გახდილები ვდგავართ. რეზო დაიჭერს თევზს, აკოცებს და გადმომიგდებს, მე ვედრო მიჭირავს და ვაგროვებ. ნაპირზე ცეხლი გვაქვს დანთებული თევზის მოსახარშად. უცებ კოჭში, ვერაგულად ნასროლი ქვა მომხვდა. ისე გავმწარდი, ვედროიანად ჩავიჩოქე წყალში და... შემრჩა ცარიელი ვედრო ხელში! კინაღამ მომკლეს – ეს რა გვიქენიო?! არადა, სპეციალურად მომიწყვეს.

— როგორც ვიცი, ნადირობითაც იყავით გატაცებული...

ძალბატონი ნუგეშა:

– სანადიროდ იმიტომ კი არ დაჰყვებოდა, რომ დიდი მონადირე იყო და ნადირობა უყვარდა – მათთან ყოფნა უნდოდა და ის სიტუაცია მოსწონდა. მისი მონადირული ხასიათი კარგად გადმოსცეს თავიანთ ერთობლივ ნახატში დიმა ერისთავმა, თენგიზ მირზაშვილმა და რეზო გაბრიაძემ. სურათს აწერია – „ბიძინა კვერნაძის გასვლა დათვზე კახეთში“ და მასზე ხატია ხეზე ამძვრალი, შეშინებული ბიძინა, ქვევით კი თოფმომარჯვებული, მომლოდინე დათვები... ბიძინას პატივსაცემად, ცნობილმა მონადირეებმა არხოტში სპეციალურად შეადგინეს სცენარი: ბიძინა ერთ ადგილზე დააყენეს – აქ დათვი გამოიცვლის და ესროლეო. ხედავს ბიძინა, დათვების ოჯახი მოსეირნობს. გვერდით ისე ჩაუარეს, თავში არც მოსვლია, რომ ესროლა. მონადირეები კი, გაგიჟებულები, ხელებს თავში იცემდნენ – ეს რა გვიქენი, დათვები როგორ გაუშვი, რა ზარალი გვაჩვენეო!..

— ასეთ საინტერესო სახლში ცხოვრობდით და როგორ დათმეთ ის გარემოცვა? ახალ უბანში გადასვლა არ გაგიჭირდათ?

ბატონი ბიძინა:

– დღეს აბანოთუბანში ვცხოვრობთ. საოცრად საინტერესო დემოგრაფიული სურათია: ქურთი, თათარი, სომეხი, ებრაელი, ქართველი, რუსი საოცრად შეხმატკბილებულად ვცხოვრობთ ამ პატარა რაიონში. აქაც არაჩვეულებრივი მეზობლები გვყავს: ანზორ ერქომაიშვილი, გია ბადრიძე, აკადემიკოსი ნუგზარ ალექსიძე და მძღოლები, მუშები, მექისეები და ა.შ. ეს ადამიანები ჩვენი ოჯახისგან დიდ სითბოსა და სიყვარულს იმსახურებენ და მათგანაც იმავეს ვგრძნობთ. კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე ნოდარ გაბუნია იყო, მე და ანზორ ერქომაიშვილი – მისი მოადგილეები. ბორჯომში, როცა მონასტერი აირია *(მხედველობაში აქვს ბორჯომის კომპოზიტორთა დასასვენებელი სახლი. – ავტ.)*, გაგვიშვეს შესამოწმებლად. უცხო ხალხი დაგვხვდა, წარმოდგენა არ ჰქონდათ მუსიკასა და კულტურაზე. ვერ გვიცნეს. სად ცხოვრობთო? – მკითხეს. – აბანოთუბანში-მეთქი, – ვუპასუხე – ვინა ხარო? მე, მექისეების „ხუდრუკი“ ვარ, ეს კი ჩემი მოადგილეა-მეთქი. ახლაც არ იციან, ვინ ვიყავით...

— ბატონო ბიძინა, თქვენი იუმორი საქვეყნოდაა ცნობილი. განსაკუთრებით, პეტრე გრუზინსკისთან იყავით შეხუმრებული. თუ შეიძლება, თქვენი ურთიერთობიდან გაიხსენეთ რაიმე ამბავი.

– მართალია, სულ ვეხუმრებოდით ერთმანეთს. ძალიან ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ სმენა არ ჰქონდა. სულ ვეუბნებოდი – ბიჭო, „მოსკვიჩის“ „გუდოკზე“ გაქვს ხმა დაყენებული-მეთქი... არადა, მუსიკალური განწყობისთვის მისნაირად შესაფერისად დაწერილ ლექსებს იშვიათად შეხვდებით. სანამ პეტრეს გავიცნობდი, ერთი თბილისელი გოგო მომწონდა, ლიკა. კარგი გოგო იყო. ხან სად დავხვდებოდი, ხან – სად. სულხან ცინცაძემ მითხრა – წამოდი, მე გაგაცნობ მაგ გოგოსო. ამიყვანა პეტრეს სახლში ასე, 18 კაცი ქეიფობდა. თურმე, პეტრეს ცოლი არ ყოფილა?! ისე შემრცხვა, აღარ ვიცოდი, სად წავსულიყავი *(იცინის)*. ამის შემდეგ დავმეგობრდით მე და პეტრე. ერთხელ, საქეიფოდ ვიყავით წასული. სუფრა გვიან დამთავრდა. პეტრემ აიჩემა, – ახლა სვეტიცხოველში უნდა წავიდეთ, მამაჩემის საფლავზეო. სვეტიცხოვლის დარაჯად ერთი ხელმოჭრილი კაცი დაგვხვდა. გვკითხა – რაშია საქმე, ბატონებო, ამ შუაღამისას რაზე შეწუხებულხართო? – ჩვენი მეფისწული მობრძანდა, შეხვდით-თქო, – ვუთხარით და პეტრეზე მივუთითეთ. შეგვიშვა ტაძარში. ჩავუარეთ ერეკლეს საფლავს, უზარმაზარია; დანარჩენ საფლავებსაც დიდი ქვები ადევს. გვატარა პეტრემ, გვატარა და ბოლოში, ერთ საფლავთან მიგვიყვანა, რომელზეც მარმარილოს პატარა, შავი ქვა დევს. ბიჭო, ეს რა „ზაჟიგალკის“ ქვა დაგიდვია მამაშენის საფლავზე-მეთქი!.. გაგიჟდა, ისე გაბრაზდა. შენ მამაჩემს შეურაცხყოფა მიაყენეო!.. ლიკას (პეტრე გრუზინსკის

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ლვალის უბის წიგნაკიდან:

კუნძულ კვიპროსთან ზღვის ქაფიდან იშვა, აქედან წარმოდგება მისი ერთ-ერთი ეპითეტი – „კიპრიდა“.

20. ეგრეთ წოდებული „ნაღმის მახეები“ მენაღმეთა ლიკვიდაციისათვის არის შექმნილი. როდესაც მენაღმე ერთ ნაღმს უვნებელყოფს და მიწიდან ამოიღებს, ამ დროს მეორე, იმის ქვეშ მოთავსებული ნაღმი ფეთქდება.

21. „მთელი ცხოვრება გოგოებზე მეტად, ბიჭებთან ვმეგობრობდი – მათ შენი არასოდეს შეშურდებათ, ლამაზი კაბისა და ძვირად ღირებული სუნამოს გამო“, – თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში ნატო ონიანმა.

22. ინკვიზიციის მიერ მსჯავრდებულის კოცონზე დაწვას აუტოდაფე ერქვა (აუტო დე ფე (Auto de fe) ესპანურად და პორტუგალიურად რწმენის აქტს ნიშნავს). P.S. უკანასკნელი აუტოდაფე ქალაქ ვალენსიაში 1826 წელს გაიმართა.

23. „მეშჩანები ყვირიან, ბოლშევიკებმა დახვრეტები შემოიღესო. შემოვიღეთ და სავსებით შეგნებულადაც!“ – წერდა ლენინი.

24. „– კუდა ჟე ტი პრაპალა, ალა? ჟდუ ტებია ია ს ჩეტვერგა!“ „– ია ატპილივალა უ ფილი, ევო ნოვიე რაგა!“ – ფილიპ კირკოროვისადმი „მიძღვნილ“ ამ ჩასტუშკას ალა პუგაჩოვა, მაქსიმ გალკინთან ერთად მღერის.

25. მეზობელი ქვეყნების მიწა-წყლის სარბევად და დასაზვერად მოწყობილ ლაშქრობათა მონაწილეებს ოსმალეთში აქინჯიები ერქვათ. მათი თავდასხმები ღაზავათის (საღვთო ომის) ლოზუნგით ეწყობოდა. აქინჯიების რაზმებს ქრისტიანული ქვეყნების საზღვრებთან მოსახლე მსუბუქად შეიარაღებული მომთაბარე თურქებისაგან ადგენდნენ. სიფაჰიებისა და იანიჩარებისგან განსხვავებით, აქინჯიები თავს ესხმოდნენ იმ ქვეყნებსაც, რომლებსაც ოსმალეთი არ ეომებოდა. მათი მეშვეობით, ოსმალეთის ხელისუფლება ომის გამოუცხადებლად ებრძოდა ვენეციას, ბალკანეთის ქვეყნებს, ავსტრიას, გერმანიას, საქართველოსა და სხვა ქვეყნებს. აქინჯიებს ხშირად ახლდნენ მოხელეები, რომლებიც იღებდნენ ნადავლისა და ტყვეების ერთ მეხუთედს – სახელმწიფოს კუთვნილ წილს.



მათ სხვა ინტერესები აქვთ...
(შვილიშვილები – ბუში (წინა პლანზე), ანა და რამაზიკო)

ცოლის) ნათესავებმა გურიაში სახლი გაყიდეს და ლიკას წილად მამალი ერგო, უზარმაზარი მამალი. ისეთი ბებერი იყო, დედლებს ვეღარ პეპლავდა, წრეს არტყამდა, ამასობაში კი, ახალგაზრდა მამლები მარჯვობდნენ. პეტრეს დავცინოდი – შენსავით არის-მეთქი და ამით ვაბრაზებდი. პეტრეს მცხეთაში სახლი ჰქონდა და ეს მამალიც იქ ცხოვრობდა. ის დროა, პომიდორია შემოსული. ჩვენ, პომიდვრის ფანატები ვიყავით და ერთი სული გვქონდა, ახალი პომიდორი „გაგვეკნასა". ჩავედით მცხეთაში. მოუთხრია ამ მამალს პომიდვრის ძირი, ზედ რვა კილო პომიდორი ასხია, ნისკარტით უჭირავს და დაარბენინებს ეზოში. რომ დაგვინახა, გაჩერდა, გააგდო ნისკარტიდან პომიდვრის ძირი, გამოექანა და ჩვენს მეგობარს, დათიკო ცერცვაძეს შეახტა... პეტრეს მეზობლად გენერალი ცხოვრობდა, მოგვიანებით, მასაც ასე შეახტა და „პაგონი" ჩამოაგლიჯა. გადმოიღო გენერალმა თოფი და დახვრიტა მამალი. გავარდა ხმა, პეტრეს მამალი მოკვდაო და დაგვპატიჟეს „ქელეხზე". მაგრამ რად გინდა? – არა და არ მოიხარშა, ისეთი მაგარი ხორცი ჰქონდა. 4 თვე იხარშებოდა და თან, ქვაბიდან ოთხჯერ ამოხტა, ვის გაუბედეთ ესო *(იცინის)*!..

— ბატონო ბიძინა, ახლა თქვენს ოჯახზე — მეუღლეზე, შვილებსა და შვილიშვილებზე გვესაუბრეთ. თუ გამოჰყვა რომელიმეს, მუსიკალური ნიჭი?

– ნუგეშას აბსოლუტური სმენა აქვს, მაგრამ მე აბსოლუტურად არ მისმენს...

ქალბატონი ნუგეშა:

– ბიძინას ასეთი გაუფრთხილებელი ინტერპრეტაციის გამო, ერთხელ ქუჩაში უცნობმა კაცმა გამაჩერა და აბსოლუტურად სერიოზულად დამიწყო ჩხუბი – ქმარი ამხელა კაცი გყავს და მისი ფასი არ იცი, არაფერს უსმენო. გულწრფელი ახსნა-განმარტების მიცემა მომიხდა.

ბატონი ბიძინა:

– მე და ნუგეშა რომ დავუღლდით – ანუ შევუღლდით, ჩვენი მეჯვარე ჯანსუღ კახიძე იყო. მამამისმა ვანიჩკამ გადაგვიხადა ქორწილი. წამოვედით შინ და დილით ნაგვის მანქანამ დარეკა „ზარი". ნუგეშა მეუბნება – ფა ძიეზიაო. – ფა ძიეზი „პადიეზდს" ნიშნავს და მიდი, ნაგავი გაიტანე-მეთქი... კარგი შვილები და შვილიშვილები მყავს. გოგი ნიჭიერი ბიჭია, ხატავს. მალე გამოფენა ექნება და ვნახოთ.

ქალბატონი ნუგეშა:

– ორივე შვილი – ფისასოც და გოგიც მუსიკალურები იყვნენ, მაგრამ გოგის აბსოლუტური სმენა ჰქონდა. საშინლად ზარმაცები იყვნენ, მეცადინეობა არც ერთს არ უნდოდა. გოგის შვილი, ბუში (ბიძინა) პროგრამისტია, XXI საუკუნის შვილია. ფისასოს შვილებიც სხვა გზას დაადგნენ. მათი ძირითადი გატაცება, ენებია. რძალმა და სიძემ ჩვენი ცხოვრება გაალამაზეს. ძვირფასი გახადეს ოჯახური ერთიანობა. რძალი – მაკა კიტოვანი მხატვარი ვიტრაჟისტია და თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის. სიძე – გაგა კიკნაძე კი, უკვე საკმაოდ ცნობილი არქიტექტორია.

— ქალბატონო ნუგეშა, როგორც ვიცი, საკმაოდ საინტერესო ჯვრისწერაც გქონდათ.

– რამდენიმე წლის წინ, ჩვენი შვილები ჩაგვაცივდნენ, განსაკუთრებით კი, რძალი – ჯვარი დაიწერეთ. ჯვარი დაიწერეთ, არ გვინდა, უკანონო შვილები ვიყოთო. ეს, ომის პერიოდში ხდებოდა. საკმაოდ ხელმოკლედაც გახლდით. მაინც გადავწყვიტეთ, მეჯვარედ გურამ მელივა ავირჩიეთ. ბიძინა ნერვიულობს – სუფრას რა ვუყოთო? მე ვაწყნარებ – ჯვრისწერის შემდეგ ამოვალთ სახლში და ჩვეულებრივი სადილი გვექნება-მეთქი. დადგა ჯვრისწერის დღე და ბიძინა კითხულობს – ბეჭედი გაქვსო? ვფიქრობ – გზაში სადმე იაფფასიან ოქროსფერ ბეჭედს ვიყიდი-მეთქი. შაბათი დღე იყო და ყველა მაღაზია დაკეტილი აღმოჩნდა. გზაში ამ ბეჭდის გამო იმდენი ვიჩხუბეთ, ლამის გაყრამდე მიდგა საქმე *(იცინის)*... მივედით ეკლესიაში, იმ იმედით, რომ იქნებ, იქ მაინც იყოს რაიმე ბეჭედი-თქო. შევედით, მღვდელი შემოგვეგება და პირველი, რაც გვითხრა, ბეჭდები მომეციოთო. ცუდად გვენიშნა და მოვიჟამეთ ყველა. უცებ, ფისასოს თვალები გაუშეშდა: ჩემს ჩანთაზე ოქროსფერი რგოლი ეკიდა. მოჭრა ეს რგოლი და გავუკეთეთ ბიძინას „საქორწინო ბეჭედი". ჩვენს ჯვრისწერას ისეთი დროს ტარება მოჰყვა, ალბათ დიდხანს გვეხსომება!

— დაბოლოს, ბატონო ბიძინა, არ შემიძლია არ გკითხოთ, თქვენს ოპერას — „შუშანიკის წამებას" რა ბედი ეწია? ხომ არ აპირებენ მის დადგმას?

– ეს ოპერა ჩემს მეუღლეს მივუძღვენი, ამდენი წელი რომ გამიძლო. ჩემი დროს ტარებით რაღაც პერიოდი, გამწარებულიც კი იყო... მოსკოვში, დიდ თეატრში რომ დაიდგა, დიდი წარმატება ხვდა წილად. მას შემდეგ, დიდი დრო გავიდა, თან ოპერის კარგად შესრულება და დადგმა ძნელია, ყველაფერს დაფინანსება სჭირდება. „შუშანიკის" დადგმას დათო დოიაშვილი და ნიკა მემანიშვილი აპირებენ. ალბათ კარგად გაართმევენ თავს...

ორივე შვილი – ფისასოც და გოგიც მუსიკალურები იყვნენ, მაგრამ... საშინლად ზარმაცები...

პოლ გასკოინი – ვარსკვლავი, რომელმაც ფეხბურთი ღაზას სექტორად აქცია

საკმაოდ დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც პოლ გასკოინმა საფეხბურთო კარიერა დაასრულა, თუმცა, იგი დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. გაზას პერსონით საზოგადოების ასეთ დაინტერესებას თავად ვარსკვლავის ხასიათიც განაპირობებს: ინგლისელი ფეხბურთელი პერმანენტულად ხვდება სკანდალებისა და კომიკური სიტუაციების ეპიცენტრში. ამას წინათ პოლმა სასამართლოს მიმართა და მოითხოვა, რომ იგი თავისი ყოფილი მეუღლის, შერილის მიმართ საალიმენტო პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლონ.

როდესაც 1999 წელს, პოლი და შერილი განქორწინდნენ, ფეხბურთელმა ამ უკანასკნელს მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა და იმასაც შეჰპირდა, რომ საერთო ვაჟიშვილის, რიგანის აღსაზრდელად ყოველთვიურად 10 ათას გირვანქას გაიღებდა. მოგვიანებით, როდესაც გასკოინმა პროფესიონალური კარიერა დაასრულა, ალიმენტის ოდენობა 5.500 ათასამდე შემცირდა. ზემოთ ხსენებულ სასამართლო მოსმენაზე კი, არაორდინარულმა ვარსკვლავმა განაცხადა: „მინდა, ამას ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დავუსვა. ამჟამად ძალიან მჭირდება ფული, ერთ-ერთ სოფელში მდინარის ნაპირზე სახლი შევარჩიე, სადაც სათევზაოდ ვივლი ხოლმე...“

ბუნებრივია, ფეხბურთელის მორიგ გააქტიურებას ყვითელი პრესა უყურადღებოდ არავითარ შემთხვევაში არ დატოვებდა. ასე რომ, სკანდალებზე მონადირე კორესპონდენტებს თავშესაქცევი საქმე გამოუჩნდათ. მათ უმალვე გაავრცელეს ინფორმაცია – გასკოინმა ვაჟიშვილი თევზაობას ანაცვალაო... თუმცა, ეს ჯერ კიდევ არაფერია იმ ყბადაღებულ ოინებთან შედარებით, რომლებიც პოლის ბიოგრაფიაში მართლაც მრავლადაა.

დღესაც, სადაც არ უნდა გამოჩნდეს პოლ გასკოინი, უმალვე თაყვანისმცემელთა გარემოცვაში აღმოჩნდება ხოლმე, რომლებიც მისგან დიდი მოთმინებით ელოდებიან ავტოგრაფის მიღებას. გაზაც არასოდეს ეუბნება მათ უარს. „გიყვარდეთ პოლ გასკოინი!“ – ავტოგრაფის მიცემისას, ეს მისი საყვარელი ფრაზაა.

როდესაც 1988 წელს „ტოტენჰემმა“ „ნიუკასლს“ პოლ გასკოინის სანაცვლოდ იმ დროისთვის რეკორდული თანხა, 2 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა, საფეხბურთო სამყაროში ყველა გაკვირვებული დარჩა: 172 სმ სიმაღლისა და 75 კგ წონის გაზა ნამდვილად არ ჯდებოდა ბრიტანული ფეხბურთისთვის დამახასიათებელ სტანდარტებში. იგი არც მაღალი იყო და არც ათლეტური, რომ აღარაფერი ვთქვათ „ნამდვილი ჯენტლმენის“ იმიჯზე, რაც ათწლეულების განმავლობაში ბრიტანელ ფეხბურთელთათვის ერთგვარ სტერეოტიპად იქცა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პოლის მონაცემების მქონე მოთამაშე „მეორე სართულზე“ ბრძოლისას თავს ნამდვილად ვერაფრით გამოიჩენდა. ერთი სიტყვით, საფეხბურთო მიმომხილველებმა გაზას „სქელი პინგვინი“ უწოდეს. თუმცა, ფეხბურთელმა მალე დაამტკიცა, რომ „ნისლიან ალბიონზე“ მას ბადალი არ ჰყავდა.

გასკოინს შეეძლო 40-50 მეტრის მანძილზე უზუსტესი პასი მიეცა პარტნიორისთვის, თითქმის მთელი მინდორი სწრაფი დრიბლინგით გაევლო და გზად ყველა შემხვედრი მეტოქე მოთამაშე იმედგაცრუებული დაეტოვებინა. ამასთან, პოლი ბრიტანული საფეხბურთო სკოლისთვის დამახასიათებელ მთავარ კანონს – „თუ მოწინააღმდეგე მოატყუე, ბედს ნუღარ გამოცდი და პარტნიორს დროზე მიეცი პასი“ – თითქმის ყოველთვის არღვევდა. თუმცა, ამ პრინციპის უგულებელყოფით, თავნება ფეხბურთელი საკუთარ გუნდს, ფაქტობრივად, არასოდეს აზარალებდა. ამასთან, ხშირად გაზა ისეთ ოინბაზობებს მიმართავდა, რომელთა მეშვეობითაც „მისი უდიდებულესობა“ ფეხბურთი ცელქი ბავშვების გასართობს დაემსგავსებოდა ხოლმე. სწორედ ამიტომ იქცა იგი მილიონების საყვარელ პერსონად არა მარტო დიდ ბრიტანეთში, არამედ მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში. მატჩის მსვლელობისას გასკოინი ყვიროდა, კოლეგებს ხელს ჰკრავდა, ან სულაც ამ უკანასკნელთ პირში ეუბნებოდა ყველაფერს, რასაც მათზე ფიქრობდა. პოლს შეეძლო, მეტოქე ფეხბურთელისთვის პატარა ბიჭივით ენა გამოეყო, უარეს შემთხვევაში კი მისთვის ტრუსიც ჩაეხადა. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ოინბაზმა ოსტატმა არბიტრს ჯიბიდან ყვითელი ბარათი ამოაცალა და მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეს უჩვენა, უფრო მეტიც... ერთხელ გასკოინმა აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, რის გამოც ანალოგიური ხერხით წითელი ბარათი საკუთარ თავს ამოუღო... ერთი სიტყვით, მისი მონაწილეობით სპორტის №1 სახეობა ხშირად ბენი ჰილის შოუს ემსგავსებოდა ხოლმე, რაც ცხადია, პუბლიკას მეტისმეტად ამხიარულებდა. ერთ-ერთი მატჩის მსვლელობისას ბი-ბი-სის კომენტატორს აღუნიშნავს – გასკოინმა საფეხბურთო მოედანი ნამდვილ ღაზას სექტორს დაამსგავსაო... სწორედ ამის შემდეგ ქომაგებმა პოლს მეტსახელად „გაზა“ შეარქვეს.

პოლ გასკოინი 1967 წლის 27 მაისს დაიბადა. იგი



გასკოინი ალკოჰოლიზმისაგან განსაკურნებლად საავადმყოფოში დაწვა. სწორედ მაშინ შენიშნა ფეხბურთელმა, რომ სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა

სხვადასხვა პერიოდში „ნიუკასლის“, „ტოტენჰემის“, „ლაციოს“, „გლაზგო რეინჯერსის“, „მიდლსბროსა“ და „ევერტონის“ ღირსებას იცავდა. მისი ვარსკვლავი, 1990 წელს, იტალიაში მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას ამობრწყინდა. ამის შემდეგ, ინგლისელი „ლაციოში“ გადავიდა, მაგრამ რომაულ კლუბში სამი სეზონის განმავლობაში სულ 50 მატჩი ჩაატარა, ხოლო დისციპლინის პერმანენტული დარღვევისთვის გუნდიდან გააგდეს. 1995 წელს, როდესაც „გლაზგო რეინჯერსის“ ღირსებას იცავდა, იგი შოტლანდიის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

პოლ გასკოინის პერსონაზე საუბრისას ვერასოდეს ავუვლით გვერდს იმ ფაქტს, რომ ერთ დროს იგი გამოუსწორებელი ლოთი იყო. „ეს, მართლაც, მძიმე პროცესი გახლდათ, – განაცხადა გაზამ რამდენიმე წლის წინ, მას შემდეგ რაც ანტიალკოჰოლურ კლინიკაში მკურნალობის სპეციალური კურსი ჩაიტარა, – ჩემი ორგანიზმიდან დიდი რაოდენობის საწამლავი გამოდევნეს. სწორედ საავადმყოფოში გავაცნობიერე, რომ მე ალკოჰოლიზმით ვიყავი შეპყრობილი, რაც უსაშინელესი სენია. ამან დიდი დარტყმა მომაყენა. არ მსურს, ყველამ იმას გაუსვას ხაზი, რომ პოლ გასკოინი კლოუნი და სულელი ბავშვია. როდესაც ყველაფერი კარგად გავიაზრე, სულ სხვა ადამიანად გადავიქეცი. მსურს, ყველამ გაითვალისწინოს ის, თუ როგორი ჭაობიდან მოვახერხე ამოსვლა. შეიძლება გამკიცხოთ, მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებთ, რამდენი წლის მანძილზე ვანიჭებდი ქომაგებს ჩემი თამაშით სიამოვნებას“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოლ გასკოინი ხშირად ამხიარულებდა პუბლიკას თავისი არასერიოზული საქციელით. ყველაფერი კი, იმით დაიწყო, რომ ერთ-ერთ შეხვედრაში ახალგაზრდა ინგლისელმა ვარსკვლავმა თავისი თანაგუნდელი მცველის პაროდირება სცადა, იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა უხეიროდ ითამაშა. შემდგომში კოლეგათა პაროდირება გაზას ოინბაზობების განუყრელ ელემენტად იქცა. პოლი აბუჩად იგდებდა თანაგუნდელებსა და მეტოქეებს, მსაჯებსა და მწვრთნელებს, უფრო მეტიც, ის მინდორზე მწოლიარე, ტკივილისაგან შეწუხებული, ტრავმირებული მოთამაშეების დაცინვასაც არ ერიდებოდა. „მას მხოლოდ პუბლიკის გამხიარულება შეეძლო, უფრო ღირებული რამის გასაკეთებლად ტვინი ხომ გაზას არ გააჩნია“, – ასე დაახასიათა ფეხბურთელი მისმა ერთ-ერთმა ყოფილმა ცოლმა, მერიანმა. სხვათა შორის, სხვა მოსაზრება არც შეიძლებოდა ჰქონოდა მერიანს იმ ადამიანზე, რომელიც მას კვირაში ერთხელ მაინც სცემდა. ისე კი, მუშტების ქნევის მეთოდით სტრესისგან გათავისუფლება გასკოინს საფეხბურთო მოედანზეც არაერთხელ უცდია. მაგალითად, „მიდლსბროში“ თამაშისას ტრავმა ახალი მოშუშებული ჰქონდა, როდესაც „ასტონ ვილას“ წარმომადგენელ ბოატინგას ყბის „სიმტკიცის გამოცდა“ გადაწყვიტა, თუმცა, თავისდა საუბედუროდ, მსხვერპლს ხელი ააცილა და... მოიტეხა. ამის შემდეგ გაზა ისევ „ალკოჰოლურ თავდავიწყებას“ მიეცა.

გავიდა დრო და გარშემო მყოფთა დაჟინებული მოთხოვნით, გასკოინი ალკოჰოლიზმისაგან განსაკურნებლად საავადმყოფოში დაწვა. სწორედ მაშინ შენიშნა ფეხბურთელმა, რომ სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა, თუმცა, მისი პირველი მცდელობა – გამოჯანმრთელებულიყო, წარუმატებელი აღმოჩნდა. მან კლინიკა მიატოვა და „ევერტონში“ დაიწყო თამაში. „ისევ დავიწყე სისულელეების კეთება, – იხსენებს იგი, თანაც უფრო მეტს ვსვამდი, ვიდრე ადრე. ერთი სიტყვით, მთლად ხელიდან წავედი“. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც გაზა ვარჯიშებზე ხშირად დასვრილი სპორტული კოსტიუმით, გვარიანად ნამთვრალევი გამოცხადდებოდა ხოლმე. „როდესაც ვთამაშობდი, არ ვსვამდი. ეს, ძირითადად, შაბათ-კვირას ხდებოდა, – ამბობს ინგლისელი სკანდალისტი, – ხოლო როდესაც ვისვენებდი, საუნაში დავდიოდი. ხშირად გონების დაკარგვამდე ვთვრებოდი. დილით ვვარჯიშობდი, ხოლო შემდეგ ვასვამდი, რის გამოც ფიზიკურ დატვირთვებს ვეღარ ვიტანდი. ეს ისეთი მდგომარეობა გახლდათ, როდესაც ჩემი მომავალი საერთოდ არ მაინტერესებდა. მხოლოდ

ამჟამად აღარ ვსვამ. როდესაც სასმელს ვხედავ, მომავლის შიში მიპყრობს.

ერთი რამ მსურდა: დღე სწრაფად გასულიყო... ცხადია, იმასაც ვაცნობიერებდი, რომ ეს „პიესა“ ადრე თუ გვიან, მძიმე შედეგით დასრულდებოდა. სამწუხაროდ, მაშინღა გამოვფხიზლდი, როდესაც ძალა და ჯანმრთელობა აღარ შემრჩენოდა“.

კლინიკაში ხელმეორედ დაწოლა გაზას მეგობარმა უოლტერ სმიტმა ურჩია, რის შემდეგაც პოლი არიზონაში გადაფრინდა. „არაფრის იმედი აღარ მქონდა, მაგრამ სხვა რა უნდა მექნა. მკურნალობის ანონიმური, 12-ეტაპიანი კურსი გავიარე, რომლის მთავარი კონცეფციაც ის გახლდათ, რომ ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, ტრავმები, ცხოვრების არანორმალური წესი, ადამიანის ორგანიზმზე კატასტროფულ ზემოქმედებას ახდენს, უარყოფითად მოქმედებს მის გონებრივ და ემოციურ მდგომარეობაზე. მკურნალობის მიზანს პაციენტის არა მარტო ფიზიკურად გამოჯანმრთელება, არამედ მისი მომავალი ცხოვრების მოწყობაც წარმოადგენდა“, – იხსენებს პოლი, რომელიც საავადმყო-

ფოში ყოფნის პირველ პერიოდში, ცოტა არ იყოს, შეძრწუნებულა კიდეც, თუმცა შემდგომში ლოთბაზარების, ნარკომანებისა და უკუღმართების კომპანიაში ყოფნას თანდათან შეჰგუებია: „ჭაობიდან ამოსვლა მსურდა. ათიოდე დღის შემდეგ, შედარებით დავმშვიდდი და იმისი სურვილიც კი გამიჩნდა, რომ კლინიკა არასოდეს დამეტოვებინა. შემდგომშიც, იქ დაბრუნებაზე ხშირად მიფიქრია“.

ფლორიდაში ცოლ-შვილთან და ახლობლებთან ერთად დასვენების შემდეგ, გაზა „ევერტონში“ დაბრუნდა. „დაკარგულის დაბრუნება და კვლავ საყვარელი საქმის კეთება მსურდა. ერთი თვე დამჭირდა, რათა უწინდებური ფორმა აღმედგინა“.

მოგეხსენებათ, სრული გამოჯანმრთელების გარანტიას მკურნალობის არც ერთი კურსი არ იძლევა. ამიტომ პოლ გასკოინი რეგულარულად სტუმრობს თერაპევტს და იმ შეკრებებს, რომლებიც მის ბედში მყოფი ადამიანებისათვის ეწყობა. „ალკოჰოლიზმი საშინელი დაავადებაა, რომელსაც ხშირად რეციდივებიც ახლავს თან. ამჟამად აღარ ვსვამ. როდესაც სასმელს ვხედავ, მომავლის შიში მიპყრობს. არ ვიცი, შემდეგ რა მოხდება, მაგრამ გუშინ არ დამილევია, ალკოჰოლს არც დღეს გავკარებივარ და იმედია, ხვალაც თავს შევიკავებ“, – ამბობს ვარსკვლავი, რომლის ცხოვრების ერთ-ერთ პერიოდშიც ცნება – „არ შეიძლება“ საერთოდ არ არსებობდა. იგი ყველაფერს მიირთმევდა, რაც მოესურვებოდა და ზომიერებას არად დაგიდევდათ. „პოლი ღორივით სქელია, თუმცა, ეს მას სულაც არ აღელვებს. ის იმდენ ნამცხვარს ჭამს, რომ ოთახში სირბილიც აღარ შეუძლია“, – წუწუნებდა ფეხბურთელის ცოლი, თუმცა, ეს უკვე წარსულია. ახლა გაზა ანტიდეპრესანტებსაც აღარ იღებს. „ეს ცუდად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამ მხრივ, გასულ წლებთან შედარებით, უკვე წარმატებასაც მივაღწიე. დილით ადრე ვდგები და დიდი სიამოვნებით ვვარჯიშობ. მსურს, ყოველი დღე ისე დავიწყო და დავასრულო, რომ საკუთარ თავსაც და გარშემო მყოფებსაც დიდი სარგებლობა მოვუტანო. მივიჩნევ, რომ ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერა განვვლე, ყველაფერს საკუთარი შრომით მივაღწიე და ახლა საკმაოდ კომფორტულად ვცხოვრობ. მართალია, ისეთი დღეებიც მიდგება, როდესაც თავს მაინცდამაინც კარგად ვერ ვგრძნობ, მაგრამ ძირითადად, ყველაფერი ნორმალურად მიდის, რადგან სისულელეებს აღარ ჩავდივარ. ვცდილობ, მეგობრების ხასიათზე პოზიტიური ზემოქმედება მოვახდინო და ყველას ვაგრძნობინო, რომ მათ მიმართ სიყვარული მამოძრავებს“, – დასძენს გამოსწორების გზაზე მდგომი ვარსკვლავი.

მისი მონაწილეობით სპორტის №1 სახეობა ხშირად ბენი ჰილის შოუს ემსგავსებოდა ხოლმე...

ახლა კი, დიდოსტატის ზოგიერთ ოინბაზობასაც გავეცნოთ:

1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას, ინგლისისა და ბელგიის ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრაში ენცო სკიფომ ტრავმა მიიღო და მინდორზე



პაროდირება გაზას ოინბაზობების განუყრელ ელემენტად იქცა. პოლი აბუჩად იგდებდა თანაგუნდელებსა და მეტოქეებს, მსაჯებსა და მწვრთნელებს, უფრო მეტიც...

მწოლიარე, ტკივილისაგან საცოდავად იმანჭებოდა. გაზასაც სხვა რაღა უნდოდა, დაზარალებულ ბელგიელს უმალვე ენა გამოუყო და მის გარშემო ასკინკილათი დახტოდა...

1990 წლის მუნდიალის ორგანიზატორებს ჩინებული იდეა გაუჩნდათ, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ტელემაყურებლისთვის ამა თუ იმ გუნდის წარდგენისას, თითოეული მოთამაშე წამიერად ფართო პლანით უნდა ეჩვენებინათ, ფეხბურთელებს კი, საკუთარი სახელი და გვარი უნდა წარმოეთქვათ. ამ პროექტის განხორციელებისას გასკოინის „გენიამ“ კიდევ ერთხელ გაიღვიძა: Fucking Wancker – წარმოთქვა კამერაში ინგლისელმა ოინბაზმა, რაც ჩვენებურად „ოხერ ონანისტს“ ნიშნავს. BBC-ს მესვეურებს კი ისღა დარჩენოდათ, რომ ეს ფრაზა მთელი ტურნირის განმავლობაში ეტრიალებინათ.

„ლაციოში“ თამაშის პერიოდში ერთ-ერთი იტალიური ტელეარხისთვის ინტერვიუს მიცემისას, პირდაპირ ეთერში ხმამაღლა დააბოყინა, რისთვისაც იგი 39.000 გირვანქით დააჯარიმეს.

„ნიუკასლში“ თამაშისას თანაგუნდელ ტონი კუნინგემს სოლარიუმის კურსის გასავლელი აბონემენტი აჩუქა. ცხადია, გაზას საქციელში გასაკვირი და თავშესაქცევი არაფერი იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება... კუნინგემი შავკანიანი გახლავთ.

ერთხელ, პოლმა თავის მეგობარს, ჯიმი გარდნერს „ტკბილი“ ღვეზელი მიართვა, მაგრამ გაზა რისი გაზა იქნებოდა, ოინბაზობისთვის რომ არ მიემართა... ამას ჯიმი მხოლოდ მას შემდეგღა მიხვდა, რაც კატის განავალს გაუსინჯა გემო.

იგივე ჯიმი კიდევ ერთხელ გახდა გასკოინის ეშმაკობის მსხვერპლი: რას იფიქრებდა ის, რომ ტრანსვესტიტთან ექნებოდა საქმე მაშინ, როდესაც „გულისხმიერი“ გაზა მას „მშვენიერ გოგონას“ აცნობდა. ■

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

ლუბა ელიათვილი

ძვირფასი მკვლელი და ჩიპოლინო

(დასაწყისი იხ. „გზა“ 52-3)

ჟურნალ „რეიტინგის“ ჟურნალისტი მარიანა ნიორაძე, მეტსახელად ნიორა, ცნობილი ბიზნესმენისა და მეცენატის მოსე კრიხელის მკვლელობის ერთადერთი მოწმე ხდება. ეს საქმე მას იმდენად დააინტერესებს, რომ გადაწყვეტს, თავადვე გამოიძიოს მისი გარემოებები. აეროპორტში, დაღუპული კრიხელის ნეშტის თბილისიდან გადასასვენებლად ჩამოსულ მის ნათესავებთან შესახვედრად მისულ მარიანას, ახალგაზრდა ქერათმიანი ქალი დაეკონტაქტება. უკრაინელი ვიკა მარტინუკი თავისი შეყვარებულის — ტატოს საპოვნელად ჩამოსულა თბილისში და შემთხვევით ჩაუხედავს მისი სიმამრის დანაშაულებრივ საქმიანობაში: საუნაში — „ნიმფა კალიფსო“, რომლის მეპატრონეც ტატოს სიმამრია, პროსტიტუცია ყვავის... ნიორა და ვიკა ამ საუნის მასაჟისტის — მანოლის ნახვას გადაწყვეტენ, მაგრამ ისიც, კრიხელივით, მკვლელობის მსხვერპლი ხდება...

ნიორასა და ვიკას ყველგან თან დაჰყვება „ბეემვეს“ მარკის შავი მანქანა; მის საჭეს ტატოს მეგობარი ანდრო უზის, რომელსაც ქალაქიდან წასულმა ძმაკაცმა ვიკასთვის მასპინძლობის გაწევა სთხოვა. დღის ბოლოს, ტელევიზიით გადასცემენ სიუჟეტს ამ მანქანის აფეთქების შესახებ. თუმცა, ანდრო უვნებლად გადარჩა: აფეთქების მომენტში ის ვიკასთან სასტუმროში იმყოფებოდა. ტელეფონით საუბრისას, ნიორა შეშინებულ ვიკას ჰპირდება, რომ დილით თავისთან გადაიყვანს.

ყურმილი დავკიდე და ვინანე, რომ არ ვკითხე, ისეთი განსაკუთრებული რა აკავშირებდა კრიხელს და მანოლის ერთმანეთთან, რომ მისთვის ქონების 30% არ დაჰნანებია აწ გარდაცვლილ მილიონერს-მეთქი? გადავწყვიტე, ეს შეკითხვა ვიკასთვის ხვალ დამესვა.

ხვალ მნიშვნელოვანი დღე მაქვს: ბანკში უნდა შევაღწიო და კრიხელის ყუთი გავხსნა. კიდევ, კარგი იქნება, თუ იმასაც შევიტყობ, ვის დარჩება მანოლის სიკვდილის შემდეგ, მისთვის დატოვებული ქონება. 30%, რა თქმა უნდა, ცოტაა, მაგდას წილთან შედარებით, თორემ, მილიონის 30% 300 ათასია, კრიხელის ქონება კი, ათობით მილიონს შეადგენს. ხარბი მემკვიდრეები ადამიანს სასიკვდილოდ ამაზე ბევრად ნაკლები თანხისთვისაც იმეტებენ... მოკლედ, ერთი ფრთიანი გამოთქმისა არ იყოს — ვინ მოიგო?.. ეს კითხვა შექმნილ სიტუაციაში, ნამდვილად აქტუალურია.

...დილა ძალიან უჩვეულოდ დაიწყო. ჩემი ოთახი ყვავილებით მოფენილი დამხვდა. თეთრი და ალისფერი ვარდები ქაოსურად ეყარა იატაკზე და ფანჯრის რაფაზე — ეს სანდრო თოფურიძის ორიგინალური საყვედური იყო, გაცდენილი იაპონური რესტორნის გამო. „მოდილიანი უყრიდა ფანჯრიდან ვარდებს ანა ახმატოვას“ — გამახსენდა მისი სიტყვები. ძალიან მესიამოვნა. ვარდებს ძირები წავაჭერი, ლარნაკში ჩავაწყვე და სულ ღიღინ-ღიღინით გავქანდი ვიკასთან შესახვედრად.

ჩემი „ახალგამომცხვარი“ დაქალი მეტროსთან შემხვდა. ხელში მსუბუქი სპორტული ჩანთა უჭირავს.

— ჩანთას შენთან დავტოვებ და მანოლის დეიდასთან წავალ, ძალიან მეცოდება, — სევდიანად მითხრა ვიკამ.

— მეც წამოვალ, — გადავწყვიტე უცებ. ხომ უნდა გავიგო, როგორ გაჩნდა კრიხელის ანდერძში მანოლის სახელი!..

ჩანთა ჩემთან შინ დავტოვეთ და სამსახურშიც მოვასწარი შერბენა. ვიკამ რედაქციის თანამშრომელ მამაკაცთა აღფრთოვანებული მზერა დაიმსახურა. რესპონდენტს 3 საათისთვის დავუთქვი შეხვედრა. მაგულის დავეთხოვე, ლონდონში დედის გამგზავრების საბაბით და სოლოლაკში მანოლის დეიდის მოსანახულებლად დათოს მანქანით წავედით. ვიკას გარეგნობით მოხიბლულ დათოს სულ დაავიწყდა „ლოკომოტივის“ სტადიონის მდებარეობა და „გზად“ სოლოლაკში გაგვატარა...

მანოლის მოხუცი დეიდა, ნინო, ტაბიძის ქუჩაზე ცხოვრობდა, ძველ, ლამაზ სახლში. ლოგინად ჩავარდნილ, ჭაღარა ქალბატონს მივუსამძიმრეთ და გულდამძიმებულები ჩამოვსხედით სკამებზე. ბინაში სულ რამდენიმე ადამიანი მოძრაობდა. როგორც ჩანს, მეზობლები იყვნენ.

— ხომ ხედავთ, შვილო, რა დღეში ჩამაგდო ვიღაც გარეწარმა! — შემოგვტირა მანოლის დეიდამ. თქვენ ალბათ, მისი მეგობრები ხართ... ძლივს გაიხარა ჩემმა ბიჭმა, მთელი ცხოვრება მამას ელოდა, ხან ფანჯარასთან იჯდა და ქუჩას გასცქეროდა, ხან წერილებს სწერდა... როცა იპოვა, გახარება არ აცალეს — ჯერ მამა მოკლეს, მერე — შვილი.

ყურები ვცქვიტე:

— როგორ ბრძანეთ? მანოლიმ მამა ახლა იპოვა? — გამახსენდა მანოლის ოთახში ნანახი ფოტოები. თურმე, „რომანტიკული მასაჟისტი“ ბავშვობის განცდებს აღწერდა თავის ფოტოებში.

— ჰო, შვილო, ახლა იპოვა — მოსე კრიხელი. ჯერ, მეგობრებსაც კი არ გეუბნებოდათ. ისეთი ბედნიერი იყო, დაფრინავდა, მოსე რომ ენდო და რაღაც სერიოზული დავალება მისცა. მისი თხოვნით, კრიხელმა გენეტიკური ანალიზიც კი გააკეთებინა. განა არ ენდობოდა, მაგრამ მანოლის უნდოდა, მამამისს იოტისოდენა ეჭვიც არ შეჰპარვოდა. არც იყო საჭირო, ისე ჰგავდა მამას.

— როგორ მოხდა, რომ ერთმანეთს არ იცნობდნენ?

— ეს ძველი ამბავია. წიგნების კარადიდან, აი, იმ დიდ ყავისფერ ფოტოალბომს თუ გამომიღებთ, ყველაფერს აგიხსნით.

ვიკა გაკვირვებული უსმენდა ჩვენს დიალოგს. წამოვდექი და მოხუცს ფოტოალბომი მივაწოდე. ქალბატონმა ნინომ დაგეროტიპზე გადაღებულ ფოტოს სიყვარულით გადაუსვა ხელი.

— მამაჩემი, იონ ვასილესკუ, რუმინეთიდან ჩავიდა რუსეთში, სამედიცინო განათლებამიღებული, ახალგაზრდა დიდგვაროვანი, რევოლუციის რომანტიკული შარავანდედით მოხიბლული, ჯერ სოლოვკებზე აღმოჩნდა, გათავისუ-

ფლების შემდეგ კი, გადასახლებაში გაცნობილ მეგობარს საქართველოში ჩამოჰყვა. ექიმად დაიწყო მუშაობა, აქ დასახლდა. სულ მალე, ცოლად თავისი კოლეგა, დედაჩემი მოიყვანა. მალე შვილებიც შეეძინათ. მე ჩემს დაზე 3 წლით უმცროსი ვიყავი. ჩვენი ოჯახი განსაკუთრებული შეძლებულობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ერთმანეთის დიდი სიყვარული გვქონდა. – ახლა, საოჯახო ფოტოზე გადაშალა ალბომი მანოლის დეიდამ. ფოტოზე იონ ვასილესკუ მეუღლესთან და ორ ქალიშვილთან ერთად იყო გამოსახული.

– მომიტევეთ, ახალგაზრდებო, შეგაწუხეთ ბევრი ლაპარაკით, ვერ ვიჯერებ, რომ ეს უბედურებაა ჩემს თავს... – ქალბატონმა ნინომ თვალებთან მიიტანა ცხვირსახოცი, მძიმედ ამოიოხრა და აქვითინდა. – ჩემი მანოლი აღარ არის, როგორ გამიმწარდა სიბერე...

შემეშინდა, რომ გაწყვეტილ საუბარს აღარ განაგრძობდა, მაგრამ მოხუცმა ცხვირსახოცი მოიშორა და ცრემლიანი თვალები მომაპყრო.

– ბევრი სიმწარე მანახვა ცხოვრებამ. კახეთში გათხოვილი, თანამშრომლის ქორწილიდან მომავალი დედ-მამა ერთ დღეს დამეღუპა ავტოკატასტროფაში. დავრჩით მე და ჩემი 16 წლის და, ოლიკო, ერთმანეთის ანაბარა. მშობლებისგან ეს ბინა, რამდენიმე ფოტო და საგვარეულო ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი დაგვრჩა, დედაჩემს რომ უკეთია ამ ფოტოზე. საგვარეულო ბეჭედი მამაჩემს დაპატიმრებამდე დაუმალავს და გათავისუფლებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ჩამოიტანა თბილისში. სწორედ ამ ბეჭედმა შეახვედრა ერთმანეთს ჩემი და ოლიკო და მანასე კრიხელი – მაშინ მოსეს ასე ეძახდნენ. ოლიკო ოქრომჭედელთან წავიდა, ბეჭედში მოყანყალებული თვლის გასამგრებლად და მაშინ შეხვდა კრიხელს. კარგი შესახედაობის, მორიდებულ და ზრდილობიან ყმაწვილს, ოქროს ხელი აღმოაჩნდა. მან ოლიკოს ბეჭედი გაუკეთა. ცოტა ხანში მივხვდი, რომ ჩემი და ზედმეტად გაიტაცა სამკაულებმა: ხან ვერცხლის ბეჭედს იყიდდა, რომელიც დიდი ჰქონდა და ოქრომჭედელთან მიარბენინებდა გადასაკეთებლად, ხან ვინმეს გულსაკიდის ფორმა მოეწონებოდა და ახლა ამ მიზეზით მიაკითხავდა მოსეს. მოკლედ, ვიდრე რამეს მივხვდებოდი, ეს დღიური ვიპოვე და ჩემი დის სიყვარულის ამბავი ამოვიკითხე... მერე მოსეს ოჯახმა ისრაელში გამგზავრება გადაწყვიტა. ოლიკო არ გაჰყვა, მე ვერ დამტოვა მარტო. ჩემ გამო დაინგრა მათი ბედნიერება, ჩემ გამო დარჩა ჩემი საყვარელი და ძვირფასი ადამიანის გარეშე, ჩემ გამო არ წაჰყვა მოსე კრიხელს ისრაელში – ასეთი, ლოგინად ჩავარდნილი და ინვალიდი ვერ მიმატოვა... მანასეს მშობლებიც წინააღმდეგი იყვნენ მათი ქორწინების...

სწორედ იმ დღეებში შემემთხვა ეს საშინელი ამბავი. ჩვენთან სახლში მძარცველები შემოვიდნენ, მამის ბრილიანტი მოიპარეს... მე იმ დღეს, ადრე მომიწია სამსახურიდან დაბრუნებამ და ბოროტმოქმედებს თავზე წავადექი. ისინი დაფრთხნენ, ერთმა შიშისაგან გაისროლა კიდეც, ტყვია წელში მომხვდა და იმ დღიდან ვიქეცი ხეიბრად... ამ შემთხვევამ საშინლად ეჭვიანი გამხადა. ისიც კი ვიფიქრე, რომ მძარცველები მოსემ გამოგვიგზავნა: მან ხომ კარგად იცოდა, ჩვენი ბეჭდის ფასი... „გულშემატკივრებმა“ მითხრეს, რომ ისრაელში გამგზავრების მსურველები, ბრილიანტებს იძენდნენ, საზღვარზე გადასატანად... ჩემი უბედურებით გამწარებულმა, ოლიკოს ვუთხარი – თავდამსხმელებს შორის ერთ-ერთი, მანასეს მივამსგავსე-მეთქი... ეს მაშინ ვუთხარი, როცა მოსე უკვე წასული იყო. ვატყობდი, ძალიან ელოდებოდა და გავბრაზდი. მინდოდა, მალე დაევიწყებინა. ჩემმა დამ კი გამომიცხადა, რომ მისგან შვილის გაჩენას აპირებდა... ძალიან არ მინდოდა, მარტოხელა დედა გამხდარიყო. თან, მეც, ინვალიდი, კისერზე ვეკიდე... იქნებ, გული მიგრძნობდა, რით დამთავრდებოდა ეს ამბავი... ამასობაში, ერთმა ჩვენმა მეგობარმა მოსეს დაღუპვის ამბავი ჩამოიტანა ისრაელიდან... ოლიკოს მისთვის წერილი გაუტანებია, მანასესთვის გადასაცემად. მანასეს დედას უთქვამს – მე შვილი აღარ მყავსო, – და უტირია... ჩემი და უმძიმეს დეპრესიაში ჩავარდა... ხანდახან მგონია, მშობიარობას იმიტომ გადაჰყვა, რომ მოსეს გარეშე სიცოცხლე აღარ უნდოდა... თავიდან, ბავშვი რომ მომიყვანეს, დანახვა არ მინდოდა, ისე ჰგავდა მოსეს... მაგრამ მერე, თვალში რომ გამოიხედა და ჩემი დის მზერა დავიჭირე, მივხვდი, მის გარეშე სიცოცხლე არ შემეძლო... ასე ვზრდიდი, სანახევროდ ბავშვთა სახლში... მამაჩემისგან ენების ათვისების საოცარი უნარი გამომყვა. 6 უცხო ენა ვიცი, მასალებს ვთარგმნიდი და ამით ვირჩენდი თავს... სულ მამას ელოდა. მეკითხებოდა – თუ მამა დაიღუპა, მისი საფლავი რატომ არ არსებობსო?.. ათას რამეს ვიგონებდი. ვეუბნებოდი – მამაშენი აუცილებლად დაბრუნდება-მეთქი... როცა ჩემმა დისშვილმა მოსე კრიხელის ფირმაში დაიწყო მუშაობა, აზრადაც არ მომსვლია, რომ ამერიკელი ბიზნესმენი მოსე, ჩემი დის დიდი სიყვარული – მანასე იყო... ამ ერთი თვის წინ, როცა გავიგე, რომ მანასე ცოცხალია, ძალიან გამიხარდა. ტელევიზორში ვნახე და მაშინვე ვიცანი. მანამდე, რამდენიმე დღით ადრე, სასაფლაოზე ასულმა მანოლიმ დედის საფლავზე ყვავილების უზარმაზარი თაიგული აღმოაჩინა. მოსე რაღაც საქველმოქმე-

დო აქციაში მონაწილეობდა და ამიტომ გაუშვეს ტელევიზორში მისი ინტერვიუ. რომ დავინახე, მივხვდი, ვინ მიიტანა ყვავილები ჩემი დის საფლავზე... იქ, კედელზე, ოლიკოს სურათი რომ კიდია, იმას მოვუყევი მოსეს წარმატებების ამბავი... იმავე ღამეს, სიზმარში ვნახე — ოლიკო მთხოვდა, მანოლი მოსესთვის გამეცნო. მეორე დღეს, მოსე თვითონ დამადგა თავზე. ოლიკო იმასაც ენახა სიზმარში... თურმე, მშობლებს ამერიკაში გაჰქცევია, იქ ფიქრობდა ოლიკოს წაყვანას. მისი დაღუპვის ვერსიაც აქედან გაჩნდა. როცა მოსე დიპლომატიური არხებით შეეცადა ოლიკოს პოვნას, მისი დაღუპვის ამბავი შეიტყო. დიდხანს იდარდა. მერე ცოლი შეირთო, შვილი შეეძინა, მაგრამ ცოლთან დიდხანს არ უცხოვრია, მალე გაეყარა... სამშობლოში ჩამოსვლის და ოლიკოს საფლავის ნახვის სურვილი არასდროს განელებია. მან ჩემი მშობლების საფლავის ადგილი კარგად იცოდა. სანამ ჩემი დის საფლავის ქვას ნახავდა, თურმე, სულ ჰქონდა ოლიკოსთან შეხვედრის იმედი. ჩემთან მოსვლა კი, დიდხანს ვერ გაბედა... შვილის ამბავი რომ გაიგო, გაგიჟდა სიხარულით. მანოლის სახელი მანასესა და ოლიკოს სახელებისგანაა შედგენილი — ასეთი იყო ჩემი საცოდავი დის უკანასკნელი სურვილი. მოსეს ერთი წუთით არ შეჰპარვია ეჭვი ჩემს ნათქვამში. მაშინვე შეხვდა მანოლის... მამა-შვილმა მთელი ღამე ისაუბრა. დილით, მანოლიმ მითხრა, რომ მაგდას ჩამოსვლისთანავე, მოსე საჯაროდ გამოაცხადებდა შვილად და ფირმას ჩააბარებდა საპატრონოდ, მანამდე კი, მანოლის ერთი სერიოზული საქმე უნდა დაემთავრებინა: მამაჩემს ვირთხებს მოვაშორებო, — მითხრა... არ დასცალდა. იმ ვირთხებმა ჯერ მამა მოკლეს, მერე — შვილი. ვიცოდე მაინც, ვინ არიან... — სუსტი ხელი მომუშტა ქალმა.

— ქალბატონო ნინო, ჟურნალისტი ვარ და თუ ნებას დამრთავთ, ამ ამბავს ჟურნალ „რეიტინგში“ გამოვაქვეყნებ.

ქალბატონმა ნინომ დღიური მომაწოდა:

— წაიკითხე, შვილო, და ყველაფერს მიხვდები. მათი სიყვარული განსაკუთრებული იყო.

ფრთხილად გამოვართვი ქალბატონ ნინოს ოლიკო ვასილესკუს დღიური.

— მანოლის ძალიან უნდოდა, ყველას სცოდნოდა, რა კარგი მამა ჰყავდა და რომ მამამ შვილად ცნო და აღიარა. ასე რომ, შეგიძლიათ, ეს ამბავი, სადაც გინდათ, იქ გამოაქვეყნოთ. თქვენ ხომ, თუ სწორად გავიგე, ჟურნალისტი ხართ?

— დიახ...

— მაშინ, ერთი რამეც უნდა გითხრათ. თქვენს ჟურნალში, ფოტოზე, მოკლულ კრიხელს ხელზე ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი ეკეთა. თვალი სიდიდით იმას ჰგავს, ჩვენ რომ მოგვპარეს. მერე მძარცველები დააკავეს, მაგრამ ძიებამ დაადგინა, რომ თვალი დახერხეს და ისე გაყიდეს... ახლა მოსეს უდანაშაულობაში ეჭვი არ მეპარება, ამიტომ გთხოვთ, გაარკვიოთ, რა ბეჭედი ეკეთა ხელზე კრიხელს, ნუ ჩამატანთ დარდს საფლავში.

მოხუცს დავემშვიდობე და დავპირდი, რომ აუცილებლად შევუსრულებდი თხოვნას. ისევ ბეჭედი. ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს მისი უცნაური გაქრობა და გამომძიებლის სიტყვები, რომ ბეჭედი ქურდობის საქმეში ფიგურირებს?.. ბანკის ყუთი ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს, — გავიფიქრე, მაგრამ საათს რომ დავხედე, ყველა ეჭვი და დარდი ერთბაშად დამავიწყდა: ვიკას ერთი სული ჰქონდა, როდის ვუთარგმნიდი ქალბატონ ნინოსთან საუბრის შინაარსს.

— მანოლი, მოსე კრიხელის შვილი ყოფილა, — მოვუჭერი მოკლედ, ვიკა ჩემთან სახლში მივიყვანე და ირაკლის მოცემული დავალების შესასრულებლად რედაქციაში გავქანდი.

პარტია „ეროვნული არჩევანის“ ლიდერი მალხაზ აბაზაძე შინ ჰალსტუხმოჭერილი და გატკიცინებულ კოსტიუმში გამოწყობილი დამხვდა. გვერდით, მისი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ირმა დაჰყვება, დიდმკერდა და ვიწროთეძოიანი, შავკულულებიანი ლამაზმანი. ცოლი და შვილები მეორე ოთახში არიან.

— სტატიაში თქვენი უშუალო, ადამიანური პორტრეტის დახატვა გვინდა, შინაურ გარემოში. თუ შეიძლება, ინტერიერში გადაგიღოთ რამდენიმე ფოტო, ოჯახთან ერთად, თავისუფალ ტანსაცმელში, — გავილექსე მე. როგორც მაგულიმ ამიხსნა, სტატია „საპიაროა“ — ე.ი. პარტლიდერს თითოეულ საჟურნალო გვერდში სოლიდური თანხა აქვს გადახდილი. მისი სურათი შესაძლოა, გარეკანზეც გამოიტანონ. მეც პრემიას გამომიწერენ... მას შემდეგ, რაც დილეტანტი დეტექტივის კარიერამ მაზარალა, ამგვარი დოტაცია არ მაწყენს...

ღღეს დიდი გეგმები მაქვს. მინდა, საქმე მალე მოვითავო და „ბეტა ბანკში“ გავქანდე. ამ მისიისთვის განსაკუთრებულად გამოვეწყვე. ირას ნაჩუქარი, ზურმუხტისფერი, საქმიანი პიჯაკი მაცვია და ე.წ. „პატარა, შავი კაბა“, მიკიმოტოს მარგალიტის მძივით. ფეხი ფეხზე კეკლუცად გადავიდე და მალხაზ აბაზაძის, საპარიკმახეროში თმაშესწორებული, ქერად შეღებილი და სიმსუქნისკენ მიდრეკილი მეუღლის მორთმეულ ყავას შევექეცი.

სანამ „პარტიის იმედი“ ტანსაცმელს იცვლის, მე საოჯახო ფოტოალბომს ვეცნობი. ესეც ჟურნალის პირობაა: სტატიაში პოლიტვარსკვლავების ბავშვობისა და სამოყვარულო აპარატით გადაღებულ უშუალო ფოტოებსაც ვაქვეყნებთ. მკითხველს უყვარს სხვისი საოჯახო ალბომის თვალიერება...

ირმას არ მოსწონს, რომ შეფს მისი შერჩეული ჩაცმულობა დავუწუნე და ინიციატივა წავართვი. ყავას უხმოდ შეექცევა და ხელს აღარ მიშლის.

ბავშვობაში, ამჟამად უკვე ქოჩორშეთხელებულ ლიდერს, მუქი კულულები და ბუთხუზა ლოყები ჰქონია. ზოოპარკში გადაღებულ ფოტოზე, ხის ცხენზე ამხედრებულს, ბედნიერი გამომეტყველება და ჩაჩაჩული წინდები უჩანს. აი, კომკავშირული წარსულის ამსახველი სურათიც: სტუდენტი აბაზაძე ყამირზე. აი, კიდევ ერთი კარგი ფოტო: ახალგაზრდა ოფიცერი ჯარში, ხუთქიმიანი ვარსკვლავით ქუდზე. შავ-თეთრ ფოტოებს ფერადი ენაცვლება. მოწიფული პარტლიდერი სტრასბურგში, ვენაში, პარიზში, პოლიტელიტის სხვა წარმომადგენლებთან ერთად. ეს ზღვის სანაპიროა, მეუღლე და შვილები ახვევია გარს. ეს კი, რომელიღაც ფეშენებელური რესტორნის აივანი; მოსე კრიხელის კარგად ნაცნობი სახე, კიდევ, რამდენიმე უცნობი, სოლიდური მამაკაცი მათ გვერდით. მალხაზ აბაზაძე წინა რიგში, უკნიდან ვიღაც მამაკაცს, კრიხელისა და აბაზაძისთვის ხელი აქვს გადახვეული, მაგრამ მისი სახე არ ჩანს. როგორც ჩანს, ბოლო მომენტში, კრიხელმა თავი პოლიტლიდერისკენ გადასწია და უცნობსაც სახეზე ჩამოეფარა. სამაგიეროდ, კარგად ჩანს მისი ხელები. უცნობს ხელზე სწორედ ის კობრისთავიანი ბეჭედი უკეთია, რომელმაც სტადიონის ტუალეტში მომჭრა თვალი. ფოტომ კიდევ ერთი სურათი გამახსენა — ბუნდოვანი, შავ-თეთრი ფოტო, რომელიც ყველა ყვითელმა გაზეთმა გამოაქვეყნა. ფოტოზე საუნაში, ორ მეძავთან ერთად გადაღებული მალხაზ აბაზაძის მსგავსი მამაკაცი იყო გამოსახული, ამიტომ სათაურს — „აბაზაძეს უყვარს „გრუპენ“ სექსი საუნაში?“ — ბოლოს, კითხვის ნიშანი ესვა. გაზეთები ასე იზღვევენ თავს — ვერ უჩივლებ: კითხვის ნიშანი იმას გამცნობს, რომ სტატიის ავტორი არაფერს ამტკიცებს, მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამს. ასიდან ოთხმოცდაათი მკითხველისთვის კითხ-

ვის ნიშანი შეუმჩნეველი რჩება და გაზეთის მიზანიც მიღწეულია — კომპრომატი გამოქვეყნდა, თან — ვერც შეედავები...

როგორც იქნა, შინაურულად, „პოლო და შარკის“ მსუბუქ, სამღილიან მაისურსა და „გეპის“ კრემისფერ, ტილოს შარვალში გამოწყობილმა პარტლიდერმა ჩემთვის მოიცალა.

სტანდარტულ შეკითხვებს, ფოტოების თანხლებით, ბედნიერი ბავშვობისა და პროფესორი მამის შესახებ, იგი სიამოვნებით პასუხობდა. საკუთარი კომკავშირული წარსული გამოტოვა და პირდაპირ ეროვნულ მოძრაობაში შეტანილ საკუთარ წვლილზე ალაპარაკდა. შემდეგ — რომანტიკული სიყვარული, ბარიკადებზე გაცნობილი მეუღლე, ქორწილის სურათები, დიადი მიზნები, პარტიულ აქტივისტებთან გადაღებული ფოტოები და ჩემი მოულოდნელი შეკითხვა:

— ამ ფოტოზე ვინ არის თქვენ გვერდით? ეს ბეჭედი თითქოს მეცნობა...

— მოსე კრიხელის სიძეა, — მოკლედ მომიჭრა აბაზაძემ და აშკარად დაიძაბა.

— საწყალი კრიხელი, რამდენადაც მახსოვს, საქართველოში ანტიკვარული სალონები ჰქონდა, ტურისტული ბიზნესის აყვავებაზეც ფიქრობდა, საუნების ქსელიც ჰქონდა, — ავქაქანდი მე. — ბატონო მალხაზ, უნდა გკითხოთ: თქვენ შესახებ გამოქვეყნებული მასალის გამო — საუნაში გადაღებულ ფოტოს რომ ეხებოდა, სასამართლოსთვის ხომ არ მიგიმართავთ?

— ამის შესახებ კომენტარი დიდი ხანია, გავაკეთე, — აპილპილდა აბაზაძე. — ეგღა მაკლია, ჩემი საჩივრით მაგ ბინძურ გაზეთს რეიტინგი ავუწიო!.. ჩვეულებრივი მონაჩმახი იყო და ფოტომონტაჟი, კონკურენტების შეკვეთა.

შავ-ოქროსფერი „დიუპონის“ კალამი ხელში ჩაატყდა პოლიტიკოსს.

— იმედი მაქვს, თქვენი სოლიდური ჟურნალი თავს არ აკადრებს ამ ბინძური ჭორების გახსენებას, — მაგიდაზე თითები ააკაკუნა მალხაზ აბაზაძემ. — რედაქტორს აუცილებლად დაველაპარაკები.

— საჭირო არ არის, ამის პირობას მეც მოგცემთ, — რამდენადაც შემეძლო, ცივად ვუთხარი. „სტატია ხომ შეკვეთილია, — გავიფიქრე ჩემთვის, — სულ არ მჭირდება, ამ გაფუყულმა კაცმა, ირაკლი მაღრაძეს დაურეკოს და „პრავა უკაჩავოს“. ერთი რამ ზუსტად ვიცი: სტატიას აუცილებლად დავურთავ ნიშანს, რომელიც ადასტურებს, რომ ფასიანი სარეკლამო მასალაა. სამწუხაროდ, მკითხველთა უმეტესობა ამ ნიშანს ყურადღებას არ აქცევს და გულაჩუყებული ეცნობა ხოლმე პოლიტბელადების რომანტიკულ-დრამატულ-ჰეროიკულ ამბებს...“

მაშ ასე, მალხაზ აბაზაძეს იცნობენ მოსე კრიხელი და მისი სიძე, რომლებსაც აქვთ საუნების ქსელი. თუ ვიკას დავუჯერებთ, ამ საუნებში პროსტიტუცია და პორნოინდუსტრია ყვავის და სისტემას მოსე კრიხელი ხელმძღვანელობდა. რაც შეეხება უცნაურად გამქრალ ბეჭედს, როგორც ლევანმა თქვა, ის რომელიღაც სხვა საქმესთან დაკავშირებული ნივთმტკიცებაა, თანაც — ძალიან ძვირფასი და ამიტომაც ამოიღეს სასწრაფოდ, სანამ გვამს ოპერატორები, ჟურნალისტები და ათობით ცნობისმოყვარე მიესეოდა. ნეტავ, რა როლი აქვს ამ საქმეში კობრისთავიან ბეჭედს და ვის ეკუთვნის იგი — მოსე კრიხელს თუ მის სიძეს?..

ანალიზისა და დედუქციისათვის ძირითადად, მანქანაში ვიცლი. ვინაიდან აბაზაძის ვილა ქალაქგარეთაა, ამჯერადაც, რედაქციის ხარჯზე დავქრი, შოთას მანქანით... ბანკში შევლა ვეღარ მოვასწარი.

რედაქციაში მისულს, შეფის განკარგულება დამხვდა: ჩემი უსაფრთხოების დასაცავად, ჯერჯერობით, შოთა მატარებს მანქანით. ხვალაც ის გამომივლის შინ. როგორც ჩანს, შეფს იმედი არა აქვს, რომ მის რჩევას გავითვალისწინებ და ძიებას თავს დავანებებ, ამიტომაც მომიჩინა შოთა. მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. თანაც, ხვალ ბანკში ვარ წასასვლელი.

პიარ-სტატია მაგულის დავუტოვე და შინისკენ გავქანდი.

მე და ვიკამ მთელი ღამე ოლიკო ვასილესკუს დღიურის კითხვაში გავატარეთ. განსაკუთრებით გულის ამაჩუყებელი, მათი დამშვიდობება იყო. წყვილმა მთელი ღამე წყნეთში, მეგობრის აგარაკზე გაატარა.

„არ მინდა, მანასეს ისე დავშორდე, ჩვენ შორის არაფერი იყოს, რამდენიმე მოპარული კოცნის გარდა... — ეუბნება საკუთარ თავს ქალიშვილი. დღიურიდან ჩანს, რომ წყნეთში ასვლა მისი ინიციატივა იყო. შემდეგი 10 ფურცელი ისრაელში გამგზავრებული მანასეს მონატრებას და მასთან წარმოსახვით დიალოგს ეთმობა. „ხომ დამპირდი, რომ გამდიდრდები და მე და ჩემს დას ერთად წაგვიყვან. არ მინდა შენი სიმდიდრე, დაბრუნდი, მენატრები“, — კრიხელის ნაცვლად, დღიურს „ეხვეწება“ ოლიკო. ერთი წამითაც არასდროს გაუვლია გულში, რომ მათი ბინის გაძარცვაში მისი შეყვარებული მონაწილეობდა...

„ბედნიერი ვარ: დღეს ექიმთან ვიყავი და მითხრა, რომ ორსულად ვარ. შვილი მეყოლება, მანასეს შვილი! მისგან ვიცი, რომ კრიხელები შვილებს ასო „მ“-თი დაწყებულ სახელებს არქმევენ. მანოლის დავარქმევ — ჩვენი სიყვარულის სახელს: მანასე და ოლიკო“, — ეწერა 1975 წლის 30 აგვისტოთი დათარიღებულ გვერდზე. აი, თურმე, საიდან გაჩნდა სამი „მ“ კრიხელის ანდერძში!.. — გავიფიქრე და კითხვა განვაგრძე.

ერთ თვეში, ოლიკოს დღიურში შფოთიანი ფრაზები გაჩნდა. „ექიმი ორსულობის შეწყვეტას მირჩევს, მეუბნება, რომ ფიბრომა მაქვს. მისი აზრით, ჯერ ოპერაცია უნდა გავიკეთო, ფიბრომა მოვიშორო, ვიმკურნალო და მერე გავაჩინო შვილი. რა იცის, რას ნიშნავს ჩემთვის ეს ბავშვი. არასდროს დავთმობ. სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდეს, მაინც გავაჩენ...“

როგორ შეიტყო მოსეს სიკვდილი, ამის შესახებ ოლიკო არაფერს წერს. ბოლო ფურცელზე ლექსი წერია. ეს ლექსი ოლიკომ დაღუპულ შეყვარებულს მიუძღვნა:

„დროში გაბნეული ფიქრები,
სხვებზე დახარჯული სინაზე.
შენი ვიყავი და ვიქნები,
ყველა შურიანის ჯინაზე.

შენი ვიყავი და კვლავ მოვალ,
ტოტზე დავსახლდები ჩიტივით.
ნაპრალს ვიპოვი და გადმოვალ,
წყაროს წყლის ცრემლებით გიტირებ.

არ გკითხავ, სადა ხარ, რად არ ხარ,
რატომ დამტოვე და წახვედი?
ნეტავ, თუ იხსენებ ხანდახან,
როგორ გამიტეხე სახელი!

როგორ გამექეცი შორეთში,
ოთხი წაიფარე ფიცარი...
ხომ ხედავ, რომ ისევ მოვედი,
სიკვდილს ვეახელ... და გიცანი".

ლექსს სათაურად ჰქონდა — „ვარდაუვალი პაემანი". ოლიკოს იმედი ჰქონდა, რომ იმ ქვეყნად მაინც შეხვდებოდა თავის შეყვარებულს. მოსე კი, ცოცხალი იყო და ოლიკოს აქ ეძებდა...

19 წლის ქალის უბედური სიყვარულით შერულები, მე და ვიკა ერთმანეთს შევტიროდით.

ვიკამ ჯერ ქალბატონ ნინოსთან საუბრის შინაარსი მომაყოლა წვრილად, მერე დღიური მათარგმნინა სიტყვასიტყვით. ერთადერთი, რისი გაპროტესტებაც მოვახერხე, ლექსის სიტყვასიტყვით თარგმნა იყო. თვალცრემლიანმა, მოკლე შინაარსი ვუამბე და უეცრად შევცბი: ეს მოსე კრიხელი, იქნებ, ადრე კარგი ბიჭი იყო, ისეთი კარგი, რომ ოლიკომ მასთან განშორებას სიკვდილი არჩია, მაგრამ მერე ხომ „ნიმფა კალიფსოს" კრიმინალურ ბიზნესში ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი გახდა!.. ის ადამიანია, ვის სინდისზეც არასრულწლოვანთა პროსტიტუციაში ჩათრევაა!.. რომელსაც ხელზე მოპარული ბრილიანტი ეკეთა!.. ამას წინათ, ერთ გაზეთში წავიკითხე, რომ გლდანის დასახლებაში მდებარე, არასრულწლოვანთა მიღების, ორიენტაციისა და პროფილაქტიკის ცენტრის მონაცემებით, თბილისში ორასამდე არასრულწლოვანი გოგონაა კერძო სასტუმროებსა და საუნებში პროსტიტუციით „დასაქმებული". მათი ასაკი 9-დან 18 წლამდეა. იმავე საქმიანობით ვაჟებიც არიან დაკავებული, მაგრამ ამის სტატისტიკა არ არსებობს.

უცებ შემაშრა ცრემლი. თუ კრიხელი ასეთი საზიზღარი დანაშაულების თანამონაწილეა, ოლიკოს სიყვარული მის პერსონას ჩემს თვალში ვერაფერს შემატებს. სიყვარული ბრმაა... მაგრამ იქნებ, მოსე არ არის დამნაშავე და ის მხოლოდ მსხვერპლია?.. იქნებ, სწორედ იმიტომ მოიშორეს თავიდან, რომ პორნოსინდიკატის საქმიანობაში მონაწილეობა არ ისურვა?..

ამის გარკვევა ჩემთვის ღირსების საკითხია. ტყუილად ხომ არ დავპირდი ლოგინად ჩავარდნილ ქალს, რომ სიმართლეს გავარკვევ!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ისევ ვაჟლუჭიდი! ანუ რიცხა ღიეცა სხვიერების წესად იქცევა...

ბოლო 50 წლის განმავლობაში, მრავალ ქვეყანაში მსუქან ადამიანთა რაოდენობა იზრდება. სიმსუქნესთან დაკავშირებული განგაში მსოფლიოში 1960 წელს იქნა ატეხილი აშშ-ის ჯანდაცვის რეგიონული სტატისტიკის ცენტრის მიერ. აღმოჩნდა, რომ აშშ-ში ამ დროს მოსახლეობის 30% ჭარბი წონის იყო. მრავალი კვლევის საფუძველზე დაფიქსირდა საინტერესო პარადოქსი: აშშ-ის მოსახლეობის წონის დაკლების დიდი სურვილის მიუხედავად, მსუქანი ადამიანების რიცხვი ყოველწლიურად 10%-ით იზრდება. აღსანიშნავია, რომ აშშ ჭარბწონიანთა რაოდენობით ლიდერია. მას მოჰყვებიან რუსეთი და ბრაზილია.

რა არის მიზეზი? რატომ გახდა სიმსუქნე საყოველთაო პრობლემა? გვესაუბრება კვების ექიმი მალხაზ სხირტლაძე:

ლელა ჭანკოტაძე

— მეცნიერები სიმსუქნის ზრდას, მოსახლეობის კვებითი რაციონის მკვეთრ შეცვლას უკავშირებენ. განსაკუთრებით გახშირდა ტკბილეულის, ადვილად შეწოვადი ნახშირწყლებით მდიდარი პროდუქტებისა და ცხიმიანი საკვების მოხმარება. ამასთან, მკვეთრად შემცირდა ძნელად შეწოვადი ნახშირწყლების შემცველი ბოსტნეულის მოხმარება. მოსახლეობის კვებითი ჩვევების ასეთი ცვლილების მიზეზი თანამედროვე ყოფაში უნდა ვეძებოთ: ჩვენი ეპოქა მშვენიერ გარემოს უქმნის სწრაფ და არცთუ ისე ხარისხიან კვებას. ადამიანების დიდი ნაწილი იშვიათად იკვებება შინ დამზადებული საკვებით. კვებითი ინდუსტრია კი მომხმარებელს ცხიმითა და ადვილად შეწოვადი ნახშირწყლებით მდიდარ საკვებს სთავაზობს. ბევრისთვის უკვე დავიწყებას მიეცა ოჯახური საუზმე, სადილი, ვახშამი. სწორედ ეს არის წონის მატების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი. ჭარბ წონასთან მრავალი უსიამოვნებაა დაკავშირებული. სიმსუქნე უამრავი ფიზიკური დარღვევის შესაძლებლობას ზრდის. მათ შორისაა: გულის დაავადებები, მაღალი წნევა, არითმია, დიაბეტი, ნაღვლის ბუშტის დაავადებები, საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები და ა.შ. სიმსუქნე აგრეთვე, ოპერაციის შემდგომ ინფექციათა რისკს ზრდის და ჭრილობათა შეხორცებას აძნელებს.

— სიმსუქნე გენეტიკურ პრობლემას ხომ არ წარმოადგენს?

— ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სიმსუქნის ყველა შემთხვევის მხოლოდ 5%-ია გამოწვეული მემკვიდრეობითი ფაქტორებით. კერძოდ, სხვადასხვა ოჯახში აღზრდილ ტყუპზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ გასუქების პრობლემაში არცთუ ისე უმნიშვნელო როლს ასრულებს გენეტიკური ფაქტორები. მეორე მხრივ, ოჯახის ცხოვრების სტილი და კვების წესი, ასევე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად გამოვლინდება ეს მემკვიდრეობითი ნიშანი. ოჯახში გაბატონებული წესჩვეულებები ხშირად იმ მეუღლეთა გაბარიტებსაც აახლოებს ერთმანეთთან, რომლებიც ქორწინებამდე მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთიმეორისგან კომპლექციით. ამასთან, ზოგი წონაში იოლად იმატებს, ზოგი — ბევრს ჭამს, მაგრამ პრაქტიკულად არ სუქდება. ისეც ხდება, რომ ერთი და იმავე ასაკის, სქესის, სიმაღლის ადამიანები, რომლებსაც თანაბარი ფიზიკური და ინტელექტუალური დატვირთვა აქვთ და ყოველდღიურად კალორიათა თანაბარ რაოდენობას იღებენ, წონაში სხვადასხვაგვარი სისწრაფით იმატებენ. ისეთი ადამიანებიც არსებობენ, რომლებიც ცხოვრებისეულ პრობლემებთან შეჭიდების კომპენსირებას მრავალფეროვანი და უხვი კვებით

ცდილობენ: ახალ უარყოფით ემოციათა „საპასუხოდ", უფრო და უფრო მეტს ჭამენ. ასეთ დროს ცხადია, ყველაზე აქტუალური ხდება სიტყვა „დიეტა", მასთან დაკავშირებული პრობლემები და მისი შედეგები... ამგვარად, სიმსუქნის გამომწვევი მიზეზი სხვადასხვაგვარია. მაგრამ ამ დაავადებას ნებისმიერ შემთხვევაში, საფუძვლად უდევს ორგანიზმის ენერგეტიკული ბალანსის დარღვევა. ეს ნიშნავს, რომ მიღებული ენერგია, დახარჯულს სჭარბობს.

— წონაში დაკლების რომელი გზაა უფრო ეფექტური — შიმშილი თუ ვარჯიში?

— დიეტის დროს, ორგანიზმი 15-25%-ით ნაკლებ კალორიას ხარჯავს, ვიდრე შიმშილობის შემთხვევაში. ეს ორგანიზმის დაცვითი მექანიზმის მოქმედების შედეგია. თუმცა ივივე მექანიზმი ცუდად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, ნებისმიერი ფიზიკური ვარჯიშის შედეგად გაცილებით მეტი ცხიმის წვა ხდება, ვიდრე მხოლოდ დიეტით. უფრო მეტიც: თუ დღის განმავლობაში ინტენსიურად ივარჯიშებთ, ღამით ძილის დროსაც კი, თქვენი ორგანიზმი აგრძელებს ცხიმის სახით მომარაგებულ კალორიათა ხარჯვას. სამწუხაროდ, მსუქან ადამიანთა უმეტესობა, ცხოვრების ნაკლებად მოძრავ წესს ანიჭებს უპირატესობას. შიმშილით წონაში დაკლება ყოვლად გაუმართლებელია. კვება სიამოვნების მიღების ერთ-ერთი ფორმაა. შესაბამისად, მისი შემცირება და საკვებისთვის მისი საგემოვნო თვისებების მოცილება გარკვეულ დისკომფორტს იწვევს. ამ დროს ნაშიმშილები ადამიანი ცდილობს, ოდნავ მაინც შეიმსუბუქოს მდგომარეობა — დიეტურ რაციონს უმატებს თაფლს, ნიგოზს, ქიშმიშს და ხშირად, წითელ ღვინოსაც. რაციონის ოდნავ გაფართოებაც კი ნაშიმშილები ორგანიზმის წონის ელვისებურ მატებას იწვევს.

— უამრავ მედიკამენტს გვთავაზობენ წონაში დაკლების მიზნით. რამდენად მისაღებია წონაში დასაკლები ახალი პრეპარატები?

— გაზეთებითა და ტელევიზიით ფართო რეკლამირებას უწევენ სხვადასხვა „სამკურნალო" დიეტას თუ გასუქების საწინააღმდეგო „სასწაულმოქმედ" წამალს. სამწუხაროდ, ჩვენი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის, რომ დაბალპროტეინიანი, დაბალნახშირწყლებიანი, ხილის, ბოსტნეულის თუ ცილოვანი დიეტები შეიძლება ორგანიზმის სხვადასხვა ქსოვილში სახიფათო დარღვევათა მიზეზი გახდეს. აშშ-სა და დასავლეთში ამ ტიპის ბევრი მედიკამენტი გამოჩნდა, მაგრამ მრავალფეროვანი და არასასიამოვნო გვერდითი მოვლენების გამო, სწრაფადვე ამოიღეს ხმარებიდან. მაგალითად, იზომერიდი, ფენფლურამინი და დექსფლურამინი, რომლებიც დსთ-ის ტერიტორიაზე ცნობილი იყო, როგორც მანიფაჯი და იზოლიფანი, 1998 წელს ამოღებული იქნა ხმარებიდან, უფრო სწორად, მათი გამოყენება გახდომის მიზნით, საბოლოოდ და კატეგორიულად აიკრძალა. არც სპეციალური ქამრები, ბანდაჟები და კანის საკრავებია სანდო. იყიდება აგრეთვე კრემები, აბები, ჩაი, რომელთა ანოტაციებში ვკითხულობთ, რომ ამ პროდუქციის მიღება ზედმეტი ცხიმისაგან გაგათავისუფლებთ. ადამიანი მათი მიღებისას მართლა კარგავს წონას, მაგრამ ეს ხდება ორგანიზმის მიერ წყლის დროებითი დაკარგვის შედეგად და საკმარისია, „წყურვილის" პირველივე შეგრძნება დაიკმაყოფილოთ, რომ თქვენი წონა ისევ დაგიბრუნდებათ. ამასთან, წყლის სწრაფი და დიდი რაოდენობით დაკარგვა საკმაოდ სახიფათოა ორგანიზმისთვის.

მაშ როგორ მოვიქცეთ?.. კვების სპეციალისტები გვირჩევენ — როცა წონაში დაკლებას გადაწყვეტთ, საჭიროა დაადგინოთ, თუ რამდენადაა დაბალანსებული სხვადასხვა ჯგუფის პროდუქტით თქვენი მენიუ. ძალიან მკაცრად ნუ შეიზღუდავთ თავს,

რადგან ჩვეულებრივ ეს „მძიმე თავშეკავება", „უსაზღვრო თავაშვებულობის" და ღორმუცელობის შეტევას იწვევს. მკაცრი დიეტის დაცვით და რაციონიდან ცხიმის წარმომქმნელი ყველა პროდუქტის გამოიცხვით, ერთ მშვენიერ დღეს, გამოძღომის დაუძლეველი სურვილი გაგიჩნდებათ. ამიტომ, უფრო გონივრული იქნება, თუკი რეალისტურ, მოქნილ დიეტას შეადგენთ, რომელშიც ორგანიზმისთვის ნამდვილად აუცილებელ ყველა პროდუქტს შეიტანთ და ხანდახან საყვარელი სასუსნავის დაგემოვნების ნებასაც მისცემთ თავს.

ხათუნა გოგინაძე, კვების ექიმი:

— მათ, ვისაც ჭარბი წონა აწუხებს, ექიმები, ვურჩევთ, სპორტს მისდიონ და უარი თქვან სწრაფად ჭამაზე. დიეტის გამო უარი არ უნდა თქვათ ნორმალურ ცხოვრებაზე, არ უნდა ამოიღოთ თქვენი მენიუდან საკვები, რომელიც ორგანიზმს სჭირდება, თუმცა გარკვეულ დათმობებზე წასვლა მაინც აუცილებელია. მაგალითად — რაციონიდან უნდა ამოიღოთ მარილი, უარი უნდა თქვათ ყველზე, რომელიც მარილშემცველი პროდუქტია. 8 მგ მარილი 1 ლიტრ წყალს აკავებს მთელი დღის განმავლობაში. აქედან მოდის ქალებს შორის გავრცელებული „ფეხების სიმძიმისა" და ზედმეტი წონის პრობლემა. ამიტომ, როცა ჩემ მიერ შემოთავაზებულ დიეტას დაიწყებთ, 10 დღის განმავლობაში მარილი უნდა გამორიცხოთ. უმნიშვნელოვანესია კიდევ ერთი რამ: დიდხანს უნდა ღეჭოთ ნებისმიერი საკვები. გაითვალისწინეთ — კუჭს კბილები არა აქვს, მას კარგად დაღეჭილი პროდუქტი უნდა მიაწოდოთ. თქვენი შეცდომა ისაა, რომ ჭამთ ძალიან სწრაფად და ძალიან ბევრს. ამის გამო უსაშველოდ იწელება და იზრდება კუჭი. შემდეგ ის ტვინს არასწორ სიგნალებს უგზავნის. კუჭის მოცულობის შემცირება — ტვინის უკვრედების „დამშვიდებას" იწვევს.

— თუ შეიძლება, აქვე შევეხოთ კუჭის მოცულობის შემცირებას, ქირურგიული ჩარევის შედეგად. რამდენად გამართლებულია ეს გზა?

— იმ ადამიანებს, რომლებსაც სიმსუქნე დაავადებად ექცათ, 90-იანი წლების დასასრულიდან, ექიმები სთავაზობენ ქირურგიულ ოპერაციას. სულ ახლახან ჩემმა ერთ-ერთმა ჭარბწონიანმა პაციენტმა (მისი სიმაღლე 162 სმ, ხოლო წონა 140 კგ იყო), ლაპარასკოპიის მეშვეობით, ანუ მუცლის ფარის გაუხსნელად სწორედ ასეთი ოპერაცია გაიკეთა. საბედნიეროდ, ოპერაციის შემდგომი გართულებები არ ჰქონია, რაც ბევრ ასეთ პაციენტს აღენიშნება ხოლმე. ეს ოპერაცია კუჭის მოცულობის შემცირებას გულისხმობს. კუჭს სპეციალურ რგოლს აცვამენ და ასე აპატარავებენ; მას შემდეგ, რაც წონა ნორმაში ჩადგება, რგოლს ხსნიან.

— თუ იძლევა ეს ოპერაცია იმის გარანტიას, რომ პაციენტი საბოლოოდ მოიცილებს ზედმეტ კილოგრამებს?

— როგორც პრაქტიკამ უჩვენა, ოცნება, ჭარბი წონისგან ოპერაციის გზით გათავისუფლებაზე, არ ხდება. დაკლებული კილოგრამების აღდგენა ძალზე სწრაფად მოხდება, თუ პაციენტი თავად არ შეეცდება წონის შენარჩუნებას. საერთოდ, დაკლება იოლია, მიღწეული შედეგის შენარჩუნება კი — ძალზე რთული. ნაოპერაციებმა პაციენტმა მთელი ცხოვრების განმავლობაში საკვები კარგად უნდა ღეჭოს და მიირთვას მხოლოდ მკაცრად შერჩეული, დაბალკალორიული კერძები.

— რას სთავაზობთ თქვენს პაციენტებს? რა გზით უმჯობესია,

ზედმეტი კილოგრამების მოცილება?

— შევთანხმდეთ იმაზე, რომ წონაში იკლებს ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც ამის სურვილი გაუჩნდება. ალბათ, რამდენი ექიმი-ნუტრიციოლოგი და დიეტოლოგიც არსებობს, იმდენნაირი დიეტაა გავრცელებული. ასე რომ, პაციენტები წონის დაკლებას ახერხებენ, იქნება ეს ვარჯიშის (რაც განსაკუთრებით ეფექტურია), შიმშილის (რისი კატეგორიული წინააღმდეგიც გახლავართ) თუ ოპერაციების გზით, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დიეტის შედეგად წვალებით დაკლებული წონის შენარჩუნება. წარმოიდგინეთ, წელში მოხრილი, დაღლილი ადამიანი, რომელსაც უზარმაზარი 40 ან 60-კგ-იანი ტომარა აქვს მოკიდებული. თუ ამ ტომრის ზურგიდან ჩამოღებას მოახერხებს, შვებით ამოისუნთქავს, წელში გასწორდება, ისეთი შეგრძნება დაეუფლება, თითქოს ხელახლა დაიბადა. მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, ის ამ ტომარას ისევ ზურგზე მოიგდებს და ტანჯვაც თავიდან დაიწყება. თუ თქვენ მთელი ცხოვრების მანძილზე ოცნებობდით წონაში დაგეკლოთ, განა, არ ღირს, 2-3, თუნდაც 5 წელი, დღე და ღამე, ეცადოთ, საოცნებო წონა შეინარჩუნოთ?! განა, შეიძლება, როგორც კი სასწორი თქვენთვის სასურველ რიცხვს აჩვენებს, მაშინვე გაიქცეთ და გემრიელად გამოძღეთ?! დიეტის დროს თქვენ უნდა ისწავლოთ ყველაზე მთავარი — სწორი კვება და შემდეგ ამ ცოდნით გაგრძელოთ ცხოვრება. ჩემი დიეტა ხელმისაწვდომია ყველასთვის. არავითარ შეზღუდვას არ ვაწესებთ სქესის, ასაკის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით. ამ დიეტის გამოყენება მეძუძურ დედებსაც კი შეუძლიათ. ჩემი რჩევაა: მისდიოთ ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების წესს, არ დაუშვათ შიმშილის გრძნობის გაღვივება, პირველსავე სიგნალზე, ჭამეთ — ნელ-ნელა დაღეჭეთ 1 ცალი ჩირი, გარგარის, ლეღვის ან შავი ქლიავის. არაფერი არ შეჭამოთ ან არ დალიოთ ზიზღით. საკვები ისე უნდა მირთვათ, თითქოს განუსაზღვრელ სიამოვნებას იღებთ.

— იქნებ, კონკრეტული რჩევებიც მისცეთ ადამიანებს? მაგალითად, როგორ უნდა გაიწმინდონ ორგანიზმი დიეტით? რას უნდა შეიცავდეს განტვირთვის დღე?

— ჭარბწონიანმა ადამიანებმა ან მათ, ვისაც ზედმეტი 2-3 კილოგრამი აქვს, კვირაში 2 დღე უნდა დაუთმონ „განტვირთვის დიეტას", რომელიც მოითხოვს მთელი დღის განმავლობაში შინ ყოფნას და ნებივრობას. საუზმეზე, მირთვით, ფინჯანი რძიანი კაკაო თაფლით. კაკაოს მიღებამდე ან მისი მიღებიდან 1 საათის შემდეგ, ფორთოხლის ან გრეიპფრუტის 1 ჭიქა წვენი დალიეთ. სადილი მოამზადეთ შემდეგნაირად: 300 გ ორთქლზე მოხარშულ ბოსტნეულს (აირჩიეთ თქვენი სურვილით) და 200 გ ნებისმიერ უცხიმო თევზს მოასხით 2 კოვზი ზეითუნის ზეთი; 14 საათზე მიიღეთ იოგურტი, 1 ჩაის კოვზი თაფლით; 16 საათზე — 1 ჭიქა ლიმონიანი უშაქრო ჩაი; 19 საათზე — შემდეგი რეცეპტით მომზადებული ბულიონი: ქვაბში ჩასხით 1,5 ლ წყალი და ადუღეთ, ჩაყარეთ შიგ წვრილად დაჭრილი 1 კგ პრასი, 500 გ სტაფილო, 500 გ პომიდორი, რამდენიმე ღერი ნიახური; ადუღეთ 20 წუთი; შემდეგ გადაწურეთ. დაუმატეთ ცოტა მარილი; ბულიონი გაყავით 3 ნაწილად და 10-10-წუთიანი ინტერვალით მირთვით; ბულიონიდან ამოღებული ბოსტნეული გაყავით 3 ნაწილად; პომიდორი და პრასის მწვანე ნაწილი გადაყარეთ, თეთრ ღეროებს და სტაფილოს მოასხით 2 კოვზი ზეითუნის ზეთი და შეჭამეთ, ოღონდ — ერთი საათი დაუთმეთ მისი ღეჭვის პროცესს. ღამით მირთვით იოგურტი, 1 ჩაის კოვზი თაფლით. არ მოსწოთ სიგარეტი, არ დალიოთ მაგარი ყავა ან ჩაი. თუ თვეში 4-ჯერ მაინც გააკეთებთ ასეთ განტვირთვის დღეს უპრობლემოდ მოიცილებთ 4-5 კგ-ს.

ქალბატონმა ხათუნამ დაგვაკავშირა თავის პაციენტთან, რომელმაც ქირურგიული ჩარევის გზით ზედმეტი კილოგრამები მოიცილა. ოპერაცია მან 7 თვის წინ გაიკეთა. ბატონი ნუგზარ ხევიაშვილი მაშინ 140 კგ-ს იწონიდა. მთელი ცხოვრების მანძილზე ამაოდ ცდილობდა, თუნდაც 10-15 კგ-ის დაკლებას, რაც მისთვის აუხდენელ ოცნებად იყო ქცეული.

ნუგზარ ხევიაშვილი:

— 40 წლის განმავლობაში, ერთი ნემსიც კი არ მქონდა გაკეთებული: განა, იმიტომ, რომ არ მეჭირდებოდა — მეშინოდა. 140 კგ-იან დევივით კაცს ამის თქმის არ მრცხვენოდა. ერთხელ მეგობარმა ქირურგმა მითხრა: მოდი ჩემთან და მაგ პაპილომს მოგაცილებ, არ გიხდება, გაუშნოებსო: ზურგზე დიდი პაპილომა მქონდა. მაშინვე ვკითხე: ნემსი ხომ არ დასჭირდება-მეთქი? — აბა, გაყურების გარეშე ხომ ვერ ამოვკვეთო!.. — გადაირია კაცი... აი, ასეთმა, ექიმებსა და ნემსებზე მწყრალად მყოფმა კაცმა გადავწყვიტე, ერთ-ერთ პრესტიჟულ და ძვირად ღირებულ კლინიკაში კუჭი დამეპატარავებინა. წარმოიდგინეთ, როგორი მობეზრებული მქონდა თავი ზედმეტი კილოგრამებისგან. ბოლოს ისე მოვიმატე, ვოცნებობდი, ფეხსაცმელი საკუთარი ხელით ჩამეცვა. 40 წლის კაცს დედა მყავდა დამხმარედ.

— რა იყო სიმსუქნის მიზეზი? ჭარბწონიანები ხშირად ამბობენ: არაფერს ვჭამ, მაგრამ მაინც ვსუქდებიო...

— მახსოვს, მეექვსე კლასში ვიყავი, დედამ მამაჩემის შარვალს ბოლო რომ შემოაჭრა და მე ჩამაცვა. ასე რომ, ყოველთვის მსუქანი გახლდით. ბავშვობაში კი არ დავდიოდი — დავბუნძულებდი. დედას მოსწონდა, ჩემი თანატოლებისგან ასე რომ განვსხვავდებოდი. ახლა ძმისშვილი მყავს ისეთი დიდი, რომ მეტსახელად „ბენდუქიძე" შევარქვით... დიეტაზე მაშინ დავჯექი, როცა ერთმა ლამაზმა გოგომ დიდი ღიპის გამო დამიწუნა. დიეტის დაცვა გადავწყვიტე. გადავხედე ჩემს მენიუს და უარი მხოლოდ წვნიანსა და შემწვარ კარტოფილზე ვთქვი. ღვინოს, მოხარშულ ხორცს და ტორტის ნაჭერს ვერაფრით შეველიე. ცხადია, ვერც წონაში მოვიკელი. თბილისში ცნობილი დიეტოლოგები რომ გამოჩნდნენ, მათაც დავუკავშირდი, მაგრამ ამხელა კაცი იოგურტსა და კენკრაზე რას გავძლებდი? 3 დღე რომ ვიშიმშილე, ნერვებმა მიმტყუნა და „ჩიტის საკენკი" მეექვსე სართულიდან გადავყარე... დავურეკე მეგობარს და წავედით სახინკლეში. დაახლოებით 50 ხინკალი შევჭამე, თუმცა ადრე, ნაძლევზე 100-იც შემიჭამია... საგანგაშო წონა არ მაქვს, თბილისში ჩემზე 40-60 კგ-ით მძიმე ადამიანი იშვიათობას არ წარმოადგენს. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ჯერჯერობით 80 კგ-ს ვიწონი და ერთი კილოგრამიც არ მომიმატებია. ვნახოთ, რა იქნება შემდგომში.

მთელ მსოფლიოში კეთდება ოპერაციები, წონის დაკლების მიზნით. ასეთ ოპერაციებს ძირითადად, ის ადამიანები იკეთებენ, რომლებსაც დიეტის დაცვა არ შეუძლიათ. რომელი წლიდან შეიძლება ოპერაციის გაკეთება? ქალი უფრო იოლად იმატებს წონაში თუ მამაკაცი? და საერთოდ, რამდენნაირი დიეტა არსებობს? გვესაუბრება კვების ექიმი ***ნინო ასაკაშვილი:***

— გაგიგონიათ ალბათ, ბებიების მიერ ღიმილით ნათქვამი ფრაზა: ჭამოს, ბოვშია, მაგისი საყელოც ჭამსო. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვს არ უნდა ავუკრძალოთ გემრიელი სასუსნავი: შოკოლადი და ნამცხვარი არ უნდა ამოვიღოთ ჩვენი პატარების მენიუდან... ამის გამო, ბევრი დიეტოლოგი დამსხმია თავს... დიეტაზე მოზარდის დასმა,

დანაშაულია. ამას, სჯობია, ბავშვს რეჟიმულად გაჭამოთ და დავტვირთოთ სპორტით. გარდატეხის ასაკში დიეტა დაუშვებელია. თუ თქვენი შვილი მსუქანია, ატარეთ ცურვაზე, ფეხბურთზე, სპორტულ ცეკვებზე რამდენიმე წლის განმავლობაში. თუ ერთ წელს ცურვაზე ატარებთ და მეორე წელს „დასვენებთ", შედეგს ვერ მიიღებთ.

— ქალები უფრო იოლად იკლებენ წონაში თუ მამაკაცები?

— საერთოდ, ბევრი ქალისთვის დიეტა ცხოვრების წესად ქცეულა. იტყვის — დიეტაზე ვარო, — და მირთმევს უშაქრო ყავას, გაამოლებს სიგარეტს და მთელი დღის განმავლობაში ერთ კილომეტრსაც არ გავლის ფეხით... საერთოდ, ქალები უფრო აქტიურად და ხშირად არიან დიეტაზე, მაგრამ მთ გული უნდა დავწყვიტო და ვთქვა, რომ მამაკაცები გაცილებით იოლად იკლებენ. თანაც, თუ მამაკაცი დიეტოლოგთან და კვების ექიმთან მიდის, მას წონაში დაკლება მკაცრად და პრინციპულად აქვს გადაწყვეტილი. ის გიჯერებს და ყველაფერს აკეთებს, რომ ზედმეტი კილოგრამები მოიცილოს. ქალები უფრო ურჩები არიან. თუ ეუბნები, რომ უნდა ჭამონ მაწონი, სოფლის მაწონს მირთმევენ, რომელიც მაღალი ცხიმიანობით გამორჩევა, ოგურტს შინ აშაყებენ და შესაბამისად, გაცილებით მეტ კალორიას იღებენ.

— რას ურჩევთ იმ ადამიანებს, რომლებსაც სულ რამდენიმე ზედმეტი კილოგრამი აქვთ?

— ცხადია, გაცილებით ძნელია 20-30 კილოგრამის მოცილება, ვიდრე 1-2-ის. ამიტომ ზედმეტი კილოგრამები არ უნდა დაგროვოთ. დიეტა უნდა დაიწყოთ მაშინვე, როგორც კი 3 კგ-ს მიიმატებთ. ასეთ შემთხვევაში, არ უნდა ჭამოთ 18 სთ-ის შემდეგ. სადილი კი უნდა იყოს განსაკუთრებით მსუბუქი: მირთვით „მკაცე რძის ტკბილი სადილი". მოამზადების წესი: 250 გ უცხიმო ხაჭოში ან 125 გ იოგურტში შეურიეთ 2 ჩ/კ თაფლი და 1 ჩ/კ კაკაოს ფხვნილი, ან 1 ს/კ გატარებული ქიშმიში, ან 4 მოზრდილი შავი ქლიავი. შეგიძლიათ, მირთვათ „მკაცე კიტრის ბოსტნეულის სადილი". მომზადების წესი: ხაჭოში ან იოგურტში შეურიეთ დაჭრილი ბოსტნეული — ბოლოკი, კიტრი, ხახვი ან ოხრახუში. ამ კერძს დააყოლეთ 4-5 ცალი ჩირი ან მცირე რაოდენობის წყალში ნახევრად მოხარშული ხილის რომელიმე სახეობის 1 ცალი ნაყოფი.

— „ვარსკვლავურ დიეტებზე" რა აზრის ხართ?

— ეს დიეტები თბილისში განსაკუთრებით პოპულარულია. სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთიდან გადმოწერილ დიეტებს ქალები განსაკუთრებული ენთუზიაზმით მისდევენ. ასეთი დიეტებისგან თავი უნდა შეიკავოთ, რადგან დიეტის არასწორად დაცვამ შეიძლება, სავალალო შედეგი გამოიღოს. თუ მეგობრებთან თავის მოსაწონებლად გინდათ, ჯეინ ფონდას ან ჯულია რობერტსის დიეტა დაიცვათ, მიიღეთ ჰიდრომელი — „ვარსკვლავური სასმელი". მზადდება შემდეგნაირად: 1/4 ლიტრ წყალში შეურიეთ ლიმონის 1 ნაჭერი და 1 ჩ/კ თაფლი. ჰიდრომელს მირთმევენ ჟერარ დეპარდიე, კეტრინ დენევი, ჟულიეტ ბინოში, ემანუელ ბეარი. ისინი ამ სასმელს რეკლამასაც უკეთებენ. ჰიდრომელი დააპატენტა ცნობილმა დიეტოლოგმა მადლენ ჟესტამ. მას ვარსკვლავების დიეტოლოგსაც უწოდებენ. მისი ჰიდრომელი შეიცავს C ვიტამინის საჭირო რაოდენობას და აქვეითებს მადას. ■

ნელი ბიჩიკაშვილი: სასიკვდილო ჯადომ ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა

ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს მომავლის წინასწარმეტყველების ნიჭი ბებიისგან გადაეცა მემკვიდრეობით. მას უამრავი ადამიანი ემადლიერება. როცა რაიმე პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი, ნელისთან მიდიან. ხალხი მასთან რაიონებიდანაც ჩამოდის. ბიზნესმენები, ქალბატონი ნელის რჩევის გარეშე ახალ საქმეს არ იწყებენ. ნათელხილვის უნიკალური ნიჭის წყალობითა და შელოცვებით, მან უამრავი ოჯახი გადაარჩინა მოსალოდნელ უბედურებას.

— ქალბატონო ნელი, ამბობენ, რომ ჯადოს შემკვეთთა რიცხვი სულ უფრო იზრდება, მერკანტილური მიზნების მისაღწევად ზოგიერთები უკან არაფერზე იხევენ...

— სამწუხაროდ, ასეა!.. ქონების გამო ადამიანები ერთმანეთს სასიკვდილოდ იმეტებენ... ამას წინათ, ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა ქალბატონი, რომლის საქმროც ძალიან ცუდად იყო, მაგრამ ექიმებმა ვერაფერი გაუგეს. სად აღარ ჰყავდათ, ვის არ გაასინჯეს, დიაგნოზი მაინც ვერავინ დასვა. მოვატანინე ავადმყოფის ფოტო, ყავაზე და ბანქოზე ვუმარჩიელე და ვუთხარი, რომ სასიკვდილო ჯადო ჰქონდა გაკეთებული.

— ვინ გიმეტა ახალგაზრდა კაცი?

— რძალმა, საკუთარი ძმის ცოლმა მოაჯადოვა.

— რა მიზეზით?

— ბინის გამო. უფროსმა ძმამ ცოლი ადრე მოიყვანა. როცა უმცროსმაც მოინდომა დაოჯახება, გადაწყვიტეს, საზიარო სამთამხიანი ბინა გაეყიდათ და გაყრილიყვნენ. რძალს პროტესტი ხმამაღლა არ გამოუთქვამს, პირდაპირ საქმეზე გადავიდა და მაზლის თავიდან მოსაშორებლად მრხიბავს სასიკვდილო ჯადო შეუკვეთა.

— შეუულოცეთ?

— სამწუხაროდ, ყურად არ იღეს ჩემი გაფრთხილება, როგორც ჩანს, ვერ წარმოიდგინეს, რომ მაგიური ზემოქმედება ახალგაზრდა კაცის სიკვდილის მიზეზი გახდებოდა და უარი თქვეს ჯადოს მოხსნაზე, რაც ძვირად დაუჯდათ... რამდენიმე თვეში ქალს საქმრო დაეღუპა. საბრალო, 27 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა. დასაფლავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, მგლოვიარე შეყვარებულმა დამირეკა და აქვითინებულმა შემომჩივლა, შენთვის რომ დაგვეჯერებინა, დღეს ცოცხალი იქნებოდაო.

— უწინ, ჯადოს, ძირითადად, ქალები უკვეთდნენ, ახლა თურმე კაცებიც გააქტიურდნენ...

— მართალი ხართ! ამ ბოლო დროს ფულიანი საცოლეების გამოსაჭერად კაცებიც იყენებენ მაგიურ ზემოქმედებას. მდიდარი მამების შვილებს სასიყვარულო ჯადოებით თავგზას უბნევენ და როცა საწადელს აღწევენ, თავიანთ ნებაზე ფლანგავენ სხვის ქონებას. ზოგიერთები კი კონკურენტის „ჩასაძირად" უკვეთენ მრხიბავს ჯადოს, რათა იოლად მოიპოვონ წარმატება და კეთილდღეობა. უმძიმეს ცოდვას იდებენ კისერზე, ოღონდ სიმდიდრე მოიხვეჭონ.

P.S. დარეკეთ წინასწარ და ჩაეწერეთ! ქალბატონი ნელის მისამართია: წერეთლის №12 (მეტრო „წერეთლის" გვერდით), II სადარბაზო, II სართული, ბინა №24; საკონტაქტო ტელეფონები: 35.29.72; 893..30.65.51; 899.20.37.64.

R

ჰოლივუდის axali margaliti spilbergis risxvas ufrTxis



„სკოლაში ყოველთვის პირველობისათვის ვიბრძოდი და მეშინოდა, რომ წარმატებას ვერ მივაღწევდი. ამიტომ მსახიობობა ჩემთვის თავდაცვის საშუალება გახლდათ. ყოველთვის შემეძლო, მეთქვა: „სამაგიეროდ, ეს შემიძლია!“ — მაგრამ ახლა, როდესაც სკოლა დავამთავრე, უკან დასახევი გზა მოჭრილი მაქვს. თუ კინოში წარმატებას ვერ მივაღწევ, სამაგიერო არაფერი მრჩება და ეს მაშინებს“.

კეირა ნაიტლი 1985 წლის 22 მარტს ლონდონის გარეუბანში, ტედინგტონში დაიბადა. ჯერ კიდევ 3 წლის იყო, როდესაც მშობლებს კატეგორიულად მოსთხოვა, მისთვის აგენტი დაექირავებინათ, რომელიც გოგონას შესაფერის პროექტებში როლებს გამოუძებნიდა. როდესაც კეირა 6 წლის გახდა, მშობლებმა ნება დართეს, საკუთარი აგენტი ჰყოლოდა, მაგრამ პირობა ჩამოართვეს, რომ სკოლაში სწავლაში არ ჩამორჩებოდა და საზაფხულო არდადეგებზე ყოველდღე იმეცადინებდა. გოგონასთვის, რომელსაც განვითარების დეფექტი – დისლექსია (დაავადება, როდესაც ადამიანი გრძელ სიტყვებს ვერ გამოთქვამს) ჰქონდა, ეს უდიდესი საჩუქარი იყო.



სამსახიობო ასპარეზზე წარმატება ნელ-ნელა რეალობად იქცა. კეირას მონდომებამ ნაყოფი გამოიღო: 11 წლისა, უკვე ადგილობრივ შოუებსა და ევროპულ ტელესერიალებში მონაწილეობდა. წარმატების მიღწევაში იღბალმაც უდიდესი როლი ითამაშა, როდესაც გულმოდგინებისა და ნატალი პორტმანთან გარეგნული მსგავსების წყალობით, ფილმში – „ვარსკვლავური ომები: ეპიზოდი I – ფარული მუქარა“ – ნატალი პორტმანის გმირის, დედოფალ ამიდალას მოახლის როლი მიანდვეს. ამ პატარა, მაგრამ დასამახსოვრებელმა სახემ მაყურებლისა და კინოკრიტიკის ყურადღება მიიპყრო. ეკრანებზე ფილმის გამოსვლის შემდეგ, 1999 წელს, კეირამ სერიალში – „ოლივერ ტვისტი“ კიდევ ერთი როლი მიიღო. 2001 წელს ბრიტანულ ფილმში – „ხვრელი“ ითამაშა. 2002 წელს კი, 3 თვე, სლოვაკეთში „ექიმი ჟივაგოს“ გადაღებებზე დაყო. მაგრამ დიდ ეკრანზე ნამდვილ წარმატებას 2002 წელს გადაღებული ფილმში – „ითამაშე ბექჰემივით“ მიაღწია. ეს სურათი დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში ძალზე პოპულარული გახლდათ და ამ წარმატებაში კეირა ნაიტლის მიერ შექმნილმა სახემ დიდი როლი შეასრულა.

2003 წელს, ეკრანებზე გრანდიოზული კინოჰიტი, ჰოლივუდური ბლოკბასტერი – „კარიბის ზღვის მეკობრეები: შავი მარგალიტის წყევლა“ გამოვიდა, სადაც კეირამ მთავარი როლი ითამაშა. „დღესაც გაოცებული ვარ, რომ წარმატებას ასე ადვილად მივაღწიე. „კარიბის ზღვის მეკობრეებში“ როლი იოლად მივიღე. ჩემმა აგენტმა დამირეკა და მკითხა, ამ ფილმში თამაში თუ გინდაო? რასაკვირველია, მინდა-მეთქი, – ვუპასუხე მე“. ამ სათავგადასავლო ეპოპეამ მსახიობს თავბრუდამხვევი წარმატება მოუტანა და ჰოლივუდის ოლიმპისაკენ მიმავალი გზა გაუხსნა. მასზე ხმამაღლა ალაპარაკდნენ და სულ მალე, ახალი, საინტერესო როლები სეტყვასავით წამოვიდა მისკენ.

„კარიბის ზღვის მეკობრეები“ ჩემთვის შეუფასებელი გამოცდილების მომტანი იყო. ჯონი დეპი შესანიშნავი ადამიანი და ფენომენალურად ნიჭიერი მსახიობია. გადამღები ჯგუფი არაჩვეულებრივი იყო. ეს ფილმი იმდენად მასშტაბური გამოვიდა, რომ მასზე უფრო დიდი პროექტის არსებობა ვერც კი წარმომიდგენია. სურათის მეორე ნაწილის გამოსვლას მოუთმენლად ველოდები,“ – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში კეირამ.

მისი ბოლო ნამუშევარია, კომედია – „სიყვარული საერთოდ“, რომელიც 2004 წლის ნოემბერში გამოვიდა ეკრანებზე. ცოტა ხნის წინ, 19 წლის მსახიობმა თავად სტივენ სპილბერგის ყურადღებაც კი მიიპყრო. სახელოვანი რეჟისორი ფიქრობს, რომ „იურული პერიოდის პარკის“ მეოთხე ფილმში მას ერთ-ერთი როლის თამაში დააკისროს, რაც იმას ნიშნავს, რომ კეირა ნაიტლი უკვე ჰოლივუდის „სუპერლიგაში“ გადადის.

„ამ შემოთავაზებამ სულით ხორცამდე შემძრა, რადგან ეს ფილმი ძალიან მიყვარს. სტივენმა მითხრა, რომ სურათში – „ითამაშე ბექჰემივით“ – ჩემი თამაში ძალიან მოეწონა. ვფიქრობ, სემ ნილიც დამეხმარა, რომელიც ამ სერიის ორ ფილმში თამაშობს და მეოთხეშიც ითამაშებს. ჩვენ ერთმანეთი „ექიმი ჟივაგოს“ გადაღებებზე გავიცანით. სტივენი ფიქრობს, რომ „იურული პერიოდის პარკი IV“-ში ჩემთვის შესაფერისი ორი როლია. მაგრამ ამაზე საუბარი ჯერ არ შემიძლია, რადგან მეშინია, სპილბერგის რისხვა არ გამოვიწვიო“.

ამჟამად კეირა ცნობილი რეჟისორის ანტუან ფუკუას ფილმში – „მეფე არტური“ – გადაღებებითაა დაკავებული, სადაც იგი დედოფალ გვინევერს განასახიერებს.

სულ მალე, „კარიბის ზღვის მეკობრეების“ გაგრძელების გადაღებაც დაიწყება. ჯუდ ლოუსთან ერთად „ტიტას მხურვალებაში“ ითამაშებს. ხოლო ფილმში – „პიჯაკი“, „ოსკაროსან“ ედრიენ ბროუდის გაუწევს პარტნიორობას.

სამსახიობო კარიერის გარდა, კეირა ნაიტლის სხვა, კინოზე არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმეებიც აქვს მოსაგვარებელი. 19 წლის ვარსკვლავი კოლეჯში დაბრუნებასა და სწავლის დასრულებას აპირებს.

■

გვენ სტეფანიმ კამა დაკარგა

გვენ სტეფანის წითელი კაბა, რომლითაც მომღერალი ცნობილი ალბომის – No Doubt "Tragic Kingdom" გარეკანისათვის პოზირებდა, 11 იანვარს, პირდაპირ გამოფენიდან გაქრა.

ეს კაბა ფულერტონის (სამხრეთ კალიფორნია, ორანჟის ოლქი) მუსიკალურ ცენტრში მოწყობილი გამოფენა Orange County Rock`n`Roll-ის ექსპონატი იყო. ფულერტონის პოლიციამ გამოძიება უკვე დაიწყო და გამოფენის დამთვალიერებლებს და თვითმხილველებს თხოვნით მიმართა, გამოძიებას ინფორმაცია მიაწოდონ. სასოწარკვეთილი ხელისუფლება იმასაც კი აცხადებს, რომ მათ მხოლოდ კაბის დაბრუნება სურთ და თუკი მძარცველი მას დააბრუნებს, მის წინააღმდეგ არანაირ სანქციას არ მიმართავენ.

შეგახსენებთ, რომ ალბომი Tragic Kingdom ჯგუფმა 1995 წელს ჩაწერა. მასში ცნობილი ჰიტი Don`t Speak შედის. ეს ალბომი No Doubt-ის ყველაზე წარმატებული რელიზია. Tragic Kingdom 12-მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა და Grammy-ს რამდენიმე ნომინაცია მიიღო.

■

კამერონ დიასს ინდიელი გოგონას საქორწინო კამას შეუკერავენ

კამერონ დიასი და პოპულარული მომღერალი ჯასტინ ტიმბერლეიკი მალე დაქორწინდებიან. დიასმა საკუთარ ქორწილზე მოწვეული სტუმრების გაოცება უცნაური საქორწინო კაბით გადაწყვიტა, რომელიც ტრადიციული სადედოფლო კაბისგან განსხვავებული იქნება. კაბას მისი საუკეთესო მეგობარი, დიზაინერი დევიდ ჯესტი შექმნის, რომელსაც შავი ცხენის სახელითაც იცნობენ.

კამერონ დიასის დედის წინაპრები ჩრდილოამერიკელი ინდიელები იყვნენ. კამერონმაც გადაწყვიტა, ქორწილში ფოლკლორულ სტილში გამოწყობილი გამოცხადდეს. შავი ცხენი ლოს-ანჯელესში სპეციალურად ჩაფრინდება, რათა ექსტრავაგანტური კოსტიუმის დეტალები დაადგინოს.

„იმედი მაქვს, მისთვის ინდიელი გოგონას ნამდვილ საქორწინო კაბას შევქმნი. ვფიქრობ, კამერონი მძივებით დაქარგულ ტყავის მოკლე კაბასა და თეთრ მოკასინებში მომხიბვლელი იქნება. ერთი ამგვარი კაბა მას უკვე აქვს, მაგრამ ახალი სამოსი განსაკუთრებული იქნება“, – განაცხადა შავმა ცხენმა. ■

მეთიუ მაკონაჰი მოჩვენებამის დევნისას, მეზობლებს ძილს უთრთხობს



ჰოლივუდის ვარსკვლავი მეთიუ მაკონაჰი დოლზე განუწყვეტელი ბრახუნით მეზობლების აღშფოთებას იწვევს. მან ეს საქმიანობა თავის ახალ შეყვარებულს პენელოპა კრუსსაც შეაყვარა.

მსახიობის აზრით, დოლზე დაკვრა სტრესისაგან გათავისუფლების შესანიშნავი საშუალებაა, რასაც მისი მეზობლები კატეგორიულად არ ეთანხმებიან და ერთხელ ექსტაზში შესული მუსიკოსის დასაოკებლად პოლიციაც კი გამოიძახეს. თავად მაკონაჰი ირწმუნებოდა, რომ გამაყრუებელი ხმაურის მიზეზი დოლი არ ყოფილა. ის უბრალოდ, მდედრობითი სქესის სიმპათიურ მოჩვენებას დასდევდა, რომელსაც შემდგომ დაუმეგობრდა კიდეც.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რას ფიქრობს ამ მეგობრობის შესახებ პენელოპა. ■

კეიტ უინსლეტი საუკეთესო მსახიობის ნომინაციაზე ორჯერ წარდგინეს

კეიტ უინსლეტი ბრიტანეთის კინოაკადემიის პრემიაზე საუკეთესო მსახიობი ქალის ნომინაციაზე ორი ფილმით წარადგინეს. ესენია: „ჯადოსნური ქვეყანა“ და „ვნების მარადიული ციალი“. ამ კონკურსზე ჯეიმი ფოკსიც ორ ნომინაციაზეა წარდგენილი, ფილმით – „რეი“ საუკეთესო მსახიობის ნომინაციაზე და ფილმით – „თანამზრახველი“ მეორე პლანის საუკეთესო როლისათვის. „ოქროს გლობუსის“ მფლობელი (მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის მიუზიკლში ან კინოკომედიაში, ფილმით „რეი“) ჯეიმი ფოკსი სექსუალურ სკანდალში აღმოჩნდა ჩათრეული. ერთ-ერთი ფანატი მსახიობის მაკომპრომეტირებელი ფოტოსურათების გამოქვეყნებას აპირებს, რომლებიც ფოქსის თქმით, მისი სახლიდან მოიპარეს. მარკ ფილტიანი კი აცხადებს, რომ „სასტიკი პრონოგრაფიის“ სტილის ფოტოსურათები მან ნაგვის ყუთში იპოვა. ახლა კი სასამართლოში ჩივილსაც აპირებს, რადგან მისი თქმით, ფოკსის ორმა თანაშემწემ სასტიკად სცემა და ფოტოების დიდი ნაწილიც წაართვა.

ფოკსი ბრალდებას უარყოფს და სურათების დაბრუნებას მოითხოვს.

„ამ ფოტოებზე არც ჰომოსექსუალური სცენებია და არც ზოოფილიის კადრებია აღბეჭდილი“ – აცხადებს ფოკსი. ზოგიერთი მონაცემებით ახლა ეს ფოტოები ერთ არიზონელ ბიზნესმენს აქვს, რომელიც თუ დარწმუნდა, რომ ისინი მოპარული არ არის, მათ გამოქვეყნებას აპირებს.

იმელდა სტენტონი ფილმისთვის – „ვერა დრეიკ“ – საუკეთესო მსახიობი ქალის ნომინაციაზეა წარდგენილი. თავად ფილმი კი 7 ნომინაციის პრეტენდენტია.

მარტინ სკორსეზეს „ავიატორი“ 14 პრემიაზეა წარდგენილი. ბრიტანული კინოაკადემიის პრემიების გადაცემის საზეიმო ცერემონია 12 თებერვალს ჩატარდება. ■

როზი ჰანტინგტონ უიტლი – დაიმახსოვრეთ ეს სახელი!

როგორც ჩანს, თანამედროვე მოდის სამყაროში კიდევ ერთი ახალი და კაშკაშა ვარსკვლავი გამოჩნდა, რომელსაც კრიტიკოსები დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ: სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ამ სახელს სულ მალე მოდურ გამოცემათა ფურცლებზე შეეხვდებით, მისი სახე კი არაერთხელ დაამშვენებს წამყვანი ჟურნალების პრიალა გარეკანს.

17 წლის ბრიტანელმა მოდელმა როზი ჰანტინგტონ უიტლიმ ხანმოკლე კარიერის მანძილზე უკვე იმაზე გაცილებით მეტს მიაღწია, ვიდრე პოდიუმზე მისმა კოლეგებმა წლების განმავლობაში შეძლეს.

ამ დროისთვის როზის უახლოეს გეგმებში შედის სარეკლამო გადაღებები ისეთი სახელგანთქმული ბრენდებისათვის, როგორიცაა Tommy Hilfiger, SportMax და ჯგუფ No Doubt-ის სოლისტის გვენ სტეფანის ახალი ლეიბლისთვის LAMB (Love.ANgel.Music.Baby).

ეს არცთუ ისე ცუდი შედეგია იმ გოგონასთვის, რომელსაც პოდიუმის დაპყრობა არც უფიქრია და მხოლოდ სამოდელო სააგენტო Profile Models-ში საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში მუშაობის დაწყებაზე ოცნებობდა. როზიმ კომპანიის ზღურბლის გადაბიჯებისთანავე მთავარი მენეჯერების ყურადღება მიიპყრო და მალე პოპულარულ ბრენდებთან კონტრაქტებიც გააფორმა. მას შემდეგ უკვე მოასწრო და მონაწილეობა მიიღო Ellen von Unwerth-ის, Bruce Weber-ის და Corinne Day-ს სარეკლამო კამპანიებში და ესპანური Vogue-სა და ბრიტანული Wallpaper-ის გარეკანებიც დაამშვენა. ■



Volvo-ს ხვალინდელი დღე

შვედურმა კომპანიამ ეს ექსპერიმენტული მოდელი პირველად, 2004 წლის შემოდგომაზე ჩინეთის ქალაქ შანხაიში გამართულ საერთაშორისო ავტოსალონზე წარმოადგინა. ელექტრომობილი 3CC, 10 წმ-ში ავითარებს 100 კმ/სთ სიჩქარეს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 135 კმ/სთ-ია. აკუმულატორის ერთი დამუხტვა 300 კმ გარბენს ჰყოფნის.

ავტომობილის სიგრძე 3,899 მ, სიგანე – 1,624 მ, სიმაღლე – 1,321 მ-ა. სუპერმჩატე მასალების გამოყენების წყალობით, კონსტრუქტორებმა მანქანის წონის მკვეთრ შემცირებას მიაღწიეს. Volvo 3CC-ში კლიმატ-კონტროლი და აუდიოსისტემა, სენსორული კლავიშებით იმართება; კლავიში 5 მმ-ის მანძილზე მასთან თითის მიტანის მომენტიდან ამოქმედდება. „ვოლვოს“ სპეციალისტთა თქმით, მსგავსი ტექნიკური სიახლეები უახლოეს პერსპექტივაში, სერიულ – როგორც ბენზინის, ისე დიზელისძრავიან – მანქანებსაც დაერთვება თან.

■

სახლის სამართავი, „ჭკუისკოლოფა" BMW

თანამედროვე ავტომანქანები უფრო და უფრო რთული ტექნიკით აღიჭურვება და აქედან გამომდინარე, მათ მფლობელებს მაქსიმალურ კომფორტს სთავაზობს: მაგალითად, მძღოლს საკუთარი სავარძლიდანვე შეუძლია, გააღოს საბარგული ან მოხსნას თავსახური საწვავის ავზს, გამოცვალოს დისკი აუდიოსისტემაში, დააყენოს სალონში მისთვის სასურველი კლიმატი... მაგრამ ყოველივე ეს აღარ აკმაყოფილებს BMW-ს სპეციალისტებს, რომლებიც უფრო დიდი შედეგის მიღწევას ლამობენ. ახლა მათი ექსპერიმენტების ობიექტად ქცეულა მე-5 სერიის სედანი, რომელიც „ჭკვიანი სახლის“ მართვის საშუალებად გამოდგება. მანქანის სალონში წინა პანელზე დამონტაჟდა დისპლეი, რომელზეც შემოდის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ შინ თქვენი არყოფნის დროს, როგორ მუშაობს სარეცხი მანქანა, ჩამოფარებულია თუ არა ფანჯრებზე ჟალუზები, რომელიმე ოთახში ხომ არ დაგრჩათ ჩართული შუქი. მაგრამ ეს კიდევ არაფერია. წარმოიდგინეთ ჩვეულებრივი ცხოვრებისეული სიტუაცია: შინ მოგადგნენ სტუმრები, თქვენ კი ჯერ კიდევ გზაში იმყოფებით. ასეთ შემთხვევაში, სახლის შემოსასვლელში დამონტაჟებული ტელეკამერა თქვენი მანქანის დისპლეიზე გადასცემს ინფორმაციას და თქვენ მოგეცემათ საშუალება, სთხოვოთ სტუმრებს, რომ მოგიცადონ... ამგვარი ექსპერიმენტი ზოგისთვის (ე.ი. ძალზე შეძლებული ოჯახებისთვის) სულ მალე ჩვეულებრივ ყოფად იქცევა. ამიტომ გერმანული კონცერნის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ამ ტექნიკით აღჭურვილი მანქანების ბაზარზე გამოჩენა არცთუ ისე შორეული მომავლის პერსპექტივაა.

Bentley ძალებს იკრებს

კუპე – Bentley Continental GT – 2004 წლის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტადაა მიჩნეული. წლის დამლევისთვის, გერმანულ კონცერნ „ფოლკსვაგენის“ ჯგუფში შემავალი ინგლისური ფირმის მესვეურებმა გამოაცხადეს, რომ სერიულ წარმოებაში ამ მანქანის ჩაშვების მომენტიდან დღემდე (ე.ი. დაახლოებით 10 თვის მანძილზე), 4369 ეგზემპლარი გაიყიდა. გარდა ამისა, ფირმამ მისი შემენის მსურველებისგან იმდენი შეკვეთა მიიღო, რომ მათ დაკმაყოფილებას 9 თვე დასჭირდება. წლევანდელ გაზაფხულზე კი, „ბენტლის“ ახალი მოდელი – სედანი Continental Saloon გამოვა. არადა, სულ რამდენიმე წლის წინ, ინგლისურ კომპანიაში შექმნილი ეკონომიკური სიტუაცია არცთუ ისე სახარბიელო გახლდათ. 1998 წელს, ეს უძველესი ფირმა „ფოლკსვაგენმა“ შეიძინა, რისთვისაც 1,4 მლრდ გერმანული მარკა (700 მლნ ევრო) გადაიხადა. კიდევ 500 მლნ გირვანქა სტერლინგი გერმანელებმა წარმოების მოდერნიზაციასა და ახალი მოდელების შემუშავებას დაახარჯეს. დღეს ამ ინვესტიციებს უკვე შედეგი მოჰყვა: ე.წ. ლუქსის ავტომანქანებს შორის „ბენტლი“, მოგების მომტანი ერთადერთი მოდელია. მაგალითად, „მაიბახი“ და „როლს-როისი“ მწარმოებლებისთვის ჯერჯერობით წამგებიანია. ექსპერტთა აზრით, ეს უპირველეს ყოვლისა, იმის შედეგია, რომ Continental GT-ში, ლიმუზინის კომფორტულობა და სპორტული ავტომობილის დინამიკურობაა შერწყმული. მისი 12-ცილინდრიანი ძრავა 320 კმ/სთ მაქსიმალური სიჩქარის განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

„ბენტლის“ წარმოება იმგვარადაა ორგანიზებული, რომ ქალაქ კრუში მდებარე ქარხანას ბევრი მაკომპლექტებელი ნაწილი პირდაპირ გერმანიიდან მიეწოდება. საერთოდ კი, Bentley Continental GT-ს, სინთეტურ პროდუქტს უწოდებენ: მისი ძარას ნაწილები მოზელში მზადდება, ძრავა და ტრანსმისია ისეთივე აქვს, როგორიც Audi A8-ს, ჰნევმატური საკიდარი კი – Volkswagen Phaeton-ისაა. მიუხედავად ამისა, საერთო ჯამში, ინგლისური მანქანა „ფოლკსვაგენს“ დეტალების მხოლოდ 14%-ს დაესესხა, დანარჩენი ყველაფერი თვით „ბენტლის“ მიერაა შემუშავებული.

Bentley Continental GT-ის საკატალოგო ფასი 164.000 ევროს შეადგენს.

■

„სამწუხაროდ, რეცეპტის ინსტიტუტი საქართველოში არასრულყოფილად მოქმედებს“

ემა ტუხიაშვილი

„გზის“ წინა ნომერში, შემოგთავაზეთ უცხოური პრესის მიხედვით მომზადებული წერილი, სადაც საუბარი იყო შვეიცარიული ფარმაცევტული კომპანია Roche-ის მიერ წარმოებულ, ფერომჭამელების სამკურნალო პრეპარატებზე, რომელთა აქტიური მოხმარება ბევრ პაციენტში ფსიქიკური აშლილობის, მათთვის მანამდე უჩვეულო აგრესიულობისა და სუიციდური (თვითმკვლელობისკენ სწრაფვის) განწყობის მიზეზი გამხდარა — ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნიათ ტრაგიკული შემთხვევების მსხვერპლად ქცეული ახალგაზრდების ოჯახის წევრებს. თუმცა, საბოლოო ვერდიქტი სპეციალისტებს ჯერჯერობით გამოტანილი არა აქვთ და პრეპარატები — Roaccutan (ევროპაში) და Accutan (აშშ-ში) კვლავაც იყიდება. მაშინ დაგპირდით, რომ მოგაწვდიდით ინფორმაციას იმის შესახებ, შემოდის თუ არა ეს წამალი საქართველოში. აღმოჩნდა, რომ Roche-ის მიერ წარმოებული პრეპარატი Roaccutan საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზეც არის რეგისტრირებული და საკმაოდ ძვირადაც ფასობს. აი, რა გვითხრა მის შესახებ წამლების სააგენტოს ფარმაკოლოგიური სამმართველოს უფროსმა, პროფესორმა ნიკო გონგაძემ:

– აღნიშნული პრეპარატი საქართველოში რეგისტრირებულია 2003 წლის დეკემბრიდან. იგი გამოიყენება აკნეს (კანის ჩირქოვანი დაავადება) სისტემური მკურნალობისთვის, ძირითადად მაშინ, როდესაც პაციენტს აკნეს მძიმე ფორმა აღენიშნება და არ ექვემ-

ამ პრეპარატის მცირე რაოდენობა მაინც არის რეალიზებული საქართველოში.

დებარება სხვა საშუალებებით მკურნალობას. რაც შეეხება ამ პრეპარატის უკუჩვენებებს, მისი მიღება არ შეიძლება ორსულობის, ლაქტაციის პერიოდში, ღვიძლისა და თირმკლის უკმარისობის შემთხვევაში, ჰიპერვიტამინოზის (ორგანიზმში A ვიტამინის მოჭარბებული დაგროვებისას) დროს. აქვე გეტყვით, რომ ჩვენს სააგენტოში მუშაობს გვერდითი ეფექტების შემსწავლელი ჯგუფი, რომელსაც აქვს დამატებითი ინფორმაცია პრეპარატ Roaccutan-ის შესახებ. ამ პრეპარატის საწინააღმდეგო პირველი ტალღა 2002 წელს აშშ-ში აგორდა, შემდეგ კი, ახალი სიმძლავრით, მისი აკრძალვის მიზნით აგორებულმა კამპანიამ 2004 წელს იფეთქა. Roaccutan-ის ძირითადი მომხმარებლები აშშ-ში ტინეიჯერები, ხშირ შემთხვევაში კი, ორსული მოზარდები იყვნენ, ვინც სისტემატურად იღებდნენ აღნიშნულ პრეპარატს ისე, რომ ინფორმირებულიც არ იყვნენ საკუთარი ფეხმძიმობის შესახებ. სწორედ ამით იყო განპირობებული მოზარდებში ფსიქიკური აშლილობები, თმის ცვენა, კანის სიმშრალე, კანის გარქოვანება და ა.შ. ამიტომ ჰქონდა პრეპარატის მწარმოებელ კომპანია Roche-ს მითითებული წამლის ინსტრუქციაში, რომ მისი მიღება აუცილებელია ჩასახვის საწინააღმდეგო კონტრაცეპტივებთან ერთად. აქვე გეტყვით, რომ Roaccutan-ს საკმაოდ მკაცრი ინსტრუქცია აქვს. მისი გამოყენება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ძალზე შეზღუდული იყო, შემდეგ, პრეპარატის ინსტრუქცია კიდევ უფრო გამკაცრდა, თუმცა, ეს წამალი ხმარებიდან ამოღებული არ ყოფილა. ამ ეტაპზე, ჩვენ ხელთა გვაქვს აშშ-ის საკვები პროდუქტებისა და პრეპარატების კონტროლის სამმართველოს (FDA) 2004 წლის ნოემბრით დათარიღებული რეკომენდაციები ამ პრეპარატთან დაკავშირებით; თებერვლისთვის, ახალ რეკომენდაციებს ველოდებით და თუ FDA გადაწყვეტს, რომ ხმარებიდან ამოიღოს Roaccutan, ჩვენც ამის შესაბამისად ვიმოქმედებთ.

— საქართველოში თუ სარგებლობს პოპულარობით ეს პრეპარატი?

— ჩვენი ინფორმაციით, საქართველოში Roaccutan-ს საკმაოდ მცირე მარკეტინგი აქვს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ პრეპარატი საკმაოდ ძვირი — დაახლოებით 66 ლარი ღირს. ამასთან ერთად, როდესაც არსებობს ალტერნატიული პრეპარატები, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ექიმმა პაციენტი სწორედ ამ პრეპარატის საყიდლად გაუშვას. მაგრამ აქვე გეტყვით, რომ ამ პრეპარატის მცირე რაოდენობა მაინც არის რეალიზებული საქართველოში. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ გამოსცა წიგნები, სადაც სხვა პრეპარატებთან ერთად, ეს წამალიც არის შესული, თავისი ინსტრუქციითა და სხვა დამატებითი ინფორმაციით; ეს წიგნები სპეციალისტებს დაურიგდათ. საერთოდ, შესაბამისი კანონის თანახმად, ყველა უცხოურ პრეპარატს თან დართული უნდა ჰქონდეს ქართულენოვანი ინსტრუქცია და მომხმარებელსაც ამგვარად ეძლევა შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმაცია წამლის გვერდითი მოვლენებისა თუ უკუჩვენებების შესახებ. ოფიციალური ინფორმაცია, ამ პრეპარატის მოხმარების შედეგად გამოწვეული გვერდითი მოვლენებისა თუ გართულებების შესახებ არ მიგვიღია.

— მიუხედავად იმისა, რომ პრეპარატს თან ახლავს საკმაოდ მკაცრი ინსტრუქცია, მისი შეძენა ურეცეპტოდაც შესაძლებელია?

— სამწუხაროდ, რეცეპტის ინსტიტუტი საქართველოში არასრულყოფილად მოქმედებს. ბევრ შემთხვევაში, წამლები, რომლებიც მხოლოდ რეცეპტით უნდა გაიცემოდეს, აფთიაქში თავისუფლად იყიდება. საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ადამიანები ახლობლების რჩევით ეწევიან თვითმკურნალობას. რამდენიმე ხნის წინ, ბალტიის ქვეყნებში გახლდით მივლინებით ჩასული და ჩემს იქაურ კოლეგებთან სწორედ ამ თემაზე მქონდა საუბარი. აღმოჩნდა, რომ იქ არც ერთი პაციენტი, სრულიად უწყინარ პრეპარატსაც კი არ შეიძენს ექიმის რჩევის გარეშე.

— როგორ ფიქრობთ — დადგება თუ არა მომავალში Roaccutan-ის, ხმარებიდან ამოღების საკითხი?

— მართალია, FDA-ს ყველაზე მკაცრი ღონისძიებების ჩატარება სჩვევია, მაგრამ ამა თუ იმ პრეპარატის ხმარებიდან ამოღებისა თუ შეზღუდული გამოყენების საკითხი საკმაოდ ჭიანურდება ხოლმე. მაგალითად, ფენილ-პროპანოლამინის პრობლემის გადაწყვეტის პროცესი FDA-ში უკვე 4-5 წელია გრძელდება და ჯერაც არ ამოუღიათ ხმარებიდან. თავდაპირველად, მისი გაცემა რეცეპტის გარეშე ხდებოდა, შემდეგ — რეცეპტის გამოწერა დააწესეს, მოგვიანებით — მისი მოხმარება შეზღუდეს და მხოლოდ ამის შემდეგ დააყენეს საკითხი ნელ-ნელა ხმარებიდან ამოღების შესახებ — თანაც ისე, რომ არც ერთი იურიდიული და ეკონომიკური ნორმა არ დაირღვეს. ეს ის პრეპარატია, რომელიც სურდოს საწინააღმდეგო საშუალებად ითვლებოდა, ხოლო პაციენტებს, მისი მიღების შემდეგ, მომატებული არტერიული წნევა აღენიშნებოდათ. იმავე აშშ-ში ამ პრეპარატის მიღების შედეგად, ინსულტის რამდენიმე შემთხვევა იყო დაფიქსირებული. ეს პრეპარატი საქართველოშიც არის რეგისტრირებული და მომხმარებელიც ჰყავს. თუმცა, ჯანდაცვის სამინისტრომ უკვე დააწესა შეზღუდვა ამ პრეპარატზე და ახლო მომავალში, ამოიღებს კიდეც ხმარებიდან. ამით იმის თქმა მინდა, რომ ფენილპროპანოლამინის მსგავსად, ვფიქრობ, დღის წესრიგში Roaccutan-ის საკითხიც დადგება. წამლების სააგენტო, არსებული ინფორმაციის შესაბამის რეაგირებას მოახდენს. ■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან
დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

თემურ რცხილაძე:

„მალე ფიჭური ტელევიზია გვექნება“ ანუ პროგრამები „ინტერნეტ-გამოძახებით“

საქართველოში კიდევ ერთი ტელეკომპანია იხსნება. თემურ რცხილაძეს ამ ტელეკომპანიაში საკუთარი მუსიკალურ-გასართობი არხი ექნება. მისგან შევიტყვეთ, რომ ახალ მუსიკალურ არხზე ბევრი მომღერლის სიმღერა ვერ აუღერდება. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ შოუბიზნესში არსებულ დაპირისპირებებზე საუბარს ყველა ერიდება, ამის დანახვა დღეს არსებული ტელეკომპანიების გადაცემებიდანაც შესაძლებელია. როგორც ჩანს, ეს კიდევ უფრო შესამჩნევი იქნება თემურ რცხილაძის მუსიკალურ არხზე... თუმცა, მასთან საუბარი სულ სხვა თემით დავიწყეთ.

ლელა ჭანკოტაძე

— გამოვუშვი მეორე კომპაქტდისკი — „შავი კატა“. ალბათ, გიკვირთ, რატომ დავარქვი ასეთი სახელი. იმიტომ, რომ ეს ცხოველი ძალიან მიყვარს. რომ ამბობენ, შავი კატა ზიანის მომტანიაო, ტყუილია. ამ ცრურწმენას მე უარვყოფ და ვამბობ — „შავი კატა“ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

— **ამ სახელწოდებამ თქვენს ალბომს უკვე მოუტანა წარმატება?**

— დისკის წარმატება იმას ნიშნავს, თუ რა სისწრაფით იყიდება. თქვენ პირველად ჩემგან გაიგეთ, რომ ახალი დისკი გამოვუშვი. რეკლამირებას არ ვეწევი, რადგან საქართველო არ წარმოადგენს ისეთ ბაზარს, რომელზეც რეკლამაში ფულის გადაყრა ღირს... ურეკლამოდ ნელ-ნელა გაიყიდება და ხალხიც ნელ-ნელა გაიგებს ამ სიახლის შესახებ. ჩემს ცხოვრებაში სხვა სიახლეცაა. ვასიკო მღებრიშვილი მთელ საქართველოს „ივერთ-მედიის“ სახით დიდ საჩუქარს უმზადებს. „ივერთ-მედიაში“ მუსიკალური არხი მექნება. სხვა მუსიკალურ-გასართობი არხებისგან განსხვავებით, მართლა გასართობ და მუსიკალურ არხს ვქმნით.

— **უფრო დაწვრილებით გვიამბეთ ფიჭურ ტელევიზიაზე.**

— მთავარია, რომ ეს ტელევიზია იქნება ფიჭური — როგორც მობილური სატელეფონო კავშირი. გვექნება იდეალური ხარისხის ციფრული გამოსახულება. მაყურებელს სტერეოს ფორმატით მივაწვდით მუსიკას. ინტერნეტის მეშვეობით უფასოდ გავუგზავნით ცალკეული მაყურებლის ტელევიზორში იმ გადაცემებს, რომლებიც მან რაღაც მიზეზის გამო ვერ ნახა: თუ ქალაქში არ იყავით და ვერ უყურეთ რომელიმე საინტერესო გადაცემას, მოითხოვთ და ნებისმიერ დროს, როცა სურვილი გექნებათ, ეს გადაცემა გავა თქვენს ტელევიზორში... საუბარია, ფასიან ტელევიზიაზე. ფასი ხელმისაწვდომი იქნება. ვფიქრობ, რომ ჯობს, იყოს ფასიანი და უმაღლესი ხარისხის, ვიდრე ისეთი, როგორი ტელევიზიებიც ჩვენში არსებობს... ტარიფი, საკაბელო ტელეარხებთან შედარებით, ცოტა მაღალი გვექნება. მაგრამ როცა უმაღლესი კლასის ტელემაუწყებლობას სთავაზობ, ერთი ლარით ძვირი ნამდვილად უნდა ღირდეს. გადაცემები 19-დან ღამის 2 საათამდე იქნება ეთერში, დანარჩენ დროს მუსიკით დავტვირთავთ.

— **რა დოზით იქნება წარმოდგენილი ქართული შოუბიზნესი?**

— როცა დაიმსახურებენ, რომ დაირქვან ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლები, მაშინ დავუთმობთ საეთერო დროს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ქართული სიმღერები ჩვენი არხით საერთოდ არ აჟღერდება. მაღალი დონის ქართულ სიმღერებზე უარს არ ვიტყვით. დავუკავშირდებით ნებისმიერ შემსრულებელს, რომლის ნამუშევარიც მოგვეწონება. მასთან ვითანამშრომლებთ — იმ პირობით, თუ რამდენიმე თვის განმავლობაში, მისი სიმღერის გაჟღერების უფლება მხოლოდ ჩვენ გვექნება. ჩავწერთ ახალ სიმღერებსაც. მე მაქვს საკუთარი სტუდია. ჯერ-ჯერობით, ესეც გვეყოფა. მოგვიანებით, გავფართოვდებით.

— **ცნობილი სახეებიდან, ვინ გამოჩნდება თქვენს არხზე?**

— მაყურებელი ჩვენი არხით ვერც ერთ ცნობილ სახეს ვერ იხილავს. სრულიად ახალი სახეები მოვიწვიეთ. ახლა ისინი საეთეროდ ემზადებიან. ჩემი მეგობარი — გოგა პიპინაშვილი ცდილობს, მათ დიქცია გამოუსწოროს. ასე რომ, დაელოდეთ ძალიან ლამაზ ახალ სახეებს.

— **ხომ არ შეგიძლიათ, თქვენი არხის გადაცემებზე უფრო კონკრეტული ინფორმაცია მოგვაწოდოთ?**

— ჩემს არხზე გავა მხოლოდ ის პროდუქცია, რომელიც ჩემი და ჩემი მეგობრების აზრით, აუცილებელია მასის გამოსასწორებლად. უდავოა, რომ ჩვენ მაყურებელი გაგვიფუჭა სხვადასხვა ტელეარხმა. ჯერ გადაცემებზე უფრო კონკრეტულად საუბარი მიჭირს, რადგან ჩვენი ქალაქი სავსეა პლაგიატორებით და სანამ ჩემი არხი ეთერში გავა, მანამ ჩემი იდეები შეიძლება, სხვა არხზე განხორციელებული ვნახო, რაც არაერთხელ მომხდარა. სამაუწყებლო ბადე უკვე შემდგარი გვაქვს. სიუჟეტების გარკვეული ნაწილი საზღვარგარეთაა გადაღებული, ოღონდ — სპეციალურად ჩვენი ეთერისთვის. ჩვენ გთავაზობთ ტელევიზიას, საკუთარი პროდუქციითა და სრულიად ახალი სახეებით. თუმცა, კარგ იდეებზე და შემოთავაზებულ მაღალი დონის სიუჟეტებზე უარს არ ვიტყვით... „ივერთ-მედიას“ სულ 36 არხი ექნება. ჩვენი არხი 37-ე იქნება.

— **მაუწყებლობა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიას მოიცავს?**

— არც კავშირგაბმულობაზე და არც სატელევიზიო ანძაზე დამოკიდებული არ ვიქნებით, რომლის ვალიც თითქმის ყველა ტელევიზიას აქვს... ფიჭური პრინციპი გულისხმობს იმას, რომ იმ ადგილებში, სადაც პირველი არხის მაუწყებლობაც ძალზე სუსტია, სუფთა გამოსახულებას მივაწვდით.

— რა ასაკის მაყურებელზე იქნება გათვლილი ფიჭური ტელევიზია?

— მე 44 წლის ვარ. მერწმუნეთ, რომ ეს ტელევიზია ჩემს გემოვნებასაც დააკმაყოფილებს და 15 წლის ბავშვისასაც. თუმცა, მასაზე არ ვიმუშავებთ, რადგან მასა მდაბიური გემოვნებისაა... ჩვენ კარგი მაყურებელი გვყავდა, მაგრამ გემოვნება გაუფუჭეს. მოგეხსენებათ, ტელევიზიას ძალიან დიდი ძალა აქვს. როცა უგემოვნებო სიმღერას მოახვევ თავს და თან, მთელი დღის განმავლობაში, ამ უნიჭობისა და უგემოვნებობის რეკლამირებას ეწევი, მაყურებლის ზომბირება ხდება. ამიტომაც დაიშალა დიდი იმედების მომცემი ერთი საპროდიუსერო კომპანია... არ შეიძლება, თავი მოაბეზრო მსმენელს. ამას წინათ, მანქანაში საწვავს ვასხამდი. ვინც მემსახურებოდა, მკითხა: ბატონო თემო, სად დაიკარგეთო?.. როცა ახალ, გემრიელ სიმღერას ჩავწერ, თავსაც მაშინ შეგახსენებთ-მეთქი, — ვუპასუხე. ბევრი კარგი სიმღერა მაქვს, მაგრამ არ მიმაჩნია, რომ ყველა უნდა დავატრიალო ეთერში. ჩვენთან, როგორც კი სიმღერას ჩაწერენ, მაშინვე კლიპს იღებენ, ხალხს რომ გული გაუწყალონ...

— როდის დაიწყება თქვენი არხის მაუწყებლობა? და კიდევ — ხომ არ არის შესაძლებელი, რომ ეს პროექტი განხორციელდეს?

— ამაში იმხელა თანხაა ჩადებული და იმდენი ხალხია ჩართული, რომ შეუძლებელია, არ განხორციელდეს. მაგრამ ეთერში გასვლის კონკრეტული თარიღის დასახელება ჯერ არ შემიძლია. ფიჭური ტელევიზიის შექმნის იდეა ვასიკო მღებრიშვილს ეკუთვნის. ეს არის კაცი, რომელმაც შექმნა „თამარიონი“ და „იბერვიზია“. უნიჭიერესი ადამიანია. არ გაუმართლა იმაში, რომ საქართველოში დაიბადა: სხვა ქვეყანაში მის ნიჭს კარგად გამოიყენებდნენ... ■

შვილთან ერთად

თაკო მარჯანიშვილაძეს სევდიანი მოგონებები მოეძალა

ახალგაზრდა მომღერალი თაკო გაჩეჩილაძე უკვე რამდენიმე თვეა, ყოველ საღამოს ტელეკომპანია „202“-ის ეკრანიდან სერიალ „დიდი სახლის“ ერთ-ერთ მთავარ გმირად გვევლინება. როგორ მოხვდა თაკო ამ „გაუგებრობაში“, რამდენად გაუჭირდა სიმღერისა და მსახიობობის შეთავსება, რატომ არ ჩნდება ახალ კლიპებში, რა პერსპექტივა დაკარგა ჯგუფმა — „ოთხი გოგო“ და რა სევდიანი მოგონება აქვს მომღერალს — ყველა ამ კითხვაზე თავად თაკო გვიპასუხებს.

„ისევ ერთად ვართ, ოღონდ — როგორც პროდიუსერი ლუ მიხი „მსხვლოვ“, ისე ვართ...“

ნათია ქიქვიძე

— თაკო, მოდი, საუბარი სერიალით — „დიდი სახლი“ დავიწყოთ. როგორ მოხვდი ტელეკომპანია „202“-ში?

— შალვა რამიშვილს უკვე რამდენიმე წელია, ვიცნობ, თუმცა აქამდე, მასთან ასე ახლოს არ ვყოფილვარ. ერთხელ, „ოთხი გოგო“ შალვას გადაცემაში — „დებატებში“ ვიყავით მიწვეული, ერთხელაც, ნიკა ქავთარაძის „VIP შოუს“ სტუმარი გახლდით. ამის მერე დაებადა შალვას იდეა, რომ „მუსკულების“ ნაცვლად გაეკეთებინა ახალი სერიალი — „დიდი სახლი“ და მეც მასში ერთ-ერთი მთავარი როლი შემესრულებინა. ეს შემოთავაზება ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო, რადგან არასოდეს მიოცნებია მსახიობობაზე. მიუხედავად იმისა, რომ წელს კონსერვატორიას ვამთავრებ და ფაქტობრივად, თავისუფალი დრო თითქმის არ მაქვს, მაინც დავთანხმდი ამ წინადადებას, რადგან მინდა, კამერასთან მუშაობას მივეჩვიო.

— როგორც ცნობილია, ანა გიუნტერიც კონსერვატორიის სტუდენტია. თუ იცნობდი მას, „202“-ში მისვლამდე?

— არა, ანას არ ვიცნობდი, რადგან ის ჩემზე ცოტათი უფროსია. თანაც — სულ სხვა განხრით სწავლობს. მაგრამ ამას ჩვენი დამეგობრებისთვის ხელი არ შეუშლია, მეც, ქრისტინეც და ანაც კარგად ვუგებთ ერთმანეთს, ეკრანზეც და კადრს მიღმაც. თუმცა სერიალში მე და ქრისტინე სულ ვკამათობთ, მაგრამ ასეა სცენარით გათვალისწინებული და ალბათ, ასეა საჭირო.

— მსახიობის ამპლუაში თავს როგორ გრძნობ?

— რომ გითხრა — უი, მსახიობობა ჩემთვის თურმე, ყველაფერი ყოფილა-მეთქი! — მოგატყუებ. ჩემთვის პირველი, მაინც სიმღერაა. ისე, სცენა და მსახიობობა ძალიან ახლოსა ერთმანეთთან და არ გამჭირვებია. ეკრანზე მომწონს საკუთარი თავი, თან შალვაც მეუბნება, რომ კარგად გამომდის მსახიობობა. მოკლედ, უნიჭო არ ვარ.

— უნიჭო ნამდვილად არ ხარ,

თეთრ რაშზე ამხედრებული პრინცი რომ არ მოვა ჩემთან, ვიცი, მაგრამ ისიც ვიცი, რომ...

მით უმეტეს — სიმღერაში. მამულიჩა (კახა მამულაშვილი) ისევ შენი პროდიუსერია?

— მე და მამულიჩა ისევ ერთად ვართ, ოღონდ — როგორც პროდიუსერი და მისი „მასალა", ისე აღარ. უბრალოდ, ვმეგობრობთ. ასე გადავწყვიტეთ ორივემ და ეს ყოველგვარი ჩხუბისა და რაღაც გაუგებრობის გარეშე მოხდა. ეს ჩვენი შოუბიზნესი ჩაკვდა თუ რა დაემართა, არ ვიცი — ახალი აღარაფერი ხდება და ამიტომ გადავწყვიტეთ ასე.

— ეი. ფიქრობ, რომ მუსიკალურ კარიერაში დახმარება აღარ გჭირდება?

— თავიდან სიმღერების ჩაწერასა და არანჟირებაში მამაჩემი მეხმარებოდა. მერე გამოჩნდა მამულიჩა, რომელმაც მართლაც ბევრი რამ გამიკეთა — უამრავ კონ-

ქეთამ ყველა ეს გეგმა ჩაგვიშალა. წავიდა და ხელი დაგვიქნია — კარგად იყავითო!.. ჩვენ კი დაგეტოვა გაღიმებულები

ცერტში მივიღე მონაწილეობა, ბევრი სიმღერა ჩავწერე და ჩემი დისკიც გამოიცა. მაგრამ საქართველო ისეთი ქვეყანაა, რომ ყველაფრის სტიმული გეკარგება. ვთქვათ, ჩავწერე სიმღერა — მერე რა? შემოსავალზე ხომ ლაპარაკიც არ არის: თუ მომღერალი ხარ, წაგებაში ხარ ისე, რომ „მინუსებში" გადადიხარ, რომლიდანაც კარგა ხანს ვეღარ გამოხვალ. დახმარება ყოველთვის დამჭირდება და ვიცი, რომ თუნდაც მამულიჩას ან თუნდაც შალვას, რამე რომ ვთხოვო, აუცილებლად დამეხმარებიან.

— ამ სტიმულის დაკარგვის გამო, რომ ახალი კლიპები არ გადაგიღია?

— არა, ამის გამო არა. უბრალოდ, მომღერალი თუ კლიპს იღებს, ძალიან მაგარი უნდა გადაიღოს. ამას კი დიდი თანხა სჭირდება. თან, ვერც ავარჩიე ჩემი რეპერტუარიდან სიმღერა, რომელზეც კლიპს გადავიღებდი. ხან ერთი მომწონდა, ხან — მეორე. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ჩემს უკლიპობას ძალიან განვიცდი. სიმართლე გითხრათ, ეს დიდად სულაც არ მადარდებს.

— ცხოვრებაშიც ასეთი მერყევი ხასიათი გაქვს და ვერ წყვეტ, თუ რა უნდა გააკეთო?

— არა. საერთოდ, ვიდრე რაღაცას გადავწყვეტ, ყოველთვის ვფიქრობ, ამას რა მოჰყვება. ამიტომ დიდხანს მიწევს ამა თუ იმ საკითხზე ფიქრი.

— როგორც ცნობილია, შენ რამდენიმე ფესტივალის გამარჯვებულიც ხარ...

— კი, ასეა. 2001 წელს „იალტა 2001"-ის საერთაშორისო კონკურსზე დავიკავე პირველი ადგილი, მერე, იქიდან „სლავიანსკი ბაზრის" მოწვევა მომივიდა და იქაც პირველი პრიზი ავიღე. სხვათა შორის, მაშინ ძალიან ძლიერი კონკურსანტები იყვნენ. ყველა საუცხოოდ მღეროდა, თან — მე ყველაზე პატარა ვიყავი, მაგრამ მაინც გავიმარჯვე. ახლა ვფიქრობ, რომ წელს ისევ წავიდე რომელიმე კონკურსზე.

— ახლა თუ მუშაობ რომელიმე ახალ სიმღერაზე?

— ამჯერად მართლა, არაფერზე ვმუშაობ, რადგან როგორც უკვე გითხარი, კონსერვატორიას ვამთავრებ და სულ სწავლაზე ვარ გადართული. ძალიან მალე დავიწყებ ახალ სიმღერაზე ფიქრს.

— თქვენი ჯგუფი — „ოთხი გოგო" რატომ დაიშალა ასე მალე?

— ამ ჯგუფის შექმნა სტუდია „არტ-პრომის" იდეა იყო და სწორედ მათ შეგვარჩიეს მე, ქეთა თოფურია, ქრისტინე იმედაძე და ნინი ბადურაშვილი. ვფიქრობ, რომ ეს მართლაც ძალიან კარგი ჩანაფიქრი იყო და კარგადაც დავიწყეთ. მაგრამ მოულოდნელად, ქეთა მოსკოვში წავიდა და ჩვენ იძულებული გავხდით, რომ დავშლილიყავით. ქეთა რომ არ წასულიყო, დღეს უკვე სოლო კონცერტიც გვექნებოდა ჩატარებული, გამოვიდოდა ჩვენი ალბომი, გვექნებოდა კიდევ ერთი კლიპი და გასტროლებზეც წავიდოდით საზღვარგარეთ. მაგრამ ქეთამ ყველა ეს გეგმა ჩაგვიშალა. წავიდა და ხელი დაგვიქნია — კარგად იყავითო!.. ჩვენ კი დაგვტოვა გაღიმებულები. კი ვფიქრობდით, რომ მერე, სამს გაგვეგრძელებინა ეს ჯგუფური კარიერა, მაგრამ სტეფანემ და კახა ცისკარიძემ *(სტუდია „არტ-პრომის" ხელმძღვანელები. — ავტ.)* თქვეს — სამი ცოტაა, — თან, ნინიმაც უარი თქვა — თუ ქეთა არ იქნება, მეც აღარ მინდაო...

— „ოთხი გოგოს" პირველმა კლიპმა საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ზოგი, რუსულ ჯგუფ „ვია გრასაც" კი გადარეებდათ. თქვენ თვითონ რა აზრის იყავით მასზე?

— სტეფანემ და კახუჩელამ წინასწარ გაგვაფრთხილეს, რომ ზოგიერთს შეიძლებოდა, ეს კლიპი სხვანაირად აღექვა. პრინციპში, ამას ჩვენც ველოდით, რადგან კარგად ვიცით, რომ დავიბადეთ საქართველოში და აუცილებლად ვიღაცას შეგვდარებდნენ ან რაიმე საჩოთიროს იტყოდნენ. სულ არ მინდა, რომ „ვია გრას" მადარებდნენ, მაგრამ ეს მაინც არ მწყინს, რადგან როცა ბევრს ლაპარაკობენ შენზე, ეი. პოპულარული ხარ და ხალხს აინტერესებ. შოუბიზნესში ეს მთავარი და აუცილებელია.

— ეი. ხალხი შენზე რომ ჭორაობს, ამის გამოც არ ღიზიანდები?

— სხვათა შორის, ჩემზე ჯერჯერობით არანაირი ჭორი არ მსმენია. რატომღაც დამინდვეს და არაფერს მიგონებენ. თუ იჭორავენებ — იჭორაონ, ეს მათი პრობლემაა. ადამიანს ყველაფერი ცუდი ისევ თვითონ უბრუნდება უკან...

— მოდი, თემას გადავუხვიოთ და შენი ყველაზე სევდიანი მოგონება გაგვანდვე...

— რა ვიცი... ალბათ, ყველაზე სევდიანი მაშინ ვიყავი, როცა ქმარს გავეყარე. თვითონ ის ფაქტი, რომ ახალშექმნილი ოჯახი ინგრევა, ძალიან ცუდია. შეიძლება, ეს დაშორება კარგიც იყოს, მაგრამ თვითონ ფაქტია ცუდი. ვერაფრით ვიტყვი — ქმარს რომ დავშორდი, ძალიან ბედნიერი ვიყავი, ფეიერვერკები მოვაწყვე და შინ ისე წამოვედი-მეთქი. რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის ძალზე სევდიანი და მტკივნეული იყო მაშინ. მაგრამ ახლა რომ ვუფიქრდები, მგონია, რომ ეს ყველაფერი სანერვიულოდ არ ღირდა. სევდიან მოგონებად ეს დამრჩა.

— როგორც ვიცი, შენ და შენს ყოფილ მეუღლეს ერთმანეთი 5 წლის განმავლობაში გიყვარდათ, ოჯახი კი სულ რამდენიმე თვეში დაგენგრათ...

— რადგან ეს მოხდა, ეი. ასე იყო საჭირო. თან, ღმერთმა ინება, რომ პირველი ქორწინებიდან შვილიც არ დამრჩენოდა... რადგან ასეა, მიხარია, რომ დროზე მოვედი გონს და ეს ნაბიჯი გადავდგი.

— მეორედ გათხოვებაზე თუ ფიქრობ?

— უახლოეს მომავალში — არა, რადგან ახლა აქცენტი ჩემს კარიერაზე მაქვს გადატანილი. მერე, თუ ვინმე ნამდვილად ღირსეული გამოჩნდება, გათხოვებაზეც ვიფიქრებ. იმდენი გამოცდილება კი მივიღე, რომ არჩევანში აღარ შევცდები — ამაში დარწმუნებული ვარ. თეთრ რაშზე ამხედრებული პრინცი რომ არ მოვა ჩემთან, ვიცი, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ჩემი მეორე მეუღლე, პირველზე უკეთესი იქნება და მათ არც შევადარებ ერთმანეთს.

■

ჩვენი სასხოვრებლის ინტერიერის გასალამაზებლად დრაცენა საუკეთესოა

დრაცენა „გზის“ წინა ნომერში წარმოდგენილ ქლოროფიტუმსა და ასპიდისტრაზე ნაკლებად პოპულარულია საქართველოში. ეს მარადმწვანე მცენარე ოთახის პირობებში ორ მეტრ სიმაღლეს აღწევს. თავისი პალმისმაგვარი ფორმით, იშვიათი, მაგრამ სურნელოვანი ყვავილებით ეფექტური და თვალწარმტაცია. დრაცენას თვისებებზე მოგვითხრობს თბილისის ბოტანიკური ბაღის ტროპიკულ ორანჟერეის თანამშრომელი, ქალბატონი ნანა ყუბანეიშვილი.

ლევან ებრალიძე

გვარი დრაცენა (Dracaena) შროშანისებრთა (Liliaceae) ოჯახს მიეკუთვნება. აერთიანებს 150-მდე სახეობას. ბუნებაში აზიასა და აფრიკაშია გავრცელებული. დრაცენა საკმარისად გამძლე, ლამაზი ფორმის, გახევებულღეროიანი მცენარეა. დრაცენას პრიალა ფოთლები მწვანე ან სხვადასხვა ფერით შეფერილი, ლანცეტისებრი, მჯდომი (უყუნწო), ოვალურია. ყვავილი – თეთრი და სურნელოვანია. დრაცენა ერთ-ერთი საუკეთესოა ვესტიბიულების, ინტერიერების, ოფისებისა და დარბაზების დასამშვენებლად. სინათლის მოყვარული მცენარეა, ოღონდ მზის პირდაპირ სხივებს ვერ იტანს, ზამთრობით კი – პირიქით. ჰაერის ტემპერატურა 16 გრადუსზე ნაკლები არ უნდა იყოს. ზაფხულში ხშირად უნდა მოირწყას, ზამთარში – შედარებით იშვიათად. საჭიროებისამებრ, რწყვიდან რწყვამდე ნიადაგი სასურველია, შეშრეს. მრავლდება თესლით და ღეროს კალმებით. თესლს დათესვამდე ვაცლით რბილობს და თავისივე სისქის სიმაღლეზე მიწას ვაყრით. აღმოცენებას დიდი დრო – 4-5 თვე სჭირდება. ამოსული ნერგი თავისი გუნდა მიწით ქოთანში უნდა ჩაირგას. გადარგვისას ახალი აღმონაცენი ფესვის წაწყვეტას ვერ იტანს. ვეგეტაციური გამრავლება შედარებით ადვილია. ასეთი მეთოდით გამრავლება შესაძლებელია, კალმით ან ფესვის ამონაყარით. კალამი მახვილი დანით ან მაკრატლით უნდა აიჭრას ისე, რომ არ დაიჟეჟოს. ყველა ქვედა ფოთოლი უნდა შეეცალოს, ზედები კი დამოკლდეს, გადაიჭრას შუაზე. კალმის ქვედა გადანაჭერი სასურველია, დანაყილი ნახშირის მტვერში ამოვავლოთ. წყალში ჩაწყობილი 2-3 თვეში ფესვიანდება. ქვიშაში დასაფესვიანებლად ჩარგული კალმები საჭიროებენ დახშულ ჰაერს, ამიტომ კარგი იქნება, თუ მინის ქილას დაახურავთ. დროდადრო აუცილებლია მათი განიავება. კალმები უნდა დაიცვათ მზის სხივებისგან, ორპირი ქარისგან და ხანდახან უნდა შეასხუროთ წყალი.

დრაცენა

ნანა ყუბანეიშვილი

დიდი ხნის, მაღალი მცენარე ადვილად შეგვიძლია გადავაქციოთ დაბალტანიანად. ამისთვის სასურველ სიმაღლეზე უნდა გადავჭრათ. დედა მცენარეს გადანაჭერის ადგილზე გვერდით კვირტებიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამონაყარები უვითარდება. გადარგვა, ისევე როგორც გამრავლება, უმჯობესია გაზაფხულზე ან შემოდგომაზე. თუ ოთახში 20-22 გრადუსი ტემპერატურა ნარჩუნდება, მაშინ ეს პროცესები ზამთარშიც შეგვიძლია ჩავატაროთ. ზაფხულის ცხელ დღეებში ოთახის პირობებში სასურველია, მცენარეს დილა-საღამოს წყალი შევასხუროთ. დრაცენა კარგად იტანს ოთახის პირობებს. არ სჭირდება ძლიერი განათება. ტროპიკულ ტყეებში, ხეების საბურვლის ქვეშ ხომ თითქმის მუდამ ჩრდილია. სამაგიეროდ, მისთვის აუცილებელია ტენი. საცხოვრებელ ბინებში, ოფისებში, მცენარის ფოთლების ბაგეები მტვრითა და ჭუჭყით ივსება, რაც აფერხებს ნორმალურ სუნთქვას და შემდეგ იწვევს მცენარის დაავადებას. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, ფოთლები სველი, რბილი ფუნჯით, ღრუბლით ან რბილი ჩვრით ჩამოიწმინდოს და წყლით ჩამორეცხოს. ჰაერაციის გაძლიერებისთვის ჭურჭლის კედლები გარედან უნდა გაიწმინდოს, მიწის ზედაპირს ხავსი უნდა მოშორდეს და მუდამ ფხვიერი იყოს. დრაცენა კარგად ხარობს გადამწვარი ნაკელის, მსხვილმარცვლა ქვიშის, ნახშირის ნაჭრებისა და ყამირი მიწის ნარევში. შეფარდებით 1:1:2. პატარა ეგზემპლარები ყოველწლიურად ირგვება, მოზრდილები კი – 3-4 წელიწადში ერთხელ. ■

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(31 იანვარი - 6 თებერვალი)

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: გამოიჩინეთ გაბედულება – წამოიწყეთ ოჯახური ბიზნესი. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწევთ იმ შემთხვევაში, თუკი ის მიწათმოქმედებასთან იქნება დაკავშირებული. ნუ იტყვით უარს, თუკი სადმე დაგპატიჟებენ.

მამაკაცი: დროა, დასვენებაზეც იფიქროთ. ფლირტისთვისაც ხელსაყრელი პერიოდია. ოღონდ, ნუ გააპარებთ თვალს იმ ქალისკენ, რომელსაც გვერდით შვარცენეგერის მსგავსი მამაკაცი მიჰყვება.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: კვირის დასაწყისში, ადრე დასახული გეგმების შეცვლა მოგიწევთ. შესაძლოა, ახლობლებისა და მეგობრების თანადგომაც დაგჭირდეთ. კვირის მეორე ნახევარში, რომანტიკული სიურპრიზი გელით.

მამაკაცი: ნუ დაიზარებთ თქვენთვის საინტერესო საკითხზე დამატებითი ინფორმაციის მოძიებას. გულს ნუ გადაუშლით ახალგაცნობილ ადამიანებს. გულუბრყვილობამ შეიძლება პრობლემები შეგიქმნათ.

მარჩხეზი – 22/V-21/VI

ქალი: პირად ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებები გელით. უარი თქვით ისეთ ურთიერთობაზე, რომელიც დიდი ხანია, აღარ განიჭებთ სიამოვნებას და ახალი რომანი გააბით. მეტი დრო დაუთმეთ საკუთარ გარეგნობას და ახალი იმიჯის შექმნას.

მამაკაცი: ფრთხილად იყავით – უადგილო ადგილას წუწუნით თქვენს კარიერას საფრთხეს ნუ შეუქმნით. შესაძლოა, მიიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის წყალობითაც თქვენ წინაშე ახალი პერსპექტივა გადაიშლება.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: ხელსაყრელი დროა ბიზნესის წამოსაწყებად. ეცადეთ, ყველა საქმეში მეტი აქტიურობა გამოიჩინოთ. თავი აარიდეთ ახლობლებთან ურთიერთობების გარკვევას.

მამაკაცი: კარგი კვირა გელით, თუ მოახერხებთ იმას, რომ მიხვიდეთ ყველგან, სადაც გელოდებიან. ბიზნესით დაკავებულ ადამიანებს ვურჩევთ, ახალი საქმე წამოიწყონ.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: შესაძლოა, კვირის დასაწყისშივე მიიღოთ ხელსაყრელი წინადადება და სამსახურებრივი მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. შაბათ-კვირა ბავშვების გარემოცვაში გაატარეთ.

მამაკაცი: თავს დააღწევთ ყველა გაუგებრობას, რომელიც თქვენსა და ხელმძღვანელობას შორის არსებობდა. ამიტომ ნუ დაკარგავთ დროს ფუჭ ახსნა-განმარტებებზე და თქვენი უშუალო მოვალეობები შეასრულეთ.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: აკონტროლეთ ემოციები, ეცადეთ, არ გაირთულოთ ურთიერთობები ახლობლებთან. შეიძლება, კოლეგები უსამართლოდაც მოგექცნენ, მაგრამ ჯობს, მოთმინება გამოიჩინოთ.

მამაკაცი: კვირის პირველ ნახევარში, ფინანსური პრობლემების მოგვარება გმართებთ. განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდეთ საქმიან ქაღალდებს. გირჩევთ, თავი შეიკავოთ ფულის გასესხებისგან.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: შეეცადეთ, ხელიდან არ გაუშვათ შანსი, რომელიც ამ კვირაში მოგეცემათ. თავი შეიკავეთ მოულოდნელი ცდუნებისგან და ნუ დაესწრებით ხალხმრავალ წვეულებებს, რადგან შესაძლოა, იქ მარტოსულად იგრძნოთ თავი.

მამაკაცი: იზრუნეთ საკუთარ ჯანმრთელობაზე და მეტი ყურადღება გამოიჩინეთ მეუღლის (ან პარტნიორის) მიმართ. ნუ დაიშურებთ მისთვის თბილ სიტყვებს და ისიც ადეკვატურად გიპასუხებთ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: უქმეები მეგობრებთან ერთად გაატარეთ. ნუ აჰყვებით ცდუნებას, არცთუ ისე ახლობელ ადამიანს გაანდოთ საიდუმლო, მით უმეტეს, თუ ის სხვას ეხება. ეს კვირა ხელსაყრელია ფინანსური საკითხების მოსაგვარებლად.

მამაკაცი: წარმატებას მიაღწევთ პარტნიორებთან მოლაპარაკებისას. კვირის მეორე ნახევარში მეტი სიფრთხილე გმართებთ: შესაძლოა, აჰყვეთ ცდუნებას და საკუთარ მისწრაფებებს ახლობელთა ინტერესები გადაყოლოთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: ახლა დასვენება უფრო გმართებთ, ვიდრე ყოფით პრობლემებზე ზრუნვა. გადადეთ ადრე დაგეგმილი საქმეები და შვებულების სასიამოვნოდ გატარებაზე იფიქრეთ.

მამაკაცი: კვირის დასაწყისში შესაძლოა, საინტერესო მესიჯი მიიღოთ. არაა გამორიცხული, რომ დაუგეგმავი შემოსავალი გაგიჩნდეთ ან თუნდაც, ლატარიაში მოიგოთ. ასეთ შემთხვევაში, აუცილებლად დაპატიჟეთ მეგობრები, ვთქვათ, ლუდზე – სასიამოვნო საღამოს გაატარებთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: საინტერესო, ძლიერ მამაკაცთან შეხვედრა გელით, რომელიც თქვენს პირად ცხოვრებაში ცვლილებებს შეიტანს. ნუ იქნებით ინერტული, იაქტიურეთ სასურველი მიზნის მისაღწევად.

მამაკაცი: კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. გარკვეული პერიოდის შემდეგ დარწმუნდებით, რომ სწორად მოიქეცით. ნუ მისცემთ მეგობრებს საბაბს, რომ ცარიელ თავთავს შეგადარონ...

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: დაეხმარეთ თანამშრომელს, რომელიც ახლა თქვენზე მეტადაა დაკავებული, ამას ხელმძღვანელის მოწონებაც მოჰყვება და მომავალში, კოლეგაც სიკეთით გადაგიხდით.

მამაკაცი: კარგად გააცნობიერეთ, თუ რისკენ ისწრაფვით და კონკრეტულად რას მოითხოვთ პარტნიორისგან და მხოლოდ ამის შემდეგ უთხარით ამის შესახებ მას. საქმიანი ცხოვრება კვლავინდებურად ნორმალურად წარიმართება.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: მოულოდნელად აღმოჩნდებით ისეთ ადგილას ან ისეთ გარემოცვაში, სადაც არავინ გელით. შეგიძლიათ, გალაღების უფლება მისცეთ თავს – წინ წარმატებული კვირა გელით.

მამაკაცი: თავი შეიკავეთ აზარტული თამაშებისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფინანსურ პრობლემებს ვერ ასცდებით. კვირის მეორე ნახევარში, მოულოდნელი შეხვედრა ან სასიამოვნო მოგზაურობა გელით.

24-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ა.

ანეკდოტები

***

— იცი, გუშინ ზედმეტი 70 კილოგრამი მოვიშორე.

— როგორ, ერთ დღეში?

— ჰო, ერთ დღეში.

— რანაირად?

— ცოლს გავეყარე.

***

— ჭიჭიკია, იცი, რაფერ იგინება ბინლადენი?

— არა...

— შენი დედა ავაფეთქე!

***

მარო იატაკს რეცხავს და საავარძელში გაზეთით ხელში მოკალათებულ მიხოს სთხოვს:

— ფეხები აწიე, გამოვწმინდო.

— ვაახ... რა ტყუილად გაჭმევ პურსა... უჩემოდ, იატაკის მოწმენდაც არ შაგიძლია!

***

სვანი ახალდაბადებულ შვილთან უამრავ სურათს იღებს.

— პირველი შვილია? — ეკითხება გამვლელი.

— არა, შვილი მესამეა, ფოტოაპარატია პირველი!

***

ორი დირექტორი საუბრობს:

— ახალი მდივანი მივიღე.

— მერე, როგორია?

— არა უშავს რა, მაგრამ ჩემი ცოლი ჯობია. თუ გინდა, გათხოვებ, ერთი კვირით წაიყვანე.

ერთი კვირის შემდეგ:

— ჰა, რას იტყვი?

— მართალი ყოფილხარ... შენი ცოლი ჯობია.

***

ერთი პრინციპული სვანი მეორეს შესჩივის:

— ამათი დედა ვატირე!.. პირი შეკრეს მოლარეებმა?!

— რაზე ამბობ?!

— ათი მეტროს სადგური მოვიარე ფეხით და ფასი ვერ დავაკლებინე. ჟეტონი ყველგან 20 თეთრი ღირს.

***

ინტერვიუ უშიშროების გენერალთან:

— რას აკეთებს თქვენი სამინისტრო?

— ჩვენ იმ ხალხს დავსდევთ, ვისაც ამ ქვეყანაში ცხოვრება არ მოსწონს.

— ...და ვინმე ისეთს თუ იცნობთ, ვისაც აქ ცხოვრება მოსწონს?

— როგორ არა... მაგრამ ეგეთ ხალხს საგადასახადო დასდევს.

***

დირექტორი სახლში უსაზიზღრეს ხასიათზე ბრუნდება. ცოლი:

— რაიმე უსიამოვნება შეგემთხვა?

— კი... თანამშრომელი, რომელზეც სიბრაზეს ვაფრქვევ ხოლმე, დღეს სამსახურში არ მოვიდა...

***

კარზე ზარია.

— ვინ არის?

— „მწვანეთა პარტიაა“.

— რა გნებავთ?

— სოციალური გამოკითხვა გვაქვს... გააღეთ!

— არ გავაღებ! გუშინ ჩემმა მეზობელმა გააღო და ჯერაც ვერ მოსულა აზრზე...

— ვინ იყო ასეთი?!

— „ცისფერთა პარტიიდან“ ყოფილან...

***

პროკურორი სასამართლოზე:

— უბრალოდ, შეხედეთ ბრალდებულს: გადაპარსული თავი, ვიწრო შუბლი, ჩაცვენილი თვალები, სახეზე „შრამი“, გატეხილი ცხვირი — ფუუჰ!..

ბრალდებული:

— იი!.. ვერ გავიგე: მე მკვლელობისთვის მასამართლებთ თუ გარეგნობისთვის?!

***

— მამიკო, მამიკო, მე და ჩემმა შვიდმა კლასელმა ძლივს გადავიყვანეთ მოხუცი ქალი ქუჩაზე.

— ამდენი რა საჭირო იყავით?

— არ მოგვყვებოდა.

***

მიხომ ცხენის ნალი იპოვა და გაუხარდა:

— ახლა ცხენი და სამი ნალიღა მაკლიაო.

***

ევერესტის მწვერვალზე ჩამომჯდარი ორი მთამსვლელის გულითადი საუბრიდან:

— მინდოდა, ოთხოთახიანი ბინა მეყიდა, გარემონტებული, ავეჯით გაწყობილი... მოკლედ ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ბოლოს მაინც გადავიფიქრე.

— რატომ?

— მესამე სართულზე იყო... თანაც ლიფტი არ მუშაობდა...

***

მე, წესიერი ადამიანი ვარ: არ ვსვამ, არ ვეწევი, არც ცოლს ვღალატობ. დილის რვა საათზე ვდგები და საღამოს ცხრაზე უკვე ვიძინებ. მაგრამ ყველაფერი ეს დამთავრდება, როდესაც ციხიდან გამოვალ.

***

ქუთაისელი ბიჭიკია ზღვაზე ქერათმიან ქალს „ახუჭუჭებს“:

— არაფერი გამოგივა... მე „ლესბიანკა“ ვარ, — ეუბნება ქალი.

— „ლესბიანკა“ რაია ტო? — ეკითხება ბიჭიკია.

— რა და, აი... ჩვენკენ რომ ლამაზი ქალი მოდის, მე ის ქალი მევასება — უხსნის ქალი.

— მასე თუა, მეც „ლესბიანკა“ ვყოფილვარ, სიმონ...

***

— ყმაწვილო, ჩემი ქალიშვილი მღერის, ცეკვავს, მანქანას ატარებს, საქმეებს არჩევს, მის ხელს რომ მთხოვთ, თქვენ რა შეგიძლიათ?

— შარვალს გოგუოოვებ და ჩულქებს დოვუკემსავ... პატივცემულო...

როგორი თვითშეფასების უნარი გაქვთ?



ნებისმიერი ქალის სილამაზეს მისი მომხიბვლელობა განსაზღვრავს. ზოგიერთი ქალი რაღაც იდუმალი ხიბლის გამოსხივების უნარითაა დაჯილდოებული, ზოგიერთი კი ამ უნარს მოკლებულია და ამიტომ, ირგვლივმყოფთ მისი ღირსებების სათანადოდ შეფასება უჭირთ. სამწუხაროდ, ამ კატეგორიის ქალები საკუთარ თავს სათანადოდ თავადვე ვერ აფასებენ, ეს კი მათ ცხოვრებაში არაერთ პრობლემას უქმნის. თუკი გაინტერესებთ, როგორი თვითშეფასების უნარით გამოირჩევით, გულწრფელად უპასუხეთ შეკითხვებს და ამას სულ იოლად გაარკვევთ.

1. ვთქვათ, ახლაგაცნობილი ადამიანი თქვენი ასაკის შეფასებისას შეცდა და ხუთიოდე წელი მოგიმატათ. როგორი გრძნობა დაგეუფლებათ?

ა) მეწყინება – 3;

ბ) გავიფიქრებ, რომ ის საკმაოდ ცუდად ერკვევა ქალებში და საერთოდ არ ძალუძს მათი ასაკის განსაზღვრა – 2;

გ) ჩემი აზრით, ეს ხუმრობისთვის საკმაოდ კარგი საბაბია – 1.

2. როდესაც სამკაულის, კოსმეტიკის ან პარფიუმერიული ნაწარმის შეძენა გაქვთ განზრახული, რა განაპირობებს თქვენს არჩევანს?

ა) ფასი (რაც უფრო ძვირად ღირებულია ესა თუ ის ნივთი, მით უკეთესია) – 3;

ბ) ამა თუ იმ ნივთს მხოლოდ საკუთარი გემოვნებით ვირჩევ – 2;

გ) მეგობარი გოგონების რჩევებს ვითვალისწინებ – 1.

3. თუკი მოულოდნელად სტუმარი გესტუმრათ, როგორ მოიქცევით?

ა) ვეცდები, არაფრით ვაგრძნობინო, რომ ის ცოტა არ იყოს შეუფერებელ დროს მესტუმრა – 2;

ბ) სიხარულის შეძახილით შევხვდები: „ოჰ, როგორ გამახარე!“ – 1;

გ) არ დავფარავ, რომ მისი უდროო ვიზიტით აღფრთოვანებული სულაც არა ვარ – 3.

4. როცა წვეულებაზე ან თეატრში მიდიხართ, რა არის თქვენთვის უმთავრესი?

ა) ის, რომ ირგვლივმყოფებზე კარგი შთაბეჭდილება მოვახდინო – 3;

ბ) ის, რომ მეტისმეტად თვალში საცემად არ გამოვიყურებოდე – 1;

გ) ის, რომ საკუთარი გარეგნობით თავად ვიყო კმაყოფილი – 2.

5. მაინც, რას უფრო შეადარებდით საკუთარ თავს:

ა) გამძლე და „დღეგრძელობით“ გამორჩეულ ქვას – 2;

ბ) ტირიფს, რომლის ტოტებიც მიწამდეა დახრილი, მაგრამ არ იმტვრევა – 1;

გ) ქარს – რომლის ძალასაც შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს – 3.

6. ვთქვათ, იმ დღეს უხერხულად გრძნობთ თავს, რადგან მიგაჩნიათ, რომ საკმაოდ ულაზათოდ ხართ ჩაცმული. მოულოდნელად გხვდებათ ნაცნობი გოგონა (ქალი) და გეუბნებათ, რომ შესანიშნავად გამოიყურებით. ქათინაურისთვის მადლობას უხდით, გულში კი გაიფიქრებთ:

ა) საინტერესოა, რას გამოელის ჩემგან? ნეტავ, რა უნდა, რომ მთხოვოს? – 1;

ბ) დღეს იქნებ, მართლაც, არცთუ ისე ცუდად გამოვიყურები? – 3;

გ) თავისთავად, ქათინაური ხომ პატარა, უწყინარი პირფერობაა – 2.

7. ვთქვათ, თქვენ და თქვენი მეგობარი რაღაცაზე ვერ შეთანხმდით და წაკამათდით. როგორი გრძნობა დაგეუფლებათ?

ა) თავს უხერხულად ვიგრძნობ და შევეცდები, რომ საუბრის თემა დროულად შევცვალო – 1;

ბ) დიდად არ შევწუხდები, რადგან, მიმაჩნია, რომ საუკეთესო მეგობრებსაც კი ამა თუ იმ საკითხზე შესაძლოა, განსხვავებული აზრი ჰქონდეთ – 2;

გ) დაჟინებით მოვთხოვ, რომ მან საკუთარი აზრი შეიცვალოს – 3.

8. თქვენს გარდერობში ერთი რამ მაინც თუ მოგეპოვებათ საკუთარი ხელით მოქსოვილი ან შეკერილი?

ა) მომეპოვება და არა ერთი და ორი – 3;

ბ) დიახ, მაგრამ სადღაც მაქვს შეჩურთული, რადგან დიდი ვერაფერი ხვითო გამომივიდა – 1;

გ) არა – 2.

9. რა აზრის ხართ საკუთარ გარეგნობაზე?

ა) ჩემი გარეგნობის გამო, ბევრი მოშურნე მყავს და მიმაჩნია, რომ არცთუ უსაფუძვლოდ – 3;

ბ) მართალია, ფოტომოდელივით ვერ გამოვიყურები, მაგრამ ცუდი გარეგნობა არ მაქვს – 2;

გ) სამწუხაროდ, ამ მხრივ სატრაბახო არაფერი მაქვს – 1.

10. როგორ გრძნობთ თავს იმ ქალის საზოგადოებაში, რომელმაც თქვენთან შედარებით ამ ცხოვრებაში ბევრად უფრო დიდ წარმატებებს მიაღწია?

ა) შური მიპყრობს – 1;

ბ) საკმაოდ მშვიდად ვარ, რადგან მიმაჩნია, რომ საკუთარი ღირსება და უპირატესობა მეც მაქვს – 3;

გ) ვცდილობ, ყველაფერში მას მივბაძო – 2.

ტესტის შედეგები

12 ქულაზე ნაკლები: დამყოლი ხასიათი გაქვთ და შეიძლება ითქვას, რომ დიდი მოთხოვნილებებით არ გამოირჩევით. გაქვთ იმის უნარიც, რომ ყური დაუგდოთ სხვის აზრს და ანგარიში გაუწიოთ მათ მოთხოვნებს. ზოგჯერ ამის გამო საკუთარ გემოვნებასა და სურვილებს არ ითვალისწინებთ. საკმაოდ იოლად ექცევით სხვების ზეგავლენის ქვეშ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ამას ვერც კი აცნობიერებთ.

საკუთარ თავთან აღიარებთ, რომ უამრავი ნაკლი გაქვთ — დაფიქრდით, ცოტას ხომ არ აჭარბებთ? კარგი იქნება, თუ საკუთარი ღირსებების სათანადოდ დაფასებას ისწავლით, ამით მხოლოდ და მხოლოდ აიმაღლებთ რეპუტაციას.

12-20 ქულა: თქვენ მყარად დგახართ მიწაზე და საკუთარი თავის ფასიც მშვენივრად იცით. უფრთხილდებით თქვენს რეპუტაციას და ყოველთვის ცდილობთ, ირგვლივმყოფებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინოთ. ეს კი მით უფრო უკეთესად გამოგდით, რაც უფრო ბუნებრივად იქცევით.

20 ქულაზე მეტი: მეტისმეტად თავდაჯერებული ადამიანი ბრძანდებით. საკუთარი უპირატესობის შესახებაც კარგად მოგეხსენებათ. ძალიან გწყინთ, როცა ადამიანები სათანადოდ ვერ გაფასებენ. დაფიქრდით, იქნებ, მათი კრიტიკა ზოგჯერ სულაც არ გახლავთ უსაფუძვლო? ნუ დაივიწყებთ, რომ ზედმეტად თავდაჯერებულობას დიდი რისკი ახლავს თან — შესაძლოა, თქვენ მარტოობა დაგემუქროთ. იყავით უფრო მოქნილი, ოღონდ, ნურც საკუთარ ინდივიდუალობას დაკარგავთ.

The Beatles-ის ნახჩენების უტილიზაცია

რამდენადაც ლეგენდარულია მუსიკალური ჯგუფი, მით უფრო აბსურდულია მათი თაყვანისმცემელთა საქციელი, რომლებიც ლეგენდასთან შეხებას ცდილობენ. ამ თეზისის დასამტკიცებლად ინტერნეტ-აუქციონის eBay-ს ლოტი გამოდგება. აუქციონზე გასაყიდად ტუალეტის ქაღალდის რულონი გამოიტანეს, რომლის გამოყენებაზე The Beatles-ს წევრებმა უარი განაცხადეს. ამ მიმზიდველი ლოტის სასტარტო ფასი 40 ათის გირვანქა სტერლინგია, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ რულონი ბევრად უფრო ძვირად გაიყიდება.

ამ რულონის ისტორია ასეთი გახლავთ: ალბომ Abbey Road-ის ჩაწერისას ლეგენდარული ჯგუფის წევრებმა ტუალეტის ქაღალდის გამოყენებაზე უარი

განაცხადეს, რადგან ის ძალზე „გაპოხილი და უხეში“ მოეჩვენათ, ამასთან, უკმაყოფილონი იყვნენ იმითაც, რომ თითოეულ ნაჭერს ლეიბლ EMI Ltd-ს შტამპი ჰქონდა დასმული.

ამ შესანიშნავ ლოტს მენეჯერ კენ ტაუშენდის ბარათი ახლავს, სადაც ნათქვამია: „Abbey Road-ის ჩაწერისას ყველაფერი წესრიგში იქნებოდა, რომ არა ტუალეტის ქაღალდის რულონი. ჯგუფის წევრებმა დაიჩივლეს, რომ ქაღალდი მეტისმეტად უხეში აღმოჩნდა. გარდა ამისა, მათ სამარცხვინოდ მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ მასზე EMI Ltd-ს შტამპია დასმული. რულონი სასწრაფოდ გააქრეს და ამის შემდეგ პერსონალისთვის ყველაფერი შესანიშნავად წარიმართა“.

The Beatles-ს ისტორიისთვის მნიშვნელოვანი ნივთის ბედნიერი მფლობელის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ალბათ სულ მალე გამამყღავნებს თავს და მინის კოლოფში ჩასმული სახელგანთქმული რულონი ლეგენდარული კოლექტივის ერთ-ერთი ფანატის კოლექციაში ღირსეულ ადგილს დაიკავებს.

■

ძილი სიმსუქნის წინააღმდეგ

ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ იმ ადამიანებს, ვისაც ძილი აკლიათ, სიმსუქნისკენ აქვთ მიდრეკილება. მეცნიერებს ახლა იმის გარკვევა სურთ, შესაძლებელია თუ არა, რომ ძილი სიმსუქნის წინააღმდეგ საბრძოლველ წამლად გამოიყენონ. აღმოსავლეთ ვირჯინიის სამედიცინო სკოლის მეცნიერთა მიერ ჩატარებულ გამოკვლევაში 1000 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მაღალია პაციენტთა სხეულის მასის ინდექსი (წონისა და სიმაღლის შეფარდების კოეფიციენტი), მით უფრო ხანმოკლეა მათი ძილი. ამასთან მამაკაცებს საშუალოდ 27 წუთით ნაკლები სძინავთ, ვიდრე ქალებს.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ჭარბწონიან პაციენტებს კვირაში 1,8 საათით ნაკლები სძინავთ, ვიდრე ნორმალური წონის ადამიანებს. ამის მიუხედავად, მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მოხდენილი აღნაგობისთვის ბევრი ძილი აუცილებელი არ არის. ძილში გატარებული ზედმეტი 20 წუთიც კი, სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ადამიანმა წონაში დაიკლოს. სპეციალისტები არ ამტკიცებენ, რომ გამოკვლევამ უძილობასა და სიმსუქნეს შორის პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აჩვენა, მაგრამ თვლიან, რომ გამოკვლევამ წონის დასაკლებად ძილის გამოყენების შესაძლებლობა დაამტკიცა, ხოლო შემდგომმა გამოკვლევებმა კი შესაძლოა, ეს კავშირიც დაასაბუთოს.

გამოკვლევის შედეგები სამეცნიერო გამოცემა Archives of Internal Medicine-ში გამოქვეყნდა. „ჭარბ წონასთან ბრძოლისას ჩვენ ყოველთვის დიეტასა და ფიზიკურ ვარჯიშებზე ვამახვილებდით ყურადღებას და ჯანსაღი, სრულფასოვანი ძილის მნიშვნელობას არ ვაფასებდით“, — წერს Northwestern University-ს ექიმი ფრედ ტურეკი. იგი აღნიშნავს, რომ ხანმოკლე ძილი ორგანიზმში იმ ჰორმონის რაოდენობის შემცირებას იწვევს, რომელიც ადამიანის მადას ასუსტებს და ამავდროულად ზრდის იმ ჰორმონის რაოდენობას, რომელიც შიმშილის გრძნობას აძლიერებს. — „ახლა მთავარია დავადგინოთ, თუ რა როლს თამაშობს ძილის უკმარისობა ორგანიზმის ფორმირების პერიოდში. იწვევს თუ არა იმ ცვლილებებს, რომელიც შემდგომში წონის პრობლემებს განაპირობებს. იქნებ ბავშვობაში ხანგრძლივი, ჯანმრთელი ძილი ამერიკელებს სიმსუქნის ეპიდემიის დაძლევაში დაეხმაროს?!“ — ამბობს ექიმი ტურეკი.

■

სტრიპტიზი რეალითი-შოუში

უკვე მერამდენედ ხდება, რომ სხვადასხვა ღონისძიებაზე ვარსკვლავები მაყურებელს უცნაური საქციელით აოცებენ. ხალხს მათი იონები, ცოტა არ იყოს მოჰბეზრდა, რადგან ვარსკვლავთა უმრავლესობას ფანტაზია ღალატობს და ისინი უკვე მოძველებულ, ყველასათვის ნაცნობ ტრიუკებს იყენებენ. ასე მაგალითად: აგენტ ოსტინ პაუერსზე შექმნილ პაროდიულ კომედიაში „მინი-მეს“ როლის შემსრულებელი ტანმორჩილი მსახიობი ვერნ ტროიერი რეალითი-შოუ The Surreal Life-ს გადაღებებზე მთლიანად გაშიშვლდა. მან პუბლიკის გამხიარულება გადაწყვიტა და გადაღებაზე მოტოროლერზე დედიშობილა ამხედრებული გამოცხადდა. ძნელი მისახვედრი არ არის, თუ როგორ გაუჩნდა ეს „გენიალური“ იდეა. საქმე ის არის, რომ ცოტა ხნით ადრე, შეზარხოშებული ტროიერი ქალთა შეჯიბრს ესწრებოდა, სადაც მონაწილენი ტანსაცმელს იხდიდნენ. ის ამ სანახაობამ ისე გაიტაცა, რომ მოულოდნელად შარვალი შეიხსნა, კიდევ რამდენიმე ჭიქა კოქტეილი გადაჰკრა და დარბაზის კუთხეში ბუნებრივი მოთხოვნილება დაიკმაყოფილა. შოუს შემკრთალი მონაწილეები მის დაოკებას შეეცადნენ და მსახიობი დასაძინებლად წაიყვანეს, მაგრამ მახვილგონიერი მსახიობი არ შედრკა და „ტრიუკი მოტოროლერით“ განახორციელა.

შეიძლება ითქვას, რომ რეალითი-შოუში ვარსკვლავის დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა.

■

ფოტოკუჩიოზები

ერთგული თანამგზავრი მთელი წლის განმავლობაში

613/6

არ გამოგრჩეთ!



კალენდრის ბითუმად
შეძენის მსურველებმა
დარეკეთ 36-35-75,
899-10-66-54